საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ტარიელ ფუტკარაძე

ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2019

კავკასიაზე თავისი კონტროლის უზრუნველსაყოფად რუსეთის იმპერიამ XIX საუკუნეში შეიმუშავა კავკასიელების, პირველ რიგში, ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის დაშლის გეგმა, რომელსაც წინ აღუდგნენ ცნობილი ქართველი მოღვაწენი: ილია ჭავჭავაძე, გრიგოლ დადიანი, ნიკო დადიანი, იაკობ გოგებაშვილი, სერგეი მესხი, ბესარიონ ნიჟარაძე, ამბროსი ხელაია, დუტუ მეგრელი (დიმიტრი ხოშტარია), ივანე მარგიანი, პეტრე ჭარაია...

რუსეთის საბჭოთა იმპერიის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის შემდეგ (1921) ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების გეგმის განხორციელება გააგრძელეს ბოლშევიკებმა. კრემლის სანქცირებულ ენობრივ-ეთნიკურ პოლიტიკას შეეწინააღმდეგნენ ქართველი მწერლები და მეცნიერები: თედო სახოკია, კონსტანტინე გამსახურდია, შალვა დადიანი, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ახვლედიანი, ვუკოლ ბერიძე და სხვ. რომელთა შეხედულებები გაიზიარა ბოლშევიკთა ერთმა ნაწილმაც (მათ შორის, ლავრენტი ბერიამ).

წიგნში, ი. სტალინისა და ლ. ბერიას პოზიციათა აღწერის პარალელურად, საარქივო მასალების საფუძველზე გაანალიზებულია ქართველ ენათმეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა თვალსაზრისები მეგრული (/სვანური) მეტყველების სტატუსის შესახებ; ასევე, წარმოჩენილია XIX საუკუნეში დაწყებული დაპირისპირების **თანამედროვე კონტექსტი.**

მონოგრაფიაში ძირითადი ადგილი უჭირავს საქართველოს წინაშე დღეს არსებული გამოწვევების ანალიზსა და შესაბამის რეკომენდაციებს, რომლებიც საყურადღებოა **საინფორმაციო ომში** საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოებისათვის.

რედაქტორი

პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი **მერაბ ჩუხუა**

რეცენზენტები:

პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი **ეკა დადიანი**
პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი **რევაზ შეროზია**
პროფესორი, ისტორიის დოქტორი **ნუგზარ ანთელავა**

© ტ. ფუტკარაძე, 2019

გამომცემლობა „უნივერსალი", 2019
თბილისი, 0186, ე. პოლიბაროვსკის №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-433-7

St. Andrew the First-Called Georgian University
of the Patriarchate of Georgia

Tariel Putkaradze

Contemporary Challenges of Kartvelology

Publishing House „UNIVERSAL"
Tbilisi 2019

In order to ensure its control over the Caucasus, the Russian Empire has developed a plan for the dissolution of linguistic and ethnic unity of the Caucasian, especially Georgian nation in the XIX century. The plan was opposed by well-known Georgian state figures, such as Ilia Chavchavadze, Grigol Dadiani, Niko Dadiani, Iakob Gogebashvili, Sergei Meskhi, Besarion Nijaradze, Ambrosi Khelaia, Ivane Margiani, Petre Charaia and others.

Following the conquest of the Democratic Republic of Georgia by the Russian Soviet Empire (1921), the Bolsheviks embark on the imperial idea of the linguistic and ethnic divisions of the Georgian nation that was led by Stalin. The Kremlin linguistic and ethnic policy was challenged by Georgian writers and scientists: Tedo Sakhokia, Konstantine Gamsakhurdia, Shalva Dadiani, Arnold Chikobava, Giorgi Akhvlediani, Vukol Beridze and others; one part of the Bolsheviks (including Lavrenti Beria) shared their opinions.

In parallel with describing Bolshevik confrontation with the support of Beria, the views of Georgian linguists and public figures on the status of Megrelian (Svan) are analyzed on the basis of archival materials; Besides, on the basis of documentary material, **the modern context** of controversy, that has started in the XIX century is also surfaced.

In monographs the main part is dedicated to the analyzis of the existing challenges facing Georgia. The book is accompanied by recommendations that can be taken into the consideration in the information warfare from the viewpoint of the **Georgian security concept.**

Editor

Prof. Dr. **Merab Chukhua**

Reviewers:

Prof. Dr. **Eka Dadiani**
Prof. Dr. **Revaz Sherozia**
Prof. Dr. **Nugzar Antelava**

© T. Putkaradze, 2019

Publishing House „UNIVERSAL", 2019

4, A. Politkovskaia st., 0186, Tbilisi,Georgia ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-433-7

შინაარსი

წინასიტყვაობა /პროფ. მერაბ ჩუხუა/ 11

შესავალი 19

I თავი: ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის საკითხი საერთაშორისო დოკუმენტებში 23

1.1. ჰაიდი ტალიავინის დასკვნის ერთი ნაწილის ანალიზი 23

1.2. ოთხი ქართველური ენის იდეოლოგემის შექმნის ისტორია 34

1.3. „ჩხოუშიელი ავტონომისტები“ 57

1.4. ისაკ ჟვანიას ჯგუფი 60

1.5. ლავრენტი ბერიას პოზიცია 71

1.6. ოთხი ქართველური ენის იდეოლოგემა XXI საუკუნეში (კრიტიკული ანალიზი) 97

1.7. ქართველური ენობრივი სამყაროს სეგმენტაციის შესახებ ორი ძირითადი თვალსაზრისი /ისტორიული დინამიკა/ 118

II თავი: საქართველოს ენობრივი სიტუაცია „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ რატიფიცირების კონტექსტში 124

2.1. „ენის ქარტიის” მიზანი 124

2.2. ვის აქვს უმწერლობო ენა? 131

2.3. საქართველოს სტრატეგიული მიზანი 139

III თავი: ტერმინოლოგიური დივერსიები 142

3.1. სეპარატისტი თუ კოლაბორაციონისტი? 143

3.2. 9 აპრილი – დამოუკიდებლობის აღდგენის დღე თუ გლოვის დღე? 146

3.3. 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე თუ საქართველოს პირველი რესპუბლიკის გამოცხადების დღე? 150
3.4. 14 აპრილი – დედაენის დღე თუ საქართველოს სახელმწიფო ენის დღე? 151
3.5. ტაო-კლარჯეთში ავტოქთონი ქართველობაა თუ ქართული დიასპორა? 152
3.6. საქართველოს რეგიონები თუ საქართველოს კუთხეები? 153

IV თავი: ქართული ენის ტექნოლოგიზება 155
4.1. ავტომატური აკადემიური თარგმანის საკითხი 155
4.2. ერთენოვანი ქართული ტექსტების ეროვნული კორპუსი 157

V თავი: ქართველთა ენობრივი მემკვიდრეობის დაცვის პერსპექტივა 160
5.1. ქართული ენის პრესტიჟი 160
5.2. ქართველური ენობრივი მემკვიდრეობა და „სისხლით დაცული ანბანი“ 162
5.3. გერმანული გამოცდილება 169

შემაჯამებელი მსჯელობა 177

რეზიუმე ინგლისურ ენაზე 181

დანართები 185
1. **ალექსანდრე გეგეჭკორი,** იანოვსკი-ვოსტორგოვის ღირსეულ მემკვიდრეებს 185
2. **ლავრენტი ბერია,** მეგრელი ავტონომისტების შესახებ 193
3. ფახულანის თემის კოლექტიური წერილი მეგრული სკოლების წინააღმდეგ 198

4. მოხსენება მეგრული პირველი ჯგუფების მუშაობის შედეგების შემსწავლელი კომისიისა 202
5. **ისაკ ჟვანია**, სამეგრელოს ავტონომისტების შესახებ 207
6. **თედო სახოკიას** მოხსენება 208
7. სამეგრელოს მკვიდრთა 1925 წლის 23 სექტემბრის რეზოლუცია 212
8. **ტარას შენგელიას** ცილისწამება 214
9. **არნოლდ ჩიქობავა**, ჩვენი დედაქალაქი და ჩვენი დედაენა 224
10. **არნოლდ ჩიქობავა**, არ დავივიწყოთ დედაენა 227
11. **ლ. ბერიას** წერილი ი. სტალინს 230
12. **ივ. ჯავახიშვილი** ნიკო მარის წინააღმდეგ (საგანგებო წერილი და ვრცელი მოხსენება) 232
13. სკკპ (ბ) სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომის 1934 წლის 21 მაისის სხდომის ოქმი № 13 275
14. **ტ. ფუტკარაძე**, საერთოქართველური ენისა და თანამედროვე ქართველური ქვესისტემების ისტორიული მიმართების ამსახველი სხვადასხვა სქემის შეპირისპირებითი ანალიზი 276

რეცენზიები 299
პროფ. ნუგზარ ანთელავა 299
პროფ. ეკა დადიანი 307
პროფ. რევაზ შეროზია 314

საძიებელი **319**
ა) პირთა სახელები 319
ბ) ენები, დიალექტები, კილოკავები 326
გ) ერები, ეთნოსები, ტომები, თემები 330
დ) ტერმინები 333

Content

Foreword /Prof. Revaz Sherozia/ **11**

Introduction **19**

Chapter I: The issue of the linguistic and ethnic unity of the Georgian nation in the international publications 23

1.1. Analysis of one part of Heidi Tagliavini's conclusion 23

1.2. History of the creation of the ideologeme of four Kartvelian languages 34

1.3. „Chkhoushi Autonomists" 57

1.4. The Group of Isak Zhvania 60

1.5. Lavrenti Beria's position 71

1.6. Ideologeme of four Kartvelian Languages in the 21st century (critical analysis) 97

1.7. Historical dynamics of two main points of segmentation of the Kartvelian linguistic world 118

Chapter II: Linguistic Situation of Georgia in the context of ratification of the European Charter of Regional or Minority Languages **124**

2.1. The purpose of the „Charter of the Language" 124

2.2. Who has an unwritten language? 131

2.3. The strategic goal of Georgia 139

Chapter III: Terminological diversions **142**

3.1. Separatist or collaborationist? 143

3.2. April 9 – The day of restoration of independence or mourning day? 146

3.3. 26 May - Georgian independence day or declaration day of first Georgian republic? 150

3.4. 14 April - Mother language day or Georgian national language day? 151

3.5. Is autochtone Georgian population in Tao-Klarjeti or are they the representators of the Georgian Doaspora? 152

3.6. Regions of Georgia or the corner (area) of Georgia?.....153

Chapter IV: Technologization of the Georgian language 155
4.1. The issue of the automatic academic translation 155
4.2. The National Corpus of the monolingual Georgian Texts 157

Chapter V. Prospects of protection of the Georgian linguistic heritage 160
5.1. Prestige of Georgian language 160
5.2. Kartvelian linguistic heritage and „blood-protected alphabet" 162
5.3. German experience 169

Closing conclusion 177

Brief summary in English 181

Attachments 185

1. **Aleksandre Gegechkori,** To the worthy heirs of Janovski-Vostorgov 185
2. **Lavrenti Beria,** about Megrelian autonomists 193
3. Collective letter of the Pakhrolan community against Megrelian schools 198
4. Report on the commission of studying the results of the work of the First Megrelian Groups 202
5. **Isak Zhvania,** About the autonomists of Samegrelo 207
6. **Tedo Sakhokia**'s report 208
7. Resolution of September 23, 1925 of the inhabitants of Samegrelo 212
8. **Taras Shengelia**'s defamation 214
9. **Arnold Chikobava,** Our capital and our mother tongue 224
10. **Arnold Chikobava,** Do not forget the mother tongue 227
11. **L. Beria**'s letter to I.Stalin 230

12. **Ivane Javakhishvili** against N. Marr (the special letter and the long report) 232
13. The meeting protocol #13 (dated May 21, 1923) of the Party Committee of Tbilisi State University, Communist Party of the Soviet Union (Bolsheviks) 275
14. **Tariel Putkaradze**, Comparative analisis of various schemas reflecting the historical relationship of the common Kartvelian language and modern Kartvelian subsystems 276

Reviews **299**
Prof. Dr. Nugzar Antelava 299
Prof. Dr. Eka Dadiani 307
Prof. Dr. Revaz Sherozia 314

Index **319**
a) Names 319
b) Languages, dialects, subdialect 326
g) Nations, tribes, ethnic groups, community 330
d) Terms and other significant words 333

წინასიტყვაობა

წარმოდგენილ ნაშრომში გაანალიზებულია ბოლო ასწლეულში ქართველური ქვესისტემების განსხვავებული კვალიფიკაციების ისტორია და ნაჩვენებია ქართველურ ენობრივ ერთეულთა კვალიფიკაციის შესახებ არსებული აზრთა სხვადასხვაობის საფუძველი. დარგის სპეციალისტი თუ დაკვირვებული მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ გამოკვლევაში თანამედროვე რეალობის კონტექსტში კრიტიკულადაა განხილული ის სამეცნიერო ნაშრომები, რომლებშიც გაანალიზებულია ენისა და დიალექტის გამმიჯნავი კრიტერიუმები; მნიშვნელოვანია, რომ მონოგრაფიის ავტორმა წიგნი ააგო შესაძლო (თუ მოსალოდნელი) საფრთხეების ღრმა ანალიზის ფონზე; მისი აზრით, ლინგვისტური ქართველოლოგიის (მე ვიტყოდი სახელმწიფოს) წინაშე დგას ხუთი არსებითი გამოწვევა:

1. საერთაშორისო აკადემიურ ველში ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის საწინააღმდეგო **იდეოლოგემ(ებ)ის დაბალანსება** /თავდაცვა საინფორმაციო ომში/;
2. „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ **რატიფიცირების** კონტექსტში საქართველოს ენობრივი სიტუაციის ადეკვატური აღწერა;
3. რუსული ენობრივი პოლიტიკის წიაღში შექმნილი **ტერმინოლოგიური დივერსიების** განეიტრალებით სწორ სახელმწიფოებრივ ორიენტირთა გაბუნდოვნების თავიდან აცილება;
4. ქართული ენის პრესტიჟის შენარჩუნების მიზნით და თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით **ქართული ენის ტექნოლოგიზება** (ავტომატური ორენოვანი აკადემიური თარგმანის განხორციელება);
5. საქართველოს სახელმწიფო ენის – ქართველთა დედაენის, ქართული (/ქართველური) სამწიგნობრო ენის – კონსტიტუციური სტატუსის დაცვის უზრუნველყოფა, **ქართველური ზეპირი მეტყველებების შენარჩუნებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება** და

საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა დარჩენილი ქართველობის **ენობრივი იდენტობის გადარჩენა.**

ამავდროულად, აქვე გაშლილია საინტერესო და ვრცელი მსჯელობა ქართველური ენობრივი სამყაროს სეგმენტაციის ისტორიის შესახებ.

ნაშრომის მეცნიერული სიახლეა ისიც, რომ **ლინგვისტური ქართველოლოგიის ისტორიაში პირველად არის ამომწურავად შესწავლილი და განხილული საქართველოს ეროვნულ და სხვა არქივებში დაცული განსაკუთრებული ღირებულების დოკუმენტები** და მათთან დაკავშირებული მასალები, სხვადასხვა დროს მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რომელთა დიდი ნაწილი საქართველოს ფართო საზოგადოებისათვის (და ხშირად სპეციალისტებისათვისაც კი) უცნობია.

მონოგრაფიის ცენტრალურ საკითხად მაინც რჩება სვანურ და მეგრულ-ლაზურ მეტყველებათა ლინგვისტური სტატუსის პრობლემა. ცნობილია, რომ სვანურსა და მეგრულ-ლაზურს, სოციოლინგვისტური კვალიფიკაციით, სამართლიანად განიხილავენ როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის, ქართველთა დედაენის, ანუ ქართულის დიალექტებად. თუმცა, ჩვენი აზრით, საკუთრივ ენობრივ-სტრუქტურული მიდგომის შემთხვევაში, ქართველურ ენა-კილოებს შორის საზღვრებს ადგენს ამ ენობრივი ჯგუფის წევრებს შორის გამოვლენილი **რეგულარული, კანონზომიერი** და **სისტემური** ბგერათშესატყვისობების არსებობა; რომ ქართველურ ენა-კილოებს შორის ენა/დიალექტის ლინგვისტური სტატუსის განმსაზღვრელი უტყუარი კლასიფიკატორი არის ბგერათშესატყვისობათა ჩვენება, სწორედ ის ადგენს საზღვრებს ქართულსა, ზანურსა და სვანურს შორის, ვინაიდან ამ სამწევროვანი სისტემის ნებისმიერ წევრს საერთოქართველური ფუძე-ენის დაშლის მომდევნო საფეხურზე უკვე გააჩნდა საკუთარი ლინგვისტური ფიზიონომია (ფონოლოგია-მორფოლოგიის დონეზე).

ენა/დიალექტის სტატუსის კონტექსტში ბგერათშესატყვისობების შესახებ არსებული შეხედულების გაბათილებას საყურადღებო არგუმენტებით ცდილობს პროფ. ტ. ფუტკარაძე; კერძოდ, იგი მიუთითებს, *რომ ქართული ენა ყველა ქართველის ისტორიული დედაენაა; გარდა ამისა, ბგერათშესატყვისობის არსებობა-არარსებობის მიხედვით მსოფლიოში არსებული არც ერთი ენისა თუ დიალექტის სტატუსი არ არის განსაზღვრული. რაც მთავარია, `ბგერათშესატყვისობით დგინდება იდიომთა ნათესაობა და არა – სტატუსი... **როგორც წესი, იდიომის სტატუსი განისაზღვრება სოციოლინგვისტური კრიტერიუმებით.***

მართლაც, მრავალ მონათესავე ენას შორის ბგერათშესატყვისობა არ გვაქვს (რუსული, ბელორუსიული, ჩეხური, სლოვაკური...), მაგრამ ეს ერთეულები, საყოველთაო აღიარებით, ენებად არის კვალიფიცირებული და პირიქით – კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობები გვაქვს დიალექტებად მიჩნეულ ენობრივ ერთეულებს შორის (გერმანული, ჩინური...). ამასთანავე, **ხშირად ბგერათშესატყვისობა თავს იჩენს არა მარტო ენებს, არამედ დიალექტებსა და თვით კილოკავებს შორისაც კი;** ასეთია, მაგალითად, ხუნძური ენის კილოკავები: ტოხური და ჭადაქოლოური. მართლაცდა, საინტერესო პარალელებია ავტორის მიერ მოხმობილი, მაგრამ ჩვენ მაინც გვგონია, რომ ჩვენს სინამდვილეში ქართველობას განსაზღვრავს პოლიტიკური თვითშეგნების დონე (რაც უაღრესად მაღალია მეგრელ-სვანებში), და არა ენობრივი ნათესაობის (თუნდაც ლინგვისტურად იდენტურობის) ფენომენი.

რაც შეეხება ანწუხური დიალექტის ტოხური და ჭადაქოლოური კილოკავების ურთიერთმიმართებას, სადაც ამ ორი კილოკავის სიბილანტური თანხმოვნები თითქოს ისეთსავე შესატყვისობას გვიჩვენებენ, როგორც ქართული და ზანურ-სვანური. ჩვენს ენებში, მართალია, არსებობს ანგარიშგასაწევი სიბილანტური ოპოზიცია **სისინა : შიშინა,** მაგრამ ქართველურ ენათა სიბილანტური მიმართება არ დგას მხოლოდ სისინა/შიშინა ოპოზიციაზე, ქართველურ მასალაში გადამწყვეტ როლს **სისინა : შიშინა** კორესპონდენციასთან ერთად **შიშინა : შიშინა + უკანაენისმიერი ხშული** (ქართ.

შვიდი : ზან. შქვითი : სვან. იშგვიდ) მიმართება თამაშობს, თორემ სისინა -> შიშინა ხუნძურის კილოკავებში კი არა, თვით ძველი ქართულის ფარგლებშიც შეინიშნება, შდრ.: ფრცხილი / ფრჩხილი, სხამი / შხამი და მრავალი სხვა, თუმცა არც ერთი შემთხვევა არ ფიქსირდება ჯ/ჯგ, ჩ/ჩქ, ჭ/ჭკ, შ/შქ ურთიერთჩანაცვლებისა არც ძველ ქართულში და არც სხვა რომელიმე ქართულ დიალექტში. ჩვენი დაკვირვებით, ამგვარ შემთხვევებში ანგარიში უნდა გავუწიოთ ენობრივ სისტემათა ჩვენებებს, კერძოდ, ის მოცემულობები, რაც რელევანტურია ერთ რომელიმე ენობრივ სისტემაში, გადამწყვეტი არგუმენტის ძალას კარგავს სხვა სისტემაში. ამიტომაც ამა თუ იმ არგუმენტის უნივერსალიზაცია ყველა მოცემულობაში ვერ იძლევა სასურველ შედეგს; **თუმცა ამავე კონტექსტში, ვიმეორებ, უდავოდ მნიშვნელოვანი და აშკარა ნოვაციის შემცველი ჩანს, ქართველურ კონტექსტში, პარალელების მოხმობა გერმანული სინამდვილიდან;** კერძოდ: გერმანელთა საშინაო სამეტყველო ერთეულებს შორისაც არსებობს ბგერათშეხატყვისობები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებული ლინგვისტების დასკვნით, შვაბური და ბავარიული ენობრივი ქვესისტემები გერმანული ენის რიგითი დიალექტებია და არა დამოუკიდებელი ენები.

ერთმანეთს ემთხვევა ჩემი და პროფ. ტარიელ ფუტკარაძის დასკვნები ქართული სამწერლო ენის წარმოშობისა და მისი ქართველურ ენა-კილოებთან მიმართების საკითხებში. ადრეც ვამბობდით და დღესაც ვიმეორებ, რომ საერთოქართველური (იბერიული) სამწერლო ენა შეიქმნა წინარექართველური (იბერიული), დიალექტურად ჯერ კიდევ გაუდიფერენცირებელი ენის ბაზაზე, როცა სამწერლო ენა და ცოცხალი მეტყველება მეტ-ნაკლებად ერთმანეთის იდენტურ-იგივეობრივი იყო. მხოლოდ მომდევნო ეტაპზე სამეტყველო ენის ბაზაზე იკიდებს ფეხს ქართულ-ზანურ-სვანური დიალექტური სხვაობა, ანუ კილოურად დიფერენცირებული საერო (ხალხური) ზეპირმეტყველება. **სწორედ სახალხო (სამეტყველო) ენიდან იღებს სათავეს თანამედროვე ქართველური დიალექტები,** თორემ ძველქართული სამწერლობო ენა, რომელიც უშუალოდ მომდინარეობდა და აგრძელებ-

და საერთოქართველური სამწერლო ენის ტრადიციას, ყოველთვის იყო ყოველ ქართველთა კულტურის, რელიგიის, განათლების და, საერთოდ, სახელმწიფოს ენა. ამით საერთოქართველური (იბერიული) სამწერლო ენა ძალიან გვაგონებს ძველ ლათინურ სამწერლობო ენასა და მის ქვესისტემებს, ლათინური ენის დიალექტებს, როცა, როგორც ჩვენს შემთხვევაშიც, ლათინური ენის ისტორიული დიალექტების შედარებითი ანალიზის გზით რეკონსტრუირებული სიტყვაფორმები არ ემთხვევა ძველი ლათინური სამწერლო ენის რეალურად ფიქსირებულ ფაქტებს, მიუხედავად იმისა, რომ ერთსაც (სამწერლო ლათინურსა) და მეორესაც (ხალხურ ლათინურ მეტყველებას, ანუ დიალექტებს) საერთო წარმომავლობა ახასიათებთ. მაგრამ, ვინაიდან ყოველ ქართველთა სამწიგნობრო ენას ქართული წარმოადგენდა და სწორედ მას აღიარებდნენ და მოიხმარდნენ მთელს საქართველოში, **ჩვენში არ დამდგარა აუცილებლობა რომელიმე ქართველური დიალექტის მიხედვით ახალი სამწიგნობრო ენის ჩამოყალიბებისა,** განსხვავებით ლათინური ენიდან მომდინარე ესპანური, ფრანგული თუ იტალიური სამწერლობო ენებისაგან. და თუ როგორ შეიძლება საერთოქართველური წარმომავლობის სიტყვები ჩვენს თვალწინ გახდეს ტრანსფორმირებული, ანუ სალიტერატურო ფორმა ზეპირი მეტყველების ფაქტი, ამას ნათლად აჩვენებს ერთი სახელის ისტორია ჩვენში.

მხედველობაში გვაქვს კოლხეთის მეფე აიეტის შვილის სახელის – **აფსირტეს** – ბედი. ჩვენი დაკვირვებით, უძველეს მითოსში დამოწმებულ **აფსირტ-ე** ანთროპონიმს უკავშირდება გაცილებით უფრო გვიანდელი პერიოდის ეგრისის მეფე *წათე პირველის* ძმის საკუთარი სახელი, რომელსაც **ოფსიტ-ი** ერქვა. ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ფონეტიკის მონაცემთა მიხედვით ქართ. **აფსირტ-** : ზან. **ოფსიტ-** შეპირისპირებას წინააღმდეგობა არ ახლავს, შდრ. ს.-ქართვ. ***ა** -> ქართ. **ა** : ზან. **ო**. ინტერესმოკლებული არც ის ფაქტი ჩანს, რომ **აფსირტ- / ოფსიტ-** კოლხთა სამეფო ოჯახის წევრთა საკუთარი სახელებია; მაგრამ უმთავრესი მაინც ჩვენს შემთხვევაში დასახელებულ ანთროპონიმთა ქრონოლოგიური ურთიერთმიმართების პრობლემაა, რაც იძლევა საკუთრივ

ზანური **ა** -> **ო** ხმოვანგადაწევის შედარებით ზუსტად დათარიღების შესაძლებლობას. კერძოდ, აიეტის პერიოდის მეგრულ-ლაზურში **ა** -> **ო** ფონეტიკური პროცესი ჯერ კიდევ არ იყო მოქმედი, ამიტომაც საერთოქართველური წარმომავლობის **აფსირტ-** ანთროპონიმი, რომელიც, როგორც ეტყობა, კოლხეთის სამეფო დინასტიისათვის გამორჩეული საკუთარი სახელი იყო, უცვლელად გამოითქმოდა. შედარებით გვიანდელ პერიოდში, წათე პირველის დროს, **ა** -> **ო** გარდაქმნა მოქმედებდა და, შესაბამისად, **აფსირტ-** ისმოდა როგორც **ოფსირტ-**. წათე-გუბაზის მეფობის პერიოდში **ა** -> **ო** ტრანსფორმაციის გარდა ლაზურ-მეგრულისათვის უკვე დამახასიათებელი ყოფილა **რ** -> **0** ფონეტიკური გაუჩინარების პროცესიც: **აფსირტ-** -> ***ოფსირტ-** -> **ოფსიტ-**. თუნდაც ამ სახელის – **აფსირტ-ე** ქრონოლოგიური განხილვა მეტად ცხადი დასტურია იმისა, თუ რა გზით მიმდინარეობდა ტრანსფორმაცია საერთოქართველურიდან კოლხურ-სვანურ მეტყველებათა დამოუკიდებელ იდიომებად ჩამოყალიბებისაკენ. **ამიტომაც სწორია და უაღრესად ზუსტია ტ. ფუტკარაძის მსჯელობა (დასკვნა)** იმის თაობაზე, რომ „წარმართობის დროს (ქრისტიანობამდე!) ქართველთა ერთიანი ღვთისმსახურების (ეროვნული) ენის არსებობას ცხადყოფს სვანეთში, ტაო-კლარჯეთში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, სამეგრელოსა თუ ქართლ-კახეთში ჩაწერილი წარმართული შელოცვების ენა; მაგ., სვანეთში ჩაწერილი შელოცვების დიდი უმრავლესობის ენა არის არქაული სამწიგნობრო ენა (შეუძლებელია, სვანეთში ქრისტიანობის გავრცელებისა თუ სვანური კილოების ჩამოყალიბების შემდეგ შეესწავლათ წარმართული შელოცვები)“. სვანურის შემთხვევაში უადგილოდ არ გვეჩვენება იმ ფაქტის შეხსენებაც მკითხველისათვის, რომ წარმართობის პერიოდის ყველაზე ძველი სვანური რიტუალი „ადრეკილაჲ“ და „საქმეჲ“, რომელიც ერთსა და იმავე ჩვეულებას მიემართება (პირველი ლაშხეთში იყო გავრცელებული, მეორე – ზემოსვანეთში), მაგრამ სვანურის მეშვეობით ვერ გაიშიფრება, ვინაიდან მხოლოდ იბერიული სალიტერატურო ქართულის წიაღში შეიძლებოდა შექმნილიყო (შდრ.: ა-დრეკ-ილ- (დრეკ-ა) და სა-ქმ-ე-ჲ) ისინი თვით სვა-

ნეთის ტერიტორიაზე. ასევეა მეგრულშიც, კერძოდ, *ლოცვის* აღმნიშვნელი სიტყვა აქ ლაზურთან საერთო ხვამ-ა „ლოცვა“, ო-ხვამ-ე „სალოცავი; ტაძარი“ ფორმების სახით ბუნებრივია და დღემდე აქტიური, მაგრამ შელოცვის აღსანიშნავად სალიტერატურო **შელოცვა** არის ძირითადი მეგრულისათვის დამახასიათებელი რ-ს ჩართვითა და ც -> ს გადასვლით – **შელორსა** <- **შელოცვა**. და პირიქით, უმნიშვნელოვანეს ფაქტად გვესახება ქართული ენის ცოდნის განმსაზღვრელი სპეციალური ტერმინის არსებობა მეგრულში და იქიდან მისი ზოგადქართულში დამკვიდრება. მხედველობაშია ტერმინი **ჩიქორთული**, რომელიც მეგრულ სინამდვილეში შეიქმნა სუსტი/ცუდი ქართულის სინონიმად (შდრ. *სიტყვა-მცირობა*, *მცირე ქართული* „ვეფხისტყაოსანში“: „არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა“...); ფაქტია მეგრულის **ჩიჩიე-ქორთული** (გლახა ქართული) -> **ჩიქორთული** ჯერ სამეგრელოში მცხოვრებ მეგრელთა ქართულ მეტყველებას მიემართებოდა და მხოლოდ შემდგომ ხდება იგი საკუთრივ ქართულში გაუმართავი (არეულ-დარეული), მწირი ქართული მეტყველების აღმნიშვნელი სინონიმური ტერმინი.

აბსოლუტურად ზუსტია პროფ. ტ. ფუტკარაძის მსჯელობა ე.წ. უმწერლობო ქართველური ენების არსებობის შესახებ, როცა ავტორი ცდილობს სარბიელი შეუკვეცოს ამ ყოვლად უმწიფარ ფორმულირებას, რომლის საბოლოო მიზანიც სწორედ ის არის, რომ მეგრელები, სვანები, ლაზები გამოცხადდეს უმწერლობო ენების მფლობელ „მცირე ერებად“, რაც დამღუპველია საქართველოსთვის. მართლაც, ავტორის თქმისა არ იყოს: **„დიდი უსამართლობაა** სამეგრელოს, ლაზეთისა და სვანეთის ქართველობის შთამბეჭდავი სამწიგნობრო ისტორიის უარყოფით ამ ქართველთ გავუუცხოოთ ერთიანი ქართული (ქართველური) სამწიგნობრო ენა და უმწიგნობრო ენის მქონე „ხალხებად“ გამოვაცხადოთ“. არადა, როგორც აკად. არნოლდ ჩიქობავა სამართლიანად აღნიშნავდა: „ქართული სალიტერატურო ენა შექმნილია მთელი ქართველი ხალხის მიერ, იგი კუთვნილებაა მთელი ქართველობისა, იქნება ეს **ქართველი:** ხევსური თუ სვანი,

კახელი თუ მეგრელი, ქართლელი თუ აჭარელი... თვით დაქუცმაცებულ ფეოდალურ საქართველოშიც კი სხვა სამწერლო ენა არა ჰქონიათ არც მეგრელებსა და არც სვანებს. ქართული სალიტერატურო ენა ერთადერთი ეროვნული ენაა მთელი ქართველობისათვის".

ამიტომაც **ყოველგვარ მცდელობას, მეგრული მეტყველება იქცეს სამწერლობო ენად და ქართულის ნაცვლად (თუ პარალელურად) დამკვიდრდეს დაწყებითი განათლების ენად, საქმისწარმოების ენად და პრესის ენად, არანაირი პერსპექტივა არ გააჩნია და არც უნდა მიეცეს.** ნუთუ ზოგი ჩვენი თანამედროვე ისე დაეცა, რომ ვერ გაუტოლდა კომუნისტ ალ. გეგეჭკორის მიერ ასი წლის წინ მიღწეულ აზროვნების დონეს, რომელიც გულწრფელად ფიქრობდა და წერდა:

„სამეგრელოს არასოდეს უცხოვრია საქართველოსგან მოწყვეტით; სამეგრელო არის საქართველოს ისტორიული და განუყოფელი ნაწილი... მეგრელი დასაბამითვე შემოქმედია ქართული სალიტერატურო ენისა... ქართული ენა არის მეგრელთა „სამშობლო ენა"; შესაბამისად, ...არავითარ დამოუკიდებელ მეგრულ კულტურაზე არ შეიძლება ლაპარაკი. სამეგრელოს კულტურა მთლიანად ქართულია, ქართულ საფუძველზეა მოქარგული, ქართული ფესვებითაა მოარსებე".

ლავრენტი ბერიაც კი სამეგრელოს ენობრივ-კულტურული ავტონომიის წინააღმდეგი იყო: *„სამეგრელოს ავტონომია – ეს ნაბიჯის უკან გადადგმაა, ეს არის ნახტომი 300 წლით უკან".*

ჩვენი მხრიდან მხოლოდ დავამატებთ, სამეგრელომ და მისმა მოსახლეობამ დიდი ხნის წინ აირჩია სიმართლის გზა – ერთიანი ქართული სახელმწიფო, რომლის ურყევი მესაძირკვლის სიმძიმეც თვითონვე იტვირთა. და ამის ნათელი დასტურია ბოლო პერიოდის დამოუკიდებელი საქართველოს ხელახალი დაბადება, რომლის გვირგვინიც მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობაა.

პროფესორი მერაბ ჩუხუა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის თავმჯდომარე

შესავალი

ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით, მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ეკლესია საქართველოში, კერძოდ, სოფელ **დიდ აჭარაში,** ააგო წმიდა ანდრია პირველწოდებულმა, დაახლოებით, ახ.წ. 37 წელს. მეტი ალბათობით, სოფლის სახელს მსაზღვრელი „დიდი“ დაერთო სწორედ პირველი ეკლესიის გამო (შდრ.: სხვა შემთხვევებში სოფლის სახელის მსაზღვრელად თუ არის „დიდი“, იქვეა „პატარაც“, მაგ.: დიდი ჯიხაიში – პატარა ჯიხაიში; შდრ., ასევე: ზემო საქარა – ქვემო საქარა, ზემო ხევი – შუა ხევი – იმერ ხევი და სხვ.)[1].

IV საუკუნეში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებით ქართველთა სახელმწიფომ შეუქცევადი არჩევანი გააკეთა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. მრავალი საუკუნის მანძილზე ქრისტიანობა, როგორც მსოფლმხედველობა და დასავლურ-კავკასიური კულტურა, **ქართველთა იდენტობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა[2].**

---

[1] ოსმალური და კომუნისტური იმპერიული „ქვესკნელებიდან“ აჭარის გამოსვლის შემდეგ 20 საუკუნის წინანდელი აჭარლებისა და წმიდა ტბელი აბუსერიძის მიერ შექმნილი კალაპოტი **პოსტსაბჭოთა საქართველოში** ააღორძინეს აჭარის მკვიდრმა ცნობილმა მოღვაწეებმა: ფრიდონ ხალვაშმა, ზურაბ გორგილაძემ, მამია ვარშანიძემ, ვახტანგ მაკარაძემ, შუშანა ფუტკარაძემ, ნუგზარ ჯაფარიძემ, ბიჭიკო დიასამიძემ, დავით თედორაძემ, გურამ ფუტკარაძემ, ზურაბ ხაბაძემ, ნოდარ შავაძემ, შოთა ცეცხლაძემ, სანდრო ბერიძემ, ნიაზ ზოსიძემ, შოთა მამულაძემ, დავით ბოლქვაძემ, თეიმურაზ მახარაძემ... **აჭარაში აღზრდილმა ბევრმა სხვა ღირსეულმა ქართველმა.**

[2] უკვე VII საუკუნეში საქართველოს დამოუკიდებლობა, ქართული მეობა და ქრისტიანობა ურთიერთგანმსაზღვრელ ცნებებად რომაა ქცეული, ჩანს იოანე საბანისძის საინტერესო ფორმულიდან: „ჩვეულებისაებრ მამულისა სვლა“ (მსჯელობისათვის იხ.: ა. ნიკოლეიშვილი, ორტომეული: ქართველ მწერალთა ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი, ტ. I, გვ. 43-48).

1555 წელს ამასიაში ირანსა და ოსმალეთს შორის დადებული ზავის შემდეგ მუსლიმანური იმპერიების აგრესიით შეწუხებული ქართული სამეფო-სამთავროების მმართველები იმედის თვალით უყურებენ **ერთმორწმუნე რუსეთის** იმპერიას. ქართველთა ნდობის გამოყენებით, მე-19 საუკუნეში კავკასიაში შემოსულმა რუსეთმა, ამ რეგიონში (/კავკასიაში) საბოლოო დამკვიდრების მიზნით, ერთმორწმუნე ქართველების დახმარების ნაცვლად, იარაღის ძალით გაანადგურა მრავალსაუკუნოვანი ქართული სამეფო დინასტია, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და მიზნად დაისახა ქართველი ერის სრული მოსპობა.

მეფის რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის შემდეგ იმპერიის ერთიან საზღვრებში გაჩნდა ბუნებრივი პირობები ქართველთა ეროვნული ერთიანობის აღორძინებისათვის. ქართველთა კონსოლიდაცია ხელს არ აძლევდა რუსეთს, ამიტომ ქართველთა ეთნიკური დანაწევრების მიზნით („გათიშე და იბატონე"), რუსმა მოხელეებმა შეიმუშავეს სტრატეგია, რომლის მთავარი მიმართულება იყო ქართველთა დედაენის გავრცელების არეალის მაქსიმალურად შეზღუდვა; **ამ სტრატეგიის ხერხემალი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტში შექმნილი ფსევდომეცნიერული იდეოლოგემა[3] ე.წ. ოთხი ქართველური ენის შესახებ;** კერძოდ, „მეცნიერული კვლევებით" მათ მიზნად დაისახეს კუთხური მეტყველებების (/დიალექტების) გამოცხადება დამოუკიდებელ ენებად, ამ ახალ „ენებზე" საქმისწარმოებისა თუ საეკლესიო ღვთისმსახურების დაწყება და **ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დაპირისპირების პროვოცირება[4].**

---

[3] იდეოლოგემა – პოლიტიკური მიზნით შემუშავებული კვაზიმეცნიერული დებულება.

[4] მეფის ხელისუფლება ინტენსიურად აფინანსებდა ამგვარ „სამეცნიერო" პროექტებს. შემთხვევითი არ იყო, რომ 1880 წლიდან პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ალ. ცაგარელმა უარი თქვა ენათმეცნიერებაში მუშაობის გაგრძელებაზე (ვრცლად იხ. თ.

რუსეთის კომუნისტური იმპერიის მესვეურთა აქტიურობით XX საუკუნეში ეს ფსევდომეცნიერული იდეოლოგემა ფართოდ გავრცელდა მთელ მსოფლიოში; იგი აქტიურად გამოიყენება **საქართველოს წინააღმდეგ ამჟამად მიმდინარე საინფორმაციო ომშიც.**

თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე, დღეს, ჩვენი აზრით, ლინგვისტური ქართველოლოგიის წინაშე დგას **ხუთი არსებითი გამოწვევა**[5]**:**

1. საერთაშორისო აკადემიურ ველში ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის საწინააღმდეგო **იდეოლოგემ(ებ)ის დაბალანსება** /თავდაცვა საინფორმაციო ომში/;
2. „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ **რატიფიცირების** კონტექსტში საქართველოს ენობრივი სიტუაციის ადეკვატური აღწერა;
3. რუსული ენობრივი პოლიტიკის წიაღში შექმნილი **ტერმინოლოგიური დივერსიების** განეიტრალებით სწორ სახელმწიფოებრივ ორიენტირთა გაბუნდოვნების თავიდან აცილება;
4. ქართული ენის პრესტიჟის შენარჩუნების მიზნითა და თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით, **ქართული ენის ტექნოლოგიზება** (ავტომატური ორენოვანი აკადემიური თარგმანის განხორციელება);
5. საქართველოს სახელმწიფო ენის – ქართველთა დედაენის, ქართული (/ქართველური) სამწიგნობრო ენის – კონსტიტუციური სტატუსის დაცვის უზრუნველყოფა, **ქართველური ზეპირი მეტყველებების შენარჩუნებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება** და საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა დარჩენილი ქართველობის **ენობრივი იდენტობის გადარჩენა.**

გვანცელაძე, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში 2006, გვ. 91-92).

[5] ბუნებრივია, არის სხვა გამოწვევებიც.

აქვე აღვნიშნავ:
რამდენიმე მიზეზის გამო ქართველთა ენობრივ იდენტობას **საფრთხე** საქართველოშიც ემუქრება; კერძოდ:
- გლობალური ქსელის ეპოქაში ინგლისური თუ სხვა ფართოდ გავრცელებული ენების (ჩინური, რუსული...) გამოყენების სივრცის გაზრდა საფრთხეს უქმნის სხვა ხალხების დედაენებს; ავტომატური თარგმანების ეპოქაში კი **მეტად გვიანდება ქართულენოვანი ავტომატური აკადემიური მთარგმნელი პროგრამის შექმნა** (ასეთი პროგრამა კულტურულ ფუნქციას შეუნარჩუნებს და გადაარჩენს მცირერიცხოვანი ერის ენას);
- საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში დღესაც აქტიურია ფსევდოლიბერალთა ჯგუფი, რომელიც ხელს უწყობს მეგრულად თუ სვანურად ბიბლიის (სახარებისა თუ სხვა საეკლესიო წიგნების) „თარგმნასა“ და სვანეთსა და სამეგრელოში ღვთისმსახურების ენად ისტორიული საეკლესიო ენის ნაცვლად კუთხური მეტყველების დამკვირებას. რაც, საბოლოო ჯამში, სამეგრელოსა და სვანეთის ქართველობას დაუკარგავს დედაენას – ქართულ სამწიგნობრო ენას (სახარების მეგრულად და სვანურად თარგმნის შესახებ ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები და ქართველოლოგიის ცენტრის ამოცანები /Actual Problems of Kartvelology and Objectives of the Kartvelology Centre of Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia/ თბ., 2011, გვ. 17-18).

წიგნში დოკუმენტური და საარქივო მასალების საფუძველზე გაანალიზებულია თანამედროვე ლინგვისტური ქართველოლოგიის ზემოხსებული ხუთი გამოწვევა.
ვფიქრობ, ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნები საყურადღებოა **საქართველოს უსაფრთხოების კონცეფციის კონტექსტში.**

I თავი
ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის საკითხი საერთაშორისო დოკუმენტებში

1.1. ჰაიდი ტალიავინის დასკვნის ერთი ნაწილის ანალიზი

„რბილი ძალის“ (SOFT POWER) პოლიტიკის კონტექსტით საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე საინფორმაციო ომში[6] ზოგჯერ ჩვენი ევროპელი თუ ამერიკელი პარტნიორებიც ექცევიან **რუსული პროპაგანდის** გავლენის ქვეშ. მაგალითისათვის განვიხილავ რუსეთ-საქართველოს ომის (2008) შესახებ ჰაიდი ტალიავინის ხელმძღვანელობით მომზადებული დოკუმენტის ერთ მონაკვეთს. აქ ჰ. ტალიავინი იმოწმებს **ამერიკელ მეცნიერს – რონალდ სუნის** (Ronald Grigor Suny წარმოშობით ეთნიკური სომეხია), რომელიც, თავის მხრივ, „ათანამედროვებს“ წიგნის შესავალ ნაწილში განხილულ რუსულ იდეოლოგემას[7]; კერძოდ, ჰ. ტალიავინის დასკვნაში ვკითხულობთ:

„ისტორიულად ქართული ეროვნული იდენტობა თავის წარმოშობას მე-4 საუკუნეში ქართული ავტოკეფალიური ეკლესიის ჩამოყალიბებას და მე-5 საუკუნეში ქართული ენის გამოჩენასა და ანბანის შექმნას უკავშირებს. თუმცა, საქართველო საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა ადგილობრივ სუბეთნიკურ ერთეულად იყო დაყოფილი, რომელთაგან თითოეულს ჰქონდა თავისი საკუთარი ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები, დიალექტები და, მეგრელების,

---

[6] ვრცლად იხ.: პროფესორი ჯოზეფ ნაი, „რბილი ძალა – მსოფლიო პოლიტიკაში მიზნის მიღწევის საშუალება“, 2004 ; Prof. Dr. Joseph Nye, Soft Power: The Means to Success in World Politics, 2004.

[7] XXI საუკუნეშიც რუსეთის იმპერიის ანტიკავკასიურ პოლიტიკას ეწინააღმდეგება ქართველთა პროდასავლური არჩევანი, რის გამოც რუსეთი დღესაც ცდილობს საქართველოს განადგურებას.

ლაზებისა და სვანების შემთხვევაში კი – სხვა ენები, რომლებიც ჰგავს ქართულს. **ეთნიკურ ჯგუფთა კონსოლიდაციის და ერად ჩამოყალიბების პროცესი არ დასრულებულა**"[8].

ისტორიული სინამდვილე **დიდად განსხვავდება ჰ. ტალიავინის მიერ აღწერილისაგან:**

მრავალი ისტორიული ფაქტი ცხადყოფს, რომ ქართული ენა, როგორც ქართველთა დედაენა[9], 15 საუკუნეზე მეტი ხანია არსებობს. საუკუნეების წინ სწორედ **ქართული ენით ქართველთა კონსოლიდაციაზე** საუბრობენ ძველი მემატიანენი; შესაბამისად, ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესი დასრულდა დიდი ხნის წინ. პარალელურად, არაერთი დამპყრობელი ცდილობდა ენობრივ-ეთნიკურად დაენაწევრებინა („გათიშე და იბატონე") გეოპო-

---

[8] http://www.ceiig.ch/Report.html (ტომი, II, გვ. 2). History of an Ambivalent Relationship: „Georgian national identity claims historical origins dating as far back as the establishment of an autocephalous Georgian church in the 4th century and the emergence of the Georgian language with its own alphabet in the 5th century. Nevertheless, for centuries Georgia was divided into diverse local sub-ethnic entities, each with its own characteristic traditions, manners, dialects and, in the case of the Mingrelians, Lazs and Svans, with separate languages similar to Georgian. The process of ethnic consolidation and nation-making had not been completed (A standard work on this process is: Ronald Grigor Suny, *The Making of the Georgian Nation*, Bloomington/Indianapolis, 1994). ჰ. ტალიავინის მცდარი დებულებების კრიტიკისათვის ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, 2002 და 2010 წლების საერთო-სახალხო აღწერები რუსეთში და ქართველთა იდენტობის საკითხები; ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 14-17 ივნისი, 2010; https://www.scribd.com/doc/14098229/Putkaradze-Msoflios-EnaTa-Reestri-Da-Sakartvelo.

[9] ცნებები: „ქართული ენა", „ქართველთა დედაენა" და „ქართველური ენა" ჩვენთვის სინონიმებია (შდრ.: პროფ. რ. შეროზია „ქართველთა დედაენის" სინონიმად იყენებს მხოლოდ „ქართველურ ენას"; იხ. აქვე: სქოლიო 28).

ლიტიკურად რთულ რეგიონში მცხოვრები ქართველი ერი, რომ ქართველთა დასუსტების შემთხვევაში კონტროლი დაემყარებინა კავკასიის რეგიონსა თუ შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილზე.

ფაქტია ისიც, რომ ჰ. ტალიავინს ასეთი **არაადეკვატური დასკვნა** გამოაქვს საბჭოთა პერიოდში გაბატონებული ე.წ. **ოთხი „ქართველური ენის“ „იდეოლოგიაზე“** დაყრდნობით.

რ. სუნის (/ჰ. ტალიავინის/ მიერ წარმოდგენილი „ჰიპოთეზა“ თეორიულად სამგვარად შეიძლება შეფასდეს (შესაბამისად, სამგვარად დადგება პრობლემის არარსებობისა თუ გადაჭრის საკითხი):

ა) რ. სუნი და ჰ. ტალიავინი ცდებიან, რადგანაც ქართველ ერს აქვს მრავალსაუკუნოვანი ერთიანი სამწიგნობრო ენა, ერთიანი საეკლესიო ენა და ერთიანი ენობრივ-ეთნიკური იდენტობა. დასახელებული ზეპირი ქართველური ქვესისტემები კი ამ ეროვნული ენის ზეპირი სახესხვაობებია; ანუ დიდი ხანია მომხდარია ქართველთა ენობრივი კონსოლიდაცია და ამ მხრივ პრობლემა არ არსებობს.

ბ) რ. სუნი და ჰ. ტალიავინი არ ცდებიან – ქართველი ერი ჯერ არ არსებობს; მომავალში შეიძლება მოხდეს ქართველთა კონსოლიდაცია;

გ) რ. სუნი და ჰ. ტალიავინი არ ცდებიან: უძველესი დროიდან დღემდე არსებობს ოთხი ქართველური ეთნიკური ჯგუფი: ქართველი, სვანი, მეგრელი და ლაზი. შესაბამისად, აუცილებელია, საერთაშორისო თანადგომით ხელი შეეწყოს „უმწერლობო ქართველური“ „ეთნოსების“ დამოუკიდებელი ენების, როგორც უმცირესობის ენების, განვითარებას.

სამწუხაროდ, არა მხოლოდ საქართველოს ზოგმა სხვა მეგობარმა, არამედ ენობრივი პოლიტიკის სფეროში მომუშავე ქართველ სახელმწიფო მოხელეთა ნაწილმაც არ იცის, რომ **ქართველ ერს აქვს მრავალსაუკუნოვანი ერ-**

თიანი სამწიგნობრო ენა, ერთიანი საეკლესიო ენა და ერთიანი ენობრივ-ეთნიკური იდენტობა (დოკუმენტური მასალის ანალიზისათვის იხ. ქვემოთ).

წინასწარვე აღვნიშნავ, რომ საქართველოსათვის ნამდვილად სახიფათოა ეს ფაქტი და მით უფრო ის, რომ, არაიშვიათად, ზეპირ ქართველურ ენობრივ სახესხვაობათა სტატუსის განსაზღვრისას (თუ ქართველთა ეთნიკური იდენტობის კვალიფიცირებისას) ექსპერტები **ეყრდნობიან რუსული ენობრივი** (/ეთნიკური) **პოლიტიკის წიაღში შექმნილ იდეოლოგემებს.**

შდრ.: კავკასიის იარაღით დაპყრობის შემდეგ, XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე რუსეთის იმპერიის მოხელეებმა საგანგებოდ შემუშავებული ენობრივი პოლიტიკით დაიწყეს „გათიშე და იბატონეს“ გეგმის განხორციელება; კერძოდ, ქართველთა ზოგი კუთხური მეტყველების დამოუკიდებელ ენად გამოცხადებით შეეცადნენ ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ დანაწევრებას.

ეს გზა გააგრძელეს ბოლშევიკებმა. დღესაც ამავე გზით მიდის კრემლი; მაგ., 2002 და 2010 წლების რუსეთის მოსახლეობის აღწერების დოკუმენტებში განსხვავებულ ეროვნებებადაა ჩათვლილი: ქართველი, მეგრელი, სვანი, აჭარელი...[10] მაგ., 2010 წლის აღწერის შედეგების მიხედ-

---

[10] ტ. ფუტკარაძე, 2002 და 2010 წლების საერთო-სახალხო აღწერები რუსეთში და ქართველთა იდენტობის საკითხები; ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 14-17 ივნისი, 2010; ტ. ფუტკარაძე, თანამედროვე ქართველთა ენობრივ-ეთნიკური აღწერა „მსოფლიოს ენათა რეესტრის“ (inguarium.iling-ran.ru) მიხედვით და არსებული სინამდვილე, საქართველო და მსოფლიო (წარსული და თანამედროვეობა), ბათუმი, 2009. წაკითხულ იქნა მოხსენებად სამეცნიერო კონფერენციაზე: „საქართველო და მსოფლიო (წარსული და თანამედროვეობა)“, ბათუმი, 2008 წ. 14-15 ნოემბერი. http://www.scribd.com/doc/14098229/Putkaradze-Msoflios-EnaTa-Reestri-Da-Sakartvelo. მსჯელობისათვის იხ. ქვემოთ.

ვით, რუსეთში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებაა: **Грузины** *(картвели)*, **Аджарцы** *(аджарели)*, **Ингилойцы** *(ингилой)*, **Лазы, Мегрелы** *(маргали, мингрелы)*, **Сваны**[11]. რუსი მეცნიერები აქტიურად ცდილობენ, შეამცირონ ქართული ენის, ზოგადად, ქართველთა საცხოვრისის საზღვრები; მაგ., პროფ. ი. კორიაკოვის აზრით, ქართველთა განსახლების დასავლეთი საზღვარი სამტრედიამდეა, ჩრდილოეთი კი – ცაგერამდე; კერძოდ, იგი სხვადასხვა ენად აცხადებს რა ქართულს, მეგრულს, სვანურს, ლაზურს, ქართველური „ეთნიკური ჯგუფების“ ასეთ რუკას გვთავაზობს[12]:



[11] ტ. ფუტკარაძე, 2002 და 2010 წლების საერთო-სახალხო აღწერები რუსეთში და ქართველთა იდენტობის საკითხები; ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 14-17 ივნისი, 2010;
https://www.scribd.com/doc/14098229/Putkaradze-Msoflios-EnaTa-Reestri-Da-Sakartvelo. რუსული აღწერების დოკუმენტებში არსებული კვალიფიკაციებისა და აღწერის შედეგებისათვის იხ.: http://www.gks.ru/free_doc/new_site/perepis2010/croc/perepis_itogi1612.htm http://www.demoscope.ru/weekly/knigi/alfavit/alfavit_nacion10.php (დამოწმება: 25.12.2018); იხ., ასევე: ტ. ფუტკარაძე, კიდევ ერთხელ მცდარი ეთნოლინგვისტური კვალიფიკაციების შესახებ; გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2, ქუთაისი, 2008.

[12] პროფ. ი. კორიაკოვის რუკა: http://linguarium.iling-ran.ru/maps/1-all.gif (დამოწმება: 05.05.2018). http://lingvarium.org.

რუკაზე „ქართველებისა“ და „მეგრელების“ საცხოვრისების საზღვარი ცხენისწყალის ქვემო წელშია; „ქართველების”, „მეგრელებისა“ და „სვანებისა“ კი – ცხენისწყალის ზემო წელში.

რუსული იდეოლოგემების ინერციითაა შექმნილი ბევრი ევროპული თუ ამერიკული კვალიფიკაციაც; მაგ., არაერთი აკადემიური საერთაშორისო ცნობარის, ენციკლოპედიისა თუ ეთნიკური რუკის მიხედვით, **ქართველთა ნახევარი ქართველად არ მიიჩნევა;** მაგ., მსოფლიო გლობალური ქსელის ძირითადი ეთნოლოგიური ენციკლოპედიის მიხედვით, საქართველოში არის შემდეგი ეთნოსები(/ენები): აზერბაიჯანელები, ასირიელები (აისორები), აფხაზები, ბაცბები, ბერძნები, ლაზები, მეგრელები, ოსები, რუსები, სვანები (რომლებიც, თურმე, სამწერლობო ენად იყენებენ ქართულსა და რუსულს sic!), სომხები, ურუმები, ქართველები, ქართველი ებრაელები, ქურთები[13].

ფართოდ ვრცელდება არაადეკვატური ლინგვისტური თუ ეთნიკური რუკებიც; მაგ., საქართველოს რამდენიმე უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის, იოსტ გიპერტის ლინგვისტური რუკა ასე გამოიყურება:



ი. გიპერტმა ეს რუკა შექმნა 1993-2003 წლებში საბჭოთა კვალიფიკაციების ინერციით[14]. ამ და ზოგი სხვა რუკის

[13] http://www.ethnologue.com/show_country.asp?name=GE (დამოწმება: 12.01.2019);

[14] პროფ. ი. გიპერტის რუკა (დამოწმება: 22.12.2018):

მიხედვით[15] სამეგრელოში, ლაზეთსა და სვანეთში არ არის ქართული ენა; დასახელებული ავტორის აზრით, სამეგრელო, ლაზეთი და სვანეთი „უმწერლობო ქართველური ენების“ გავრცელების არეალია.

2003 წელს გამოქვეყნებულ ამ რუკაზე ქართული ენა არ არის: აფხაზეთში, იმერხევში, ტაოში... და ცხინვალის მხარეში. სინამდვილეში, ქართული ენა მუდამ იყო და დღესაც არის დასახელებულ კუთხეებში. **ცხინვალის მხარეში კი ქართველთა გენოციდი მოხდა 2008 წელს და, შესაბამისად, აქ ქართველები ვეღარ ცხოვრობენ 2008 წლის რუსული ოკუპაციის შემდეგ:** ცხინვალის მხარე ამ რუკას დაემსგავსა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ[16]. შდრ. ქართული ენის გავრცელების არეალი ადეკვატური რუკის მიხედვით:




---

http://titus.uni-frankfurt.de/didact/karten/kauk/kaukasm.htm

[15] იხ. ასევე, ASCN-ის მხარდაჭერით (ფრაიბურგის უნივერსიტეტის პროგრამა) CSEM-ის მიერ შექმნილი საქართველოს ენების რუკა (დამოწმება: 19.01.2019): http://csem.ge/wp-content/uploads/2016/07/languages_of_georgia.jpg.

[16] ამ რუკის შესახებ ექსპერტთა ერთი ჯგუფი წერს: „რუკა კარგად ასახავს საქართველოს ლინგვისტურ მრავალფეროვნებას“ („რეკომენდაციები ენობრივ უმცირესობათა დაცვის მიმართულებით ენობრივი პოლიტიკის შემუშავებისათვის“, თბ., 2008, გვ. 9 (კონსულტანტი: პოზნანის ადამ მიცკევიჩის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი დოქტორი ტომაშ ვიხერკევიჩი).

აქვე იხ. ქართველური ზეპირი მეტყველებების რუკა, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ცხენისწყალი არის არა ქართულისა და მეგრულის საზღვარი (როგორც ამას ი. კორიაკოვი და სხვები წარმოაჩენენ), არამედ – მეგრულისა და იმერულისა:



ევროპის ისტორიის ახალ რუკებზეც ბევრი შეუსაბამობაა; მრავალთაგან ერთ-ერთს დავიმოწმებ:

V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის დროს, მაშინ როცა საქართველო (/ქართლი) ნამდვილად ერთიანი სახელმწიფოა, დამოუკიდებელ სახელმწიფოებად წარმოდგენილია საქართველოს ორი ნაწილი: დასავლეთ საქართველო – ლაზიკად, აღმოსავლეთ საქართველო – იბერიად (არადა, ქორონიმი „იბერია“ ერთიანი საქართველოს უცხოურ სახელადაც გამოიყენებოდა)[17]:

[17] https://www.euratlas.net/history/europe/500/500_Southeast.html (დამოწმება: 12.05.2018).



ძნელი წარმოსადგენი არ არის:
ჰ. ტალიავინის საეჭვო დასკვნის მსგავსი ცდომილებები სხვა მიმართულებითაც შეიძლება იყოს; შესაბამისად, მოსალოდნელია, სხვა წახნაგითაც საქართველომ დასავლეთელი ექსპერტებისაგან არასწორი შეფასებები თუ რეკომენდაციები მიიღოს.

საერთაშორისო აკადემიურ ველში საქართველოს შესახებ **კვაზიმეცნიერული თვალსაზრისების** არსებობა ვერ აიხსნება მხოლოდ რუსეთის მიერ ორგანიზებული საინფორმაციო ომის წარმატებით; **დასავლეთელი ექსპერტებისათვის მადეზორიენტირებელია, ასევე, საქართველოს ზოგ წამყვან უნივერსიტეტსა თუ სახელმწიფო სტრუქტურაში დღემდე გაბატონებული მიდგომებიც,** რომელთა არსებობა რუსული იდეოლოგემების ინერციით შეიძლება აიხსნას; მაგ., საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 27 წელი გავიდა, მაგრამ საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებული ე.წ. „უმწერლობო ქართველური ენების“ „იდეოლოგია“ ჯერჯერობით ვერ გადაისინჯა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის ინსტიტუტში[18], სადაც

[18] ე.წ. „უმწერლობო ქართველური ენების“ იდეოლოგემა უარყოფილია ამავე უნივერსიტეტის ეთნოლოგიის მიმართულებაზე; იხ., მაგ., როლანდ თოფჩიშვილი, საქართველოს ეთნოლოგია, თბ., 2008; როზეტა გუჯეჯიანი, ბეჟან ხორავა, ქართული საზოგადოებ-

ერთ-ერთი საელჩოს დაფინანსებით, 2015 წლის 14 აპრილს პომპეზურად წარადგინეს ე.წ. ხუთენოვანი – ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური – ლექსიკონი (კრიტიკული ანალიზი იხ. ქვემოთ)[19].

საქართველოს გარედან დაფინანსდა, ასევე, მხატვრული ფილმების გახმოვანება სვანურად (თითქოსდა, სვანების დედაენა ქართული არ იყოს!):



მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო ... 26 new photos

... 13 ... ⓒ

„ ხორვეგია ფილმი ლადაღ შვახს "
ხორვეგიული ფილმის დღეები სვანეთში

მესტიის მუნიციპალიტეტში ხორვეგიის საელჩოს კულტურული კოსცეპტის „ პოეზია და მის მიღმა"-ს ფარგლებში ხორვეგიული ფილმის დღეები „ სორვეგია ფილმი ლადაღ შვახს " მიმდინარეობს,რომელიც გაიხსნა 7 მაისს და გაგრძელდება 11 მაისის ჩათვლით (7-10 მაისი დ მესტია; 8-9 მაისი სოფ მაზერი). მესტიაში ღონისძიებას უმასპინძლა სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმმა .პროექტი ხორციელდება ხორვეგიის საელჩო ბაქოში კულტურული ატაშე კერსტინ აგნეტა ვალბერგის . ხორვეგიელი კინო კრიტიკოსი იან ერიკ პოლსტის და „გრახდ პოტელ უმბა" (სოფ ტვებიში,ბეჩო) მფლობელი იან რიჩარდ ბერიუგის ინიციატივით

„ ხორვეგია ფილმი ლადაღ შვახს " -ის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება 7 ხორვეგიული ფილმი სხვადასხვა დროისა და ჟანრის მიხედვით,განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მაყურებელი პირველად იხილავს ფილმებს სუბტიტრით სვანურ ენაზე . ფილმები სვანურ ენაზე სრული ეხთუზიაზმით თარგმნეს გიორგი ხავერიანმა, შორენა ვეარლიანმა და გიორგი მარგიანმა. პროექტის ხელმძღვანელობამ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ამ ახალგაზრდებს და გადასცა მცირედი, სიმბოლური სასარჯიკე პაკეტი

უცხოეთიდან დაფინანსდა წიგნის: „სვანური საბავშვო ლიტერატურა" გამოცემა და პრეზენტაცია (გაიმართა 2013 წლის 10 დეკემბერს)[20]; პრეზენტაციის დროს „სვანური ენის" მდგომარეობის შესახებ ისაუბრა რიკარდ ბერუგმა – სვანური საბავშვო ლიტერატურის კონკურსის ინიციატორმა. რ. ბერუგი ასევე მიზანმიმართულად ცდილობს, შეიქმნას სვანური სალიტერატურო ენა (მისი პარ-


---

რივი აზრის ისტორიიდან, სამეცნიერო ჟურნალი: ქართველური მემკვიდრეობა XIII, ქუთაისი, 2009, გვ. 79-92 და სხვ.

[19] https://www.youtube.com/watch?v=chSKfvqWc1k (დამოწმება: 12.05.2018).

[20] https://gipa.ge/caucasus-school-of-journalism-and-media-management/geo/news/detail/74/svanuri-sabavshvo-literatura.html

ტნიორია ჯიპა /საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი/)[21]:



დღეს სვანური (/მეგრული, ლაზური) სამწიგნობრო ენისა თუ ლინგვისტური კორპუსის შექმნის პროცესი ძალიან ჰგავს მე-19 საუკუნის ბოლოს მიმდინარე რუსულ იდეოლოგიზებულ „საგანმანათლებლო“ „შტურმს“ – მეგრული და სვანური ანბანების შექმნის მცდელობებს[22].

მრავალი ფაქტი ცხადყოფს, რომ **სვანეთი არის ქართული კულტურის სავანე.** ქართველთა ობიექტური ენობრივ-ეთნიკური ისტორია რომ იცოდნენ ქართველი ერის ღირსების პატივისმცემელმა ევროპელმა მეგობრებმა,

---

[21] https://www.facebook.com/media/set/?set=a.870916819613045.1073741862.354449327926466&type=3 (დამოწმება: 25.09.2018);
http://newold.gipa.ge/caucasus-school-of-journalism-and-media-management/geo/news/detail/74/svanuri-sabavshvo-literatura.html (დამოწმება: 05.01.2019).
https://www.facebook.com/pg/LushnuLiteraturashKonkurste/photos/?tab=album&album_id=576114975813753 (დამოწმება: 05.01.2019).

[22] მე-19 საუკუნის ბოლოს სვანური და მეგრული ანბანების შექმნის მცდელობის შესახებ იხ.: თ. გვანცელაძე, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006, გვ. 38, 93, 121, 126, 146.

სხვა ქართველებისაგან გამმიჯნავ საეჭვო პროექტებს არ დააფინანსებდნენ, კერძოდ, მრავალსაუკუნოვანი **ქართული სამწიგნობრო კულტურის შექმნის თანამონაწილე ძირძველ ქართველებს – სვანებს** – XXI საუკუნეში არ შესთავაზებდნენ, **წინაპრების მიერ შექმნილი დედაენობრივი სამწიგნობრო კულტურის** ნაცვლად, „დაიმკვიდრონ" ერთ-ერთ ზემოსვანურ კილოზე შექმნილი „თავიანთი" „სალიტერატურო ენა" (სულ სხვა თემაა კუთხური ქართველური ენობრივი ერთეულების – დიდი ქართველური მემკვიდრეობის გადარჩენა-შენარჩუნებაზე ზრუნვა; ამის შესახებ იხ. ქვემოთ)[23].


არსებითია კიდევ ერთი გარემოება:
საქართველოს ამჟამინდელ (2018 წ.) სასკოლო წიგნებშიც და ეთნიკურ უმცირესობათათვის განსაზღვრულ სახელმძღვანელოებშიც ქართველური ენობრივი სამყარო ჯერ კიდევ **ოთხი ქართველური ენის იდეოლოგემაზე** ორიენტირებული კვაზიმეცნიერული თეორიით ისწავლება.

1.2. ოთხი ქართველური ენის იდეოლოგემის შექმნის ისტორია

ძვ.წ. II-I ათასწლეულებში შექმნილი კოლხური (ქართველური) არქეოლოგიური კულტურის საზღვრები თითქმის სრულად მოიცავს ქუჯისა და ფარნავაზის გაერთიანებულ ქართულენოვან სახელმწიფოს. არაიშვიათად, კოლხური კულტურის გავრცელების არეალად თვლიან მხოლოდ დასავლეთ საქართველოს და აცხადებენ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მოხდა ამ კულტურის „ინფილტრაცია".

[23] ვრცლად იხ. ტ. ფუტკარაძე, სვანები: საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები; კრებული: „სვანეთი — ქართული კულტურის სავანე", ეძღვნება საქართველოს კათოლიკოს-პარტიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის დაბადებიდან 75-ე და აღსაყდრებიდან 30-ე წლისთავს; თბ., 2008, 141-152.

სინამდვილეში კოლხური არქეოლოგიური კულტურა ფართოდაა გავრცელებული როგორც ამჟამინდელი საქართველოს უდიდეს ნაწილში, ასევე, ისტორიულ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე და უფრო სამხრეთითაც; მაგ., პროფ. ჯონი აფაქიძის მიერ შედგენილი რუკა ასე გამოიყურება:



პროფ. ჯ. აფაქიძემ ეს რუკა წარმოადგინა 2017 წლის 18 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში წაკითხულ მოხსენებაში: „კოლხური კულტურის ბრინჯაოს მეტალურგია და განძების ფენომენი (მახასიათებლები და გავრცელების არეალი)“ [24].

---

[24] https://sangu.edu.ge/index.php?page=362&news_id=2759&lang=geo; ix. aseve: Joni Apakidze, Die Spätbronze – und Früheisenzeit in West- und Zentralkaukasien. Chronologische Studien zur Kolchis-Kultur, 1600–700 v. Chr. – *Prähistorische Archäologie in Südosteuropa 24,* Verlag Marie Leidorf GmbH, Rahden/Westf. 2009. *Zweibändige Monographie*(deutsch mit georgischem und englischem Résumé). http://www.vml.de/d/detail.php?ISBN=978-3-89646-595-5. არქეოლოგიური ფაქტობრივი მასალისა და მსჯელობისათვის ვრცლად იხ. ტ. ფუტკარაძე, ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, დედაენა, დია-

ძველი ბერძნული წყაროების მიხედვით, დაახლოებით, ასეთივეა ქართველთა განსახლების ველი ძვ. წ. პირველი ათასწლეულის დამლევს[25]:



დაახლოებით, ასეთ საზღვრებში იყო ფარნავაზისა და ქუჯის, გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფისა თუ გიორგი ბრწყინვალის საქართველო (/ქართლის სახელმწიფო)[26].

კოლხური არქეოლოგიური კულტურის არეალში იყო ძვ.წ. II-I ათასწლეულებში არსებული **საერთოქართველური**

ლექტები), 2005; ინგლ. ვერსია: გვ. 395-394; თურქ. ვერსია: გვ. 395-492; The Georgians The Kartvels (Historical Home, Mother Tongue Dialects); English version pg. 395-492; Turkish version pg. 331-394; გამომცემლობა „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი"; Publishing house „Akaki Tsereteli State University";
http://www.scribd.com/doc/2158690/The-Georgians-the-Kartvels;
http://www.scribd.com/doc/2158759/Kartveller-Gurculer.

[25] ტ. ფუტკარაძე, ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები), 2005, გვ. 613-625.

[26] იხ. ისტორიოგრაფიული რუკები (დამოწმება: 05.01.2019):
http://valeryhistory.blogspot.com/2010/11/blog-post.html
https://burusi.wordpress.com/2009/10/18/georgia-xii/#jp-carousel-52834
https://www.flickr.com/photos/levanrami/4339043643.

ენა, რომელსაც დაეფუძნა ქართველთა სამწიგნობრო ენა[27].

საერთოქართველური ენის საფუძველზე – თანამედროვე ქართველთა ყველა ენობრივი ქვესისტემისათვის ამოსავალი ენობრივი ვარიანტის საფუძველზე (და არა – ქართლ-კახურ დიალექტზე) – შექმნილმა ქართულმა სამწიგნობრო ენამ, საქართველოს სახელმწიფოს რთულ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში არსებობის მიუხედავად, XX

---

[27] საერთოქართველური ენისა და ქართველთა სამწიგნობრო ენის მიმართების შესახებ ჩვენი თვალსაზრისი პირველად გამოქვეყნდა 2000 წელს ქალაქ ზუგდიდში ჩატარებული XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალებში: ტ. ფუტკარაძე, საერთოეროვნული სალიტერატურო ენისა და „საშინაო" სამეტყველო კოდების მიმართების საკითხი ქართული სალიტერატურო ენისა და ქართველური დიალექტების მიხედვით (სამეტყველო კოდების იერარქიისათვის), XX დიალექტოლოგიური რესპუბლიკური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2000, გვ. 102-106. იხ., ასევე, ტ. ფუტკარაძე, სათავე და პერსპექტივა ქართული სამწიგნობრო ენისა, 2006. The Origin of the Georgian Literary Language and its Prospects, Tbilisi, 2006; http://www.scribd.com/doc/11390384/The-Origin-of-the-Georgian-Literary-Language-and-its-Prospects. ქართველთა სამწიგნობრო ენის საფუძვლად საერთოქართველური ენა მიაჩნია, ასევე, პროფ. მერაბ ჩუხუას. მან, ჩემგან დამოუკიდებლად, პოლიტიკური დევნილობის დროს თავისი ხედვა ასე ჩამოაყალიბა: „საერთოქართველური (იბერიული) სამწერლო ენა შეიქმნა წინარექართველური (იბერიული), დიალექტურად ჯერ კიდევ გაუდიფერენცირებული ენის ბაზაზე, როცა სამწერლო ენა და ცოცხალი მეტყველება მეტ-ნაკლებად ერთმანეთის იდენტურ-იგივეობრივი იყო. მხოლოდ მომდევნო ეტაპზე სამეტყველო ენის ბაზაზე იკიდებს ფეხს ქართულ-ზანურ-სვანური დიალექტური სხვაობა ანუ კილოურად დიფერენცირებული საერო (ხალხური) ზეპირმეტყველება. მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003, გვ. 8. საერთოქართველური ენის არსებობის დროს შესახებ განსხვავებული თვალსაზრისებისათვის იხ.: თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები, 1984, გვ. 909 (რუსულ ენაზე); რ.გორდეზიანი, ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა, თბ., 1993, გვ.38-39.

საუკუნემდე უზრუნველყო ქართველთა ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის შენარჩუნება.
ბოლო 16 საუკუნის დოკუმენტური მონაცემების მიხედვით, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ:
ქართული (ქართველური) სამწიგნობრო ენის ჩამომძერწავ მწიგნობართა დიდი ნაწილი იყო **ისტორიული ეგრისიდან** (ამჟამინდელი სამეგრელო, გურია, აფხაზეთი, სვანეთი, აჭარა, ლივანა, ლაზეთი, კლარჯეთი, იმერეთი); სწორედ ამით უნდა აიხსნას შემდეგი ფაქტი:
სამეგრელოსა თუ სვანეთის, კახეთისა თუ ქართლის შვილებს არასოდეს უცდიათ, სამწიგნობრო კულტურა შეექმნათ მშობლიური დიალექტის მიხედვით, რამდენადაც ყველამ კარგად იცოდა, რომ მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ქართული ენა წინაპრების მიერ შექმნილი საერთო დედაენა იყო. საუკუნეების მანძილზე, სხვა ქართველების მსგავსად, **სამეგრელოს მოსახლეობაც ძერწავდა ქართულ სამწიგნობრო ენას; ამ ენით იღებდა განათლებას და აღასრულებდა ღვთისმსახურებას**[28]. სწორედ ამიტომაა ეს სამწიგნობრო ენა ზოგადქართული – ქართველური – სამწიგნობრო ენა; შესაბამისად, ჩემთვის ტერმინები: ქართული სამწიგნობრო ენა და ქართველური სამწიგნობრო ენა სინონიმებია[29].

---

[28] ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, სამწიგნობრო ენა, დიალექტები), 2005, გვ. 624. ტ. ფუტკარაძე, ქართველოლოგიის შესავალი, თბ., 2014.

[29] საბჭოთა პერიოდში მიზანმიმართულად გამიჯნეს სინონიმები: **„ქართული“** და **„ქართველური“** (შდრ., ნიკოლოზ ბარათაშვილი: „ერთს ქართველურად კიდევ შესძახებს.“..). ამის გამო, პროფ. რევაზ შეროზიას აზრით, უმჯობესი იქნება, დღეს ქართველთა სამწიგნობრო ენას დაერქვას **„ქართველური სამწიგნობრო ენა“**. ასეთი შემოთავაზება მხოლოდ გარკვეული პირობითობით შეიძლება მივიღოთ მანამ, სანამ ტერმინს: **„ქართული (სამწიგნობრო)**

კავკასიის იარაღით დაპყრობის შემდეგ რუსეთის იმპერიის მოხელეებმა ინტენსიურად დაიწყეს ადგილობრივთა ასიმილაციისა და „გათიშე და იბატონეს“ გეგმის განხორციელება; კერძოდ, XIX საუკუნის ბოლო მეოთხედიდან გააქტიურდნენ ქართველთა ასიმილაციისა და ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების მიმართულებით. ამ გზაზე პირველი ნაბიჯი იყო საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში, ეკლესიასა და საერო განათლების სისტემაში ქართული ენის გამოყენების შეზღუდვა.

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან **რუსი მოხელეები** ცდილობენ ქართული ენის სრულად გამოდევნას საქართველოს ორი კუთხიდან – სვანეთიდან და სამეგრელოდან. ამ მიზნით რუსული ანბანის საფუძველზე, გენერალმა უსლარმა შექმნა „სვანური ანბანი“, ხოლო პეტერბურგელმა პროფესორმა ალ. გრენმა – მეგრული ანბანი.

ამავე პერიოდში, ლევიცკის ინიციატივით, ხონის სემინარიის მასწავლებლებმა: **ივან პეტროვმა და თადა აშორდიამ**, სამეგრელოს მკვიდრ ქართველთა დიდი სამწიგნობრო ისტორიის მიუხედავად, შექმნეს მეორე მეგრული ანბანი, შეადგინეს მეგრული საკითხავი ტექსტები. რუსი მოხელეების მიზანი იყო საეკლესიო ტრადიციისა და მეცნიერული ლოგიკის იგნორირებით, ჯერ ადგილობრივი დიალექტი დაეპირისპირებინათ ერთიანი ეროვნული ენისათვის – ქართულისათვის, შემდეგ კი აკადემიურ სივრცეში ქართული ენა მყარად ჩაენაცვლებინათ **რუსული**

ენა“ არ დაუბრუნდება თავისი პირვანდელი მნიშვნელობა (და ეს მალე მოხდება); შდრ., ეთნონიმ „ქართველს“ წმიდა ილია მართალის დროს დაკარგული ჰქონდა ისტორიული სემანტიკა, მაგრამ ქართველი მოღვაწეების მონდომებით მალევე აღიდგინა. დარწმუნებული ვარ, სულ მოკლე ხანში დაიძლევა საბჭოთა ინერციაც და ტერმინები: „ქართული ენა“, „ქართული სამწიგნობრო ენა“ ისევ გახდება ზოგადქართული დედაენის აღმნიშვნელი.

ენით. მაგ., კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კირილე იანოვსკი[30] 1881 წელს აქვეყნებს ცირკულარს, რომლის მიხედვითაც საქართველოს ტერიტორიაზე დაწყებითი კლასებიდანვე უნდა შემოღებულიყო რუსულენოვანი სწავლება[31].

1886 წლის სექტემბერში ლევიცკიმ კატეგორიულად მოითხოვა სამეგრელოს სკოლების მეგრულ ენაზე გადაყვანა. ეს იყო პირველი მცდელობა, სწავლებისა და ღვთისმსახურების სფეროში მეგრული მეტყველების **დამკვიდრებით სრულად გადაეფარათ ქართული ენის ისტორიული ფუნქცია საქართველოს ამ კუთხეში.** რუსი მოხელეების „არგუმენტი" ასეთი იყო: მეგრელ-სვანთათვის ქართული დედაენა არ არის; მეგრელების დედაენაა უმწერლობო მეგრული ენა, სვანებისა კი – უმწერლობო სვანური ენა; შესაბამისად, მათ კეთილშობილურ მიზნად გამოაცხადეს, ამ „მცირე ხალხებისათვის" შეექმნათ სამწიგნობრო კულტურა[32].

ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკურ დანაწევრებას XIX საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისში

---

[30] კირილ პეტრეს ძე იანოვსკი (1822-1902) რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების საიდუმლო მრჩეველი, კავკასიის სასწავლო ოლქის ზედამხედველი 1878-1902 წლებში; აქტიურად იბრძოდა საქართველოში ქართული ენის აკრძალვისთვის.

[31] კ. იანოვსკი აგრძელებდა გრაფ ნიკიტა პანინის (1770 წ.), გენერალ ტორმასოვის (1810 წ.), შტაბსკაპიტან შახოვსკისა (1834 წ.) და სხვა რუს მოხელეთა კავკასიურ პოლიტიკას.

[32] საკითხის ისტორიისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ.: ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია, „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ" და საქართველო", ქუთაისი, 2010; T. Putkaradze, E.Dadiani, R. Serozia „European Charter for Regional or Minority Languages" and Georgia", Kutaisi, 2010; http://www.scribd.com/doc/35702700/Tariel-Putkaradze-Eka-Dadiani-Revaz-Seroozia-2010

აქტიურად აღუდგნენ წინ გამორჩეული ქართველები: **ილია ჭავჭავაძე, გრიგოლ დადიანი**[33]**, ნიკო დადიანი, იაკობ გოგებაშვილი, სერგეი მესხი, ბესარიონ ნიჟარაძე, ამბროსი ხელაია, ივანე მარგიანი, პეტრე ჭარაია** და სხვები, რომელთაც შეძლეს, მოსალოდნელი საფრთხე ადეკვატურად განემარტათ ფართო საზოგადოებისათვის. სამეგრელო-სვანეთის ქართველობამ სრულად გააცნობიერა, რომ რუსეთის იმპერიის მოხელეები კულტურულ ისტორიას უუცხოვებდნენ და მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ენის შემქმნელ საზოგადოებას დედაენად უცხადებდნენ **უმწერლობო კუთხურ მეტყველებას**[34].

---

[33] ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი: **„მეგრული ქართული ენის დიალექტია და არა დამოუკიდებელი ენა... მეგრელი ქართულ ენას აღიქვამს როგორც თავის ძირეულ საკუთრებას...“** ვრცლად იხ.: გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის, უწმიდესი გრიგოლის განკარგულების საფუძველზე შექმნილი კომისიის დადგენილება მეგრულ კილოზე ლოცვათა თარგმანის მიზანშეწონილობის შესახებ (1895), /რუსულიდან თარგმნეს თ. გვანცელაძემ და მ. ტაბიძემ/, ქართველური მემკვიდრეობა, XIV, ქუთაისი, 2010, გვ. 204-235; იხ., აგრეთვე: თ. გვანცელაძე, მ. ნაჭყებია, მ. ტაბიძე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი, საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციის მასალათა კრებული: „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრა 5 წლისაა“ თბ., 2006; გრიგოლ დადიანის შესახებ იხ. ასევე: https://www.youtube.com/watch?v=pJ2e0ZvmFw8.

[34] **მრავალსაუკუნოვანი ქართული მწიგნობრობის შემქმნელთა დიდი ნაწილი ისტორიული ეგრისის** (/ოდიშის, სამეგრელოს) **მკვიდრია**. ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, ღვთისმსახურების ენა „ყოველთა ქართველთა“ ერთიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი (სამწიგნობრო ენისა და დიალექტთა მიმართების საკითხისათვის“, ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთაისი, 2001, გვ. 227-241; თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია, ღვთისმსახურებისა და სასულიერო განათლების ენა, როგორც რუსული იმპერიული პოლიტიკის განხორციელების საშუალება საქართველოში, ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთაისი, 2001, გვ. 89-116; მ. ტაბიძე, ენობრივი პოლიტიკის საკითხები ქარ-

რუსიფიკაციის წარუმატებელ პროცესს ასე აღწერენ **თედო ჟორდანია და თედო სახოკია:**

თ. ჟორდანია: *„არა ნაკლები ღვაწლი მიმიძღვის მე, როგორც მებრძოლს იანოვსკის პროექტისას. ამან ხომ ქართული ენა სამეგრელოს სკოლებიდან ამოაგდო. შემდეგ ამისა ხელი მიჰყო დასამხობად ქართველთ ეკლესიისა, ე.ი. საეკლესიო ენისა, სამეგრელოში... **ვიღაც ნაძირალებს ქართული ლოცვები მეგრულად გადაათარგმნია და ეგ ზარხოსის დასტური ითხოვა.** აქ ისევ მე დავუხვდი... რამდენი უსიამოვნება ამაზე მე მომადგა. პირადად მე ამაზე არას ვიტყვი, ხოლო იანოვსკისაგან დაწყებული საქმე სამუდამოდ ჩაიფუშა... იმერეთში გადასვლის შემდეგ მე აღვადგინე ქართული ენის უფლება სვანეთის სკოლებში (სადაც ქართული ენა გადაგდებული იყო 1903 წლიდან)“*[35].

თ. სახოკია: *„ყველას მოგეხსენებათ, რომ მეგრული ენის საკითხი რუსების შემოსვლამდე არ არსებობდა. **ეს საკითხი გაჩნდა მას აქეთ, რაც რუსებმა საქართველოში ფეხი მოიკიდეს.** როცა საქართველოს სხვადასხვა სამთავროები გაუქმდა და ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა ნაწილები გაერთიანდა, რუსის მთავრობამ იგრძნო ამ გაერთიანების საშიშროება და გადაწყდა ხელოვნურად შეექმნა დაქუცმაცება ჩვენის ქვეყნისა. 1870-იან წლებში იერიში მიტანილ იქნა სამეგრე-*

თულ სინამდვილეში, ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთაისი, 2002, გვ. 155-165; ტ. ფუტკარაძე, ქართველები, ზოგადქართული სამწიგნობრო ენა და ქართველთა დიალექტები (ისტორიული მიმოხილვა), ქართველური მემკვიდრეობა, VI, ქუთაისი, 2002, გვ. 187-203; თ. გვანცელაძე, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006; ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, ქართველური ენობრივი სივრცე, ქართველური მემკვიდრეობა, XI, ქუთაისი, 2007, გვ. 155-165; ტ. ფუტკარაძე, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები და ქართველოლოგიის ცენტრის ამოცანები, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, I, თბ., 2012, გვ. 9-38.

[35] თედო ჟორდანია, ქართული ენისათვის ბრძოლა 1882-1910 წლებში და ვინ დაიცვა ქართული ენა სამეგრელოს სამრევლო შკოლებში? (ანტიკრიტიკა პასუხად ბ. ი. ფანცხავას და მის კამპანიას); ქუთაისი, 1913. გვ. 15-17. სტამბა „ძმობა“.

ლოს სკოლებზე. **აქ სამინისტრო სკოლებიდან ქართული ენა გამოდევნილ იყო, როგორც არადედაენა და პირდაპირ რუსულის საშუალებით ასწავლიდნენ საგნებს...** ასე მიდიოდა სამეგრელოს გარუსების საქმე 1890 წლამდე. ამ ხნიდან იწყება უფრო „დასაბუთებით" უარყოფა ქართული ენისა, როგორც სამშობლო ენისა... ამ ხნიდან სცენაზე გამოდის კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი (ეთნიკურად – პოლონელი) და მისი მარჯვენა ხელი ლევიცკი (ისიც პოლონელი)... ლევიცკიმ ხონის სემინარიის მასწავლებელ პეტროვს მეგრელთათვის ცალკე ანბანიც შეადგენინა, რა თქმა უნდა, რუსული ასოებით და იმავე სემინარიის მუშაკის და შემდეგში „ცნობილი" თადა აშორდიას საშვალებით მეგრული ხალხური ზღაპრები თუ ლექსებიც ჩააწერინა; ეს სახელმძღვანელო უნდა გამხდარიყო სამეგრელოს სკოლებში. თ. აშორდიას კარგი ადგილი მისცეს, მატერიალურად უზრუნველყვეს, თან დაავალეს, ზუგდიდის მაზრაში ქართული ენა, თუკი სადმე არსებობდა ასეთი, სკოლებიდან გამოედევნა და ხელი შეეწყო რუსული ენის განმტკიცებისათვის. **აშორდიას თავის მხრივ აგენტებიც გაუჩნდნენ და გააჩალა საქმე;** სამეგრელოს სკოლა გადაიქცა ბავშვების დაჩლუნგებისა და გადაგვარების ერთგვარ ქარხნად. ერთი თოფის დაცლით მთავრობამ ორი კურდღლის მოკვლა მოახერხა: სამეგრელოს სამინისტრო სკოლებიდან ქართული გამოდევნა და გარუსების გზაზე შეაყენა სამეგრელოს მკვიდრნი... განსაკუთრებით სამეგრელოსათვის შეიქმნა მძიმე დეკანოზ ვოსტორგოვის ფარფაში. იგი თამამად იძახდა: მეგრელები სხვანი არიან, ქართველებთან საერთო არაფერი აქვთ და ამიტომ ქართული ენა მათს სკოლებში არ უნდა ისწავლებოდეს, მის მაგივრად რუსული, სახელმწიფო ენა, ასწავლეთო... 1905 წ. რევოლუციამ ცოტათი შეანელა ჩვენი რუსიფიკატორების გულმოდგინება. რევოლუციის შემდეგ, რეაქციის დაწყებისთანავე, ბნელეთის ძალნი ისევ ამუშავდნენ. 1918 წ. ფოთში მასწავლებელ სტეფანე გაგუას ინიციატივით უკვე თვით მეგრელები გამოვიდნენ ლევიცკი-ვოსტორგოვის მიერ დაწყებული საქმის განმგრძობნი, როგორც მოხალისენი. მაგრამ ყველას ბალღთა ლაღობად მიგვაჩნდა მათი ნაცოდვილი და სერიოზულობაში არ ჩამოგვირთმევია, სანამ 1925

წელს, როცა ყველაზე ნაკლებ მოველოდით ასეთი ავანტიურის გაღვიძებას, ზუგდიდში დაიწყო ავტონომიის ნიადაგის მზადება. მაფალუელთა ჯგუფმა მოსკოვში თხოვნა გაგზავნა: „გვიხსენით საქართველოს სუვერენიტეტისაგან, სამეგრელოს „პროლეტარიატის საცოდაობას ნუღა უყურებთ და უშუალოდ შეუერთეთ რუსეთის პროლეტარიატსო“...[36]

რუსეთის იმპერიის მოხელეებისათვის მნიშვნელოვანი მიმართულება იყო ქართული ენის განდევნა საქართველოს ეკლესიიდან, პირველ რიგში, სამეგრელოსა და სვანეთის ეკლესიებიდან; კერძოდ, 1902 წლის 20 აგვისტოს დეკანოზმა ი. ვოსტორგოვმა[37] აცნობა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძე), რომ **რუსეთის სინოდის გადაწყვეტილებით, საეკლესიო-სამრევლო სკოლებში, ქართული ენის ნაცვლად, ადგილობრივი „ენა“ უნდა ისწავლებოდეს.**

ეპისკოპოსმა ალექსანდრემ არ შეასრულა საეგზარქოსოს ეს ანტიქართული გადაწყვეტილება. განრისხებულმა ვოსტორგოვმა **დასმენის წერილი** გააგზავნა პეტერბურგში ალექსანდრეს წინააღმდეგ. იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ ღვაწლმოსილი მღვდელმთავარი გადააყენა გურია-ოდიშის წინამძღოლობიდან; მის ადგილას კი დაინიშნა ეპისკოპოსი დიმიტრი (აბაშიძე), რომელიც **ენერგიულად შეუდგა სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის გამოდევნას.** სამეგრელოს მოსახლეობა დაუპირისპირდა ეპისკოპოს დიმიტრის; კერძოდ, „სამეგრელოს მკვიდრი

---

[36] თედო სახოკია, თქვენ ვისღა მისდევთ?! თბ., 1927; დოკუმენტი იხ.: https://www.scribd.com/document/24443368/Putkaradze-Saqartvelos-Mokle-Istoria.

[37] ივან ივანის ძე ვოსტორგოვი (1864-1918) - რუსი საეკლესიო მწერალი და მისიონერი; ამიერკავკასიაში რუსეთის იმპერიის საეკლესიო და საერო სკოლების ზედამხედველი; რედაქტორი ჟურნალისა: "Духовный вестник Грузинского Экзархата". აქტიურად იბრძოდა საქართველოში ქართული ენის აკრძალვისთვის. ი. ვოსტორგოვი რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ 2000 წელს წმიდანად შერაცხა. დაუნდობლად ებრძოდა წმიდა მღვდელმთავარ ამბროსი აღმსარებელს (ხელაიას).

113 თავადაზნაურის ხელმოწერით რუსეთის სინოდში გაიგზავნა **საპროტესტო წერილი** სამრევლო სკოლებში ქართული ენის აკრძალვის გამო. 1904 წლის 28 ივლისს ეპისკოპოსმა დიმიტრიმ გაგზავნა საიდუმლო საპასუხო განცხადება და მოითხოვა, არათუ სამეგრელოში, არამედ საქართველოს ყველა საეკლესიო სკოლაში აკრძალულიყო ქართულენოვანი სწავლება...[38].

ამ დაპირისპირების შესახებ ფასეული დოკუმენტური მასალა შემოგვინახა **თ. ჟორდანიამ**, რომელიც, ასევე, იბრძოდა სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის უფლებების დაცვისათვის[39]. თედო ჟორდანიას აქტიურად უჭერდა მხარს წმიდა ახალმოწამე მღვდელი სიმონ მჭედლიძე[40] (და ბევრი სხვა სასულიერო თუ საერო მოღვაწე).

სამეგრელოში ქართული ენის, როგორც ამ კუთხის მცხოვრებთა ისტორიული დედაენის, **დაცვის კონტექსტშია საინტერესო სარგის კაკაბაძის ასეთი ცნობაც:**

*„1911 წელს, სოფ. წალენჯიხაში მღვდელმა კალანდიამ ქართულად შესრულებულ წირვაში გაურია რამდენიმე ასამაღლებელი მეგრულად, რამაც აღაშფოთა იქ დამსწრენი. წირვის გათავებისთანავე **ხალხმა სცემა მღვდელს იმდენად სასტიკად,** რომ ცემაში მონაწილეთა გამოსარკვევად ხელისუფლების მიერ გაგზავნილ იქნა ზუგდიდის მაზრის გამომძიებელი. ეს გამომძიებელი შემთხვევით იყო ადგილობრივი მკვიდრი გიორგი დადიანი, რომელმაც, თავის მხრივ, ეს საქმე მიჩქმალა“[41].*

---

[38] სერგო ვარდოსანიძე, ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეები); თბ. 2010 გვ. 72-73.

[39] იხ.: თედო ჟორდანია, ქართული ენისათვის ბრძოლა 1882-1910 წლებში და ვინ დაიცვა ქართული ენა სამეგრელოს სამრევლო შკოლებში? (ანტიკრიტიკა პასუხად ბ. ი. ფანცხავას და მის კამპანიას); ქუთაისი, 1913. გვ. 15-17. სტამბა „ძმობა“.

[40] სათანადო ინფორმაცია იხ. წიგნში: წმიდა ახალმოწამე მღვდელი სიმონ მჭედლიძე, თბ., 2017, გვ. 157-163 (მასალის მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით წიგნის გამომცემელს, წინასიტყვაობისა და გამოკვლევის ავტორს, პროფ. დამანა მელიქიშვილს).

[41] ს. კაკაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია, 1783-1921, თბ., 1997, გვ. 205 (მადლობას ვუხდით პროფ. სერგო ვარდოსანიძეს ამ ინფორმაციის მოწოდებისათვის).

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1920) ისევ იყო მცდელობა, დაარსებულიყო **„მეგრულენოვანი“ სკოლები;** კერძოდ, აქტიურობდა ქალაქ ფოთის „ქალთა გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს“ თავმჯდომარის – სტეფანე გაგუას რამდენიმეკაციანი ჯგუფი (მათ ჰქონდათ ორგანიზაცია „მაფალუ“)[42], რომელიც ფოთსა და ზუგდიდში მოქმედებდა[43]. სტ. გაგუას ჯგუფის ინიციატივას ნეგატიურად შეხვდა საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლება, თუმცა არსებითი ყურადღება არ მიუქცევია.

ქართველთა დედაენის ისტორიის გაყალბებით ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების რუსული გეგმა აქტიურად განაახლეს ბოლშევიკებმა; კერძოდ, 1913 წელს გამოქვეყნდა ი. სტალინის წიგნი: „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, რომელშიც ვკითხულობთ (ვიმოწმებთ 1951 წლის გამოცემიდან):

„კავკასიაში არიან მთელი რიგი ხალხები, რომელთაც პრიმიტიული კულტურა, განსაკუთრებული ენა აქვთ,

---

[42]თედო სახოკია: „რევოლუციის შემდეგ, რეაქციის დაწყებისთანავე, ბნელეთის ძალნი ისევ ამუშავდნენ. 1918 წ. ფოთში მასწავლებელ სტეფანე გაგუას ინიციატივით უკვე თვით მეგრელები გამოვიდნენ ლევიცკი-ვოსტორგოვის მიერ დაწყებული საქმის განმგრძობნი, როგორც მოხალისენი (თ. სახოკია, „თქვენ რაღას მისდევთ?!“ http://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=44&id=2111).

შდრ.: „მაფალუიზმი“ იყო „მეცადინეობა იმისათვის, რომ შეენარჩუნებინა მეგრული ენა და მეგრული თვითმყოფადი ყოფითი კულტურა“ (ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, „მეგრული საკითხი“; რედაქტორი ოთარ ჯანელიძე; რეცენზენტები: დავით სანდოძე, გურამ კუტალაძე), თბ., 2009, გვ. 101).

[43] შდრ.: ვ. გვარამიასა და გ. ციციშვილის აზრით, „სტ. გაგუას მიერ წამოწყებული „მაფალუს“ ინიციატივა გულისხმობდა სამეგრელოს რეგიონის კულტურული მონაპოვარის წარმოჩენას და ამით საერთო ეროვნული (ქართული – ტ. ფ.) კულტურის გამდიდრებას“ (ვ. გვარამია, გ. ციციშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 80-86).

მაგრამ მშობლიურ ლიტერატურას მოკლებულნი არიან... რა ვუყოთ ასეთ ხალხებს: მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვ., რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ? " (გვ. 138-139)... „ნაციონალური საკითხი კავკასიაში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ მიმართულებით, რომ დაგვიანებული ერები და ხალხები უმაღლესი კულტურის საერთო კალაპოტში მოვაქციოთ" (გვ. 142).

როგორც ვხედავთ, ყოველგვარი ისტორიული ლოგიკის საწინააღმდეგოდ, მეფის რუსეთის მოხელეების კვალად, ი. სტალინი **უმწერლობო ენის მქონე დაგვიანებულ ერებად** თუ ხალხებად აცხადებს: მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვ.

ი. სტალინის წარმოდგენილი კონცეფცია დიდად არ განსხვავდება იანოვსკ-ვოსტორგოვის მიდგომისაგან. აქვე აღვნიშნავთ, რომ მეფის რუსეთის მოხელეები ეყრდნობოდნენ პეტერბურგელი პროფესორის – ქ. პატკანიანის „სამეცნიერო" ხედვებს[44]. ამ მიმართულებით ქ. პატკანია-

---

[44] „სომხური ენციკლოპედიის" ცნობით, ქ. პატკანიანს (ქ. პატკანოვს) აქტიური კავშირები ჰქონდა სომხური საეკლესიო კონგრეგაციის (მხითარისტების) ვენეციისა და ვენის ცენტრებთან (მხითარისტების მიზანია სომხური ენის, კულტურის კვლევა და პროპაგანდა). თავის მხრივ, ქ. პატკანიანმა რუსულ აკადემიურ წრეებში წარმატებული კარიერისაკენ გზა გაუხსნა ნიკო მარს, რომელიც მალევე გახდა იმპერიის ხელისუფლების ოფიციალური სტრუქტურების მოხელე (მხითარისტების, ასევე, ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის ურთიერთობის შესახებ დამატებით იხ.: პროკოპი რატიანი, ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხისათვის, „ქართული ისტორიოგრაფიის" სამტომეული, ტ. I, 1968, გვ. 225-292; შ. ლომსაძე, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები, თბ., 1979, გვ. 70. ქ. პატკანოვის მეცნიერული არაობიექტურებისათვის იხ., მაგ.: К.П. Патканов, «Исследование о диалектах армянского языка. „Филологический опыт", Санктпетербург, типография имперской академии наук, 1869, ст. 3; К.П. Патканов, Ванские надписи и значение их для истории передней Азии, Журнал Министерства Народного Просвещения, Декабрь, 1883, ст. 198-274... აღსანიშნავია

ნის გზა გააგრძელა **გამორჩეულად ნიჭიერმა მეცნიერმა ნიკო მარმა**, რომელიც მანამ, სანამ ქ. პატკანიანის ველში მოხვდებოდა, სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა რუსეთის იმპერიის მოხელეებს; შდრ.:

1905 წელს დაწერილ ნაშრომში: „ქართველთა ეროვნება“ ნ. მარი საქართველოს განიხილავდა ერთიან ნაციონალურ-კულტურულ ერთეულად, რომელსაც ამყარებდა ეკლესია და სალიტერატურო ენა (მარი 1905, 8). **ივ. ჯავახიშვილის აზრით,** ამ პოზიციიდან მისი რადიკალურად გადახრის მაჩვენებელია 1917 წლიდან ქართველი ინტელიგენციისათვის „ავადმყოფური ნაციონალისტობის“ დაბრალება (სუიცა 471-1, 25, ფ. 179)[45]. აქვე, ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ ნ. მარი „თავის... გამამხნევებელ გარემოებად“ მიიჩნევს რუსულ „უხეშ სამხედრო ძალას“ და ამხელს მას „რუსეთის მთავრობის... წრეებთან“ საეჭვოდ დაახლოებაში (სუიცა 471-1, 25, ფ. 134, 158).

1922 წელს დაწერილი წერილიდან ნათლად ჩანს, რომ **ივანე ჯავახიშვილი ნიკო მარს რუსეთის იმპერიის ინტერესების დამცველ პოლიტიზებულ მეცნიერად თვლის;** მისივე აზრით, ინტერნაციონალიზმსა და მსოფლიო კულტურაზე ვითომ მზრუნველი აკადემიკოსი სინამდვილეში რუსულ „პოლიტიკურ ნაციონალისტურ ინტერესებს“ იცავს... ივ. ჯავახიშვილი ნ. მარს უწოდებს **„რუსული გულმოდგინებით“ სავსე „უკიდურეს შოვინისტს“,** რომელიც, ამავდროულად, ეჭვის თვალით უყურებს ამერიკელთა და დასავლეთევროპელთაგან მოსალოდნელ სამეცნიერო კონტაქტებს საქართველოსთან.

აქვე, საინტერესოა ივ. ჯავახიშვილის მსჯელობა განათლების ენისადმი ნ. მარის დამოკიდებულების შესახებ;

ისიც, რომ თავის ნაშრომეში ქ. პატკანოვი სომხურ ზეპირ მეტყველებებს დიალექტებს უწოდებს, ქართველურ იდიომებს კი - ტომობრივ ენებს (დოკუმენტური მასალისა და მსჯელობისათვის იხ. მ. ლაბაძე, ენისა და კილოს გამიჯვნის საკითხი ლინგვისტურ ქართველოლოგიაში საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით“, თბ., 2019).

[45] საარქივო მასალისათვის იხ. დანართი № 12.

კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის ცნობით, ნ. მარი „ერთი იმ პირთაგანი ყოფილა“, რომელთაც რუსეთის სამეცნიერო აკადემიაში წინადადება შეიტანეს, **„აკადემიკოსებისათვის სავალდებულოდ გაეხადათ რუსულად წერა**, რომ მათ უცხო ენებზე წერის უფლება არ ჰქონოდათ“. ივ. ჯავახიშვილის ლოგიკური დასკვნით, ამ შემთხვევაში, ტერმინი **უცხო** არარუს მეცნიერთა მშობლიურ ენას მოიაზრებდა, რომლის სამეცნიერო დანიშნულებასაც ვერ ან არ აცნობიერებდა რუსეთის იმპერიის ერთგული ცნობილი მეცნიერი. საქართველოს კონტექსტში ეს იყო ქართული ენის სამეცნიერო პერსპექტივის შეზღუდვისაკენ გადადგმული ნაბიჯი.

ფაქტია ისიც, რომ გასული საუკუნის 20-იან წლებში ნ. მარი აქტიურად იყო ჩაბმული არა მხოლოდ ქართული ენის ფუნქციონირების შეზღუდვის მიმართულებით, არამედ მეგრულის დამოუკიდებელ ენად გამოცხადების პროცესში; ამ კუთხითაც საინტერესოა ივ. ჯავახიშვილის შეფასება[46]:

*„1908 წელს ნ. მარი ამბობდა, რომ იაფეტურ ენათა შტოს საუკეთესო და დამახასიათებელ წარმომადგენლად „ქართულსა და მასთან ძმურად დაკავშირებულ ცოცხალ კილოკავებს გარდა, ესე იგი ეგრეთ წოდებულ ქართებისა და იბერთა ჯგუფის (უკეთ რომ ითქვას, ქართებისა, იბერთა [იგულისხმება მეგრულ-ჭანური] და სვანთა ჯგუფებს) გარდა, მკვდარი ენებიც შედიან“-ო (ნ. მარი, 1908, გვ. 1). მაშასადამე, **იმ დროს, როდესაც თავისი თეორიის ძირითადი დებულებანი პირველად გამოაქვეყნა, ნ. მარისთვის მეგრული, ჭანური და სვანური ქართული ენის „ძმურად დაკავშირებული ცოცხალი კილოკავები“, დიალექტები იყო მხოლოდ...** ნ. მარის ზემომოყვანილი დებულების შემდგომ, მკითხველი სამართლიანად იქნება გაოცებული, რადგანაც მისსავე 1912 წ. საჯაროდ წარმოთქმულსა და დაბეჭდილ სიტყვაში: „კავკასია და სულიერი კულტურის ძეგლები“ იმავე ავტორის ამ-*

[46] ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1992, 53-54.

გვარ მსჯელობას შეხვდება: „ქართველთმცოდნენი, ქართულ ნაციონალურ შეხედულებაზე დამყნობილნი, უგულებელს ჰყოფდნენ მთელ რიგს ქართულის, თუმცა მონათესავე, მაგრამ დამოუკიდებელ ენებს, როგორც მაგ., სვანურს, მეგრულს, ჭანურს და მათ ქართულის „დამახინჯებულ" თქმად ანუ დიალექტად სთვლიდნენ"-ო... ავტორს დავიწყებია, რომ ამგვარივე „ნაციონალისტური" შეხედულება მასაც ჰქონდა და 1905 და 1908 წლებში „მეგრული, ჭანური და სვანური მასაც ქართულის ცოცხალ კილოკავებად მიაჩნდა... 1915 წელს კი წერდა: ქართველებს, მეგრელ-ჭანებს და სვანებს ენობრივად და ტომობრივად იმგვარივე დამოკიდებულება აქვთ, როგორც რუსებს, პოლონელებსა და ჩეხებს..."[47]. საყურადღებოა ივ. ჯავახიშვილის სხვა ციტატებიც ნიკო მარის შესახებ (სრულად იხ. დანართი № 12):

„ჩვენ, ქართველ მეცნიერებმა მშობელი ერის კეთილდღეობის და წარმატებისათვის ხელისშესაწყობად აღმოსავლეთ ენების ფ-ტს თავი მივანებეთ და სამშობლოში წამოვედით ქართული უმაღლესი სასწავლებლის შესაქმნელად. მას [ნ. მარს] თურმე არ სჯეროდა და ვერც წარმოიდგენდა... ყოველი ადამიანისათვის, რომელსაც საზოგადოებრივი ალღო აქვს, ეროვნული შეგ-

---

[47] ივ. ჯავახიშვილის ეს ციტატაც ცხადყოფს, რომ ქართველური ენობრივი ქვესისტემების სტატუსის საკითხის „პოლიტიზება" ჩვენ მიერ არ დაწყებულა 2000 წელს, როგორც ამას ზოგი ჩვენი არაკეთილსინდისიერი ოპონენტი აცხადებს და ამ გზით ცდილობს, შეცდომაში შეიყვანოს თანამედროვე საზოგადოება; შდრ.: ქართველთა **ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების მიზნით,** კვაზიმეცნიერული დებულებები შეიქმნა რუსეთის იმპერიაში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. 2000 წლიდან მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა /ტ. ფუტკარაძე, თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, ა. ჟორდანია, ნ. ბართაია, ი. ვაშაკიძე, ე. დადიანი, რ. გუჯეჯიანი, მ. მიქაუტაძე, ლ. ხაჭაპურიძე.../ დავიწყეთ იმპერიის მიერ პოლიტიზებული ამ საკითხისადმი მეცნიერული მიდგომის აღორძინება.
ნიშანდობლივი ფაქტი: ივ. ჯავახიშვილის მიერ დაფუძნებული უნივერსიტეტის ამჟამინდელი ქართული ენის მიმართულება, ქართველური ენობრივი სამყაროს სეგმენტაციის თვალსაზრისით, ივ. ჯავახიშვილის საპირისპირო გზას აგრძელებს (იხ. ქვემოთ).

ნება მოეპოვება და მთლად გადაგვარებული არ არის, ჩვენი ნაბიჯი სრულებით ადვილი გასაგები უნდა იყოს“ .

„ერეკლე მეფეს იმისთვის არ დაუდვია რუსეთთან ხელშეკრულობა, რომ საქართველოს ისიც დაეკარგა, რაც მას აუცილებლად ჰქონდა და თუ აკად. ნ. მარრს თავისთავი რუსის ხალხის მესაიდუმლე მრჩეველად და მოძღვრად მიუჩნევია და თავის პოლიტიკურს მრწამსსა და ზნეობას ძალასა და ძალმომრეობაზე არ ამყარებდეს, მას [ნ. მარს] რუსეთის დროებითი მთავრობისათვის უნდა მოეგონებინა სწორედ ის, რის დავიწყების არც პოლიტიკური და არც ზნეობრივი უფლება მართლაც რომ არ ჰქონდა: გატეხილი ფიცისა და დარღვეული ხელშეკრულების აღდგენა!“ .

„აკად. ნ. მარრმა იმ დროს, როდესაც ჩვენი ქართული უნტის გახსნის ნებართვას ვთხოულობდით, რუსეთის მაშინდელ მთავრობაში წინადადება შეიტანა, რომ თბილისში საჯაროდ რუსული სახელმწიფო უ-ტი გახსნილიყო. რა მიზნით? იმ მიზნით, რომ, რათგან რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრები ერნი საერთო ეროვნულ-ნათესაობრივ კავშირსა და შედუღებას მოკლებულნი არიან, მათ ისეთი კულტურული დაწესებულებანი ესაჭიროებათ, რომელნიც ამ შედუღებას ხელს შეუწყობენ“[48].

ნიკო მარის კვალიფიკაციებს **მიზანმიმართულად** რომ იყენებდა ბოლშევიკური იმპერიის ხელისუფლებაც, ეს ჩანს ისაკ ჟვანიას შემდეგი ტექსტიდან:

*„მაშინ კომისიამ შ. ელიავას დაძალებით მეგრული ენაც არ ცნო, თუმცა, **აკადემიკოს მარის განმარტების შემ-***

---

[48] ქართველოლოგიის დაგეგმვის კონტექსტში ნიკო მარისა და ივ. ჯავახიშვილის დაპირისპირებამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია 1918-1922 წლებში, როცა **ნ. მარის პრორუსული (/ანტიქართული) პოლიტიკა ღიად ამხილა ივ. ჯავახიშვილმა**. დოკუმენტებისა და მსჯელობისათვის ვრცლად იხ. ტ. ფუტკარაძე, ი. ვაშაკიძე, ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმვა; თბ., 2011, გვ. 25-27). ივ. ჯავახიშვილის მიერ ნიკო მარის მამხილებელი წერილი და ვრცელი საგანგებო მოხსენება იხ. აქვე: დანართი № 12.

დეგ (ხაზგასმა ჩემია – ტ.ფ.), რომ არსებობს მეგრული ენა და არა – კილო, ამხ. ელიავამ შეცვალა თავისი აზრი"[49].

ი. სტალინის „თეორიის" შესაბამისად (ი. სტალინი ამ პერიოდში ეყრდნობოდა ნ. მარის პოზიციას!), 1923 წლის ივლისში ჩატარდა საქართველოს ცკ მეორე სესია, რომელმაც მიიღო **„დეკლარაცია ენის შესახებ".** დეკლარაციაში ვკითხულობთ: „ჩვენი ურყევი პრინციპია, რომ ყველაფერი, როგორც მართვა-გამგეობა, ისე სწავლება და სხვა, ხდებოდეს ხალხისათვის გასაგებ და მშობლიურ ენაზე"[50]. აქვე ნათქვამია:

„ეთნიკური სიჭრელის და ჩამორჩენილობის პირობებში დგას **ჩამორჩენილი ერების** (ხაზი ჩემია – ტ. ფ.) კულტურულ-ეკონომიკური დონის ამაღლების... ტომებში ნაციონალური განცალკევების ნაშთების აღმოფხვრის მძიმე ამოცანა. **ამიერკავკასიის ცოცხალი სალაპარაკო ენები** (ხაზი ჩემია – ტ. ფ.) უნდა გადაიქცნენ მათი კულტურული განვითარების და მათ მიერ მუშურ-გლეხური რევოლუციის მონაპოვართა შეთვისების მძლავრ იარაღად".

ამავე დოკუმენტით ამიერკავკასიის ცკ-ის პრეზიდიუმს წინადადება მიეცა, მოკლე ხანში გამოეცა კანონი, რომელიც დაარეგულირებდა როგორც ფედერაციის სახელმწიფო ორგანოებში, ასევე, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში **„სამშობლო ენის" (ანუ დედაენის) გამოყენების წესებს.**

აშკარაა, რომ დასახელებული დეკლარაცია შექმნილია ი. სტალინის ადრინდელი (1913 წ.) იდეების საფუძველზე. ი. სტალინის მარქსისტული ხედვების მიხედვით შექმნილი გეგმის განხორციელება, სავარაუდოდ, ფილიპე მახარაძის ხელმძღვანელობით დაიწყო ბოლშევიკთა რამდენიმე ჯგუფმა, რომელთა ნაწილმა **სამეგრელოს ავტონომიაც**

---

[49] ციტატას ვიმოწმებთ ვ. გვარამიასა და გ. ციციშვილის დასახელებული წიგნიდან: გვ. 183.

[50] გაზეთი „კომუნისტი", 1923 წ. 3 ივლისი.

მოითხოვა. მათ დაუპირისპირდა ბოლშევიკთა ერთი ნაწილი **ალ. გეგეჭკორისა**[51] და **ლავრენტი ბერიას** ხელმძღვანელობით; კერძოდ, სამეგრელოს ავტონომიასა და საქმისწარმოებაში მეგრული „ენის“ (ასევე, სხვა სეპარატისტული გამოხდომების) მოთხოვნის დასაბალანსებლად, ალ. გეგეჭკორისა და ლ. ბერიას აქტიურობით, ამიერკავკასიის ცაკ-მა 1924 წლის 27 თებერვალს მიიღო განსხვავებული შინაარსის დეკრეტი: „რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებებში სახელმწიფო ენის, მოსახლეობის უმრავლესობის და ნაციონალური ენის გამოყენების შესახებ“. ამ დეკრეტის ბაზაზე სრულიად საქართველოს ცაკმა 1924 წლის 4 აპრილს მიიღო დეკლარაცია, რომლითაც გამოირიცხა მეგრული ენის საქმისწარმოების ენად გამოცხადება[52].

საყურადღებო ფაქტი: 1925 წლის 5-9 აპრილს საქართველოს საბჭოების III ყრილობაზე, **ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის მდივანი ბ. შოგირაძე** ყრილობას მეგრულად მიესალმა (მისი გამოსვლა სალიტერატურო ქართულით გადმოსცა ვინმე თორდიამ). იგივე შოგირაძე დისკუსიის დროს რუსულად გამოვიდა (და არა – ქართულად)[53]. ამავე ყრილობაზე სიტყვით გამოსულმა **ამიერკავკასიის ცკ-ის წევრმა ბიმურზა აფრასიძემ** ყრილობას მიმართა სვანური მეტყველების ბალსქვემოურ დიალექტზე. 1925 წელს სვანურად სიტყვით წარმომთქმელი ბიმურზა აფრასიძე არის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის, ბიმურზა აფრასიძის (დადეშქელიანის) ბაბუა. ჩვენთან საუბარში ბატონმა ბიმურზამ თქვა:

„ბაბუაჩემი ბრწყინვალედ ფლობდა დედაენას – ქართულ ენას. ბაბუაჩემთან ხშირად იყო სტუმრად ამიერკავკასიის ცაკ-ის თავმჯდომარე **ფილიპე მახარაძე;** შესაბამისად,

---

[51] ალ. გეგეჭკორი გარდაიცვალა 1928 წელს.

[52] ალ. გეგეჭკორისა და ლ. ბერიას წერილები იხ. წიგნის ბოლოს: დანართი № 1, დანართი № 2.

[53] ვ. გვარამია, გ. ციციშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 152

ალბათ, ყრილობაზე მისი დავალებით გამოვიდა სვანურად“. ბ. აფრასიძე-დადეშქელიანმა, ასევე, გვითხრა: „ამიერკავკასიის ცაკ-ის წევრ ბიმურზა აფრასიძეს ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელშიც 1930 წელს თავისი ახალგამოცემული წიგნი – „სვანური ზმნა“ უნახავს ენათმეცნიერ ვარლამ თოფურიას“.

შეგვიძლია დავასკვნათ:

ერთი მხრივ, ისტორიული რეალობისა და, მეორე მხრივ, საბჭოთა იმპერიის ინტერესების („გათიშე და იბატონე“) შესაბამისად, 1922-24 წლებიდან **ბოლშევიკთა ადგილობრივ წრეებშიც** მეგრულთან მიმართებით გამოიკვეთა ორგვარი პოზიცია; კერძოდ:

1. საქართველოს ერთ-ერთი კუთხის – სამეგრელოს (ისტორიული ეგრისის, ოდიშის) მოსახლეობის ისტორიული გზის შესაბამისად, სამეგრელოში საქმისწარმოების, განათლებისა და პრესის ენად ქართული ენის შენარჩუნება (ლ. ბერია, ალ. გეგეჭკორი...);

2. „ნაციონალურ საკითხში“ ი. სტალინის ადრინდელი ხედვის შესაბამისად, მეგრული მეტყველების დამკვიდრება დაწყებითი განათლების ენად, საქმისწარმოების ენად და პრესის ენად.

დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, **რომ მეორე მიდგომის მომხრენი არ წარმოადგენდნენ სამეგრელოს,** მათი იდეები არ ეფუძნებოდა სამეგრელოს ქართველობის ინტერესებსა და სურვილებს. ისინი იყვნენ არა სეპარატისტები, არამედ **საბჭოთა იმპერიის ენობრივი პოლიტიკის ბრმა მიმდევრები,** რომლებიც ვერ აცნობიერებდნენ, რომ ამ გზაზე დადგომით უარს ამბობდნენ მათივე წინაპრების მიერ შექმნილ მრავალსაუკუნოვან სამწიგნობრო კულტურაზე. ამ ჯგუფს პირობითად ვუწოდებთ **სტალინელ კოლაბორაციონისტებს.**

სტალინელი კოლაბორაციონისტები, თავის მხრივ, ორ ძირითად ჯგუფად იყოფოდნენ:

ა) პირები, რომლებიც ითხოვდნენ სამეგრელოს შეერთებას რუსეთთან ან ნაციონალური ავტონომიის გამოცხადებას 1922-1936 წლებში არსებული „ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის“ ფარგლებში; ასევე, **სამეგრელოში მეგრული მეტყველების დამკვიდრებას დაწყებითი განათლების ენად, საქმისწარმოების ენად და პრესის ენად** (ბუკონია-ბესელიას ჯგუფი, გრ. ახალაიას ჯგუფი და ბეგლარ ბერიას ჯგუფი.[54] ლავრენტი ბერიას მტკიცებით, ამ ჯგუფის ლიდერი იყო **მიშო დადიანი;** XI დანართში იხ. ლ. ბერიას წერილი). სპეციალურ ლიტერატურაში ეს ჯგუფი „ჩხოუშიელი ავტონომისტების“ სახელით არის ცნობილი[55];

ბ) პირები, რომლებიც ითხოვდნენ სამეგრელოს გამოცხადებას „ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის“ ადმინისტრაციულ ოლქად და **მეგრული მეტყველების დამკვიდრებას დაწყებითი განათლების ენად, საქმისწარმოების ენად და პრესის ენად** (ისაკ ჟვანიას ჯგუფი).

ჩვენი გამოკვლევის კონტექსტში არსებითია ის, რომ **ორივე ჯგუფი ითხოვდა მეგრული მეტყველების ქცევას სამწერლობო ენად და ქართულის ნაცვლად** (თუ პარალელურად) **მის დამკვიდრებას დაწყებითი განათლების ენად, საქმისწარმოების ენად და პრესის ენად[56].**

---

[54] ბეგლარ ბერია, გალდავა, ნიკოლეიშვილი, შონია, ციმინტია... დასახელებული პირები 1923 წელს პარტიიდან გარიცხეს ავტონომიის მოთხოვნის გამო (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 493, ფურცელი 17; დოკუმენტს ვიმოწმებთ წიგნიდან: ვ. გვარამია, გ. ციციშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 146-148).

[55] იხ. იქვე, გვ. 135-144: თავი VII – „ჩხოუშიელი“ ავტონომისტები და მათი მოთხოვნები.

[56] ეს მოთხოვნა დღესაც ისმის ხოლმე: ზოგი დღესაც თვლის, რომ სამეგრელოში ქართული ბევრს არ ესმის, ამიტომ სწავლა-განათ-

ცხადია, ორივე ჯგუფი კრემლის მიერ იყო შექმნილი. მათ შორის არსებული მცირე სხვაობა საერთო სცენარის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ; **სცენარი კი ასეთი იყო:**
უფრო რადიკალური მოთხოვნის ფონზე ქართველობის შეგუება შედარებით კომპრომისულ ვარიანტზე. „სცენარისტების“ ჩანაფიქრი ითვალისწინებდა იმასაც, რომ ე.წ. მეგრული ენის (და სამეგრელოს ავტონომიის) საკითხი ისეთ დონეზე ყოფილიყო აქტუალიზებული, რომ ჯანსაღი აზრის გამოსათქმელად ადგილი აღარ დარჩენილიყო. როგორც ქვემოთ ვნახავთ, გასული საუკუნის 20-იან წლებში დასახელებულ ორივე ჯგუფს ერთ კონტექსტში განიხილავდნენ როგორც ქართველი მოღვაწენი (თედო სახოკია, კონსტანტინე გამსახურდია...), ისე ბოლშევიკ ხელისუფალთა ერთი ნაწილიც (ალ. გეგეჭკორი, ლ. ბერია...).
ქვემოთ მოკლედ განვიხილავთ სტალინელ კოლაბორაციონისტთა ორივე ჯგუფის თვალსაზრისებს.

ლებისათვის აუცილებელია მეგრულენოვანი სკოლები; მეგრულენოვანი სკოლებისა და სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის მოთხოვნის კანონზომიერების მტკიცებას ისახავს მიზნად ჩვენ მიერ არაერთხელ ციტირებული წიგნი: ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, „მეგრული საკითხი“, თბ., 2009 (იხ., მაგ. თავი V, „რა აწუხებს სამეგრელოს გლეხობას“, გვ. 102-114). ამ ავტორებმაც არ იციან, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა ენას აქვს ისეთი დიალექტები, რომელთა მფლობელებს არ ესმით სამწიგნობრო ენა, თუკი ეს ენა არ შეისწავლეს. ქართული სამწიგნობრო ენაც ბევრი სხვა კუთხის ქართველისათვის იქნება გაუგებარი, თუკი განათლებას არ მიიღებს – არ ისწავლის ისტორიულ სამწიგნობრო ენას და მხოლოდ კუთხური კილოს ფარგლებში დარჩება მისი ენობრივი მსოფლაღქმა. ვფიქრობთ, ამგვარი მოთხოვნა დღესაც სახიფათოა ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობისათვის, რამდენადაც მეგრული მეტყველების გადაქცევა საქმისწარმოებისა და მწიგნობრობის ენად ამ კილოს მფლობელთ გაუუცხოებს მრავალსაუკუნოვან ისტორიულ დედაენას – ქართულ ენას და ენობრივ-კულტურულად დაანაწევრებს ქართველ ერს.

1.3. „ჩხოუშიელი ავტონომისტები“

1925 წელს ციბაკ ბუკონიამ, სოლომონ ბესელიამ და კიდევ 18 პირმა „სამეგრელოს მშრომელი ხალხის“ სახელით მიმართეს „სრულიად რუსეთის სტაროსტას, მამა მიხეილ ივანეს ძე კალინინს“; დოკუმენტში ორი ძირითადი მოთხოვნა იყო:

1. სამეგრელოს ავტონომიის უშუალო დაქვემდებარება მოსკოვზე საქართველოს სუვერენიტეტის გარეშე, რომ „სამუდამოდ განმტკიცდეს სამეგრელოს და რუსეთის მშრომელთა კავშირი“. ავტონომიის სახელის ორი ვარიანტი იყო შემუშავებული: ან: ლაზ-კოლხიდა, ან: მარგალისტანი.

ბუკონია-ბესელიას არგუმენტი: სამეგრელო რუსეთს შეუერთდა 1804 წლის ტრაქტატით და ალექსანდრე მეორის 1867 წლის 4 იანვრის ბრძანებით;

2. სამეგრელოს „სამშობლო ენაზე“ – „მეგრელი ტომის“, მეგრელი ხალხის ენაზე – მეგრულ ენაზე – გაზეთების გამოცემის აღდგენა „ლენინიზმის ხაზის მკაცრი დაცვით“, რომელ ხაზსაც ეწინააღმდეგებიან „ქართველი უკლონისტები“ და „სამეგრელოს მშრომელი ხალხის სათავეში უკლონისტების მიერ დაყენებული მეგრელი ამხანაგები“.

ბუკონია-ბესელიას აზრით, მეგრელი ხალხი ცალკე ერია, მეგრული კი არის დამოუკიდებელი ენა[57].

1925 წლის 13 სექტემბერს გამოქვეყნებულ წერილში: „მეგრელი ავტონომისტების შესახებ“[58] **ლავრენტი ბერია**

---

[57] მოთხოვნებს ვიმოწმებთ ლავრენტი ბერიას წერილიდან: „მეგრელ ავტონომისტების შესახებ“, გაზეთი „კომუნისტი“, 1925, 13 სექტემბერი. ლ. ბერია ამ დროს იყო საქართველოს ჩეკას საიდუმლო ოპერატიული განყოფილების უფროსი.

[58] ლ. ბერიასა და მსგავსი შეხედულებების მქონე სხვა ავტორთა თვალსაზრისების კრიტიკისათვის იხ. ვ. გვარამია, გ. ციციშვილი, „მეგრული საკითხი“, თბ., 2009, გვ. 22-27.

ამ ჯგუფის წინამძღოლად ასახელებს მიხეილ (მიშო) დადიანს, რომელსაც დაუწერია ნაშრომი: „ფილოსოფია და უბრძნესი ენა“; ამ გამოუქვეყნებელ ნაშრომში გატარებულია აზრი, რომ მეგრული ენა მსოფლიოს მარგალიტია, მეგრული ძველსიტყვაობა პირველდაწყებითი ენაა აზიისა და აფრიკის ხალხებისათვის, რომ მეგრელები პირველი ხალხია დედამიწაზე...“[59]

რაც შეეხება გრ. ახალაიას ჯგუფს:

1925 წლის 20 მარტს გრიგოლ ახალაიას, ალიკო კვარაცხელიას, ბაგრატ ხუფენიას, მარზი ხუბუტიასა და ილია ჯანჯალიას ხელმოწერით წერილი გაეგზავნა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს; ხელმომწერთა აზრით, კაცობრიობის უხსოვარი დროიდან მეგრელი ხალხი ქართველი (ქართველური) ტომისაგან გამოირჩევა როგორც ჩვეულებით, ისე სალაპარაკო ენით; მეგრელი ხალხი იჩაგრება იმიტომ, რომ მეგრული ენით არ მიეწოდება კომუნიზმის იდეები და ითხოვენ ბელადების წიგნების თარგმნას მეგრულ ენაზე. ავტორები ემიჯნებიან ქართველ ერს და მიიჩნევენ, რომ ხელისუფლება მათ, როგორც დამოუკიდებელ ერს, ისე უნდა მოექცეს[60]. ავტორები კატეგორიულად ითხოვდნენ მეგრული ენის ქცევას საქმისწარმოებისა და სწავლების ენად. ამ ჯგუფის მიერ გამოიცემოდა გაზეთი: „ნოთე“ (რედაქტორი გრიგოლ ახალაია)[61].

---

[59] იქვე, გვ. 136-137 (ამ დროს ლ. ბერია სულ 26 წლისა იყო).

[60] კრიტიკისათვის იხ. ვ. გვარამია, გ. ციციშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 149-151.

[61] „ნოთე“ დაიხურა 1925 წელს. საინტერესოა: ამ სახელით 1990 წელს „საქართველოს სახალხო ფრონტის“ ზუგდიდის რეგიონალურმა ორგანიზაციამ ზუგდიდში გამოსცა ორკვირეული გაზეთი; რედაქტორი: ჯამბულ არქანია. ამავე სახელით გაზეთი გამოიცემოდა 1997-1998 წლებში. სიტყვა-ფორმა „ნოთე“ მომდინარეობს ნათელ- ფუძიდან. **„ნოთეს“ სემანტიკური ველი:** ნათელი, სხივი, ჩირაღდანი, ჭრაქი... ცუდი მიზნის შესაფუთად კარგი სიტყვის გამო-

ლ. ბერია დადიანი-ბუკონია-ბესელია-ახალაიას ჯგუფში აერთიანებს ისაკ ჟვანიასაც, თუმცა, ფაქტია, რომ ბუკონია-ბესელიასაგან განსხვავებით, ისაკ ჟვანია ითხოვდა სამეგრელოს ადმინისტრაციულ ოლქს. ამ ცდომილების მიუხედავად, ვფიქრობთ: ცნობილი საზოგადო მოღვაწეების კვალად, ლ. ბერია მიშო დადიანს, გრ. ახალაიასა თუ ისაკ ჟვანიას ერთ რანგში იმიტომ განიხილავდა, რომ **სამივე მათგანი ცდილობდა, მეგრული მეტყველება ექცია სამწიგნობრო ენად და საქმისწარმოების ენად,** რაც, ერთი მხრივ, ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური დაშლის შეუქცევად საფუძველს შექმნიდა, მეორე მხრივ კი, სამეგრელოს მოსახლეობას დაუკარგავდა წინაპრების მიერ შექმნილ, სულ მცირე, 16-საუკუნოვან სამწიგნობრო კულტურას.

ლოგიკურია, ამავე ჯგუფში განვიხილოთ ბოლშევიკი **ტარას შენგელიაც,** რომელმაც 1933 წელს დაწერა ცილისმწამებლური წერილი („დანოსი")[62]: „სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს, ამხ. ი. სტალინს, სსრ კავშირის ცკ-ის თავმჯდომარეს, ამხ. კალინინს და სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს, ამხ. მოლოტოვს"; კერძოდ, იგი სამეგრელოს სახელით ითხოვდა აჭარის ავტონომიის მსგავს ავტონომიურ ოლქს საქართველოს შემადგენლობაში და მეგრული ენისა და ლიტერატურის შექმნას.

ყენება სპეცსამსახურების სტილია; ე.წ. ტერმინოლოგიური დივერსიებისათვის იხ. ქვემოთ, თავი IV.

[62] რუსულენოვანი საარქივო დოკუმენტის თარგმანისათვის იხ. დანართი № 8 (რუსულ დედანთან ერთად გამოქვეყნდება ამ და სხვა საარქივო დოკუმენტების წიგნში, რომელსაც კოლეგებთან ერთად ვამზადებ გამოსაცემად). დოკუმენტის განსხვავებული ინტერპრეტაციისათვის იხ. ვ. გვარამია, გ. ციციშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 117.

1.4. ისაკ ჟვანიას ჯგუფი

ისაკ ჟვანია, ი. სტალინის ოფიციალურ თვალსაზრისზე[63] დაყრდნობით, ბოლშევიკური რეჟიმის დამყარებისთანავე ცდილობდა სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის შექმნას, მეგრული სკოლების დაარსებასა და მეგრული გაზეთების გამოცემას. ამ ასპექტით, საინტერესოა 1925 წლის 24 აგვისტოს ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებისა (ი. ჟვანია და სხვები) და ცენტრის წარმომადგენლების (მათიკაშვილი, გიორგაძე, ეგოროვი) ერთობლივი დადგენილება:

1. სამეგრელო „გაფორმდეს“, როგორც საქართველოს სსრ შემადგენლობაში შემავალი კულტურულ-ტერიტორიული ერთეული.
2. ნება დაერთოს პარტკომის ორგანოს სახით ყოველდღიური გაზეთისა და სხვ. პოლიტიკურ-ლიტერატურული და სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ბროშურების გამოცემას.
3. პირველი საფეხურის სკოლებში შემოღებულ იქნეს მეგრული ენით სწავლება.
4. ყველა დაწესებულებაში საქმისწარმოება შემოღებულ იქნეს მეგრულ „ენაზე“[64].

დასახელებული მოთხოვნები გაიმეორა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის (წევრები: კახიანი, ოკუჯავა, ელიავა, გეგეჭკორი, ორჯონიკიძე, მათიკაშვილი, სუხიშვილი, ივანოვ-კავკაზსკი) 1925 წლის 3 სექტემბრის დადგენილებამ **„მეგრული საკითხის შესახებ“;** დადგენილება ითვალისწინებდა:

---

[63] ი. სტალინის არაოფიციალური თვალსაზრისი ნათლად ჩანს 1925 წელს ს. ორჯონიკიძისადმი გაგზავნილ დაშიფრულ დეპეშაში: „ადვილად დამჯერე ამხანაგებმა **დაიჯერეს ხუმრობა სამეგრელოს ავტონომიის შესახებ**“ (ციტატას ვიმოწმებთ წიგნიდან: ვ. გვარამია, გ. ციციშვილი, „მეგრული საკითხი“, 2009, გვ.216, 330, 387).

[64] საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, 226 ფურც. 53/3. მასალას ვიმოწმებთ ვახტანგ გვარამიასა და გიორგი ციციშვილის დასახელებული წიგნიდან, გვ. 108.

1. სამეგრელოს იმ რაიონებში/სოფლებში, სადაც მოსახლეობამ არ იცის ქართული ენა, „აუცილებლად ჩაითვალოს ურთიერთობა მეგრულ ენაზე“;
2. რაიონის სასამართლოში, სადაც არ ესმით ქართული ენა, დაშვებულ იქნეს სასამართლო ლაპარაკი და სასამართლო განაჩენისა და დადგენილების გაცემა მეგრულ ენაზე;
3. შესაძლებლად ჩაითვალოს გლეხების გაზეთისა და საagიტაციო ხასიათის ფურცლების გამოცემა მეგრულ ენაზე;
4. შესაძლებლად ჩაითვალოს სამეგრელოს პირველი საფეხურის სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლება[65].

ამგვარ გადაწყვეტილებას წინ აღუდგნენ ალექსანდრე გეგეჭკორი და ლავრენტი ბერია, რომელთაც ეგოროვ-მათიკაშვილ-კახიან-ჟვანიას მოთხოვნები, ფაქტობრივად, გააიგივეს მიშო დადიანისა და გრ. ახალაიას ჯგუფების მოთხოვნებთან; კერძოდ, 1925 წლის 8 სექტემბრის გაზეთ „კომუნისტში“ მათ წინააღმდეგ გაილაშქრა ალ. გეგეჭ-

---

[65] საარქივო დოკუმენტის განსხვავებული ინტერპრეტაციისათვის იხ.: ვ. გვარამია, გ. ციციშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 90-92 (საარქივო დოკუმენტი: ფონდი 14, აღ. 2, ს.359, ფურც. 29). ჩემი აზრით, უმწერლობო ხალხის ენას ნამდვილად ესაჭიროება ასეთი მხარდაჭერა; შდრ., დღეს, დაახლოებით, ასეთი აქტივობებია გათვალისწინებული „რეგიონულ ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიითაც“; თუმცა, აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ:
მეგრელები, სვანები, ლაზები არიან მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ტრადიციის მქონე ქართველები; შესაბამისად, მეგრულის შესახებ ზემოხსენებული დადგენილებებიც და დღესაც ზოგი ჯგუფის მიერ მეგრულისათვის (/ სვანურისათვის, ლაზურისათვის) „რეგიონული ან უმცირესობის ენის“ სტატუსის მინიჭების მოთხოვნა, ანდა, საქართველოს სკოლებში მეგრული და სვანური „ენების“ სწავლების „ინიციატივა“, ერთ მიზანს ემსახურება: ქართველთა ნაწილს გაუუცხოოს ისტორიული დედაენა – ქართული ენა; ქართველობა დაყოს ოთხენოვან კონგლომერატად და, საბოლოო ჯამში, ქართველი ერი სამუდამოდ დაშალოს რამდენიმე „მცირე ერად“ (მსჯელობისათვის იხ. ქვემოთ).

კორმა წერილით: **„იანოვსკი-ვოსტორგოვის ღირსეულ მემკვიდრეებს“. კოლაბორაციონისტების** ორივე მოთხოვნას (სამეგრელოს ავტონომია და მეგრული ენის სტატუსი) ალ. გეგეჭკორმა ასეთი არგუმენტებით უპასუხა:

„1. სამეგრელოს არასოდეს უცხოვრია საქართველოსგან მოწყვეტით; სამეგრელო არის საქართველოს ისტორიული და განუყოფელი ნაწილი, ისეთივე, როგორც ქართლ-კახეთი, მთა, გურია, იმერეთი.

2. მეგრელები წარმოადგენს ქართველი ერის ისეთივე შტოს, როგორიცაა: იმერლები, გურულები, ფშავ-ხევსურნი... მეგრელი არ არის ცალკე ეროვნება, როგორც ამას აცხადებდა იანოვსკ-ვოსტორგოვ-აშორდია; გარდა ამისა, მეგრელი დასაბამითვე შემოქმედია ქართული სალიტერატურო ენისა **(აქ ალ. გეგეჭკორი იმოწმებს წმიდა ანტონ ჭყონდიდელისა** და თედო ჟორდანიას ისტორიულ სახელებს; ასევე, სამეგრელოდან გამოსული პარტიული და უპარტიო ინტელიგენციის პოზიციას, რომელიც დაფიქსირდა 1924 წელს – **ტ ფ.**)... *ქართული ენა არის მეგრელთა „სამშობლო ენა“; შესაბამისად, მეგრულს ვერ ვუწოდებთ დამოუკიდებელ ენას, რადგან მეგრულში ძირითადად იგივე ქართული სიტყვებია; მეტიც, **მეგრულის „უკლებლივ ყველა ძირის სიტყვები მთლად ეთანაბრება ქართული სიტყვების ძირებს იმდენად, რომ ქართული ლიტერატურული ენის შესასწავლად აუცილებელია მეგრული დიალექტიკის გაცნობა... მეგრული მართლა დიალექტია, მხოლოდ დიალექტი, ქართული ენის ერთ-ერთი შტოთაგანია“... „არავითარ დამოუკიდებელ მეგრულ კულტურაზე არ შეიძლება ლაპარაკი. სამეგრელოს კულტურა მთლიანად ქართულია, ქართულ საფუძველზეა მოქარგული, ქართული ფესვებითაა მოარსებე“*[66].

---

[66] ალ. გეგეჭკორის წერილის გაუმართლებლად სუბიექტური ანალიზისათვის იხ., ვ. გვარამია, გ. ციციშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 5; კერძოდ, ავტორები წერენ, რომ გეგეჭკორის ეს სიტყვები სიმართლეა, მაგრამ „ამ სიმართლესთან ერთად მან (გეგეჭკორმა) არაფერი სთქვა, რომ ისტორიის ბედუკუღმართობის გამო სამეგრელოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი რეალურად მხოლოდ მეგრული ენით ფუნქციონირებდა; რადგან სამეგრელო-აფხაზეთში მოსახლე მეგრელთა ერთ ნაწილს არ ესმოდა სხვა ენა,

ალ. გეგეჭკორის მსგავსი არგუმენტებით გააკრიტიკა სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნა **ლავრენტი ბერიამ** 1925 წლის 13 სექტემბრის გაზეთ „კომუნისტში (№210) დაბეჭდილ წერილში: „მეგრელ ავტონომისტების შესახებ“, რომელშიც მიშო დადიანის ანტიქართული ჯგუფის წევრად გამოაცხადა ზუგდიდელი ბოლშევიკების ერთ-ერთი ძველი ლიდერი ისაკ ჟვანია; ეს უკანასკნელი ამ დროს იყო ზუგდიდის მაზრის კომუნისტთა ხელმძღვანელი.

ისაკ ჟვანია რბილი ტონით, მაგრამ მაინც საჯაროდ გამოეპასუხა ლ. ბერიას; კერძოდ, 1925 წლის 15 სექტემბერს გამოქვეყნდა ისაკ ჟვანიას პასუხი სათაურით: „სამეგრელოს ავტონომისტების შესახებ“[67].

გაზეთ „კომუნისტის“ სხვა პუბლიკაციები ცხადყოფს, რომ საქართველოს ბოლშევიკური ხელისუფლება იმხანად ლავრენტი ბერიას თვალსაზრისზე იდგა[68]; კერძოდ, **ალ.**

გარდა თავისი მშობლიური მეგრული ენისა, საჭირო იყო იმ თავისებურების გათვალისწინება. ამასთანავე, მეგრელ მოსახლეობას უხსოვარი დროიდან ჰქონდა შესისხლხორცებული სალაპარაკო მეგრული ენა, რომელიც დამახინჯებული ქართული კი არ იყო, როგორც ეს ზოგიერთ საბჭოთა ჩინოვნიკს გამოჰყავდა, არამედ ქართული ენის პარალელურ, ძმა ენას წარმოადგენდა“. ვახტანგ გვარამიამ და გიორგი ციციშვილმა, ისევე როგორც ქართველთა ენობრივი სამყაროს ისტორიის არმცოდნე სხვა პირებმა, არ იციან, რომ მეგრული მეტყველება არის ქართველთა დედაენის კუთხური სახესხვაობა, მათივე ტერმინოლოგიური პერიფრაზი რომ გამოვიყენოთ, ისტორიული ქართული (ქართველური) ენისაგან მიღებული „შვილი სახესხვაობა“ (ზეპირი ფორმით არსებული სახესხვაობა) და არა – „უმნიგნობრო ძმა სახესხვაობა“.

[67] იხ. დანართი № 5.

[68] ბუნებრივია, ლ. ბერია ი. სტალინის ფარული მხარდაჭერის გარეშე აქტიურად ვერ იმოქმედებდა. **ი. სტალინის „ორსახოვნობის“ საფუძველი:** ერთი მხრივ, მარქსისტულ-ლენინური „ნაციონალური“ პოლიტიკა, მეორე მხრივ, ქართული მსოფლაღქმა. ი. სტალინის ქართული ემოციის შესახებ იხ. ვახტანგ გურული, მეფე-მამა, თბ., 2014, გვ. 191-200; ნიკო ჯავახიშვილი, უცნობი სტალინი (დაკვირვებანი მის წარმომავლობაზე,

გეგეჭკორისა და ლ. ბერიას სტატიებს მოჰყვა ქართველთა ეროვნულ-ენობრივ ერთიანობასა და „სეპარატიზმის მხილებაზე“ ორიენტირებული სხვა წერილებიც, რომელთა ავტორები იყვნენ: დ. თოფურიძე, სოფ. ხობში დაბადებული უხუცესი სოციალ-დემოკრატი („სამეგრელო და აშორდისტები“; გაზეთი „კომუნისტი“, 15.09.1925); მ. კვარაცხელია („უპასუხისმგებლო გამოსვლის შესახებ“; გაზეთი „კომუნისტი“, 16.09.1925); ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის ყოფილი გამგე ბ. შოგირაძე („ახალი აღმოჩენა“; გაზეთი „კომუნისტი“, 17.09.1925)[69] და სხვ.

სტალინელი კოლაბორაციონისტებისაგან განსხვავებით, საქართველოს ბოლშევიკური ხელისუფლების გეგეჭკორ-ბერიას ფრთის კურსი, აგრძელებდა რა ტრადიციულ კალაპოტს, მისაღები იყო ფართო საზოგადოებისათვის; ამას ცხადყოფს იმავე პერიოდში ჩატარებული ორი მასშტაბური შეხვედრაც და მაშინ მოღვაწე პირთა მემუარებიც; კერძოდ:

- 1925 წლის 22 სექტემბერს ახალ სენაკში ჩატარდა „მასწავლებელთა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა“ კრება, რომელსაც 60 წარმომადგენელი ესწრებოდა. წარმომადგენელთა ყრილობამ დაადგინა, რომ სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნა არის საქართველოს დანაწევრების მცდელობა (რეზოლუცია დაიბეჭდა 24 სექტემბერს გაზეთ „კომუნისტში“; ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ კრებას

გარეგნობასა და პიროვნულ ხასიათზე), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2014, გვ. 288-325.

[69] ეს ის შოგირაძეა, რომელიც ამ წერილის გამოქვეყნებამდე რამდენიმე თვით ადრე ყრილობაზე მეგრულად გამოვიდა (იხ. ზემოთ). ეს ფაქტიც ცხადყოფს, რომ საქართველოს ბოლშევიკური ხელისუფლების პოლიტიკა მეტად ლაბილური იყო „მეგრული თემის“ საკითხში; არსებული გაორება მალე გადაიზარდა ისაკ ჟვანიასა და ლავრენტი ბერიას სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაში, რომელსაც ახანგრძლივებდა ი. ჟვანიასადმი ი. სტალინის თანადგომა. ჩანს, 1932 წლიდან ლ. ბერიას უკვე ჰქონდა ი. სტალინის მხარდაჭერა. იხ. ქვემოთ).

მხარს უჭერდა ბოლშევიკური ხელისუფლების უფრო ძლიერი ფრთა).

- 1925 წლის 23 სექტემბერს თბილისში, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში ჩატარდა სამეგრელოდან წამოსული საზოგადო მოღვაწეების, მწერლებისა და სხვა ცნობილი ადამიანების შეკრება, სადაც თავისი ცნობილი სიტყვით გამოვიდა თედო სახოკია[70]. საყურადღებოა პრეზიდიუმის შემადგენლობა: ცნობილი ეროვნული მოღვაწე გიორგი ჟორდანია (თედო ჟორდანიას შვილი), თედო სახოკია (პრეზიდიუმის თავმჯდომარე), აკაკი ფაღავა (პრეზიდიუმის წევრი), დიომიდე თოფურიძე (პრეზიდიუმის წევრი), ბართლომე პატარაია (პრეზიდიუმის წევრი), ანდრო თოდუა (პრეზიდიუმის წევრი) და **ალ. გეგეჭკორი, პრეზიდიუმის საპატიო წევრი.**

ცნობილი ადამიანების შეკრებამ თავის რეზოლუციაში ნეგატიურად შეაფასა როგორც სამეგრელოს ავტონომიის, ისე მეგრულად სწავლების დაწყების მოთხოვნა[71]. მას შემდეგ 85 წელი გავიდა, მაგრამ მეგრულად სწავლების საკითხი ისევ გააქტიურდა; სწორედ ამ კონტექსტშია განსახილველი ვ. გვარამიასა და გ. ციციშვილის წინააღმდეგობრივი პოზიცია: ისინი, ერთი მხრივ, გმობენ იანოვსკი-ლევიცკი-აშორდია-ვოსტორგოვის ქმედებებს, მაგრამ მეორე მხრივ, **ცდილობენ, დადებითად წარმოაჩინონ ისაკ ჟვანიას „საქმიანობის არსი“** და ამართლებენ 1931 წელს დაწყებით საფეხურზე მეგრულად სწავლების შემოღებას; კერძოდ, წერენ: „1886 წლის სექტემბერში ლევიცკის კატეგორიულად მოუთხოვია სამეგრელოს სკოლების მეგრულ ენაზე გადაყვანა. ამით თითქოს ქართულის არმცოდნე მეგრელი ბავშვების პირველდაწყებითი სწავლების პრობლემა იხსნებოდა, მაგრამ სინამდვილეში მისი

---

[70] წერილად გამოქვეყნდა რამდენჯერმე; იხ.: http://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=44&id=2111; იხ. დანართი №6.

[71] კრების მასალები დაიბეჭდა 1925 წლის 25 სეტემბრის გაზეთებში: „კომუნისტი“, „მუშა“. საგანგებო მასალა გამოქვეყნდა, ასევე, 27 სექტემბრის გაზეთ „მუშის“ დამატებაში სათაურით: „ტარტაროზი“; იხ. დანართი №7.

მთავარი დანიშნულება იყო სამეგრელოს სკოლებში ქართული ლიტერატურული ენის გამორიცხვა... ლევიცკიმ სხვა მზაკვრობაც გადაწყვიტა: მან თ. აშორდიას საღვთო წერილის ქართულიდან მეგრულად თარგმნა დაავალა და სამეგრელოს ეკლესიებიდან ქართულის განდევნა დაისახა მიზნად"[72].

იმავე წიგნში ვკითხულობთ[73]:

„ი. ჟვანია იბრძოდა სამეგრელოს მოსახლეობის სპეციფიკური მეგრული ენით, საერთო რეგიონალურ ერთიან ხელმძღვანელობას დაქვემდებარებული ცენტრის და საერთო რეგიონალური ადმინისტრაციული ოლქის კომპლექსური და უფრო ეფექტიანი ღონისძიებებით მოგვარებისათვის".

1925 წელს თბილისში ჩატარებულ კრებაზე სიტყვით გამოვიდა ცნობილი მწერალი კონსტანტინე გამსახურდიაც; მეგრულთან დაკავშირებით საინტერესოა მისი შეფასება: „აშორდია-ლევიცკის აგენტებს – ამ გამოთაყვანებულ ხალხს – უნდათ, რომ ჩვენ უარვყოთ რუსთაველის, ჩახრუხაძის, გურამიშვილის ენა და მის ნაცვლად შემოვიღოთ აშორდიას მიერ შეთითხნილი მეგრული მართლწერა. ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვსპოთ საქართველოსაგან სამეგრელოს ჩამოშორებისა და საქართველოს დაქუცმაცების ყოველი ცდა".

ხაზგასმით აღვნიშნავთ: კონსტანტინე გამსახურდიას მსგავსად, ყველა გამოსვლაში მეგრულად სწავლების მოთხოვნა გაიგივებული იყო ქართველი ერის დანაწევრებისა და საქართველოს დაქუცმაცების მცდელობასთან; რაც აისახა კრების რეზოლუციაშიც[74].

---

[72] ვ. გვარამია, გ. ციციშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 52.

[73] იქვე, გვ. 331

[74] შდრ.: ვახტანგ გვარამიასა და გიორგი ციციშვილის აზრით (იქვე, გვ. 28-32), „ისაკ ჟვანია იცავდა სამეგრელოს ინტერესებს". იხ., ასევე: გვ. 95: „ყველაზე ღვარძლიანი კრიტიკა სამეგრელოს ინტერესების დამცველებმა განიცადეს საქართველოს კომპარტიის VI ყრილობაზე. აქ ლ. ბერიას და მ. კახიანის აზრის მიმდევრებმა რაღა არ მოიგონეს და რა არ დააბრალეს ი. ჟვანიასა და გ. გაბუნიას"; იხ., ასევე: „ი. ჟვანიას და მისი თანამოაზრე-თანამებრძოლების მთავარი საზრუნავი იყო ქართულის არმცოდნე მეგრელი გლეხე-

თავისის გატანას ცდილობდნენ ისაკ ჟვანიას მოსკოველი მხარდამჭერებიც.

1925 წლის ბოლოს მკაფიოდ გამოიკვეთა კრემლის ინტერესები; რომლებიც მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

- რუსული ენის როლის გაზრდა ადგილობრივი ნაციონალური ენების შევიწროების ხარჯზე;
- სპეციალური „საერთაშორისო“ ტერმინოლოგიის დამკვიდრება, რომელიც ხელს შეუწყობდა ბოლშევიკური პროპაგანდის გავრცელებას;
- ეროვნული იდენტობების დარღვევის მიზნით საგანგებო ლინგვისტური იდეოლოგემების შემუშავება.

საქართველოში კრემლის პოლიტიკის განსახორციელებლად ფილიპე მახარაძემ 1925 წლის 8 დეკემბერს შექმნა **„სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო“**, რომელსაც ევალებოდა სახალხო განათლების სფეროს დაგეგმვა. კონკრეტულად სამეგრელოში დაგეგმილი აქტივობების შესამოწმებლად 1928 წელს მოსკოვიდან ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი პშენიცინი, რომელმაც შემოიარა სამეგრელოს სოფლები და დაასკვნა: **„მეგრელ გლეხებს უნდა მივცეთ სკოლა, სასამართლო და პოპულარული ბროშურა მშობლიურ ენაზე“.**

1929 წლის 25 მარტს „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. კახიანმა კრემლის მითითებით მიიღო **დადგენილება მეგრული ენის პრივილეგიების აღსადგენად სკოლაში, სასამარ-**

ბის, მათი შვილიშვილების ენობრივი ბარიერის, მეურნეობრივ-კულტურული პრობლემების დროული მოგვარება“ (გვ. 228)... **აშკარაა:** ვახტანგ გვარამია და გიორგი ციციშვილი „სამეგრელოს ინტერესების“ დამცველებად თვლიან პირებს, რომლებიც, რბილად რომ ვთქვათ, სამეგრელოს ქართველობას უუცხოვებენ წინაპართა მიერ შექმნილ დიდ სამწიგნობრო კულტურას (ნიშანდობლივი ფაქტი: დასახელებული წიგნი გამოცემულია ჩვენი დროის პრორუსი პოლიტიკოსის – ალექსანდრე ჭაჭიას – მონაწილეობით).

თლო საქმის წარმოებისა და გამოძიების საქმეში. ამ დადგენილების მიხედვით, იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა ქართული ენა არ იცოდა (!), საქმის წარმოება და სასამართლოს წარმოება მეგრულ ენაზე უნდა შესრულებულიყო... (ი. ჟვანია, 1931, გვ. 147). ნიშანდობლივია: დადგენილების I და II პუნქტებში ერთმანეთს უპირისპირდება ქართული და მეგრული; მაგ. IV პუნქტში მითითებულია, რომ დადგენილებები, განკარგულებები უნდა გამოქვეყნდეს როგორც ქართულად, ისე მეგრულად... რუსული იმპერიული მანქანა XVIII საუკუნეში დაწყებულ სვლას განაგრძობდა; „მავრის“ როლის შემსრულებელნი კი სხვები იყვნენ (ბოლშევიკები: იოსებ სტალინი, ფილიპე მახარაძე, ისაკ ჟვანია...)[75].

ჩანს, ლავრენტი ბერიას წინააღმდეგობის გამო, არც 1929 წლის 25 მარტის დადგენილებას მოჰყოლია რეალური შედეგი; ამიტომ, 1929 წლის 12 სექტემბერს სოჭში ი. სტალინს შეხვდა ი. ჟვანია, რომელიც წერს:

„ამხ. სტალინს ვთხოვე, რომ მას თავისი მითითებები მოეცა შემდეგ საკითხებზე:

1. მეგრულ ოლქთან, ან საოლქო აღმასკომთან დაკავშირებით,

2. მეგრულ ენაზე გაზეთის და სხვა გლეხური ლიტერატურის გამოცემის შესახებ,

3. სამეგრელოს პირველი საფეხურის სკოლებში მეგრული ენით სწავლების შემოღების შესახებ.

ყველა სამივე საკითხზე ამხ. სტალინმა დადებითი მითითება გასცა“[76].

ამ შეხვედრის შემდეგ ი. ჟვანიასა და მის თანამზრახველებს ხელ-ფეხი გაეხსნათ:

---

[75] ი. ჟვანია ნამდვილად არ გამოხატავდა სამეგრელოს მოსახლეობის პოზიციას. ვრცლად იხ. ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია, ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ და საქართველო, ქუთაისი, 2010, გვ. 29-48.
http://www.putkaradze.ge/cigni%20dasrulebuli/links/shesavali.htm

[76] ვიმოწმებთ წიგნიდან: ვ. გვარამია, გ. ციციშვილი, „მეგრული საკითხი“, 2009, თბ., გვ. 262.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1929 წლის 21 დეკემბერს მიიღო დადგენილება მეგრულ ენაზე გლეხური გაზეთის გამოცემის შესახებ, რომელიც დაამტკიცა 1930 წლის 12 იანვარს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა. შედეგად, 1930 წლის 1 მარტიდან დაიწყო მეგრული ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა[77].

ეს დადგენილება ნეგატიურად შეფასდა მაშინდელ ფართო საზოგადოებაში. სანიმუშოდ მოვიყვან დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის შეფასებას[78]:

„ასეთი დადგენილებაა დღევანდელ გაზეთ „კომუნისტში“ (25/XII) მოთავსებული! ის შესდგება ექვსი მუხლისაგან. ხელს აწერს მას – ცაკის თავმჯდომარის (მიხა ცხაკაია – მეგრელი) მაგიერ ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ბოლქვაძე, საქ. სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე და ცაკის მდივანი ს. თოდრია! ეგ სამნივე გურულებია!.. ესეც სიმპტომატიურია. ჩვენ თავის ადგილზე გვქონდა აღნიშნული, რომ სამეგრელო ავტონომიას თხოულობსო!.. ჩვენ ვიცით აშორდია-„მაფალუს“ მიმდევართა მიდრეკილება პატარა საქართველოში ასეთი დიდი სეპარატიზმის – განხეთქილების, გათიშვის ჩამოსაგდებად! წინეთ დეკ. ვოს-

---

[77] შდრ. ვ. გვარამია, გ. ციციშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 264: „გაზეთის რედაქტორად დაინიშნა ი. ჟვანია. გაზეთს მიეცა საქართველოს კომპარტიის ცეკას ორგანოს სტატუსი და უკვე 1 მარტს ზუგდიდში გამოიცა „ყაზახიში გაზეთის“ პირველი ნომერი. მაშასადამე სამართალმა პური ჭამა“; ავტორები აქვე იმოწმებენ „ყაზახიში გაზეთის“ ერთ ციტატას, რომელშიც ქართული გათანაბრებულია სხვა ენებთან: „მეგრული წერით ჩვენ ვეხმარებით სკოლის გარეთ დარჩენილ ახალგაზრდებს, ქართულის არ მცოდნე გლეხ ახალგაზრდებს. ჩვენმა ორგანიზაციებმა წუთითაც არ უნდა შეასუსტონ ყურადღება ქართულის და სხვა ენების მიმართ, მათი შესწავლის მიმართ“ („ყაზახიში გაზეთი“, 02.03.1932).

[78] დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე, მოქალაქე-მღვდელის დღიურიდან, თბ., 2013, გვ. 554-555.

ტორგოვის ზურგს უკან იმალებოდნენ ეგ ვაჟბატონები, მაშინ ქართული ენის და მასთან ერთად მეგრული კილოკავის განდევნას სკოლიდან, ეკლესიიდან თუ დაწესებულებებიდან სცდილობდენ რუსული ენის გასაბატონებლად! ეხლა კი „მეგრული ენა“ დაუპირდაპირეს – „ქართულს“, „როგორც სამშობლო ენა“ (მუხ. 2.) არამშობლიურს – ქართულს (?!). ეტყობა, აშორდია-მაფალუელებმა იმზომ თავი შეაბეზრეს ხელისუფლებას, რომ მიზანს მიაღწიეს და საქართველოს უზენაეს დაწესებულებებს ასეთი უხამსი და გამხრწნელი დადგენილება გამოატანიეს! აქ არავინ იფიქროს, ვითომც უბრალო საქმე იყოს ეს დადგენილება!.. ის არ შემოიფარგლება მარტოოდენ ზუგდიდის მაზრის ზოგიერთი ადგილებით, სადაც თითქოს „მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა ქართული ენა არ იცის“!.. არა, ეს განგრენა ბოლოს და ბოლოს მთელი სამეგრელოს ორგანიზმს გამოხრავს, გამოფიტავს! ყირამალა დააყენებს იქ ქართულ კულტურას და მისს პროგრესიულ მსვლელობას! უხსოვარი დროიდან ქართული ენით სარგებლობდნენ მეგრელები ყველგან და ყველაფერში! ქართული ენა მიაჩნდა მათ „მშობლიურ ენად“! ქართულ ენაზე ლოცულობდნენ, სწერდნენ და მწიგნობრობდნენ მეგრელები და რაღა ეხლა – მეოცე საუკუნეში, „თავისუფალ საქართველოში“ უნდა მოხდეს ეგ საბედისწერო ნაბიჯი! წინეთ ზუგდიდი-სამურზაყანო საქართველოს სხვა ნაწილებზე მოწყვეტილი იყო, დაშორებული მიუვალი გზებით, ათასგვარი უკულმართი პოლიტიკური ვითარებებით!“.

დეკანოზ ნ. თალაკვაძის საუკუნის წინანდელი გამოხმაურება ზუსტად მიესადაგება XXI საუკუნის ანალოგიურ მოთხოვნებს, რომლებიც ისევ გარედანაა ინსპირირებული (იხ. ქვემოთ).

1.5. ლავრენტი ბერიას პოზიცია

ლ. ბერია ცდილობდა, დაებრკოლებინა „სამეგრელოს ოლქის“ შექმნა და მეგრული სკოლების გახსნა. რა მოტივაცია ჰქონდა სასტიკ ბოლშევიკ ჩეკისტს? ლოგიკურია დავუშვათ ორგვარი ახსნა – ტაქტიკური და ეროვნული:

- ბოლშევიკური რეჟიმის დამკვიდრების პირველ ეტაპზე ლ. ბერია უფრთხოდა ქართველი ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლების (თ. სახოკია, კ. გამსახურდია...), ზოგადად, ქართველი ერის გაღიზიანებას და ამიტომაც დაუჭირა მხარი ქართველთა ენობრივი ერთიანობის შენარჩუნებას (პარალელურად, წინააღმდეგობა გაუწია სამეგრელოს ავტონომიის შექმნას);
- ლ. ბერია გასული საუკუნის 20-იან წლებში ზოგადქართულ პოზიციებს ემხრობოდა და ნაციონალურ საკითხში საქართველოს არ ღალატობდა (მით უმეტეს, ამის შესაძლებლობას აძლევდა ი. სტალინის გაორებული პოზიცია).

შდრ.: ი. სტალინის მხარდაჭერით გათამამებული ისაკ ჟვანია ცდილობს, ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვისა და საქართველოს დანაწევრების მიმართულებით, საბოლოოდ დაამარცხოს ლავრენტი ბერია. ამ მიზნით, იგი 1931 წლის 20 ნოემბერს **საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, ამხ. ლ. ბერიას სახელზე წერს** ოფიციალურ წერილს, რომელშიც აყალიბებს თავის ხედვას სამეგრელოსა და მეგრულის შესახებ; ი. ჟვანიას მოთხოვნები ასე გამოიყურება:

*„1. გაფორმდეს **მეგრული ოლქი** იმ რაიონებისაგან, რომლებშიც მშრომელი მოსახლეობის უმრავლესობას არ ესმის ქართული ენა.*

*2. ნება დაერთოს მითითებული რაიონების დაწყებით სკოლებში სწავლებას **მშობლიურ, ე.ი. მეგრულ ენაზე“; იქვე** ჩამოთვლილია შემდეგი რაიონები: ზუგდიდი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ხობი, სენაკი; ხოლო ნაწილობრივ – მარტვილი, აბაშა და ფოთი*[79].

---

[79] საარქივო დოკუმენტი: პრეზიდენტის არქივი, ფონდი 14, აღ. 6, ს 266, ფურც. 103. ვიმოწმებთ წიგნიდან: ვ. გვარამია, გ. ციციშვილი,

საქართველოს ფაქტობრივმა მმართველმა ლ. ბერიამ არ შექმნა სამეგრელოს ავტონომიური ოლქი, მაგრამ წინ ვერ აღუდგა რა საბჭოთა იმპერიის პირველი პირის, **ი. სტალინის დეკლარირებულ პოზიციას,** ი. ჟვანიას გუნდს საშუალება მისცა, 1932 წლის დასაწყისში **გაეხსნა პირველდაწყებითი მეგრული სკოლები.** ნიშანდობლივია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1932 წლის 16 მარტის დადგენილებაში არსებული ერთი პუნქტიც (სადაც მეგრული გათანაბრებულია აფხაზურ, ბერძნულ, ოსურ ენებთან): *„წინადადება მიეცეს სახელგამს, უზრუნველყოს, განსახკომის მიერ დამტკიცებული გეგმის თანახმად, სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ნივთების გამოცემა 1-ლ სექტემბრამდე, მათ შორის – გამოცემა აფხაზურ, ოსურ, მეგრულ, ბერძნულ და სხვა ენებზე“*[80].

ლ. ბერიას ამ დროებით უკანდახევას მოჰყვა, დიდი ალბათობით, მისგანვე დაგეგმილი (და სტალინთან შეთანხმებული) **რამდენიმე საპასუხო ქმედება:**

- 1932 წლის გაზაფხულზე სამეგრელოდან ორგანიზებულად წამოვიდა მშრომელთა წერილები, რომელთაც ფაქტობრივად ერთნაირი შინაარსი ჰქონდა. მათი ავტორები **მიზანშეუწონლად თვლიდნენ** მეგრული სკოლებისა და გაზეთების დაარსებას (იხ. ქვემოთ);
- მეგრული სკოლების ფუნქციონირების შესამოწმებლად, განათლების სახალხო კომისარიატის სახელით, სამეგრელოში გაიგზავნა უკვე **ცნობილი ენათმეცნიერი არნოლდ ჩიქობავა;**

„მეგრული საკითხი“ , თბ., 2009, გვ. 90-92 . არქივში დაცულია, ასევე, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1931 წლის 28 ნოემბრის საიდუმლო გზავნილი (№82/87/ს), რომელიც გვამცნობს: „საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიუროს წევრებსა და წევრობის კანდიდატებს: ამხანაგ ბერიას დავალებით გასაცნობად გეგზავნებათ მეგრული საკითხის შემდეგი მასალები“

[80] ვ. გვარამია, გ. ციციშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 294.

- სხვადასხვა ავტორისგან ორგანიზებულად დაიწყო 1932 წელს დიდი ტირაჟით დაბეჭდილი ი. ჟვანიას წიგნის: „როგორ იბრძოდა სამეგრელოს მშრომელი გლეხობა საბჭოების ხელისუფლებისათვის“ მკაცრი კრიტიკა[81];
- 1933 წლის გაზაფხულზე საქართველოს მთავრობამ ენათმეცნიერ ვუკოლ ბერიძის მონაწილეობით კიდევ ერთი კომისია ამუშავა სამეგრელოში და 1933 წლის 25 მაისს ცნობილი მეცნიერებისა (არნ. ჩიქობავა, გ. ახვლედიანი, ვ. ბერიძე, ვ. თოფურია...) და სამეგრელოს პოლიტიკური ელიტის მონაწილეობით ჩაატარა კოლეგიის სხდომა, რომელსაც დაასწრეს ცხინვალში გადაყვანილი ისაკ ჟვანიაც (გამოსვლის ტექსტები იხ. ქვემოთ).
- 1933 წლის ბოლოს დაიხურა მეგრული სკოლებიც და მეგრული გაზეთებიც.

ვფიქრობთ, ჩამოთვლილ ნაბიჯთაგან ლავრენტი ბერიას გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა არნ. ჩიქობავამ, რომელმაც, ნ. მარის მოსაზრების საპირისპიროდ[82] წამოაყენა დებულება, რომ მეგრული არ არის არა ცალკე ენა, არამედ ზანური ენის დიალექტი; და რომ **„ქართული ენა მეგრელი და სვანი ბავშვების ნორმალური განვითარებისათვის ისეთივე ბუნებრივი და პედაგოგიურად მიზანშეწონილი იარაღია, როგორც ხევსური და გურული ბავშვებისათვის“.**

---

[81] ი. ჟვანიას წიგნის კრიტიკის შესახებ იხ. ვ. გვარამია, გ. ციციშვილი, „მეგრული საკითხი“, თბ., 2009, გვ. 374-384.

[82] მიგვაჩნია, რომ 1932 წელს ი. სტალინის ოფიციალური პოზიციისა და თავისი კარიერის ზენიტში მყოფი ნ. მარის დებულებების საწინააღმდეგოდ წასვლა იყო არნ. ჩიქობავას დიდი გაბედულება. სამწუხაროდ, მაშინ არნ. ჩიქობავა წინ ვერ აღუდგა ჩრდილოკავკასიელი ხალხების ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების მიმართულებით მოქმედ ენობრივ პოლიტიკას; ამდენს ბატონი არნოლდი მაშინ ვერ შეძლებდა: წააგებდა შიდა ბრძოლასაც.

უფრო ვრცლად ამ **საინტერესო ისტორიის** შესახებ:

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია 1932 წლის გაზაფხულზე სამეგრელოს რაიონების კომუნისტ აქტივისტთა და მშრომელთა წერილები, რომელთა ავტორებიც მიზანშეუწონლად თვლიდნენ სამეგრელოს ავტონომიურ ოლქს, მეგრულ სკოლებსა და მეგრულ გაზეთებს. ამგვარი ქმედება რომ ცენტრიდანაა ორგანიზებული, ამას ცხადყოფს **კოლექტიური წერილების „შაბლონი“[83]:** იმხანად ბევრს არ ჰქონდა საბეჭდი მანქანა, ამიტომ, ჩანს, სოფლებს/რაიონებს დაურიგეს ერთი და იგივე ტექსტი, რომელშიც გამოტოვებული იყო სოფლის სახელი და ხელმომწერთა გვარები. „შაბლონის“ გამოტოვებულ ადგილებში იწერებოდა შესაბამისი სოფლებისა თუ რაიონების სახელი და ამ რაიონების/სოფლების იმ წარმომადგენელთა (ძირითადად, პარტიულ აქტივისტთა და დეპუტატთა) გვარები, რომლებიც ხელს აწერდნენ ამ დოკუმენტს. ხელისუფლების (/ლ. ბერიას) დავალებით ეს შაბლონი შეივსო და ხელმოწერილ იქნა ბევრ სოფელში; **სწორედ ამ წერილებით გაჩნდა აუცილებლობა, ხელისუფლებას სამეგრელოში გაეგზავნა სპეციალური კომპეტენტური კომისია.**

---

[83] ნაშრომში დამოწმებული საარქივო მასალების ნაწილი გაანალიზებულია სტატიაში: ტ. ფუტკარაძე, მ. თედორაძე, დისკუსია მეგრული მეტყველების სტატუსის შესახებ XX საუკუნის 20-30-იან წლებში /თანამედროვე კონტექსტით/; „ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“, ტომი VI, თბ., 2017; საარქივო მასალები სრულად გამოქვეყნებულია მ. თედორაძის სადისერტაციო ნაშრომის დანართში; იხ.: მ. თედორაძე, ენობრივი ერთეულის სტატუსის განმსაზღვრელი კრიტერიუმები, (საუკუნოვანი დისკუსია ქართველური ენობრივი სამყაროს სეგმენტაციის შესახებ), ქუთაისი, 2018.

შაბლონის ტექსტი ასე გამოიყურება:

ოქმი №

..... პარტ. კომკავშირის გაერთიანებული კრებისა 1932 წლის „ „ მარტიდან და ესწრებოდნენ პარტიის წევრები „ „ , კანდიდატი „ „ , კომკავშირის წევრ-კანდიდატი „ „ , მდივნობდა: ამხ. .....

<u>მოისმინეს:</u>

ინფორმაციული მოხსენება კომ. უჯრედის მდივნისა, ამხ. ..... სამეგრელოს საკითხის შესახებ.

<u>დაადგინეს:</u>

*1. პარტ. კომკავშირის გაერთიანებულმა კრებამ მოისმინა ინფორმაციული მოხსენება კომ. უჯრედის მდივანი ამხ. ..... სამეგრელოს საკითხის შესახებ. პარტ. კომკავშირის გაერთიანებული კრება აღნიშნავს, რომ ზუგდიდის რაიონის ზოგიერთი ხელმძღვანელი ამხანაგები **ამხანაგ ი. ჟვანიას მეთაუროობით დიდი ხანია ცდილობენ, რომ სამეგრელო გამოაცხადონ ავტონომიურ ოლქად** (აქ და ქვემოთაც ხაზი ჩემია – ტ. ფ.). ამ მიზნით ისინი მიმართავენ ყოველგვარ ღონესა და საშუალებას. **ზოგ შემთხვევაში თავს აცხადებენ სამეგრელოს წარმომადგენლებად და ლაპარაკობენ მთელი სამეგრელოს სახელით.***

*..... პარტ. კომკავშირის გაერთიანებული კრება კატეგორიულ პროტესტს აცხადებს ზუგდიდის რაიონის ზოგიერთ ხელმძღვანელ ამხანაგების მიერ უფლებების უკანონოდ მითვისების გამო და გადაჭრით აცხადებს, რომ **ამხ. ი. ჟვანიას და მის თანამოაზრეებს არავითარი უფლება არა აქვთ ილაპარაკონ** ..... მშრომელი მოსახლეობის სახელით. თუ მას ასეთი მინდობილობა აღმოაჩნდა, იგი უსათუოდ ყალბია და უსაფუძვლო.*

*2. ..... პარტ. კომკავშირის გაერთიანებული კრება კატეგორიულად აცხადებს, რომ სამეგრელოს ავტონომიურ ოლქად გამოცხადება ან ყოფილი ზუგდიდის მაზრის ოლქად გამოცხადება, ან ზუგდიდის ყოფილი მაზრის რაიონების ერთ რაიონად გაერთიანება ..... სოფლის ზუგდიდთან შეერთება არ არის ..... სოფლის მშრომელი მოსახლეობის სურვილი, არამედ იგი სურვილია მხოლოდ ზუგდიდის რაიონის ზოგიერთ ხელმძღვანელ ამხანაგების და ამიტომ პარტ. კომკავშირის **გაერთიანებული კრება კატეგორიულ პროტესტს აცხადებს სამეგრელოს ავტონომიურ ოლქად გამოცხადების ცდის წინააღმდეგ, ან ზუგდიდის ყოფილი მაზრის ოლქად გამოცხადების ცდის წინააღმდეგ, აგრეთვე ზუგდიდის ყოფილი მაზრის ერთ რაიონად გაერთიანების ცდის წინააღმდეგ და ..... ზუგდიდის რაიონთან შეერთების ცდის წინააღმდეგ.***

*3. ..... პარტ. კომკავშირის გაერთიანებული კრება იწონებს საქ. კ. პ. /ბ/ და საქართველოს მთავრობის დადგენილებას **სამეგრელოს რაიონებში პირველ დაწყებით სასწავლებლებში გამოყენებული იქნეს მეგრული ენა, როგორც დამხმარე ენა ქართული ენის სწავლებით.***

მაგრამ არ იზიარებს სამეგრელოს პირველ დაწყებით სკოლებში მეგრული ენით დაწყების ცდას.

4. ..... პარტ. კომკავშირის გაერთიანებული კრება მხურვალედ ესალმება საქ. კ.პ. /ბ/ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს უმაღლესი მთავრობის დადგენილებას მეგრულ ენაზე გაზეთის გამოცემის გამო, მაგრამ აღნიშნავს, რომ ზუგდიდის რაიონის ხელმძღვანელობა, რომელიც ფაქტიურად ხელმძღვანელობს მეგრულ გაზეთ „ყაზახიში გაზეთს", ამახინჯებენ მეგრულ ენას და „ყაზახიში გაზეთს" ხდიან ქართული ენის უცოდინარი მშრომელი მეგრელი გლეხებისათვის გაუგებარს. რომ ქართული ენა, რომელიც ძალიან მონათესავეა მეგრულ ენასთან და ქართულ ენაში აუარებელი მეგრული სიტყვებია შესული და პირიქით, მეგრულ სიტყვებში აუარებელი ქართული სიტყვებია შესული, ეს გარემოება ქართულ ენას ადვილად შესათვისებლად ხდის მეგრელისათვის, ამასთან ერთად, პარტ. კომკავშირის კრება აღნიშნავს, რომ ქართულ კულტურასა და მეგრულ კულტურას, რომლებიც წარმოადგენენ ერთი და იგივეს, გაორებაგათიშვა ყოვლად დაუშვებელია. მიუხედავად ამისა, ზუგდიდის რაიონის ზოგიერთი ხელმძღვანელი, მათ შორის, „ყაზახიში გაზეთის" რედაქტორი, მიუხედავად ჩვენი არაერთი განცხადებისა, მაინც ამახინჯებს მეგრულ ენას. შეაქვთ რა მეგრულ ლექსიკონში მეგრელი გლეხისათვის სრულიად გაუგებარი, მათ მიერ ახლად გამოგონილი სიტყვები /ყაზკომი, დუდმახვენჯი, მელამოსე, სხუნუ, და სხვა უამრავი ასეთი სიტყვები/. ეძებენ აგრეთვე სამეგრელოს ფეოდალიზმისდროინდელ არქივებში დავიწყებულ სიტყვებს /მარქვალი, ვერწემი, ორთა ლმა კანჩხუ, ობუჭოლაია, ტაბაკის უნჩაში და სხვა უამრავი ასეთები/. იმისათვის რომ დააშორონ მეგრული ენა ქართული ენისაგან და ამით გაუძნელონ მეგრელ ბავშვს ქართული ენის შესწავლა, ცდილობენ რა შექმნან მეგრული ლიტერატურა, მეგრული კულტურა, რაც დღევანდელი გაშლილი სოციალისტური მშენებლობისა და კულტურული რევოლუციის ხანაში მეგრელ მშრომელთათვის ყოვლად მიუღებელია. მეორეს მხრივ, მეგრული ენის ქართული ენისაგან დაშორებით ცდილობენ დაამტკიცონ მეგრელ მშრომელთათვის მიუღებელი სამეგრელოს ავტონომიური ოლქის ჩამოყალიბების აუცილებლობა. წალენჯიხის რაიონი ითვლება მთელ სამეგრელოში ყველაზე ჩამორჩენილ კუთხედ, მიუხედავად ამისა, ამ რაიონის მოსახლეთა ოჯახებში არ არის ისეთი ოჯახი, სადაც ერთი, ორი ან სამი ან კიდევ მეტი, და მთელ რიგ შემთხვევებში, მთელმა ოჯახის წევრებმა ქართული ენა არ იცოდეს. ის ფოქუსი და ეშმაკობა, რომელსაც ჩადის ზუგდიდის ზოგიერთი ხელმძღვანელი ამხანაგები, იმ დროს, როდესაც მათ ევლინებათ ცენტრიდან ქართველი ხელმძღვანელი ამხანაგები და უმტკიცებენ მათ, რომ უჯრედის უმნიშვნელო ნაწილმა იცის ქართული და ამის დასამტკიცებლად განგებ გამოწვეული გლეხი, თუნდაც ქართულის მცოდნე იყოს, მაინც მალავს და

ქართულის უცოდინრად აჩვენებს თავს, რაც ყოვლად მიუღებელი საქციელია.

5. საქ. კ.პ./ბ/ მეთექვსმეტე ყრილობის დადგენილება მაზრებისა და ოლქების დარაიონების შესახებ და ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებამ დაუახლოვა ხელისუფლება მასას, დიდად გააუმჯობესა კონკრეტული ოპერატიული ხელმძღვანელობა და დიდად შეუწყო ხელი სოფლების პოლიტიკური, კულტურული და სამეურნეო ზრდის სწრაფი ტემპით წარმართვას. განსაკუთრებით მეტისმეტად თვალსაჩინო დახმარება გაუწია მთაგორიანი ზემო სამეგრელოს, მითუმეტეს ჩვენი რაიონის სოფლებს. სოფლელ მშრომელთათვის ხელმისაწვდომი გახადა ხელისუფლება და მათ იგრძნეს მეტი შვება.

მშრომელი გლეხი დიდად აფასებს პარტიისა და ხელისუფლების ამ საუკეთესო ღონისძიებას. ყოველივე ეს უღვიძებთ მშრომელთ დიდ ენთუზიაზმს და სოციალისტური სახელმწიფოს ყველა დაკვეთებს პირნათლად ასრულებს. სულ სხვა მაზრის არსებობის დროს სიშორისა და ცუდი გზების გამო ძალზე ცუდი იყო მაზრის ხელისუფლების კონკრეტული ოპერატიული ხელმძღვანელობა. ის დაშორებული იყო მასას ან ნაკლები ყურადღება ექცეოდა ისეთ დაშორებულ სოფლებს, როგორიც იყო წალენჯიხის რაიონი. გლეხებისთვისაც ნაკლები მისაწვდომი იყო მაზრის ხელისუფლება. გლეხი ერიდებოდა ხარჯებს და დროის დაკარგვას, ამიტომ მთელი რიგი გლეხის კანონიერი მოთხოვნილება რჩებოდა დაუკმაყოფილებელი. ერთმა ნახევარმა წელმა განვლო დარაიონების შემდეგ და ეს განცხადება გლეხებისათვის ნათლად წარმოდგენილი გახდა. პარტ. კომკავშირის გაერთიანებული კრება იგებს რა ყველა ზემოთხსენებულ პირობებს, დარაიონების უპირატესობას და სარგებლიანობას, რათა არ ჩაქრეს ის ენთუზიაზმი, რომელიც გამოიწვია დარაიონებამ. ..... პარტ. კომკავშირის გაერთიანებული კრება სთხოვს საქ. ს. პ. /ბ/ ცეკას, რათა არ გააუქმოს წალენჯიხის რაიონი და მისცეს მას არსებობის საშუალება. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისათვის ნამდვილად აუტანელია ყოფილი ზუგდიდის მაზრის ზემომთაგორიან ნაწილში ორი წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონის შენახვა. მაშინ პარტ. კომკავშირის გაერთიანებული კრება სთხოვს საქ. კ.პ./ბ/ ცენტრალურ კომიტეტს, რათა გააერთიანოს წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონები ერთ რაიონად, იმ ადგილას, სადაც ამას აირჩევენ ორივე რაიონების მშრომელი მოსახლეობა.

6. თუ ვინცობაა ჩვენი თხოვნა დაკმაყოფილებული არ იქნება, იმ შემთხვევაში ეცნობოს საქ. კ. პ. /ბ/ ცეკას, რათა ყოველივე ზემოთ თქმულის გამოსარკვევად, ყოველი მიზეზის გარეშე მიაელინონ ავტორიტეტიანი კომისია, რომელიც გამოარკვევს და შეისწავლის ..... მთელი მშრომელი მოსახლეობის მოთხოვნილებას ამ საკითხში....

7. ეთხოვოს აგრეთვე, წალენჯიხის რაიონის პარტიულ კომიტეტს, რათა დასვას ეს საკითხი რაიკომის სხდომაზე და დაიცვას ჩვენი კანონიერი მოთხოვნილებანი.
8. ამ დადგენილების პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის მისართმევად და ჩვენი სოფლის მდგომარეობის და სურვილების ცენტრალური კომიტეტისათვის სიტყვიერად ასახსნელად არჩეული იქნეს დელეგატად ამხ. .... , რომელსაც დაევალოს ჩვენი დადგენილება მიართვას საქ. კ. პ. /ბ/ ცეკას მდივანს და სიტყვიერად აუხსნას ჩვენი სოფლის სურვილები და სულისკვეთება.
ზემოთ აღნიშნულ დადგენილებას ხელს ვაწერთ:
კრების თავ-რე: ..... მ დ ი ვ ა ნ ი: .....
პარტიის და კომკავშირის წევრ-კანდიდატები[84].

როგორც აღინიშნა, სამეგრელოდან თბილისში ამ ტიპის კოლექტიური წერილების გამოგზავნა იყო **ისაკ ჟვანიაზე** ლავრენტი ბერიას შეტევის **პირველი ეტაპი.**

მეორე ეტაპად უნდა მივიჩნიოთ, ზემოხსენებული „გაერთიანებული კრებების“ მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოს სახალხო განათლების კომიტეტის სახელით, სამეგრელოში ცნობილი ენათმეცნიერის – არნ. ჩიქობავას გაგზავნა; კერძოდ, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის მიხედვით, 1932 წლის აპრილში სამეგრელოში მუშაობდა ზუგდიდის რაიკომის მიერ შექმნილი კომისია („ბრიგადა“), რომლის შემადგენლობაში იყვნენ: ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილების გამგე, ზუგდიდის რაიკომის წარმომადგენელი და განსახკომის წარმომადგენელი ამხ. არნ. ჩიქობავა[85].

---

[84] შსს არქივი, ფ. 14, აღ. 6. №266, ფურც.220-223. შაბლონის ერთერთი შევსებული ვარიანტისათვის იხ. დანართი № 3.

[85] 1898 წელს დაბადებული არნ. ჩიქობავა 1926 წლიდან არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი. თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთაგან პირველმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია (1929 წ.). 1932–36 წლებში იყო სახელმწიფო ტერმინოლოგიური კომისიის სწავლული მდივანი. 1933 წელს დამტკიცებულ იქნა უნივერსიტეტის პროფესორად. 1933 წელს არნ. ჩიქობავას ინიციატივით უნივერსიტეტში დაარსდა კავკასიურ ენათა კათედრა, რომელსაც ხელმძღვანელობდა 1960 წლამდე. 1933–34 სასწავლო

პროცესი დასრულდა ლ. ბერიას საიდუმლო წერილით ი. სტალინისადმი, რომელშიც ავტორი ითხოვს, ქართველებად მოიხსენიონ საბჭოთა ხელისუფლების მიერ არაქართველებად ჩათვლილი აჭარლები, ლაზები, მეგრელები, სვანები...[86]. ეს წერილი ი. სტალინთან წინასწარი მოლაპარაკების გარეშე ვერ დაიწერებოდა: ჩანს, ამ დროს ი. სტალინი ქართველთა ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის შენარჩუნების სურვილს უკვე აღარ მალავდა.

ქვემოთ გავაანალიზებთ 1932 წლის დოკუმენტებს:

1932 წლის 23-27 აპრილს **სსსრ განათლების სახალხო კომისარის სახელზე მომზადდა კომისიის** (/„ბრიგადის“)[87] **მოხსენებითი ბარათი**. დოკუმენტში ჩამოყალიბებულია შემდეგი ძირითადი დასკვნები[88]:
ა) საბჭოთა საქართველოს მშრომელთათვის (მხედველობაში გვყავს ქართული გვარტომობის მოსახლეობა) მეცნიერებისა და ლიტერატურის ენა იყო და არის ქართული ენა, საქართველოს სახელმწიფო ენა. *სოციალისტური მშენებლობისა და კულტურული რევოლუციის ენა.*
ბ) ძირითადი პედაგოგიური საკითხი, რომელიც ამჟამად ისმის, ამ ხასიათისა არის: *წარმოადგენს თუ არა მეგრულად მოლაპარაკე ბავშვებისთვის ქართული ისეთ*

წელს არნ. ჩიქობავას თაოსნობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტთან ჩამოყალიბდა კავკასიურ ენათა განყოფილება. 1936 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა თავის მიერ დაარსებულ მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებას ენათმეცნიერების ინსიტუტში.

[86] დოკუმენტის ანალიზისათვის იხ.: ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია, ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ და საქართველო, ქუთაისი, 2010, გვ. 36-37; დოკუმენტისათვის იხ. დანართი № 11.

[87] კომისია ბრიგადის სახელითაა მოხსენიებული განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომის ოქმში.

[88] დოკუმენტი: დანართი № 4.

იარაღს, რომელიც მის ბუნებრივ განვითარებას ზღუდავს?

უნდა ითქვას, რომ ფსიქოლოგია მეგრულ მეტყველებისა იმდენადვე ახლო სდგას ქართულთან, რამდენად ახლო სდგას ქართულთან რომელიმე ხევსურის ფსიქოლოგია. იმდენადვე მეგრულად მოლაპარაკე ბავშვებისათვის ქართული ენა ნორმალურ იარაღს წარმოადგენს, როგორც ვსთქვი, წარმოადგენს იმავე ხევსურისათვის, სვანისათვის. **ქართული ენა მეგრელი და სვანი ბავშვების ნორმალური განვითარებისათვის ისეთივე ბუნებრივი და პედაგოგიურად მიზანშეწონილი იარაღია, როგორც ხევსური და გურული ბავშვებისათვის.** არ შეიძლება დავიწყოთ, რომ სალიტერატურო ქართული ენა განსხვავდება (ზოგჯერ თვალსაჩინოდაც) თვით ქართული კუთხური მეტყველებისაგან (მაგ. თუშური, ხევსურული, გურულისაგან). სალიტერატურო ქართულს თვით ქართულად მოუბარნიც სწავლობენ.

გ) ***ისტორიულად მეგრულის უფლებებისათვის იღვწოდა (ანბანის შედგენა და სხვა)*** *თვითმპყრობელობა (იგულისხმება მეფის რუსეთი – ტ. ფ.),* ***ე.ი. სწორედ ის ძალა, რომელიც ქართული ენის უფლებებს ხშავდა:*** მეგრულის უფლებებისათვის ზრუნვა ქართულის შევიწროების საშუალება იყო. კულტურულ-ისტორიულად საზოგადოებრივ-პოლიტიკურად მეგრული ენის უფლებების საკითხის გაჩენა საქართველოში ისევე წარმოუდგენელია, როგორც წარმოუდგენელია „დაჩაგრული მეგრული“. ამჟამად მეგრული ენის ქართული სალიტერატურო ენისათვის დაპირისპირება საუკეთესო შემთხვევაში არის ფეოდალური საქართველოს კუთხური კარჩაკეტილობის და წეწვა-გლეჯის ფსიქოლოგიის რეციდივი.

დ) ქართულად სწავლება სავსებით შესაძლებელია პირველი ჯგუფებიდანვე. ***პედაგოგიურად საჭიროა და პრაქტიკულად აუცილებელი სწავლების პროცესში გამოვიყენოთ მეგრული, როგორც დამხმარე საშუალება ქართულად მოცემული მასალის შეთვისების გასაადვი-***

ლებლად“ (უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი – ფ. 300, ა.12, №26, ფ. 44-47); მეორე დოკუმენტში უფრო დაზუსტებულია ეს საკითხი:
*მეგრულის საკითხი არის პრაქტიკული საკითხი. სამეგრელოს მოსახლეობა აღმოსავლეთ სანაპიროს გამოკლებით ოჯახში ქართულად არ ლაპარაკობს (იქაც კი, სადაც ყველას ესმის ოჯახში ქართული). ბავშვები სკოლაში რომ მოდის, მან ქართული ჩვეულებრივად არ იცის, **ამიტომ პრაქტიკულად აუცილებელია მეგრული იქნეს გამოყენებული, როგორც დამხმარე საშუალება ქართულის შეთვისებისას და შესათვისებლად.** არა თუ პირველ ჯგუფში, უფროს ჯგუფშიაც მასწავლებელს მოუხდება მეგრულის წაშველიება; ამისათვის, რა თქმა უნდა, არც მეგრული სახელმძღვანელოა საჭირო და არც მეგრული ტერმინოლოგია, რომელთაც ებღაუჭებიან სწორედ ისინი, ვისაც სურს მეგრულის საკითხი პრინციპულ-პოლიტიკურ საკითხად აქციოს და მეგრული ქართულისაგან გასამიჯნ საშუალებად გამოიყენოს, რასაც, რა თქმა უნდა, არაფერი აქვს საერთო ლენინურ პოლიტიკასთან“ (უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი – ფ. 300, ა.12, №26, ფ. 1-6)“.*

ჩანს, ამ მოხსენებითი ბარათის შინაარსი მალევე ცნობილი გახდა სტალინელი კოლაბორაციონისტებისათვის; ამას მოჰყვა **ტარას შენგელიას 1933 წლის საჩივარი:** „სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს, ამხ. ი. სტალინს, სსრ კავშირის ცკ-ის თავმჯდომარეს, ამხ. კალინინს და სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს, ამხ. მოლოტოვს“, რომელშიც, ი. სტალინის ზემოთ დამოწმებულ კონცეფციაზე დაყრდნობით, ტ. შენგელია სამეგრელოს მოსახლეობის სახელით ითხოვდა აჭარის ავტონომიის მსგავს ავტონომიას სამეგრელოსათვის და მეგრული სამწიგნობრო ენისა და ლიტერატურის შექმნას[89]. **ამავე საჩივარში გალანძღულია არნ. ჩიქობავა;** კერძოდ, ვკითხულობთ:

[89] საარქივო მასალა, იხ. დანართი №8.

*„განათლების სახალხო კომიტეტმა ზუგდიდის რაიონში მიავლინა **„მეგრელი“ ჩინოვნიკი, „პროფესორი“ ჩიქობავა დავალებით, რომ ამ „მეგრელ ვაი მეცნიერს“ „მეცნიერეული“ თვალსაზრისით შეეჯამებინა დაწყებით სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლება** (ხაზი ჩვენია). ამ მეცნიერმა ზუსტად შეაჯამა შედეგები და დაწერა: „მართალია მეგრელი ბავშვები უკეთ ითვისებენ მასალას მშობლიურ მეგრულ ენაზე, ვიდრე მათთვის გაუგებარ ქართულ ენაზე, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ შემდგომში მეგრულიდან ქართულ ენაზე გადასვლა გაძნელდება, ამიტომ მეგრული სკოლების პირველივე ჯგუფებიდანვე ამოღებული უნდა იქნეს მეგრულ ენაზე სწავლება; ანუ სამომავლო „პერსპექტივისათვის“, უკვე დღეს გავწიროთ მეგრული ენა“. ასეთ „საფუძვლიან“ „მეცნიერეულ“ ანტილენინურ გამოსვლას დაეთანხმა ზუგდიდის პარტიის რაიკომის ახალი ხელმძღვანელობა და გადაწყვიტა მომავალი სასწავლო წლიდან სამეგრელოს დაწყებით სკოლებში დაეკანონებინათ ქართულ ენაზე სწავლება. ამ „ჭკვიანური“ გადაწყვეტილებით ზუგდიდის ახალი ხელმძღვანელობა განათლების სახკომთან ერთად ცვლის სკპ(ბ) ცკ-ის დადგენილებას კავკასიის ნაციონალური კომიტეტის და საერთოდ ლენინურ-სტალინურ სწავლებას ნაციონალურ საკითხის შესახებ*[90].

---

[90] წერილის ამ მონაკვეთის განსხვავებული თარგმანისა თუ კომენტარებისათვის იხ.: ვ. გვარამია, გ. ციციშვილი, „მეგრული საკითხი“, თბ., 2009, გვ. 299-300; 192-294; შდრ., თარგმანი: „საქართველოს განსახკომმა ზუგდიდის რაიონში მოავლინა „მეგრელი“ ჩინოვნიკი „პროფესორი“ ჩიქობავა იმ მიზნით, რომ ამ ვაი „მეცნიერს“ „მეცნიერული“ თვალსაზრისით შეეჯამებინა დაწყებით სკოლებში მეგრულ ენაზე ბავშვების სწავლება. ამ „მეცნიერმა“ ზუსტად შეაჯამა შედეგები და დაწერა: მართალია, მეგრელი ბავშვები მშობლიური მეგრული ენით უკეთ ითვისებენ, ვიდრე გაუგებარი ქართული ენით. მაგრამ მხედველობაში მისაღებია. რომ შემდეგ

ამ ცილისმწამებლური წერილის („დანოსის")[91] დაწერიდან 1 თვეში, 1933 წლის 25 მაისს, **სსრ განათლების სახალხო კომისარს** არნ. ჩიქობავამ **წარუდგინა** დამატებითი განმარტებითი მოხსენება[92] და 1933 წლის 25-27 მაისს ზუგდიდის რაიონში მომუშავე ახალი კომისიის – ვუკოლ ბერიძის[93] კომისიის – დასკვნაც. ახალი კომისიის შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: ხობის რაიკომის მდივანი, ჩხოროწყუს რაიონის განათლების განყოფილების გამგე, გალის რაიონის განყოფილების გამგე, ენისა და სამეცნიერო

მეგრულიდან ქართულზე გადასვლა ძნელი იქნება, ამიტომ მეგრულ სკოლებში პირველივე ჯგუფებიდან ამოღებული იქნას მეგრული ენა... ასე დამაჯერებელ „მეცნიერულ" დასკვნას დაეთანხმა ზუგდიდის პარტიის რაიკომის ახალი ხელმძღვანელობა და გადაწყვიტა მომდევნო სასწავლო წლიდან დაწყებით მეგრულ სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების დაკანონება".

გვარამია-ციციშვილის ციტირებაში ფრაზა: „მეგრელი ვაი მეცნიერი" შეცვლილია ფრაზით: „ვაი მეცნიერი".

[91] არაჯანსაღი ინტერესით დაწერილი მსგავსი ინდივიდუალური თუ „კოლექტიური" აგრესია პოსტსაბჭოთა პერიოდშიც არ არის იშვიათი მოვლენა (იხ., მაგ., ბროშურა: „ქართველური ენები და დიალექტები (ერთი სამეცნიერო პოლმიკის გამო)", თბ., 2007. წინა ადმინისტრაციისაგან განსხვავებით, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ამჟამინდელი ხელმძღვანელები: დირექტორი პროფ. **ნანა მაჭავარიანი**, მოადგილე პროფ. **ნინო ჯორბენაძე** ღირსეული მშობლების (/წინაპრების) გზას აგრძელებენ თანამედროვე ლინგვისტური ქართველოლოგიის განვითარების მიმართულებით.

[92] სრულად გამოქვეყნდება საარქივო დოკუმენტების წიგნში, რომელსაც კოლეგებთან ერთად ვამზადებ გამოსაცემად.

[93] ვუკოლ ბერიძემ 1912 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. 1922–1932 წლებში ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში კითხულობდა ქართული ენისა და ლიტერატურის კურსს. იყო 1925 წლის დასაწყისში შექმნილი „ცენტრალური სამეცნიერო-სატერმინოლოგიო კომიტეტის" თავმჯდომარე. 1932 წლიდან მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი უშუალო მონაწილეობით დამუშავდა სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონები.

ტერმინოლოგიის კომისიის თავმჯდომარე ვუკოლ ბერიძე, ხობის რაიონული განყოფილების გამგე. კომისიის დასკვნა ხელმოწერილია 1933 წლის 27 მაისს. ამ კომისიის დასკვნაში გამეორებულია არნ. ჩიქობავას კომისიის ძირითადი პუნქტი:

„მეგრულ ენაზე სწავლების შემოღება თუნდაც 1-ლ ჯგუფში არაფრით არ შეიძლება გამართლებულ იქნეს. ***სწავლება პირველი ჯგუფიდანვე ქართულ ენაზე უნდა მიმდინარეობდეს,*** *ხოლო მეგრული ენა გამოყენებული უნდა იქნეს, როგორც დამხმარე არა მარტო პირველ ჯგუფში, სადაც მეგრული ენა უფრო* ფართოდ გამოიყენება, არამედ ზედა ჯგუფებშიაც“.

სამივე დასკვნა განიხილა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ 1933 წლის 25 მაისის[94] სხდომაზე. სხდომას ესწრებოდნენ: განათლების სახალხო კომისარი ამხ. ერმილე (ერიკი) ალექსის ძე ბედია /საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და კულტურის განყოფილების გამგე/, გაბრიელ გოგუაძე (კოლეგიის მდივანი), ზუგდიდის განათლების განყოფილების გამგე, ამხ. შალვა ფაჟავა (ბრიგადის წევრი), განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი, **ენათმეცნიერი** არნ. ჩიქობავა (ბრიგადის წევრი); **სხვა ენათმეცნიერები:** ვუკოლ ბერიძე, ვარლამ თოფურია, გიორგი ახვლედიანი; ასევე: ამხ. გვიჩია (ქართული ჯგუფის მასწავლებელი), ბერიძე, ამხ. ანჯაფარიძე (მეგრული ჯგუფის მასწავლებელი); განათლების განყოფილების გამგეები: ხობის, ჩხოროწყუს, გალის რაიონებიდან და აფხაზეთიდან: ამხ. პერტაია, ამხ. ზამთარაია (გალის რაიონი), ამხ. დანელია (ხობის რაიონი), ამხ. ქაცარავა, ამხ. კარპეზ ბერიძე, ამხ. ისაკ ჟვანია...

ჩვენთვის საინტერესოა ამ სხდომაზე გამოსული ვუკოლ ბერიძის, გიორგი ახვლედიანისა და არნ. ჩიქობავას მოსაზრებები მეგრულის სტატუსის შესახებ:

---

[94] 27 მაისს ხელმოწერილი დასკვნა განიხილეს 25 მაისს? დასაზუსტებელია არქივის პირველი ან მეორე დოკუმენტის თარიღი.

ვუკოლ ბერიძე (გვ. 29-30): არქივში არის დაცული (ცნობები), საიდანაც რუსი მოხელეები ამტკიცებენ, რომ მეგრულზე შესაძლებელი არის მწერლობა დაფუძნდეს, 1884 წელს ცირკულიარი არის გაგზავნილი იანოვსკის მიერ; მათი მიზანი იყო არა მეგრულის დამკვიდრება, არამედ ქართულის განდევნა სკოლებიდან: „მეგრელების ჩამოშორება, რომ ქართველების მთლიანი ოჯახი დასუსტებულიყო“... რაც შეეხება კითხვას: არის თუ არა მეგრული დამოუკიდებელი ენა? „არის მიდგომა **ლინგვისტიკური** და არის მიდგომა **საზოგადოებრივ პოლიტიკური** (ხაზი ჩემია – ტ. ფ.)... უდიდესი მეცნიერი ნიკო მარი გარკვევით ლაპარაკობს:

„მეგრული ლინგვისტურად ენაა, რომელიც საინტერესო მასალას იძლევა საერთო ქართულის შესასწავლად, მაგრამ **საზოგადოებრივ კულტურულ-ისტორიულად იგი დიალექტია** (ხაზი ჩემია – ტ. ფ.). საზოგადოებრივ-კულტურულად **მეგრელთა მშობლიური** სამრეწველო კულტურული **ენა** არის ქართული...“ (ხაზი ჩემია – ტ. ფ.).

გიორგი ახვლედიანი (გვ. 41): „ენის ფსიქოლოგია ქართულსა და მეგრულს ერთი და იგივე აქვთ. ეს ის არის, რომ აზროვნების იარაღი ჩვენთვის და მეგრელებისათვის ერთი და იგივე არის ძირითადად. მაშასადამე, აზროვნების იარაღი არ მახინჯდება. მხოლოდ აქ არის ლექსიკის ამბავი: აქ კი დამახინჯება არის. მაშასადამე, კვადრატში აყვანილი დამახინჯების, რადგან /ენის/ სტრუქტურა ერთი და იგივე ყოფილა“.

არნ. ჩიქობავა (გვ. 52): **„ქართული ენა მეგრელი ბავშვის კულტურული განვითარებისათვის არის ბუნებრივი იარაღი“.**

სხდომას აჯამებს კოლეგიის თავმჯდომარე, განათლების სახალხო კომისარი **ერმილე ბედია** (გვ. 59): „ნუთუ ისეთი ბრმები ვართ, რომ არ დავინახოთ, რომ სამეგრელოს ახალგაზრდობის აღზრდა საშუალო, უმაღლესი უნდა მოხდეს ქართულ ენაზე. რა საჭიროა ნიკო მარის თეორია მეგრული დამოუკიდებელი ენის შესახებ?!“[95]

---

[95] კოლეგიაზე გამომსვლელთა სრული სტენოგრამა დართული აქვს მ. თედორაძის სადოქტორო დისერტაციას: „ენობრივი ერთე-

1932-33 წლებში, ფაქტობრივად, ნ. მარისა და ი. სტალინის მიდგომების საწინააღმდეგოდ შემუშავებული ეს თვალსაზრისი არნ. ჩიქობავამ შემდგომ პერიოდში სრულყო; კერძოდ, ის ხაზგასმით წერდა, რომ მეგრელთა, ლაზთა, სვანთა ისტორიული სამწიგნობრო ენაა (/დედაენაა, ეროვნულ ენაა) ქართული ენა[96]; თუმცა, ბოლომდე ვერ შეეწინააღმდეგა რა ი. სტალინს, სვანური და ზანური **ტომობრივ** ენებად ჩათვალა, თუმცა სტატუსით ისინი გაუთანაბრა ქართველთა სხვა დიალექტებს[97].
შდრ., მეგრული მეტყველების სტატუსის შესახებ სხვადასხვა დროს არნ. ჩიქობავას მიერ გამოთქმული გარკვეულწილად ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისები:

არნ. ჩიქობავა, 1936 წელი (ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936, გვ. 3): „ჭანური და მეგრული ორივე კილოა ერთი ენისა, რომელიც ქართველურ ენათა ჯგუფის მესამე წევრს წარმოადგენს; ცალკე ენებად ჭანურსა და მეგრულს ისევე ვერ მივიჩნევთ, როგორც ხევსურულსა

ულის სტატუსის განმსაზღვრელი კრიტერიუმები (საუკუნოვანი დისკუსია ქართველური ენობრივი სამყაროს სეგმენტაციის შესახებ)“, ქუთაისი, 2018. სრულად დაიბეჭდება ავტორთა ჯგუფის წიგნში, რომელსაც ვამზადებთ გამოსაცემად.

[96] „დედაენა“ და „ეროვნული ენა“ ამ კონტექსტში სინონიმებია; შდრ., ზოგი დღეს ცდილობს, მაგ., მეგრელთა დედაენად გამოაცხადოს მეგრული, მეგრელთა ეროვნულ ენად კი – ქართული. არნოლდ ჩიქობავა, გურამ რამიშვილი და სხვა ცნობილი სპეციალისტები „დედაენისა“ და „ეროვნული ენის“ გახლეჩას არ უშვებდნენ. გარკვეული პირობითობით ქართულენოვან ტექსტებშიც „ეროვნული ენა“ შეიძლება გამოყენებული იყოს „სახელმწიფო ენის“ მნიშვნელობითაც.

[97] დიდი რისკი იყო, ვინმე რადიკალურად დაპირისპირებოდა ი. სტალინს. პეტრე ჭარაიასა და სილოვან ხუნდაძისაგან განსხვავებით, ბოლშევიკური რეჟიმის პერიოდში არნ. ჩიქობავამ შუალედური პოზიცია არჩია: არ უარყო უმწერლობო ქართველური ენების არსებობა, მაგრამ მეგრული ჩათვალა უმწერლობო ზანური ენის დიალექტად.

და გურულს; ეს უკანასკნელნი, როგორც ცნობილია, ქართული ენის კილოებს წარმოადგენენ; ფონეტიკურად, მორფოლოგიურად და სინტაქსურად, ლექსიკითაც კი, ჭანური და მეგრული, როგორც ქვევით დავინახავთ, უფრო ახლოს დგას ერთმანეთთან, ვინემ გურული და ხევსურული; ხევსურული და გურული კილოებია ქართული ენისა; ჭანურიცა და მეგრულიც კილოებია, ოღონდ ქართული ენისა კი არა, არამედ ცალკე ენისა, რომელიც ქართულთან გაცილებით უფრო ახლოსა დგას, ვინემ სვანური. ამ ენას **პ ი რ ო ბ ი თ ა დ** ზანურს ვუწოდებთ".

არნ. ჩიქობავა, 1938 წელი (ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. XII): **„ზანური (ჭანურ-მეგრული) მიჩნეულია ქართულის** (ზუსტად რომ ვთქვათ, იმ ენისა, რომლის გაგრძელებასაც ისტორიულად ცნობილი ქართული წარმოადგენს) **დიფერენციაციის შედეგად** (და არა დიფუზიური ბგერების მქონე რაღაც X-მეტყველების დიფერენციაციის შედეგად); ამ ქართულს ჩამოყალიბებული სახით უკვე გააჩნდა ყველა ის ფონემა, რაც მასში დღეს მოგვეპოვება (რ, ჰ და ს-ს გარდა) ".

არნ. ჩიქობავა, 1948 წელი (ქართველური ენები, მათი ისტორიული შედგენილობა და დამახასიათებელი ძველი ნიშან-თვისებები)[98]: „სპეციალურ ლიტერატურაში ქართველურ ენათათვის ამოსავლად ჩვეულებრივ მიაჩნიათ „წინარე-ქართველური ენა", – ერთგვარი გაუდიფერენცირებელი სუბსტრატი (ავტორი გულისხმობს ნ. მარის თვალსაზრისს – ტ.ფ.), – თანამედროვე ქართველური ენები კი ითვლება იმ „წინარე-ქართველური" ენის დიფერენციის შედეგად. ქართველურ ენათა ისტორია ამგვარ ვარაუდს არ ამართლებს. ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობის რაობის ანალიზი ცხადყოფს, რომ:

---

[98] Арн.Чикобава, Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик; იკე, ტ. II, თბ., 1948.

ა) ზანური ენის (მეგრულ-ჭანურის) ამოსავალია **უკვე ჩამოყალიბებული** მეტყველება იბერიული წყების ერთ-ერთი დიალექტისა, **რომელიც დალექილია** ძველი ქართული სამწერლო ენის შედგენილობაში. მაშასადამე, მოხსნილია საკითხი ამოსავალი – სადიფერენციო – მასალის ამორფული ხასიათის შესახებ.
ბ) რაც შეეხება **სვანურს**, რომელიც ნარევ ენას წარმოადგენს (ნ. მარი), მისი ერთ-ერთი ფენა ზანურს იმეორებს, მეორე – ძველი **ქართული** სამწერლო ენის მონაწილე **ერთ-ერთ დიალექტს,** მესამე კიდევ – **ადიღეურს**" (ხაზგასმა ყველგან ეკუთვის არნ. ჩიქობავას)[99].

არნ. ჩიქობავა, 1952 წელი („ენათმეცნიერების შესავალი"): „ქართული სალიტერატურო ენა ყველა ქართველი ტომის მწიგნობრობის ენა იყო ისტორიულად და არის ამჟამადაც, ქართლელი და აჭარელი, კახელი და იმერელი, თუში და მეგრელი, ხევსური და აფხაზი, ფშაველი და სვანი, ინგილო და ლაზი... ამ ენაზე სწავლობს სკოლაში, ამ ენას იყენებს კულტურული წინსვლის იარაღად. ასეა ეს საბჭოთა ხელისუფლების დროს; ასე იყო ეს მრავალი საუკუნის მანძილზე: არც აფხაზებს, არც სვანებს, არც მეგრელებსა და არც ჭანებს (ლაზებს), სხვა სამწერლო ენა არა ჰქონიათ. მეფის მთავრობის ცდა (მეცხრამეტე საუკუნის მეოთხმოცე წლებში) მეგრულად შემოეღო სწავლა სამეგრელოს სკოლებში და მით ქართული ენა სამეგრელოს სკოლებიდან განედევნა, მარცხით დამთავრდა: თუ **დედა-ენას** ასწავლიდნენ ქართველ ბავშვს სკოლაში, **ეს ენა ქართული იყო ყველა ქართველი ტომისათვის** (არნ. ჩიქობავა, 1952, 363).

---

[99] საერთოქართველურისა და თანამედროვე ქართველური ქვესისტემების ისტორიული მიმართებების ამსახველი სხვადასხვა სქემის შესახებ იხ. დანართი № 14.

არნ. ჩიქობავა, 1958 წელი (გაზეთი „კომუნისტი“, 1958:3): **„ქართული სალიტერატურო ენა შექმნილია მთელი ქართველი ხალხის მიერ, იგი კუთვნილებაა მთელი ქართველობისა, – იქნება ეს ქართველი** – ხევსური თუ სვანი, კახელი თუ მეგრელი, ქართლელი თუ აჭარელი... თვით დაქუცმაცებულ ფეოდალურ საქართველოშიც კი სხვა სამწერლო ენა არა ჰქონიათ არც მეგრელებსა და არც სვანებს. ქართული სალიტერატურო ენა ერთადერთი **ეროვნული ენაა** მთელი ქართველობისათვის; ასე იყო წარსულში და მით უფრო ასეა ახლა, როცა საბჭოთა საქართველოში სოციალისტურ ქართველ ერში შედუღაბებულია როგორც ქართველობის განუყრელი ორგანული ნაწილი, მეგრელი, ჭანი და სვანი ისევე, როგორც ქართლელი, კახელი, აჭარელი, თუში... **დიდმა ქართველმა პედაგოგმა ი. გოგებაშვილმა დედა-ენა უწოდა იმ წიგნს, რომელსაც ყოველი კუთხის ქართველი ბავშვი, სვანი ისევე, როგორც ფშაველი, მეგრელი ისევე, როგორც აჭარელი, ქართლელი და კახელი... იღებს პირველად ხელში, რომ ერთიან ნაციონალურ ქართულ ენას დაეუფლოს,** დაეუფლოს იმ ენას, რომლითაც ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ შექმნეს ქართული ლიტერატურის შესანიშნავი ნიმუშები, იმ ენას, რომელიც განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა საბჭოთა დროის სახელოვანი ქართველი პროზაიკოსებისა და პოეტების შემოქმედების წყალობით“.

არნ. ჩიქობავა, 1969 წელი (გაზეთი „სამშობლო“; 1969: 4): „კუთხური კილოკავების მთელი წყება გვაქვს, სალიტერატურო ქართული ენა კი ერთია ყველა კილოკავზე მოუბართათვის, ერთობლივ ყველა კუთხის ქართველთათვის. ქართლელი იქნება იგი, აჭარელი, ფშაველი თუ სვანი, ხევსური თუ მეგრელი. ეს ერთი სალიტერატურო ქართული ენა ქართველობის **ეროვნული ენაა,** სკოლისა და სასამართლოს ენა, თეატრისა და რადიოგადაცემათა ენა, იგი საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ენას წარმოადგენს“...

ჩემი მხრივ, დავძენ:
წარმართობის დროს (ქრისტიანობამდე) ქართველთა ერთიანი ღვთისმსახურების (ეროვნული) ენის არსებობას ცხადყოფს სვანეთში, ტაო-კლარჯეთში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, სამეგრელოსა თუ ქართლ-კახეთში ჩაწერილი წარმართული **შელოცვების ენა;** მაგ., სვანეთში ჩაწერილი შელოცვების დიდი უმრავლესობის ენა არის არქაული სამწიგნობრო ენა (შეუძლებელია, სვანეთში ქრისტიანობის გავრცელებისა თუ სვანური კილოების ჩამოყალიბების შემდეგ შეესწავლათ წარმართული შელოცვები)[100].

სრული საფუძველი გვაქვს, ყოველივე ზემოთქმული ასე შევაჯამოთ:
ი. სტალინის (/ნიკო მარის) თავდაპირველ „სოციოლინგვისტურ" „თეზისს", რომლის მიხედვითაც საბჭოთა იმპერიის ენობრივი პოლიტიკა იგეგმებოდა 1913-1932 წლებში (და რომელიც ენობრივ-ეთნიკურად ანაწევრებდა ქართველ ერს), იმთავითვე შეეწინააღმდეგნენ ქართველი საზოგადო მოღვაწეები (კონსტანტინე გამსახურდია, თედო სახოკია, შალვა დადიანი...), ბოლშევიკთა ერთი ნაწილი (ალ. გეგეჭკორი, ლ. ბერია) და ქართველი ენათმეცნიერები: სილოვან ხუნდაძე, არნოლდ ჩიქობავა, ვუკოლ ბერიძე, გიორგი ახვლედიანი, ვარლამ თოფურია[101]... თუმცა, მათ

---

[100] იხ.: ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, ნ. ნაკანი, რ. ხაჭაპურიძე, შელოცვების ენა ქართველური დიალექტების მიხედვით, ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთაისი, 2001; წაკითხულია მოხსენებად სიმპოზიუმზე: ქუთაისური საუბრები, VII, 3-5 მაისი, 2000 წ., გვ. 63-66; სიმპოზიუმის თემა: ღვთისმსახურება – ენობრივი და კულტურული ასპექტები.

[101] შემთხვევითი არ ჩანს, რომ ენობრივი ფაქტების კვალიფიკაციის სფეროში ს. ხუნდაძეს მკვეთრად დაუპირისპირდა აკ. შანიძე; იხ.:

შორისაც შეინიშნებოდა გარკვეული სხვაობა; კერძოდ, **სილოვან ხუნდაძე და ალექსანდრე გეგეჭკორი უკომპრომისოდ დაუპირისპირდნენ ი. სტალინის მიდგომას,** რაც, საბოლოო ჯამში, მათი სრული იგნორირებით დასრულდა (შემთხვევითი დამთხვევა: ორივე გარდაიცვალა 1928 წელს).

იმხანად უფრო პრაგმატული აღმოჩნდა არნ. ჩიქობავას, გ. ახვლედიანის, ვ. ბერიძის და სხვა ლინგვისტების **გარკვეულწილად კომპრომისული თვალსაზრისი;** კერძოდ, მათ არ გაიზიარეს იოსებ სტალინის (/ნიკო მარის) ე.წ. ოთხი ქართველური ენის თეორია და ხელი შეუშალეს სამეგრელოსა და სვანეთში ქართული ენის, როგორც ისტორიული დედაენის, ჩანაცვლებას ადგილობრივი კუთხური მეტყველებებით. **ამ მიმართულებით ლიდერად ჩანს არნ. ჩიქობავა.**

ზოგადად თუ ვიტყვით, ბოლშევიკების რეპრესიული რეჟიმის პირობებში ენათმეცნიერისაგან ი. სტალინის ენობრივი პოლიტიკის უარყოფა **სამოქალაქო გმირობის** ტოლფასი იყო[102]. მე-20 საუკუნის 30-იანი წლების რეალო-

---

ტ. ფუტკარაძე, სილოვან ხუნდაძისა და აკაკი შანიძის პოლემიკა ქართველური ენობრივი ერთეულების კვალიფიკაციის შესახებ; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და იოსებ ოცხელის სახელობის N2 საჯარო სკოლის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია, მიეძღვნა ცნობილი საზოგადო მოღვაწის, პირველი ქართული გიმნაზიის /იოსებ ოცხელის სახელობის N2 საჯარო სკოლის/ ერთ-ერთი დამფუძნებლის – სილოვან ხუნდაძის დაბადებიდან 156-ე წლისთავს. ქუთაისი, 16 აპრილი, 2016 წ.; ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, სილოვან ხუნდაძის „ქართულ გრამატიკაში“ შეტანილი მეგრულ-სვანური მასალის შესახებ; ქართველური მემკვიდრეობა, XX, 2016, გვ. 85-92. იხ. ასევე, დანართი № 13.

[102] ბოლშევიკთა რეპრესიული რეჟიმის პირობებში არნ. ჩიქობავასა და გ. ახვლედიანზე ფიქოლოგიურ ზეწოლას ცხადყოფს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის 1934 წლის 21 მაისის სხდომის ოქმი (№13), რომელშიც დაგმობილია ივ. ჯავა-

ბის გათვალისწინებით, არნ. ჩიქობავას პოზიციის პარალელურად, ფრიად ფასეულია, ასევე, ვუკოლ ბერიძისა და გიორგი ახვლედიანის კომპრომისული თვალსაზრისი მეგრულის სტატუსის შესახებ:

„საზოგადოებრივ კულტურულ-ისტორიულად მეგრული დიალექტია, საზოგადოებრივ-კულტურულად **მეგრელთა მშობლიური** სამრეწველო კულტურული **ენა** არის ქართული...“ (ვ. ბერიძე); „ენის ფსიქოლოგია ქართულსა და მეგრულს ერთი და იგივე აქვთ; ეს ის არის, რომ აზროვნების იარაღი ჩვენთვის და მეგრელებისათვის ერთი და იგივე არის ძირითადად (გ. ახვლედიანი)[103].

რა არის არნ. ჩიქობავას, ვ. ბერიძის, გ. ახვლედიანის და ვ. თოფურიას გონივრული კომპრომისის არსი?

1913 წელს დაწერილ წიგნში: „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ ი. სტალინი წერდა, რომ მეგრელთა დედაენა არის „დაგვიანებული ერის“ უმწერლობო ენა.

ხიშვილისა და გრ. წერეთლის მოღვაწეობა, **ნაწილობრივ შეწყალებულნი არიან არნ. ჩიქობავა და გ. ახვლედიანი**; ასევე, **დიდი მეცნიერის** - აკ. შანიძის შესახებ კი ნათქვამია: *„პროფ. აკ. შანიძე თითქოს არ იზიარებს ჩიქობავა-ახვლედიანის შეხედულებას, მაგრამ ვერ ბედავს ამის სააშკარაოზე გამოტანას“*. **დოკუმენტისათვის იხ. დანართი № 13.**

[103] მონათესავე ენობრივი სახესხვაობების სტატუსი სწორედ საზოგადოებრივ-კულტურული ანუ სოციოლინგვისტური (!) კრიტერიუმებით განისაზღვრება და არა – ფონეტიკა-გრამატიკაში არსებული რაოდენობრივი/თვისობრივი ცვლილებებით (ვრცლად იხ. ქვემოთ); მაგ., ერთი ენობრივი სისტემა აქვს რუსულ, ბელორუსულ და უკრაინულ ენებს, მაგრამ დამოუკიდებელ ენებადაა კვალიფიცირებული სწორედ „საზოგადოებრივ-კულტურული“ საფუძვლით; **შდრ., საპირისპირო ვითარება:** მკვეთრად განსხვავებული ენობრივი სისტემა აქვს ბუხარულ და ალჟირულ მეტყველებებს, მაგრამ, რამდენადაც, ბუხარელიც და ალჟირელიც არაბია, მათი დედაენაა არაბული; შესაბამისად, არაბულის გვერდით ბუხარული და ალჟირული დიალექტებადაა კვალიფიცირებული.

შდრ. სილოვან ხუნდაძის საპირისპირო თვალსაზრისი (რომელიც რეალურად ასახავდა ისტორიას, აგრძელებდა საუკუნოვან ტრადიციას და ბუნებრივი იყო ქართველი მოღვაწეებისთვისაც): „სხვა ქართველთა მსგავსად, მეგრელთა დედაენაა ქართული ენა; მეგრული კი არის მეგრელთა საშინაო მეტყველება – დედაენის, ქართული ენის დიალექტი“[104].

კომპრომისული პოზიცია:

მეგრელების დედაენა არის ისტორიული ქართული სამწიგნობრო ენა; მეგრული ლინგვისტურად კი არის ენა[105], მაგრამ საზოგადოებრივ-პოლიტიკურად არის ქართული ენის დიალექტი – 1933 წელს ეს მოსაზრება ჩამოაყალიბეს განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომის მონაწილე ლინგვისტებმა.

ოდნავ განსხვავებულია **არნ. ჩიქობავას პოზიცია:** მეგრული ლინგვისტურად არის **უმწერლობო ზანური ენის დიალექტი; საზოგადოებრივ პოლიტიკურად კი – ქართული ენის დიალექტი;** კერძოდ, არნ. ჩიქობავას აზრით, მეგრელი, საქართველოს სხვა კუთხეების ქართველთა მსგავსად, დიდი სამწიგნობრო კულტურის პატრონია

---

[104] სილოვან ხუნდაძე („ქართული გრამატიკა“, 1917, გვ. 20): **„ქართული ენის კილოკავებია – სვანური, მეგრული, ლაზური, ინგილოური, ფშაური, თუშური, ხევსურული და სხვ.** საქართველოს ყოველის განსაკუთრებული კუთხის ენას თავისი განსხვავებული გამოთქმა და ფორმები აქვს, მაგრამ ყველა კუთხეს ერთმანეთის საუბარი კარგათ ესმის. მხოლოდ სვანური და მეგრული ენა (და ამ უკანასკნელის მახლობელი დიალექტი ლაზური) დედა-ქართულისაგან განსაკუთრებით განსხვავებულ სახეს წარმოადგენს“.

[105] დღეს ამგვარი მოსაზრების გაზიარება შეუძლებელია: „ლინგვისტურად ენა“ არის ნებისმიერი სამეტყველო კოდი – ვერბალური ურთიერთობის ნებისმიერი ფორმა, რამდენადაც ენა განიმარტება, როგორც „კომუნიკაციისათვის გამოყენებული ბგერით ნიშანთა სისტემა“; დედაენა, ეროვნული ენა კი არის მოცემული ეთნოსის ისტორიული მეტყველება.

(არ არის უმწერლობო ჩამორჩენილი ერი); მეგრელის ეროვნული ენა არის ქართული ენა; საკუთრივ მეგრული კი არის **ქართული ენისგან წარმოქმნილი** ტომობრივი ზანური ენის დიალექტი[106]. „დიფერენციაციის პროცესში ზანური (რომლის ერთ-ერთ კილოს მეგრული წარმოადგენს) იმდენად დაშორდა ქართულს, რომ ქართულის კილოდ მისი მიჩნევა შეუძლებელია“ (არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 6)[107].
შდრ.: მოგვიანებით, 1969 და 1958 წლებში, არნ. ჩიქობავა მეგრულს ქართულის დიალექტად აცხადებს.

არც ერთ ნაშრომში არნ. ჩიქობავას არ წარმოუდგენია არგუმენტაცია, კრიტერიუმი თუ „დაშორების“ პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც ნათელს გახდიდა, თუ ქართული ენის დიფერენციაციის რომელი ეტაპიდან იქცა ზანური „ტომობრივ ენად“. არც იყო მოსალოდნელი, რამდენადაც, მრავალსაუკუნოვანი უწყვეტი ისტორიის მანძილზე სამეგრელოს ქართველობაც ქმნიდა ქართულ სამწიგნობრო ენას. გარდა ამისა, სამწიგნობრო ენასა და დიალექტს შორის არსებული სხვაობის ზღვარის დადება შეუძლებელია, რამდენადაც მეტყველების დიალექტად თუ ენად კვალიფიცირებას განაპირობებს არა ფონეტიკა-მორფოლოგია-ლექსიკაში წარმოქმნილი სხვაობები, არამედ **მოცემული საზოგადოების სამწიგნობ-**

---

[106] არნ. ჩიქობავა. 1952, გვ. 99-101: „ტომობრივი ენების ნიმუშად ჩვენი სინამდვილიდან შეიძლება დავასახელოთ ქართველ ტომთა ენები: სვანური, ზანური (მეგრულ-ჭანური)... ტომობრივი ენებია, აგრეთვე დაღესტნის ენები: აღულური, წახურული, რუთულური, ანდიური, დიდოური“.

[107] არნ. ჩიქობავა აქ ნამდვილად არ გულისხმობს **ბგერათშესატყვისობას,** რამდენადაც თავად ყველაზე უკეთ იცის, რომ ბგერათშესატყვისობა ენათა/დიალექტთა ნათესაობას შეიძლება ადგენდეს და არა – მოცემული მეტყველების სტატუსს (იხ. ქვემოთ).

რო ენის ისტორია და ენობრივ-ეთნიკური თვითაღქმა (სოციოლინგვისტური კრიტერიუმი).

შდრ.: არნ. ჩიქობავაც, ვუკოლ ბერიძეც, გიორგი ახვლედიანიც და უფრო ახალი თაობის მეცნიერებიც (იხ. ქვემოთ) „საზოგადოებრივ-კულტურულად“ ანუ სოციოლინგვისტურად **მეგრულს მიიჩნევენ ქართული ენის დიალექტად**[108]; შესაბამისად, ქართული „ეროვნული ენის“ პა-

---

[108] პოსტსაბჭოთა პერიოდში უმწერლობო ენისა და კილოს (დიალექტის) სტატუსის განმსაზღვრელი კრიტერიუმების შესახებ დისკუსიისათვის იხ.:

ტ. ფუტკარაძე, საერთოეროვნული სალიტერატურო ენისა და საშინაო სამეტყველო კოდების მიმართების საკითხი ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების მიხედვით, XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, ზუგდიდი, 2000;

ტ. ფუტკარაძე, მონათესავე ენობრივ ერთეულთა კვალიფიკაციის პრობლემა და ქართველური დიალექტების დაჯგუფების საკითხი, ენათმეცნიერების საკითხები, № 1, 2003, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

ა. ონიანი, ენა და დიალექტი (ქართველური დიალექტები თუ ქართველური ენები?), ენათმეცნიერების საკითხები, №1, 2003.

თ. გვანცელაძე, არის თუ არა გაგებინება ენის დიალექტისაგან გამიჯვნის კრიტერიუმი? ენათმეცნიერების საკითხები, №2, 2003;

ა. ონიანი, ისევ ქართველური ენებისა და დიალექტების შესახებ, ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 2003;

კ. გაბუნია, ქართველური ენების საკუთრივ ლინგვისტური და სოციოლინგვისტური კრიტერიუმების გამიჯვნისათვის, ენათმეცნიერების საკითხები, №1, 2004;

თ. გვანცელაძე, აკადემიური პოლემიკა თუ იდეის დისკრედიტაციის მცდელობა? ენათმეცნიერების საკითხები, №1, 2004;

ტ. ფუტკარაძე, ენისა და კილოს გამიჯვნის სამეცნიერო პრობლემის განხილვა თუ?.. ენათმეცნიერების საკითხები, № 1, 2004;

თ. გვანცელაძე, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., „უნივერსალი“, 2006;

ტ. ფუტკარაძე, ქართველთა დედაენა და დიალექტები, ქუთაისი, პედაგოგიური ინსტიტუტის გამომცემლობა „ლამპარი“, 2008;

ტ. ფუტკარაძე, ქართველური დიალექტების კლასიფიკაციის კრიტერიუმებისათვის, ქართველურ ენა-კილოთა განდასების საკითხები, ქუთაისის სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა „ლამპარი“, 2009;

რალელურად, არნ. ჩიქობავას მიერ მოღვაწეობის ერთ პერიოდში ზანურის/სვანურის „ტომობრივ ენად“ გამოცხადება **შეიძლება აიხსნას იმითაც, რომ არნ. ჩიქობავას სპეციალურად არ წარმოუდგენია მსჯელობა ენა-დიალექტის გასამიჯნი კრიტერიუმების შესახებ;** მას სიღრმისეულად არც უმუშავია ამ მიმართულებით (ენისა და კილოს გამმიჯნავი მეცნიერული კრიტერიუმების შესახებ მსჯელობა იხ. ქვემოთ).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშკარაა: ბოლშევიკების პერიოდშიც მეგრული „ენის“ (და სამეგრელოს ავტონომიის) საკითხი წამოიჭრა არა სამეგრელოში, არამედ – რუსეთის იმპერიის ცენტრში, ამჯერად უკვე ი. სტალინის კონცეფციის მიხედვით. შესაბამისად, **უსაფუძვლოა ე.წ. მეგრულ „სეპარატიზმზე“ საუბარი; უფრო ლოგიკურია, ვისაუბროთ კოლაბორაციონისტ პირებსა თუ მცირე ჯგუფებზე, რომელთა ანტიქართული მიმართულებით აქტიურობა პროვოცირებული იყო იმპერიული ცენტრიდან** (ასეთი სუბიექტები ყველა კუთხეში და ყველა დროში არსებობენ)[109].

ტ. ფუტკარაძე, ენისა და კილოს გასამიჯნი კრიტერიუმები და ქართველურ იდიომთა კვალიფიკაციის პოლიტიზების რეტროსპექტივა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, ტ. VII, თბილისი, გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, 2016; მ. ლაბაძე, ენისა და კილოს გამიჯვნის საკითხი ლინგვისტურ ქართველოლოგიაში საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით“, თბ., 2019 და სხვ.

[109] მეფის რუსეთის დროინდელ პროცესზე, ასევე, სტ. გაგუას, ბ. დადიანისა და გრ. ახალაიას ჯგუფების ქმედების შესახებ **სწორი დასკვნა** აქვთ გაკეთებული ვ. გვარამიასა და გ. ციციშვილს: „1922 წელს ს. ორჯონიკიძე ამბობს: „პოლიტიკა იქმნება არა აქ და არა – ჩვენს მიერ, არამედ მოსკოვში; ამის გათვალისწინებით გასაგები ხდება, რომ „მეგრული საკითხიც“ პრინციპში მოსკოვის დონეზე წყდებოდა“ (ვ. გვარამია, გ. ციციშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 97); თუმცა, იგივე ავტორები ამართლებენ ისაკ ჟვანიას.

1.6. ოთხი ქართველური ენის იდეოლოგემა XXI საუკუნეში (კრიტიკული ანალიზი)

ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების საფუძვლად გამოყენებულ ე.წ. „ოთხი ქართველური ენის“ „იდეოლოგიას“ რუსეთის გარდა პოსტსაბჭოთა საქართველოშიც და თანამედროვე დასავლეთშიც ჰყავს პოპულარიზატორები; მაგ., ethnologue.com-ის მიხედვით, ზეპირი ქართველური ქვესისტემები იწოდება: „განვითარებად ენად“ თუ „აღორძინებად ენად“[110]... ზოგი ავტორის მიხედვით კი: „უმწერლობო ენად“, „ტომობრივ ენად“; არადა, დღეს ყველამ კარგად იცის, რომ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში „ტომი“ ველურ საზოგადოებას ნიშნავს. ასევე, ნამდვილად სახარბიელო სტატუსი არ არის: „უმწერლობო ენა“, „აღორძინებადი ენა“, „არასამწერლობო ენა“; შდრ., მაგ., **ერთი ციტატა XX საუკუნის ბოლოს დაწერილი ერთი ნაშრომიდან:**

*„ქართულთან, მეგრულთან და ლაზურთან ერთად სვანური არის ქართველურ ენათა ოჯახის ერთ-ერთი წევრი. ქართველურ ენებზე, ბევრი სხვა მონათესავე ენათა ჯგუფისაგან განსხვავებით, არ წარმოქმნილა სხვადასხვა ეროვნული კულტურა (მეცნიერება, ხელოვნება)... ქართული იყო მთელი ქართველი ხალხის **ბუნებრივი (და არა – თავსმოხვეული)** საერთო-სახალხო ეროვნული ენა, მეცნიერების, კულტურის ენა და ერთადერთი სალიტერატურო ენა. ეს არის ის დიდი ტვირთი, რაც **ისტორიამ ქართველურ ენათაგან მხოლოდ ქართულს დააკისრა** და რის გამოც ის არის სწორედ სრულიად საქართველოს საერთო-სახალხო ეროვნული ენა და ქართველი ხალხის ერთიანობის ბურჯი. დანარჩენი ქართველური ენები კი, რომლებიც ლინგვისტური თვალსაზრისით ჩვეულებრივი ენებია, ფუნქციონალურად (საზოგადოებრივი ფუნ-*

[110] იხ., მაგ.: http://www.ethnologue.com/show_country.asp?name=GE სადაც ქართველური ქვესისტემების მიმართ იგივე კვალიფიკაციებია ამჟამადაც (დამოწმება: 05.01.2019).

*ქციის მიხედვით) **ქართული ენის დიალექტებს უტოლდებიან**. ნათქვამიდან ჩანს, რომ სვანური (მეგრულისა და ლაზურის მსგავსად) **უმწერლობო ენაა**"[111].*

ჩვენი კომენტარი:
ლინგვისტური თვალსაზრისით, **ბუნებრივ ენად შეიძლება კვალიფიცირდეს აღქმადი ბგერითი ნიშნების ყველა სისტემა,** რომლებიც გამოიყენება კომუნიკაციის საშუალებად. მსოფლიოში არსებული ენების/კილოების სახელდების პრინციპებიდან გამომდინარე, მეტყველების ენად თუ კილოდ კვალიფიცირება ხდება მხოლოდ „საზოგადოებრივი ფუნქციის მიხედვით".
შდრ., ასევე: **აკადემიური დოქტორი ნაზი მიქელაძე:** „ტომობრივი ენები ამჟამადაც არსებობენ, მაგალითად, ტომის ენებია: ჩრდილო, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში მცხოვრები ინდიელების ენა (მაია-ენა, აცტეკური და ირეკოზული ენები და სხვა). ჩვენი ენებიდან ტომის ენას წარმოადგენს: მეგრული, ჭანური (ანუ ლაზური) და სვანური. სხვა **ტომობრივი ენებია** მაგალითად: დაღესტნური ენები: დიდოური, წახურული, რუთულური და სხვა"[112].
მრავალსაუკუნოვანი **ქართული სამწიგნობრო კულტურის** შემქმნელი სამეგრელოს მკვიდრების გამოცხადება უმწიგნობრო ტომებად, სამეგრელოს მკვიდრი ქართველების (მეგრელების) კუთხური მეტყველების – ქართული ენის კუთხური სახესხვაობის – გამოცხადება ტომის ენად (ტომობრივ ენად)[113] რომ დიდი შეცდომაა, ვფიქრობთ, **ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისათვის ნათელია.**

---

[111] ა. ონიანი, სვანური ენა, თბ., 1998, გვ. 3-4

[112] http://batumelebi.netgazeti.ge/news/5599 (დამოწმება: 12.05.2018)

[113] ტომობრივი ენა – tribal languag; Indigenous language – An indigenous language or autochthonous language is a language that is native to a region and spoken by indigenous people, often reduced to the status of a minority language.This language would be from a linguistically distinct community that has been settled in the area for many generations.

იხ., ასევე, აკადემიური დოქტორის, **რუსუდან გერსამიას** ციტატა: „ელექტრონული ბაზები **უმწერლობო ქართველური ენებისთვის** დღემდე არ არსებობს. ჩვენთან ციფრულმა ჰუმანიტარიამ ახლახან აიდგა ფეხი, უკვე შექმნილია რამდენიმე კორპუსი ქართული ენისთვის, ქართული ენის დიალექტებისთვის და ჩვენი კოლეგები დღესაც აგრძელებენ მუშაობას. თუმცა სხვა ქართველური ენებისთვის ჯერ ამგვარი ბაზები არ ჩანს“[114].

ამ შემთხვევაშიც მცირე კომენტარს დავჯერდებით:

საერთაშორისო სამეცნიერო ველში საქართველოს (/სამეგრელოს) მკვიდრისაგან იმის მტკიცება, რომ მეგრელებს, ლაზებს (თუნდაც საქართველოში მცხოვრებ ლაზებს), სვანებს „დედაენებზე“ მწიგნობრობა არა აქვთ, საფრთხის ქვეშ მყოფი „უმწერლობო ენების“ გადარჩენის საბაბით **გრანტის** მიღების სურვილით შეიძლება აიხსნას (იხ. ქვემოთ, „მეორე გამოწვევა“). აქვე დავიმოწმებ **პროფ. ალექსი ჟორდანიას რიტორიკულ კითხვას:**

„რატომ უნდა გამოვაცხადოთ მეგრელები, ლაზები თუ სვანები უმწიგნობრო საზოგადოებებად? მით უმეტეს, ყველა მეგრელი, სვანი თუ ტაოელი მრავალი საუკუნის მანძილზე ქმნიდა საერთოეროვნულ სალიტერატურო ენას?![115]

წინააღმდეგობრივია, თუმცა გარკვეულწილად საინტერესოა პროფ. კახა გაბუნიას შემდეგი მსჯელობა:

„ვფიქრობთ, სრულიად მართებულია მოსაზრება, რომელიც

Indigenous languages are not necessarily national languages, and the reverse is also true. https://en.wikipedia.org/wiki/Indigenous_language.

племенной язык – Бесписьменный диалект, форма существования языка в первобытно-общинную эпоху, когда границы лингвистической и этнической группы совпадали

https://www.psyoffice.ru/5-sociolinguistics-518.htm.

[114] https://sputnik-georgia.com/people/20180323/239777724/qartuli-ena-rusudan-gersamia.html ბუდაპეშტის კონფერენცია: მე-18 საერთაშორისო მორფოლოგიური შეხვედრა (18th International Morphology Meeting).

[115] ალექსი ჟორდანია, დიგლოსიის ზოგიერთი ასპექტი არაბულში, ქართულსა და გერმანულში, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, ტ. I, 2012, გვ. 172-189.

ბ. ჯორბენაძის მიერ არის ფორმულირებული: „ენათმეცნიერული (დავაზუსტებთ – საკუთრივ ლინგვისტური) თვალსაზრისით მეგრულ-ჭანური და სვანური ქართულის მოძმე ენებია, მაგრამ ეთნიკურ-პოლიტიკური (დავაზუსტებთ – სოციოლინგვისტური)[116] *თვალსაზრისით, მათ იგივე სტატუსი აქვთ, რაც დიალექტებს (ჯორბენაძე, 1989, გვ. 36). საინტერესოა ეს საკითხი თვითიდენტიფიკაციის თვალსაზრისით: ენაა თუ დიალექტი მეგრულ-ლაზური და სვანური? – ეს იყო რესპონდენტებისთვის დასმული ერთ-ერთი კითხვა ჩაღრმავებული ინტერვიუების ჩაწერისას. თუმცა, ცხადია, ამ საუბრის მიზანი არ ყოფილა და ვერც იქნებოდა საკითხის ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა და სათანადო არგუმენტაციების მოთხოვნა-წარმოდგენა. საინტერესო იყო უბრალო ადამიანების (რომელთაც ენათმეცნიერებასთან არაფერი აკავშირებთ) დამოკიდებულება მეგრულ-ლაზურთან და სვანურთან, მის როლთან დაკავშირებით. რესპონდენტებისთვის მეგრულ-ლაზური და სვანური, ჩვეულებრივ,* ***კუთხურ-ტომობრივი ენა*** *(ხაზი ჩემია – ტ. ფ.) ან* ***ქართული ენის დიალექტია"***[117].

პატივცემულ მკითხველს შევახსენებ:

მსოფლიოში არსებული უკლებლივ ყველა ცივილიზებული ხალხის ენის სტატუსი დადგენილია არა **ე.წ. საკუთრივ ლინგვისტური** ანუ შიდასტრუქტურული (ბგერათშესატყვისობა, ენობრივი სტრუქტურების მსგავსება-განსხვავება)[118], არამედ სწორედ **სოციოლინგვისტური** კრი-

---

[116] ბ. ჯორბენაძის თვალსაზრისის დაზუსტებები ეკუთვნის კახა გაბუნიას.

[117] კ. გაბუნია, ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში International Journal of Multilingual Education (IJME საერთაშორისო ჟურნალი, მულტილინგვური განათლებისთვის, № 3, 2014, გვ. 45-69 http://www.multilingualeducation.org/storage/uploads/articles_contents/141215024122.pdf http://www.multilingualeducation.org/

[118] **ბგერათშესატყვისობით დგინდება ენათა ნათესაობა და არა – ენათა/კილოთა სტატუსი.** უმწერლობო ენისა და დიალექტის გამმიჯნავი კრიტერიუმების შესახებ ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, ენისა და კილოს გასამიჯნი კრიტერიუმები და ქართველურ იდი-

ტერიუმებით (დამწერლობის ქონა-არქონა, სტანდარტულობა, პრესტიჟულობა, სახელმწიფო ენის სტატუსი; რეესტრული კრიტერიუმი, თვითშეფასებითი კრიტერიუმი; ასევე, იდიომის კვალიფიკაცია ხდება ეთნოსის სამწიგნობრო კულტურის ისტორიის გათვალისწინებით). ზოგჯერ მეტყველების სტატუსი განსაზღვრულია **ექსტრალინგვისტური მიდგომებითაც** – რელიგიური ან პოლიტიკური ნიშნით. ექსტრალინგვისტურია „გაგებინების“ კრიტერიუმიც, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მონათესავე საზოგადოებებს არ გააჩნიათ არც წინაპრებისგან შექმნილი საერთო მწიგნობრობა და არც კოინე[119].

შდრ., წინააღმდეგობრივია **გ. ცოცანიძის** მსჯელობაც:

„ქართულ საერთო სახალხო ენას აქვს არსებობის ორი ძირითადი ფორმა: ენის ლიტერატურული ფორმა და სახალხო მეტყველება. ქართველთა სახალხო მეტყველება იყოფა 20 ადგილობრივ ნაირსახეობად; ესენია: ქართლური, კახური, ჩაღმათუშური, წოვათუშური, ფშაური, ხევსურული, მოხეური, მთიულური, მესხური, აჭარული, გურული, იმერული, რაჭული, ლეჩხუმური, **სვანური, მეგრული, ლაზური** (ხაზი ჩემია – ტ. ფ.), ინგილოური, ფერეიდნული, იმერხეული ანუ კლარჯული... **სოციალური თვალსაზრისით,** ე.ი. ენის მომხმარებლის ფაქტორის გათვალისწინებით, მეტყველების ეს ნაირსახეობები განიხილება როგორც საერთო-ხალხური ქართული ენის **სოციალური დიალექტები.** ლინგვისტური კრიტერიუმების გამოყენების შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ **ქართული ეთნოსი** მეტყველებს სამ ურთიერთმონათესავე ენაზე: ქართულ, სვანურ და ზანურ ენებზე. ამგვარად გამოდის, რომ სვანუ-

---

ომთა კვალიფიკაციის პოლიტიზების რეტროსპექტივა, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, VII, თბ., 2017, გვ.115-134.

[119] თუკი არ არსებობს მონათესავე ტომების გამაერთიანებელი ენობრივ-კულტურული სისტემა და სამწიგნობრო ტრადიციის აქმქონე ტომებს აქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული ტომობრივი იდენტობა, ასეთ შემთხვევაში მათი უმწერლობო კონტინუუმები დამოუკიდებელ ენებად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

რი და ზანური მეტყველებები, რომლებიც დიალექტებია მათი სოციალური ფუნქციონირების მიხედვით, ლინგვისტურად დამოუკიდებელ ენებს წარმოადგენს“[120]... იქვე ჩამოთვლილია ისეთი „ლინგვისტური კრიტერიუმები“ (ორიგინალური ლექსიკა, განსხვავებული ფონოლოგიური და მორფოლოგიური სისტემები, განსხვავებული სინტაქსური კონსტრუქციები), რომელთა მიხედვით მეტ-ნაკლებად ყველა დიალექტი სხვაობს; **შესაბამისად, არსებული რეალობა გ. ცოცანიძის** (და მისი თანაავტორების) **დასკვნის საპირისპიროა;** შდრ.:

ა) როგორც ლექსიკის, ასევე, ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემების მიხედვით, ქართველური ენობრივი სამყაროს ყველა ქვესისტემა თვისობრივად ერთგვაროვანია და არა განსხვავებული; შდრ., მაგ., დასახელებული **„ლინგვისტური კრიტერიუმებით“** ქართული ენისაგან ნამდვილად განსხვავდება **მონათესავე აფხაზური ენა და არამონათესავე რუსული თუ ჩინური ენები.** გარდა ამისა, გერმანული თუ არაბული დიალექტების მსგავსად, ქართველურ ქვესისტემებს შორისაც დიდი სხვაობა რომ იყოს, **მსგავსება-განსხვავების პროცენტის არარსებობის გამო** ამ გზით ვერ დადგინდება მონათესავე ენობრივი ერთეულების სტატუსი. მსოფლიოში არსებულ მონათესავე ენათა/კილოთა სტატუსი, როგორც წესი, გარკვეულია მოცემული მეტყველების სოციალური ფუნქციის, თვითიდენტიფიკაციის, ანდა, პოლიტიკური მიდგომის მიხედვით (ამის გადამოწმება შეუძლია ყველას, ვისაც ხელი მიუწვდება გლობალურ ქსელზე).

ბ) გერმანული, იტალიური თუ ფრანგული დიალექტებისაგან განსხვავებით, ქართველური დიალექტები საერთო-ქართველურზე დაფუძნებული **ქართველთა (ქართველური) სამწიგნობრო ენის** მეორეული ვარიანტებია და არა

---

[120] გ. გოგოლაშვილი, ნ. შარაშენიძე, გ. ცოცანიძე, ნ. ჭუმბურიძე, „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II. დიალექტები“ (გ. გოგოლაშვილის რედაქციით), თბ., 2016, გვ. 6-7.

მისი პარალელური ვარიანტები: არ არსებობს საერთოინდოევროპულ ენაზე დაფუძნებული სამწიგნობრო ვარიანტი, ქართული (ქართველური) სამწიგნობრო ენა კი არსებითად ინარჩუნებს ამოსავალ საერთოქართველურ სისტემას (ზანური და სვანური მეტყველებები კი ამ საერთო ენის მეორეული სახესხვაობებია). **ფუნქციურადაც შეუძლებელია მათი გათანაბრება,** რამდენადაც ქართული ენა არის ქართველთა (მათ შორის, მეგრელ-ლაზთა, სვანთა) მრავალსაუკუნოვანი **ეროვნული ენა (დედაენაა),** ზანური და სვანური კი ქართველთა მხოლოდ ნაწილის (მეგრელ-ლაზთა და სვანთა) **საშინაო მეტყველებებია და არა – უმწიგნობრო ენები; შესაბამისად,** ქართველური თემის/კუთხის[121] რომელიმე მეტყველება ვერც ერთი კრიტე-

---

[121] ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენება ტერმინები: „ეთნოგრაფიული ჯგუფი“, „სუბეთნოსი“, „ეთნიკოსი“, „ეთნიკური ჯგუფი“... ეს ტერმინები თამამად შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს მოქალაქე სხვა ეთნიკური ჯგუფების, მაგ., ქისტების აღსანიშნავად; შდრ.: ლ. ტოლსტოვას ტაჯიკებისა და უზბეკების გვერდით გამოყოფილი აქვს ისეთი ეთნოგრაფიული ჯგუფები (სუბეთნოსები), როგორებიც არიან: შუა აზიის ბოშები, ირონები, ქურთები, თურქები, ყივჩაყები და სხვ. (მსჯელობისათვის იხ. მ.გეგეშიძე, 1971, გვ.117)... ჩემი აზრით, საქართველოს სხვადასხვა მხარის მოსახლეობის: აჭარლების, გურულების, მეგრელების, იმერლების, სვანების, თუშების... მოხსენიება არ შეიძლება „ეთნოსად“, „ეთნიკურ ერთობად“, „ეთნიკურ ჯგუფად“, „ხალხად“, „ტომად“, „სუბეთნოსად“ და მისთ., რამდენადაც ეთნოლოგიურ ლიტერატურაში დასახელებული ტერმინები აღნიშნავენ მოცემულ სახელმწიფოში მცხოვრებ უმცირესობას ან ჯერ კიდევ ერად ჩამოუყალიბებელ ჯგუფს, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი ეთნოსტრუქტურა და ენობრივ-კულტურული თვითშეგნება; შდრ., ასევე: „ტომი“ წინაფეოდალური გაერთიანებაა და არა – თანამედროვე საზოგადოება. ჩვენ ვიყენებთ ტექნიკურ ტერმინს: **თემი.** „თემით“ აღვნიშნავთ ერთი ეთნოსის შიგნით არსებულ **ლოკალურ-ტერიტორიულ ჯგუფებს** (შდრ.: ეთნოსი – თემი – პიროვნება ისე მიემართება ერთმანეთს, როგორც ენა – კილო – იდიოლექტი); მაგ., ქართველი ერის ცალკეული თემებია (ლოკალურ-ტერიტორიული ჯგუფებია): აჭარლები, გურულები, ჩაღმათუშები, ნოვათუშები, იმერლები, ჰერები (ინგილოები), მეგრელები, ლაზები, მთიულები, იმერხევლები, მაჭახ-

რიუმით „უმწიგნობრო ენად“ ვერ მიიჩნევა, რამდენადაც ყველა კუთხის ქართველის საერთო კუთვნილებაა მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ენა[122].

ვფიქრობ, ნათელია: გამოუვალ წინააღმდეგობაში არიან ისინი, ვინც მეგრულს (/სვანურს, ლაზურს) **„ლინგვისტურად“ ენებად თვლიან, „სოციოლინგვისტურად“ კი – ქართული ენის დიალექტებად.**

არათანამიმდევრულია, ასევე, **პროფ. რამაზ ქურდაძის** კონცეფცია, რომლის მიხედვითაც მომზადდა „ხუთენოვანი ლექსიკონი“ (ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი), რომელშიც ქართულთან მიმართებით, ინგლისურის პარალელურად, დამოუკიდებელ „ენებადაა“ განხილული: მეგრული, ლაზური, სვანური. რ. ქურდაძის აზრით, დასახელებული ქართველური იდიომები მონათესავე ენებია **ინგლისური, ფრანგული, ესპანური ენების მსგავსად**[123].

ლელები, სამცხელები, შავშელები, ლივანელები, ტაოელები, მოხევეები, სვანები, ფერეიდნელები, ჯავახები, ხევსურები, ქართლელები, ფშავლები, კახელები, რაჭველები, ლეჩხუმლები...


[122] გ. ცოცანიძისა და მისი სხვა თანამოაზრეების თვალსაზრისის კრიტიკისათვის ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, ქართველურ ენობრივ ვარიანტთა (ქვესისტემათა) კვალიფიკაცია და კლასიფიკაცია; ქართული უნივერსიტეტის შრომები, ტ. III, 2017, გვ., 80-105.

[123] რ. ქურდაძე: „ხუთენოვანი ლექსიკონის იდეა გაჩნდა ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე სეირნობის დროს, როდესაც ბუკინისტურ მაღაზიაში ვნახე ინგლისურ-ფრანგულ-ესპანური ლექსიკონი... ეს იდეა გავაცანი ბატონ გიუნტერს...“ პროფ. რამაზ ქურდაძის გამოსვლის სრული ტექსტი იხ.:

https://www.youtube.com/watch?v=chSKfvqWc1k (დამოწმებულია 2018 წლის 10 მაისს). ანალოგიური სულისკვეთებისაა მ. თანდაშვილის გამოსვლის ტექსტიც:

https://www.youtube.com/watch?v=HBIdCz_f5B8 (ეხება „დამწერლობის არმქონე ქართველური ენების“ აღნიშნულ ხუთენოვან ლექსიკონს. მისი გამოცემა განხორციელდა სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის ფინანსური მხარდაჭერით

ჩემი აზრით, ასეთი პარალელი შეუსაბამოა, რამდენადაც **დასახელებული ინდოევროპული ენები სხვადასხვა ერების დედაენებია!** დავიმოწმებთ ერთ ნიშანდობლივ ციტატას „ხუთენოვანი ლექსიკონიდან“:



„ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონის გამოცემა უმთავრესად ორი თვალსაზრისით არის აქტუალური: ერთი, ის წარმოაჩენს ქართველური ტომების ენობრივი ერთიანობა-სიახლოვის სურათს, მეორე მხრივ, აქ ჩანს არამონათესავე ენების (კერძოდ, რუსულის, ბერძნულისა და თურქულის) გავლენის კვალი. ორივე ფენომენი საინტერესო მასალას იძლევა შემდგომი კვლევა-ძიებისთვის. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა წარმოაჩენს ***სამხრეთკავკასიური*** *(?– ხაზი ჩემია – ტ. ფ.)*[124] *მონათესავე ენების: ქართულის, მეგრულის, ლაზურისა და სვანურის თანამედროვე ენობრივ მდგომარეობას, კერძოდ, ლექსიკურ ვითარებას. ფაქტობრივად, ეს კიდევ ერთი საინტერესო გზაა* ***უმწერლობო ქართველური ენების*** *(ხაზი ჩემია – ტ. ფ.) ლექსიკის არა მარტო*

---

https://edu.aris.ge/news/tsu-shi-xutenovani-qartul-megrul-lazur-svanur-inglisuri-leqsikonis-prezentacia-gaimarta.html
(მასალები დამოწმებულია 2018 წლის 10 მაისს).

[124] შდრ. კავკასიის რეგიონის სხვაგვარი გააზრება: **ჩრდილო კავკასია, ცენტრალური კავკასია** (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი), **სამხრეთი კავკასია** (ისტორიული ლაზეთი, ტაო-კლარჯეთი, ყარსის მხარე...).

შესწავლის, არამედ მოხმარების გააქტიურებისათვისაც, რაც გარკვეულ შემთხვევებში თავიდან აგვაცილებს ამა თუ იმ ძირძველი ქართველური ლექსემის დავიწყებასა და გაუჩინარებას"[125].

ქართველური თემების ენობრივი ერთიანობა-სიახლოვის სურათისა და არამონათესავე ენების (კერძოდ, რუსულის, ბერძნულისა და თურქულის) გავლენის კვალის წარმოჩენის თვალსაზრისით საინტერესოა ასეთი გამოცემა, მაგრამ დაუსაბუთებელია თვალსაზრისი, რომ, თითქოსდა, მეგრული, ლაზური თუ სვანური უმწერლობო ქართველური ენებია ("უმწერლობო ენის" ცნების შესახებ იხ ქვემოთ).

შედარებით ვრცლად შევეხებით **პროფ. ნინო დობორჯგინიძის** თვალსაზრისს; იგი წერს:

„ტ. ფუტკარაძემ ქართველოლოგებს შორის გამორჩეულად მაღალი სამეცნიერო რეიტინგის მქონე ენათმეცნიერს, პროფესორ ვინფრიდ ბოედერს, ვის სახელსაც ასე მჭიდროდ უკავშირდება ქართველური ენების შესახებ კვლევის ჩართვა საერთაშორისო სამეცნიერო დისკუსიებში, სამეცნიერო მეთოდოლოგია დაუწუნა და „საბჭოთა სტერეოტიპებით აზროვნება" უსაყვედურა..."[126].

---

[125] რამაზ ქურდაძე, დოდო შონია, ლილე თანდილავა, ლელა ნიჟარაძე, ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი, თბ., 2015

http://unicumfiles.vible.solutions/tmp/10903_20171128195045.pdf. იხ.: ttp://www.multilingualeducation.org/storage/uploads/articles_contents/160128041403.pdf: რ. ქურდაძე: „ქართველური ტომებისათვის სწავლა-განათლებისა და წირვა-ლოცვის ენა ქართულია, რომელსაც 16-საუკუნოვანი ისტორია აქვს"... ვფიქრობთ, 16-საუკუნოვანი სამწიგნობრო ტრადიციის მქონე საზოგადოება „ტომად" ნამდვილად არ უნდა კვალიფიცირდეს.

[126] ნ. დობორჯგინიძე, „მეგრულისთვის რეგიონული ენის სტატუსის მოთხოვნა პროვოცირებულია" http://www.ttimes.ge/archives/33750 (დამოწმება: 05.01.2018).

http://arilimag.ge/%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D6.

არც მე და არც ჩემს თანამოაზრეებს არასოდეს დაგვიკნინებია პროფ. ვ. ბოედერის ღვაწლი ქართველოლოგიაში. უბრალოდ, არ ვიზიარებთ მის თვალსაზრისს „უმწერლობო ქართველური ენების“ შესახებ; ჩვენთვის, ასევე, მიუღებელია მისი ზოგი სხვა მოსაზრებაც; კერძოდ, ერთგან **ვ. ბოედერი წერს:** „ჩემთვის გაუგებარია, რა კავშირი აქვს ქართულად მწერალი ლაზების, მეგრელებისა და სვანების ქართულ ლიტერატურაში თანამონაწილეობას საკითხთან, ერთგვარი ქართულია თუ არა ლაზური ენა და ა.შ. იმ ფაქტიდან, რომ პოლონელმა ჯოზეფ კონრადმა დიდი წვლილი შეიტანა ინგლისურ ლიტერატურაში, არ გამომდინარეობს, რომ პოლონური ინგლისურის დიალექტია“[127]. ანუ, **ვ. ბოედერის ლოგიკას თუ მივყვებით,** ქართული მწიგნობრობის ისტორიაში იოანე ლაზის, იოანე მინჩხის, იოანე პეტრიწის, დუტუ მეგრელის, ივანე მარგიანის, კონსტანტინე გამსახურდიას, შალვა დადიანის, მაგალი თოდუას, ზურაბ თანდილავას, ნომადი ბართაიას, მიხეილ ჩაჩუას, ზაურ მოლაშხიას... წვლილი ისევეა განსახილველი, როგორც პოლონელი ჯოზეფ კონრადისა - ინგლისურ ლიტერატურაში (?!). პატივცემულმა გერმანელმა კოლეგამ არ იცის, რომ დასახელებული მოღვაწეები ენობრივ-ეთნიკურადაც ქართველები არიან და კულტურულადაც?

ბატონი ვ. ბოედერის **პიროვნული მომხიბვლელობა** სიკეთეს ნამდვილად ვერ მოუტანს ქართველოლოგიას, თუკი ის ნებსით თუ უნებურად ხელს შეუწყობს ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ დანაწევრებას და გააგრძელებს იმ გზას, რომელსაც სათავე დაუდო მეფის რუსეთმა. ვ. ბოედერისადმი ვრცელი პასუხი სხვაგან გვაქვს დაბეჭდილი[128]; აქ კი **ჩვენს მსჯელობას ასე განვაზოგადებთ:**

---

[127] ვ. ბოედერი, ენა და კილო ქართველოლოგიაში, ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 2005, № I-II.

[128] იხ.: ტ. ფუტკარაძე, ქართველთა დედაენა და დიალექტები, 2008, გვ. 28-30.

ყველა სასიკეთო საქმე, რომელიც ქართველოლოგიის განვითარებაში მიუძღვის ამა თუ იმ მეცნიერს (მათ შორის ბატონებს: ი. გიპერტს, ჯ. ჰიუიტსა თუ ვ. ბოედერს...) არსებითად გაფერმკრთალდება, თუკი მოცემული მეცნიერი, **ცარიზმისა და კომუნისტური რეჟიმების კვალად,** შეეცდება, დედაენობრივი მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო კულტურა გაუუცხოოს მეგრელებს, სვანებს, ლაზებს და ხელს შეუწყობს ქართველი ერის დანაწევრებას. ამ კონტექსტშია განსახილველი ნ. დობორჯგინიძის კიდევ ერთი უარგუმენტო მოსაზრებაც (დავიმოწმებთ ვრცელ ციტატას, რომ მკითხველმა თავად შეაფასოს ავტორის წინააღმდეგობრივი ტექსტი)[129]:

*„მეგრული არასამწერლობო ქართველური ენაა; ქართველური ენობრივი სამყარო ერთიანია და იგი მთელი ქართველი ხალხის საკუთრებაა; რუსეთი დღესაც წარმატებით იყენებს მეცხრამეტე საუკუნის მეთოდებს და ნებით თუ უნებლიეთ, ჩვენც გვითრევს ამაში. მეგრულისთვის რეგიონული ენის სტატუსის მოთხოვნა პროვოცირებულია-მეთქი, რომ ვთქვი ზემოთ, ამაში ჩვენი ხელიც ურევია. რამდენიმე წლის წინ სწორედ თქვენმა რესპონდენტმა, ბატონმა ტარიელ ფუტკარაძემ დაიწყო მტკიცება, რომ მეგრული და სვანური ენები კი არაა, დიალექტებიაო. ამით ბატონი ტარიელი და მისი ორი თანამოაზრე ენათმეცნიერი თითქოს ენობრივი დაქუცმაცების საფრთხისგან იცავდნენ ქვეყანას, სინამდვილეში კი, ნებით თუ უნებლიეთ, სწორედ ამ საფრთხის პროვოცირებას შეუწყვეს ხელი. როგორც ქართულ, ისე უცხოურ სამეცნიერო წრეებში **საყოველთაოდ გაზიარებული თეორია ამტკიცებს** (ხაზი ჩემია – ნ. ფ.), რომ არსებობდა წინარექართველური ფუძეენა, რომლის დაშლის შედეგად მივიღეთ სამი ქართველური მონათესავე ენა: ქართული, მეგრულ-ჭანური და სვანური (მეცნიერთა ერთი ჯგუფი მეოთხე ქართველურ ენად თვლის ლაზურს). ხანგრძლივი ისტორიით და საერთო ეროვნული ცნობიერებით შეკრული ერთობას, **სამეცნიერო მეთოდოლოგიით მკაფიოდ დადასტურებულ მონათესავე ენებსა** (ხაზი ჩემია – ნ. ფ.) და ამ ენების მატარებელ ქართველობას ბატონმა ტარიელმა სრუ-*

---

[129] ნ. დობორჯგინიძე, „მეგრულისთვის რეგიონული ენის სტატუსის მოთხოვნა პროვოცირებულია“ /17. 02. 2015/: http://www.ttimes.ge/archives/33750 (დამოწმება: 27.12.2017).

ლიად თვითნებურად შეუცვალა ენობრივი რუკა და შესთავაზა უსაფუძვლო, მეცნიერულ მტკიცებულებებს მოკლებული თეორია, რომ მათი ენები, მეგრულ-ჭანური და სვანური, ენები კი არაა, დიალექტებია"[130].

სხვა წერილში ნ. დობორჯგინიძე ცდილობს, რომ „დააძველოს" „უმწერლობო ქართველური ენების" არსებობის იდეოლოგემა და უსაბუთოდ აცხადებს:

*„ წყაროები, რომელთა შესახებ ქვემოთ მექნება საუბარი და რომლებიც, როგორც უკვე ვთქვი, **სამივე ქართველური ენის, როგორც დამოუკიდებელი ენების,** არსებობას აღიარებს, სულ მცირე ჩვიდმეტი საუკუნით უფრო ძველია, ვიდრე XIX საუკუნის რუსეთის იმპერიული ზრახვები, ან მასზე ოდნავ უმცროსი მარქსისტულ-ლენინური ენათმეცნიერება... II-III და მომდევნო საუკუნეებში დაწერილი მსოფლიო ისტორიების ავტორები **სვანურსა და მეგრულს** მსოფლიოს ხალხთა ენებს შორის მოიხსენიებენ"*[131]...

---

[130] ნ. დობორჯგინიძე, რელიგიური ისტორიოგრაფიის უძველესი წყაროები სამწერლობო და არასამწერლობო ქართველური ენების შესახებ: ქართული სალიტერატურო ენის საკითხები, ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, I კრებული, თბ., 2007 (გამოცემის რედაქტორია პროფ. თინათინ ბოლქვაძე, რომელიც თავის ნაწერებში იყენებს ტერმინს: „ქართველური ენები").

[131] იქვე, გვ. 259. მეგრულის „დაძველების სხვაგვარი გზა აირჩია **მამანტი ძაძამიამ**, რომელიც წერს: უმწერლობო მეგრული ენა პირველყოფილი ადამიანის ენაა, რასაც ცხადყოფს მეგრულში თ ბგერის არსებობა; „მეგრული ენა უფრო მეტად გამოხატავს თავდაპირველი ანუ პირველყოფილი ბუნებრივი მეტყველების („ბუნების ენაზე" მეტყველების) ვითარებას, ვიდრე ქართული ენა, რომლისთვისაც მეტწილად ხელოვნურობაა დამახასიათებელი. სხვა სიტყვებით, მეგრული დიდმნიშვნელოვნად წარმოაჩენს დასაბამიერი ენის ვითარებას (მ. ძაძამია, ც. ძაძამია, "ენის წარმოშობის საიდუმლოება"; 1997, თბ., გვ. 93). წიგნის მთავარი დებულებაა: ადამიანი წარმოიშვა მაიმუნისაგან, ხოლო **პირველყოფილი ადამიანის ცხოველური ბგერები შემონახულია მეგრულ მეტყველებაში** (წიგნის ერთ-ერთ რეცენზენტად მიწერილია გიორგი გოგოლაშვილი sic!).

სრული პასუხისმგებლობით ვამბობთ:
არც ერთ ძველ ავტორთან არ არის ნახსენები არც მეგრული უმწერლობო ენა და არც სვანური უმწერლობო ენა[132].
გარდა ამისა, მთელ მსოფლიოში **უმწერლობო ენად** მიიჩნევა იმ ენობრივ-ეთნიკური ერთობის მეტყველება, რომელსაც საკუთარ დედაენაზე არა აქვს წერილობითი კულტურა და შემოქმედების თუ საქმისწარმოების პროცესში იყენებს სხვათა მიერ შექმნილ სამწიგნობრო ენას. უმწერლობო ენა ზეპირი ფორმით (დიალექტების, კილოკავების, თქმების, ჟარგონების სახით...) არსებობს[133]; შესაბამისად, გაუმართლებელია ქართველური ზეპირი ქვესისტემების სახელდება **„უმწერლობო ენებად“, „პროვინციულ ენებად“, „აღორძინებად ენებად“, „განვითარებად ენებად“ თუ „ტომობრივ ენებად“.**

მეგრულ-ჭანური და სვანური მეტყველებები ვერ ჩაითვლება უმწერლობო ენებად იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სამწიგნობრო ქართულის ამ სახესხვაობების მფლობელთ, სულ მცირე, 16-საუკუნოვანი სამწიგნობრო ტრადიცია აქვთ საკუთარ დედაენაზე; ამდენად, ტერმინები: „ტომობრივი ენა“, „განვითარებადი ენა“, „უმწერლობო დედაენა“ /“უმწიგნობრო ენა“/ **შეურაცხმყოფელია დიდი სამწიგნობრო კულტურის მქონე ქართველებისათვის:** იოანე ლაზის, ჭყონდიდლების, მარტვილელი იოანე მინ-

---

[132] ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, „ქართველთა დედაენა და დიალექტები“ თბ., 2008, გვ. 14-15, ძველი წყაროების ანალიზისათვის კი – ტ. ფუტკარაძე, ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები), 2005.

[133] საკითხის ისტორიისათვის იხ.: ტ. ფუტკარაძე, ი. ვაშაკიძე, ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმვა 1917-1935 წლებში, თბილისი, „უნივერსალი“ 2011. ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, ლ. ხაჭაპურიძე, ქართველურ ენა-კილოთა განდასების საკითხები; თბ., 2009.

ჩხისა თუ იოანე აფხაზის /მეგრელის/(იგივე იოანე პეტრიწი) მშობლიური კუთხის მოსახლეობისათვის.
ილიაუნის პროფესორის ტექსტში **ნიშანდობლივია** ქართველური „უმწერლობო ენების“ დაძველების მცდელობა, რაც რუსული იდეოლოგემის **ფსევდოლიბერალურ**[134] შეფუთვას უფრო ჰგავს.
შდრ.: ისაკ ჟვანიაც გმობდა მეფის რუსეთისა თუ მებონიაბუკიას ჯგუფის „სამარცხვინო, პროვოკაციულ-კონტრრევოლუციონერ დოკუმენტებს“ (იხ., მაგ., დანართი №5), მაგრამ, სინამდვილეში, ენობრივი პოლიტიკის მიმართულებით, იმავე გზას აგრძელებდა... **ქ-ნი ნ. დობორჯგინიძეც სიტყვით გმობს ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების რუსულ გეგმას,** მაგრამ, როგორც დამოწმებული ციტატებიდან ჩანს, ისაკ ჟვანიასა თუ ტარას შენგელიას მსგავსი დაჟინებით ცდილობს, საუკუნოვანი ისტორიით „აღჭურვოს“, „საყოველთაოდ გაზიარებულად“ გამოაცხადოს და პოსტსაბჭოთა დროშიც „სიცოცხლე გაუხანგრძლივოს“ **სამი თუ ოთხი ქართველური ენის რუსულ იდეოლოგემას**[135].

---

[134] დღეს საქართველოში გააქტიურებულია აგრესიული გლობალიზმის კერძო გამოვლინება – **ფსევდოლიბერალიზმი**, რომელიც საქართველოში აღვივებს ანტიდასავლურ განწყობას და ხელს უწყობს რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას კავკასიაში; კერძოდ, ამა თუ იმ ჯგუფის მიერ დასავლეთის სახელით (ზოგჯერ დაფინანსებითაც) ქართველთა ისტორიული ფასეულობების დისკრედიტირება, თუ ქართველთა დიდი ნაწილისათვის ისტორიული დედაენის გაუცხოების მცდელობა (ქართულის ნაცვლად მეგრულის/სვანურის გამოცხადება „დედაენებად“, სახარების „თარგმნა“ მეგრულად თუ სვანურად...) **იმპერიული რუსეთის** ნისქვილზე ასხამს წყალს. რუსეთის ანტიკავკასიური პოლიტიკა და ფსევდოლიბერალიზმი **ერთი ფურცლის ორი გვერდია.**

[135] ილიაუნში არიან სხვადასხვა თაობის სხვა სპეციალისტები, რომლებიც პოზიტიურ როლს ასრულებენ მეცნიერების ცალკეული დარგების განვითარებაში.

პარალელურად, ცილს მწამებს, როცა წერს, რომ, თურმე, ქართველური ქვესისტემებისათვის „რეგიონული ენის“ სტატუსის მოთხოვნა ჩემი პროვოცირებულია. წესით, მან უნდა იცოდეს, რომ როგორც დასახელებული ქართველური იდიომებისათვის, ასევე, საქართველოში მცხოვრები მიგრანტი უმცირესობების ენებისათვის „რეგიონული ენის“ სტატუსის მინიჭების საკითხი წამოიწია ამ თემით ჩემს დაინტერესებამდე ბევრად ადრე (იხ. ქვემოთ).

ახლა ქ-ნი ნ. დობორჯგინიძის მთავარი „აღმოჩენის“ შესახებ: დამოწმებულ წერილში იგი წერს, თითქოს, ტ. ფუტკარაძემ ქართველობას „სრულიად თვითნებურად შეუცვალა ენობრივი რუკა“.

როგორც უკვე ვნახეთ, სინამდვილე სხვაგვარია: **ქართველთა ენობრივი რუკა 100-150 წლის წინ შეცვალეს რუსმა მოხელეებმა, ბოლშევიკებმა კი გააგრძელეს რუსული ენობრივი პოლიტიკა** (იხ. ზემოთ)[136].

მე და ჩემი კოლეგები კი პოსტსაბჭოთა პერიოდში ვცდილობთ, აღვადგინოთ ქართველი მემატიანეებისა თუ საზოგადო მოღვაწეების **ტრადიციული ხედვა.** საკუთრივ, ჩემი მხრივ, ენისა და კილოს გამმიჯნავი კრიტერიუმების მოხმობითა და სხვა თანამედროვე ლინგვისტური არგუმენტებით, **გავამყარე ისტორიული თვალსაზრისი ქართველთა ერთი დედაენის შესახებ.**

იმედი არა გვაქვს, რომ ქართველთა ენობრივი ისტორიის გამყალბებელი თუ რუსული იდეოლოგემის მხარდამჭერი (!) რომელიმე ჩვენი ოპონენტი ჩვენი არგუმენტების წაკითხვის შემდეგ შეიცვლის თავის პოზიციას (ქართველური ენობრივი მთლიანობის დაცვა-დარღვევის მსურველთა მხარეები დიდი ხანია უკვე გადანაწილებულია). **ჩვენი მიზანია, საკითხში გარკვევის გულწრფელად მოწადინეებს მივაწოდოთ ობიექტური ინფორმაცია;** ამიტომ კი-

[136] კავკასიაში რუსეთის სტრატეგია არ შეცვლილა არც XX-XXI საუკუნეებში.

დევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ: ნ. დობორჯგინიძისათვის „საყოველთაოდ გაზიარებული თეორია“ – ე.წ. სამი თუ ოთხი „ქართველური ენის“ „იდეოლოგია“ – გააბატონა ი. სტალინმა საბჭოთა იმპერიის პერიოდში.
ასევე, ტ. ფუტკარაძის დაბადებამდე დიდი ხნით ადრე, რეალური ისტორიული ფაქტების საფუძველზე **მეგრულ მეტყველებას დიალექტად თვლიდა ბევრი სპეციალისტი თუ საზოგადო მოღვაწე** (იხ. ზემოთ). გარდა ამისა, ენისა და კილოს გასამიჯნი კრიტერიუმების გათვალისწინებით პოსტსაბჭოთა პერიოდშიც, ჩემ გარდა, არაერთი სხვა სპეციალისტი თვლის, რომ ყველა კუთხის **ქართველის, მათ შორის - მეგრელების, დედაენა არის მრავალსაუკუნოვანი ქართული ენა,** მეგრული კი დედაენის კუთხური ზეპირი სახესხვაობაა. **დიდი უსამართლობაა** სამეგრელოს, ლაზეთისა და სვანეთის ქართველობის შთამბეჭდავი სამწიგნობრო ისტორიის უარყოფით ამ ქართველთ გავუუცხოოთ ერთიანი ქართული (ქართველური) სამწიგნობრო ენა და ისინი უმწიგნობრო ენის მქონე „ხალხებად“ გამოვაცხადოთ.

ჩვენი ოპონენტების თვალსაზრისს, როგორც განსხვავებულ მოსაზრებას, რა თქმა უნდა, აქვს არსებობის უფლება, მაგრამ საეჭვოა მათი დაჟინებული მცდელობა, მეგრელ-ლაზ-სვანებს წაართვან დედაქართული; ამ თვალსაზრისით **სახიფათო ჯაჭვი** იკვრება; შდრ.:

როგორც ვნახეთ, **ქ. პატკანიანის, ი. ვოსტორგოვის, კ. იანოვსკის, ნ. მარის გვიანდელი მოსაზრებებისა და ი. სტალინის თეორიული „დებულებების“ საფუძველზე რუსულ „სამეცნიერო“ ველში** დღემდე მიზანმიმართულადაა გაბატონებული მოსაზრება, რომ სვანური და მეგრულ-ლაზური /ან მეგრული და ლაზური/ ქართულისგან განსხვავებული „უმწერლობო ქართველური ენებია“.

სამეცნიერო ლიტერატურაშიც და ხალხთა აღქმაშიც, **როგორც წესი, ენა და ეთნოსი ურთიერთგანმსაზღვრელი ცნებებია** (იშვიათ შემთხვევაშია სხვა ფაქტორები აქტუალური, მაგ., რელიგია, სახელმწიფო საზღვარი...). გამომდინარე აქედან, ბევრი უცხოელი ექსპერტი დღეს მეგრელებს, სვანებსა და ლაზებს საქართველოში მცხოვრებ **ენობრივ უმცირესობებად** აცხადებს.

ამ ფონზე, მაგ., ნ. ლადარიას „მტკიცება“, რომ მეგრელის დედაენაა მეგრული და არა – ქართული[137], პარალელურად, ნ. დობორჯგინიძის (და მ. ძაძამიას) [138] მიერ „უმწერლობო ქართველური ენების“ „დაძველება“ და ე.წ. ხუთენოვანი ლექსიკონის „დემონსტრირება“, საფუძველს უქმნის ალ. ჭაჭიას ჯგუფს თუ გარე ძალებს[139], მოითხოვონ

---

[137] მაგ., ნოდარ ლადარიას მიერ გამოქვეყნებულ სახელმძღვანელოში: „სოციოლინგვისტიკა“ ვკითხულობთ (2002, გვ. 22-23): „მეგრელმა კითხვარის გრაფაში: „დედაენა“ უნდა ჩაწეროს მეგრული ენა და არა – „ქართული ენა“.

[138] პროფ. ნ. დობორჯგინიძე წლების მანძილზე არის საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროსთან არსებული რუსთაველის ფონდის სამეცნიერო საბჭოს წევრი და ილიას უნივერსიტეტის (ილიაუნის) ერთ-ერთი ხელმძღვანელი; ნ. დობორჯგინიძის ილიაუნელი რამდენიმე თანამოაზრე დღემდე (01.12.2018) არის ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსა თუ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრია პროფ. რ. ქურდაძეც. შესაბამისად, წლების მანძილზე მათ აქვთ შესაძლებლობა, გავლენა იქონიონ საქართველოს მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების ორიენტირების განსაზღვრის პროცესსა თუ **განსხვავებულ თვალსაზრისზე მყოფი კოლეგების სადოქტორო, სამაგისტრო და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების ბედზე** (რ. ქურდაძის „ხუთენოვანი ლექსიკონის“ ჩვენთვის მიუღებელი კონცეფციის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ; უშუალოდ ჩემ წინააღმდეგ დაწერილ ნ. დობორჯგინიძის წერილში კი სრულადაა გაცხადებული ავტორის მიზანი; იხ.: „ორიოდ სიტყვა მეცნიერების მართვისა და განკარგვის საფრთხეზე“, „არილი“, 10.11. 2010.

[139] გარედან დაფინანსებული მსგავსი ჯგუფები ყველა სახელმწიფოს ყველა კუთხეში შეიძლება არსებობდნენ; მაგ., ახლო წარსულ-

ქართველთა ენობრივი დანაწევრების გაფორმება „რეგიონული ან უმცირესობის ენათა ევროპული ქარტიით“. მეტი თვალსაჩინოებისათვის კომპაქტურად წარმოვადგენთ ამ **სახიფათო ჯაჭვს:**

- ნ. დობორჯგინიძე „ამტკიცებს“, რომ უძველესი დროიდან არსებობდა „ქართველური ენები“;
- ნ. ლადარია „ადგენს“, რომ მეგრელთა დედაენაა მეგრული და არა – ქართული;
- რ. ქურდაძე, მეგრული, ლაზური და სვანური მეტყველების სტატუსის ასაწევად, ამ ქართველურ ქვესისტემებს წარმოადგენს ინგლისური ენის პარადიგმაში: ლექსიკონს დაარქვა „ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-**ინგლისურ** ლექსიკონი“;
- ალ. ჭაჭიას ჯგუფის წევრები (ზ. კვარაცხელია და სხვ.) „ქართველური „უმწერლობო ენებისათვის“ ითხოვენ „რეგიონული ენის“ სტატუსს[140];
- რუსეთის ეკლესიის მხარდაჭერით, რამდენიმე ჯგუფი აქტიურად ცდილობს, გალის რაიონის ეკლესიებში მაინც, ღვთისმსახურების ენად, რუსულთან ერთად, დაამკვიდროს მეგრულიც[141].

ში ასეთი იყო „აჭარის ხსნის კომიტეტი“, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში თავდაუზოგავად იცავდა რუსეთისა და ოსმალეთის ანტიქართული გარიგებით 1921 წელს საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილ ე.წ. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას – საქართველოში **ქართველთა ავტონომიას**.

[140] ზ. კვარაცხელია: მეგრულს – ამ უძველეს „უმწერლობო ქართველურ ენას“ უნდა მიეცეს რეგიონული ენის სტატუსი („ილორი“; 13-27 თებერვალი, 2018 წ.). სხვები ანალოგიურ სტატუსს ითხოვენ სომხურისათვის, რუსულისათვის... საქართველოში რუსული ენობრივი პოლიტიკის კრიტიკის შესახებ ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია, „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტია“ და საქართველო; 2010.

[141] იხ. იზიდა ჭანიას წერილი, რომელშიც ჩანს, რომ ჭუბურხინჯის წმ. გიორგის ტაძარში მღვდელი მათე თუჟბა ეკლესიაში მეგრულად ქადაგებს https://islam-abhazia.livejournal.com/41925.html (დამოწ-

მე არ ვამბობ, რომ ყველა დასახელებული პირი მიზანმიმართულადაა ჩართული ამ რუსულ-იმპერიულ „ჯაჭვში“; როგორც წესი, **მოსაზრება თუ დებულება თვალსაწიერისა და აკადემიური ინფორმაციის ფლობის მიხედვით ყალიბდება;** თუმცა, ფაქტია: გარე ძალების ორგანიზებით **ქართველთა ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის** წინააღმდეგ კარგად გააზრებული სტრატეგია ხორციელდება[142].

მების დრო: 22.12.2018). დავძენთ: მათე ტუშბა თვითგამოცხადებული სოხუმ-აფხაზეთის „ეპარქიის“ „წინამძღოლის“ – ბესარიონ აფლიას მომხრეა. ბ. აფლიას მხარს უჭერს რუსეთის საპატრიარქო. ოკუპირებულ აფხაზეთში აქტიურობს, ასევე, არქიმანდრიტი დოროთე დბარი, რომელსაც მაიკოპისა და ადიღეს მიტროპოლიტმა ტიხონმა მღვდელმსახურება შეუჩერა, თუმცა მან ღვთისმსახურების უფლება მიიღო მსოფლიო პატრიარქისაგან. დ. დბარი თავს აცხადებს „ახალი ათონის ეპარქიის“ დროებით ხელმძღვანელად. **საკითხის ისტორიისათვის:**
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია რუსეთმა გააუქმა 1811-1814 წლებში (რუსეთის ხელისუფლება 1811 წლამდე ბევრად ადრე გეგმავდა, გაენადგურებინა საქართველოს უძველესი საპატრიარქო ტახტი; დოკუმენტებისათვის იხ. ვ. გურული, მეფე ერეკლე და რუსეთი, თბ., 2018, გვ. 49-62). საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია აღიდგინა 1917 წელს, მაგრამ 1992 წლიდან **რუსული ოკუპაციის გამო** „დე ფაქტო“ ვერ მწყემსავს ოკუპირებულ აფხაზეთსა თუ ცხინვალის მხარეში არსებულ მრევლს და ვერ პატრონობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ეკლესიებს. ორმაგ **საეკლესიო პროზელიტიზმს** (/საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრებში შემოჭრას) საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ პასუხი გასცა თავის ტიტულში **„ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის“ შეტანით;** კერძოდ, 2010 წლიდან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტიტული ასეთია: **„უწმიდესი და უნეტარესი ილია II, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა“.**

[142] სერიოზული მსჯელობის საგნად არ შეიძლება ჩაითვალოს ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული, ენათმეცნიერებისა თუ ეთნოლინგვისტიკისაგან შორს მდგარი წერილები, რომელთა ავტორე-

სამწუხაროდ, საინფორმაციო თავდაცვის კონტექსტში, ქართველთა ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის დასაცავად ბოლო 27 წელიწადში იშვიათად თუ გადადგმულა გონივრული ნაბიჯები საქართველოს ხელისუფლების მიერ.
აქვეა აღსანიშნავი:
ქართველთა ისტორიული ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის წარმოსაჩენად ქართველოლოგიური კვლევები წლებია ხორციელდება **აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში,** სადაც ამ მიზნით აკადემიკოსმა მაგალი თოდუამ დააარსა ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (რომელმაც 1996 წლიდან 2019 წლამდე პერიოდში გამოსცა რეფერირებადი ქართველოლოგიური სამეცნიერო ჟურნალის: „ქართველური მემკვიდრეობა“ 22 ნომერი).
ამ მიმართულებითაც წარმატებულია საქართველოს სა-პატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის **ქართული უნივერსიტეტი** (რექტორი: პროფ. სერგო ვარდოსანიძე), რომელშიც 2010 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის კურთხევით დაარსდა ქართველოლოგიის ცენტრი და 2012 წლიდან გამოიცემა ყოველწლიური რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი: **„ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“.**
სწორი ორიენტირებით თანამედროვე ქართველოლოგიის განვითარებისათვის დიდი პერსპექტივები აქვს **გორის სახელმწიფო უნივერსიტეტს,** რომლის რექტორი, პროფ. გიორგი სოსიაშვილი თავადაა ამ მიმართულებით გამორჩეული სპეციალისტი; გარდა ამისა, ორგანიზაციულად ბევრს აკეთებს ქართველოლოგიის განვითარებისათვის.
ხელისუფლებისაგან ფინანსური მხარდაჭერის შემთხვევაში, ახალი თაობის სპეციალისტების ჩართვით მეტი სერიოზული ქართველოლოგიური (ლიგვისტური, ეთნოლო-

---

ბიც (ნ. ხანიაშვილი, კ. ფიფია და სხვ.) ცდილობენ, ერთმანეთისაგან სრულად გამიჯნონ ქართველური ქვესისტემებიც და სხვადასხვა კუთხის ქართველებიც.

გიური) კვლევები შეიძლება განახორციელონ ქართველოლოგიის წამყვანმა სპეციალისტებმა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში (პროფ. მამია ფაღავა, პროფ. როინ მალაყმაძე, პროფ. თამაზ ფუტკარაძე...), სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში (პროფ. მერაბ ნაჭყებია, პროფ. თემურ გვანცელაძე...), ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტში (რექტორი, პროფ. მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძე, პროფ. მერაბ ბერიძე...), თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში (პროფ. ნუნუ გელდიაშვილი, პროფ. ელენე ფილაშვილი...), ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში (რექტორი, პროფ. თეონა ხუფენია, პროფ. რევაზ შეროზია, პროფ. ლუიზა ხაჭაპურიძე...), არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში (დირექტორის, პროფ. ნანა მაჭავარიანის ხელმძღვანელობით) და სხვ.

1.7. ქართველური ენობრივი სამყაროს სეგმენტაციის შესახებ ორი ძირითადი თვალსაზრისი (ისტორიული დინამიკა)

კოლხური არქეოლოგიური კულტურის არსებობის პერიოდიდან ყალიბდება საერთოქართველური ენა, რომლის ბაზაზე, სავარაუდოდ, წარმართულ პერიოდში იქმნება არქაული სამწიგნობრო ენა, შემონახული ე.წ. ხანმეტი ტექსტების ენის სახით.

ფარნავაზ-ქუჯის პერიოდიდან **ქართული ენა მიიჩნევა** არა მხოლოდ ქართველთა, არამედ ქართველთა მიერ დაფუძნებული **სახელმწიფოს ერთიანობის სიმბოლოდ**. ეს სიმბოლო უფრო გამოიკვეთა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ: ქართული ენის, როგორც ღვთისმსახურების ენის, საფუძვლით შეიქმნა საუკუნოვანი ფორმულა: „ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“.

ასე იყო კავკასიაში რუსეთის იმპერიის შემოსვლამდე.

მუსლიმანური იმპერიებისაგან გაწამებული ქართველები მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ერთი მხრივ, თუკი **უიმედოდ ცდილობდნენ**, მხარდამჭერი ეპოვათ ერთმორწმუნე რუსეთის სახით, მეორე მხრივ, ესწრაფოდნენ ეროვნულ კონსოლიდაციას; ამის ნიმუშია 1790 წლის „ივერიელთა ერთობის ტრაქტატი“, რომელშიც ჩამოყალიბებულია ქართველთა ერთიანობის განმსაზღვრელი რამდენიმე არსებითი ფაქტორი. დავიმოწმებთ „ტრაქტატის“ ჩვენთვის საინტერესო ნაწილს:

*„ვინაიდგან (ვინაითგან) ყოველთავე ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ ერთმორწმუნება (ერთმორწმუნეობა), არიან ძენი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და **ერთისა ენისა მქონებელნი**, აქვსთ მავასხებლობითიცა (ურთიერთვალდებულებითი) სიყვარული, ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვარობით შეკრულთა ურთიერთთა შორის, ამისთვის ჩვენ, ზემოხსენებულთა (ზემოხსენებულად) ქვეყანათა ივერიისათა (ივერიისა) მეფენი და მთავარნი, დამამტკიცებელნი საუკუნოსა ამის პირობისა, სახელითა ყოვლად ძლიერისა ღმრთისათა, აღუვსთქვამთ (აღვსთქვამთ) მტკიცესა ამას ერთობასა, რომელიცა თითოეულად შემდგომთა ჰაზრთა ცხად იქმნების“*[143].

დამოწმებული ტექსტიდან ნათელია, რომ 1790 წელს ქართველი მეფე-მთავრები და სწავლული კაცები თვლიდნენ, რომ ივერიელთა (ქართველთა) ერთიანობის განმსაზღვრელი ფაქტორებია:

- ქრისტიანობა;

- ქართული ენა;

- საერთო წარმომავლობა (უფრო ზუსტად: ერთი სისხლის გამო მავასხელობითი ანუ „ურთიერთვალდებულებითი სიყვარული“).

დაპყრობილ ტერიტორიებზე „გათიშე და იბატონეს“ პრინციპით მოქმედი მეფის რუსეთი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე ცდილობს, ქართველთა ერთ ნაწილს (მეგრელებს, სვანებს, ლაზებს, წოვათუშებს, აჭარ-

[143] ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 501-507.

ლებს...) გაუუცხოოს მრავალსაუკუნოვანი დედაენა – ღვთისმსახურების, განათლებისა და კულტურის ენა – ქართული (ქართველური) ენა. ამგვარი მანიპულაციის საფუძველზე რუსი მოხელეები არაქართველებად აცხადებდნენ/აცხადებენ ქართველთა ნახევარს (იხ. რუსეთის ბოლო საყოველთაო აღწერის ეთნოკვალიფიკაციებიც) და ცდილობდნენ/ცდილობენ, ქართველებისათვის დაემცროთ სამშობლოს ცნება. **ქართველებიც ადეკვატურად პასუხობდნენ;** იხ., მაგ., დუტუ მეგრელის (დიმიტრი ხოშტარიას) ცნობილი ლექსი: „მე პატარა ქართველი ვარ“[144].



ავტორი დუტუ ხოშტარია

ბოლშევიკებს ღვთისმსახურების ენა არ აინტერესებდათ. მათ ქართველი ერის დასანაწევრებლად რუსული ენობრივი პოლიტიკა გააგრძელეს. ამ მიზნით პირველი ბოლშევიკებიც შეეცადნენ, ქართული ენა შეეცვალათ, ერთი მხრივ, რუსულით („რევოლუციის“ ენით), მეორე მხრივ კი – ადგილობრივი დიალექტებით; კერძოდ, ი. სტალინის სტრატეგია დაეფუძნა ნ. მარის მიერ 1912 წლის (რუსეთის აკადემიის წევრად არჩევის წელი!) შემდგომ ჩამოყალიბებულ კვალიფიკაციას[145], რომლის საფუძველზეც

---

[144] https://iberiana.wordpress.com/2018/08/20/dutu-megreli.
შემთხვევითი არ იყო: 1992-93 წლების პუტჩის დროს პრორუსულმა ძალამ სწორედ ამ ლექსს შეუცვალა შინაარსი (პუტჩისტებმა „ვანდეად“ აქციეს სამეგრელო – საქართველოს ერთიანობისათვის გამორჩეული ერთსულოვნებით მებრძოლი კუთხე).

[145] 1905 წელს გამოქვეყნებულ წიგნში: „ქართველთა ეროვნება“ ნ. მარი იცავდა ქართველთა ენობრივ ერთიანობას; იგი საპირისპირო

მან მეგრელთა, სვანთა, ლაზთა, აჭარელთა... კუთხური მეტყველებები გამოაცხადა „განუვითარებელ ენებად“ („უმწერლობო ენებად“), მათი მფლობელები კი – ქართველებისაგან განსხვავებულ „ჩამორჩენილ ხალხებად“. პარალელურად, დაგეგმა ამ „ჩამორჩენილი ერების“ შეყვანა დიდი (რუსული) კულტურის წიაღში; **გარდამავალ საფეხურად ამ შემთხვევაშიც ივარაუდებოდა „კუთხური მეტყველებების“ მიხედვით მხოლოდ დაწყებითი განათლებისათვის ორგანიზება.**

ამ მიზნით 1922 წლიდანვე პირველმა ბოლშევიკებმა სამეგრელოში გააააქტიურეს რამდენიმე ჯგუფი, რომელთაც თავდაპირველად ი. სტალინის აქტიური მხარდაჭერა ჰქონდათ. მათ დაუპირისპირდნენ საქართველოს (სამეგრელოს) ღირსეული შვილები. დისკუსია მიმდინარეობდა 1922-1932 წლებში; გამოიკვეთა ორი ძირითადი მიდგომა:

I. ქართველთა ენობრივ-კულტურული დანაწევრების გზა: სამეგრელოში, ლაზეთსა და სვანეთში დაწყებით საფეხურზე, ქართული ენის ნაცვლად, ადგილობრივი „ენით“ სწავლება; ადგილობრივი „ენით“ გაზეთების გამოცემაც და საქმისწარმოებაც... საბოლოო ჯამში, საკუთარი ისტორიული სამწიგნობრო კულტურის გაუცხოება ქართველთა დიდი ნაწილისათვის;

II. ქართველთა ისტორიული ენობრივი ერთიანობის შენარჩუნების გზა: ტრადიციის შესაბამისად, სამეგრელოს (სვანეთის, ლაზეთის) სკოლების დაწყებით საფეხურზეც ქართული ენით სწავლება და, აუცილებლობის შემთხვევაში, ადგილობრივი დიალექტების გამოყენება დამხმარე საშუალებად; საბოლოო ჯამში: ყველა კუთხის ისტორიული მემკვიდრეობისა და ერთიანი სამწიგნობრო ენის დაცვით ქართველი ერის ერთიანობის შენარჩუნება.

ათწლიანი დისკუსია დასრულდა 1932-33 წლებში არნ. ჩიქობავასა და სხვა ენათმეცნიერთა მიერ ჩამოყალიბე-

---

პოზიციაზე გადავიდა რუსეთის აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევის შემდეგ. ნ. მარისა და ივ. ჯავახშვილის დაპირისპირების შესახებ იხ.: ტ. ფუტკარაძე, ი. ვაშაკიძე, ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმვა; თბ., 2011.

ბული დასკვნით; ენათმეცნიერები, ლ. ბერიას მხარდაჭერით, არსებით საკითხში ი. სტალინს დაუპირისპირდნენ; კერძოდ, ნაშრომში, საარქივო მასალებზე დაყრდნობით, დეტალურადაა გაანალიზებული „მეგრულენოვანი“ (ასევე, „სვანურენოვანი“) სკოლების მიზანშეუწონლობის შესახებ 1933 წლის საქართველოს კომუნისტური მთავრობის შესაბამისი სტრუქტურის საგანგებო კომისიის დასკვნის მომზადების პროცესიც და არნ. ჩიქობავას შორსგათვლილი კომპრომისული პოზიციის არსიც.

ქართველური იდიომების სტატუსის შესახებ დღესაც მიმდინარეობს დისკუსია, რომელიც, ფაქტობრივად, აგრძელებს გასული საუკუნის 30-იან წლებში არსებულ თვალსაზრისებს; კერძოდ:

- რამდენადაც საერთაშორისო ფონდები დაინტერესებული არიან **საფრთხის ქვეშ მყოფი უმწიგნობრო ენების გადარჩენით,** გრანტების იოლი გზით მოპოვების მოსურნე **უცხოელი თუ ქართველი** მკვლევრები (თუ მოყვარული მკვლევრები), ყოველგვარი ლოგიკის გარეშე, დღესაც ცდილობენ, **„განუვითარებელ ენებად“ თუ „უმწერლობო ენებად“ გამოაცხადონ ქართველურ ზეპირ იდიომთა ერთი ნაწილი.** ისინი ხელისუფლებას სთავაზობენ, დასახელებული „უმწერლობო ენები“ ისწავლებოდეს საქართველოს საჯარო სკოლებში; ასევე, უმწერლობო ქართველურ „ენებზე“ გავრცელდეს „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ დებულებები... ალბათ, მათგან ზოგს მაინც გააზრებული არა აქვს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ყოველივე გამოიწვევს, **ერთი მხრივ,** ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ დანაწევრებას – ქართველი ერის დანაწევრებას; **მეორე მხრივ** კი, მეგრელებს, ლაზებს, სვანებს, წოვათუშებს დაუკარგავს **მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწიგნობრო კულტურის ქმნადობაში მონაწილეობის ისტორიას.**

- მეცნიერთა თუ ექსპერტთა მეორე ნაწილი სამართლიანად თვლის, რომ ქართველებს მრავალი საუკუნეა გვაქვს ერთი დედაენა – ქართული ენა, რომელიც, ამავე დროს,

არის საქართველოს სახელმწიფო ენა. ამ ენის კუთხურ სახესხვაობებს წარმოადგენს ზეპირი ქართველური იდიომები. რამდენადაც „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ დებულებები არ ვრცელდება სახელმწიფო ენის სახესხვაობებზე, საქართველოს ხელისუფლებას აქვს კონსტიტუციური ვალდებულება, მოსალოდნელი საფრთხეებისაგან დაიცვას როგორც ქართული (ქართველური) სამწიგნობრო ენა, ასევე, ქართველური დიალექტები (ვრცლად იხ. ქვემოთ).

ამჟამინდელი (დეკემბერი, 2018 წელი) რეალობის გათვალისწინებით, **ბევრი პრობლემაა ლინგვისტური ქართველოლოგიის დაგეგმვის სფეროში. აკადემიურ ველში ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის საწინააღმდეგო იდეოლოგემის დასაბალანსებლად და საინფორმაციო ომში საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია:**

ა) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით აკადემიურ ინტერნეტგამოცემებს, უცხოეთის წამყვან ბიბლიოთეკებს, უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებს მიეწოდოს ქართველოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურის აკადემიური თარგმანები და მომზადდეს ისეთი საერთაშორისო კონფერენციები, რომლებზეც წარმოდგენილი იქნება აქტუალური კვლევები.

ბ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უწყებების: რუსთაველის ფონდის ექსპერტებისა და საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაცია/ავტორიზაციის საბჭოებისა თუ ექსპერტთა ჯგუფების შემადგენლობის თვისობრივი გადასინჯვა, რამდენადაც ამ სტრუქტურებზე დღემდე (01.12.2018 წ.) დიდ გავლენას ინარჩუნებენ სამი თუ ოთხი „უმწერლობო ქართველური ენის“ იდეოლოგემის მხარდამჭერები, იდეოლოგემისა, რომელიც, საბოლოო ჯამში, საფრთხეს უქმნის ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ ერთიანობას.

II თავი
საქართველოს ენობრივი სიტუაცია „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ რატიფიცირების კონტექსტში

2.1. „ენის ქარტიის“ მიზანი

1992 წლის 5 ნოემბერს ევროსაბჭომ სტრასბურგში გამოაქვეყნა **„ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ“,** რომლის მიზანია ისტორიული/ავტოქთონი უმცირესობის (მცირე ხალხის) **არასახელმწიფო ენის,** როგორც იდენტობის განმსაზღვრელი კულტურული ფენომენის, დაცვა. „ევროპული ქარტიის“ მიხედვით, „მაღალი ხარისხით“ უნდა იყოს დაცული რეგიონული ან უმცირესობის ენა; კერძოდ:

- დაწყებით კლასებში მაინც რეგიონულ ენაზე უნდა იყოს სწავლება;
- რეგიონულ ენაზე უნდა არსებობდეს ტელემედია და პრესა;
- მოცემული უმცირესობით კომპაქტურად დასახლებულ მხარეებში რეგიონული ენა უნდა იყოს გამოყენებული საქმისწარმოების ენად...[146]

შდრ.:

90 წლის წინ მეგრულისა თუ სვანურის შესახებ ზუსტად ასეთი მოთხოვნა ჰქონდათ იოსებ სტალინის მიერ მარ-

---

[146] შდრ., დაახლოებით, ამავე პერიოდშია (1995 წ.) მიღებული მეორე დოკუმენტი – „ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“; მისი მიზანია **არაავტოქთონი ეთნიკური უმცირესობის** წარმომადგენელთა ინდივიდუალური უფლებების, მათ შორის, ენობრივი უფლებების დაცვა. ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია, „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტია“ და საქართველო; თბ., 2010
http://www.putkaradze.ge/cigni%20dasrulebuli/cigni.htm

თულ ბოლშევიკებს, რომელთაც ხელმძღვანელობდა ისაკ ჟვანია (იხ. ზემოთ, I თავი)[147]; ზუსტად ასეთივე მოთხოვნები აქვთ დღესაც კრემლის მიერ მართულ ჩვენი დროის ისაკ ჟვანიებს (შესაბამისად, ეს თემა ახლაც დაკავშირებულია კრემლის პოლიტიკასთან და არა – **რაიმე სახის სეპარატიზმთან**)[148].

90 წლის წინ ქართველთა დამანაწევრებელ კრემლის (/იოსებ სტალინის) ენობრივ პოლიტიკას დიდი ძალისხმევით შეეწინააღმდეგნენ:

– ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი: კონსტანტინე გამსახურდია, თედო სახოკია, შალვა დადიანი, გიორგი ჟორდანია, აკაკი ფაღავა...

---

[147] ისაკ ჟვანიას, ზოგადად, კრემლის ენობრივ-ეთნიკური პოლიტიკის აკადემიური კრიტიკისათვის იხ. ზვიად გამსახურდია, სამეგრელოს საკითხი; ლიტერატურული საქართველო, 3 ნოემბერი, 22 დეკემბერი, 1989.

[148] იხ., პრორუსი პოლიტიკოსის, ალ. ჭაჭიას ჯგუფის წევრის – ზურაბ კვარაცხელიას – მოთხოვნები, რომლებიც დაბეჭდილია გაზეთ „ილორში“ (13-27 თებერვალი, 2018 წ.):

1. აუცილებელია, დაწყებით კლასებში ისწავლებოდეს მეგრული (ლაზური, სვანური) ენა;
2. აუცილებელია, სახელმწიფომ ორგანიზება გაუწიოს მეგრულ (ლაზურზეც, სვანურზეც) ენაზე რადიო- და ტელემაუწყებლობას;
3. აუცილებელია მეგრული (ლაზური, სვანური) ბეჭდვითი გამოცემების სტიმულირება;
4. აუცილებელია მეგრულ (ლაზურზეც, სვანურზეც) ენაზე მოსაუბრე ადამიანებს, სახელმწიფო ენასთან პარალელურად, მინიმუმ საკუთარი რეგიონის ტერიტორიაზე მაინც მიეცეთ ნანაში ნინას (დედა ენის) გამოყენების შესაძლებლობა“... აქვე, ის მეგრელებს (/ლაზებს, სვანებს) დამოუკიდებელ ეთნოსებად თვლის.

მსგავსი მოთხოვნები აქვს კრემლისგან დაფინანსებულ სხვა გამოცემას – „სამენოვან“ გაზეთ „გალს“, რომლის რედაქტორიც წარმოშობით ქართველია. იხ. ასევე, „ფეისბუქზე“ შექმნილი სპეციალური ჯგუფი /https://www.facebook.com/groups/226484270769365/ „Мегрельская нация“ (დამოწმება: 05.01.2019).

– ქართველი ენათმეცნიერები: არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ახვლედიანი, ვუკოლ ბერიძე, ვარლამ თოფურია...
– ბოლშევიკ ხელისუფალთა ერთი ნაწილიც კი: ლავრენტი ბერია, ალექსანდრე გეგეჭკორი და სხვ. (იხ. ზემოთ).

გასული საუკუნის 30-იანი წლებისაგან განსხვავებით, დღევანდელი პოლიტიკური სპექტრისა თუ სამეცნიერო წრეების წარმომადგენლების **ერთი ნაწილი მხარს უჭერს მეგრულის, ლაზურისა და სვანურისათვის ე.წ. რეგიონული ან უმცირესობის ენის სტატუსის მინიჭებას** (იხ., ქვემოთ); ანუ, რეალურად, დღეს არის მცდელობა, ქართველი ერის დამანაწევრებელი „ენობრივი პოლიტიკა“ უკვე ევროსაბჭოს კეთილშობილური დოკუმენტით შეიფუთოს; შესაბამისად, **ხელისუფლებისა თუ ფართო საზოგადოებისათვის დღეს გაცილებით რთულია რეალური პრობლემის იდენტიფიცირება.**
ქვემოთ შევეცდებით, აღსაქმელად უფრო იოლი გავხადოთ შექმნილი რეალობა:
1999 წელს საქართველომ აიღო ვალდებულება, რატიფიცირება მოახდინოს და რეგიონული /თუ უმცირესობის/ ენების ჩამონათვალი დაურთოს ევროსაბჭოს დამოწმებულ დოკუმენტს. შდრ.: გარკვეული რისკების გამო ევროპის სახელმწიფოთა ნაწილი არ შეუერთდა „ენის ქარტიას“; კერძოდ, ევროსაბჭოს წევრი 48 ქვეყნიდან 24-მა სახელმწიფომ მოახდინა „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ რატიფიკაცია (სომხეთი, გერმანია, ფინეთი, რუმინეთი, ესპანეთი, შვედეთი, უკრაინა, დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი...);
9 სახელმწიფომ მხოლოდ ხელი მოაწერა ამ დოკუმენტს (აზერბაიჯანი, საფრანგეთი, იტალია, რუსეთი...); ამათგან აზერბაიჯანი აცხადებს, რომ რატიფიცირებას არ მოახდენს მანამ, სანამ მისი ტერიტორია ოკუპირებულია. 15

სახელმწიფოს თავისი პოზიცია საერთოდ არ ჩამოუყალიბებია (საქართველო, თურქეთი, საბერძნეთი, ლიტვა, ესტონეთი, ბელგია, ლატვია, პორტუგალია...)[149].

შემდგომი მსჯელობის კონტექსტში არსებითია, აღინიშნოს:

ა) „ენის ქარტია“ არ მოიცავს მიგრანტთა ენებს (მუხლი I, ა, II) და, შესაბამისად, „ენის ქარტიის“ მიზანი არ არის უმცირესობის ენობრივი უფლებების ჩამოყალიბება; შესაბამისად, ჩვენს შემთხვევაში, „ევროპული ქარტია“ **არ უნდა შეეხოს არაავტოქთონ ეთნიკურ უმცირესობებს** (მაგ., რუსებს);

ბ) „ენის ქარტია“ არ მოიცავს სახელმწიფო ენას, მის ადგილობრივ სახესხვაობებსა და დიალექტებს; კერძოდ, ამ ქარტიით ნაგულისხმევი „ენები უნდა მკაფიოდ განსხვავდებოდეს იმ ენის ან ენებისაგან, რომლებზეც სახელმწიფოში მცხოვრები დანარჩენი მოსახლეობა საუბრობს. **ქარტიის დებულებები არ ეხება ერთი ენის ადგილობრივ სახესხვაობებსა თუ დიალექტებს**“[150].

გ) „ენის ქარტია“ არ განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაში შეიძლება გამოხატვის ესა თუ ის ფორმა ჩაითვალოს ცალკე ენად; კერძოდ, „ენის ქარტიაში“ ხაზგასმით წერია: **„ენისა და კილოს სადავო საკითხის გადაჭრა** დამოკიდებულია არა მხოლოდ წმინდა ლინგვისტურ მოსაზრებებზე, არამედ სხვადასხვა ფსიქო-სოციოლოგიურ და პო-

---

[149] http://conventions.coe.int/Treaty/Commun/ListeDeclarations.asp?NT=148&CM=8&DF=23/01/05&CL=ENG&VL=1

[150] These languages must clearly differ from the other language or languages spoken by the remainder of the population of the state. The charter does not concern local variants or different dialects of one and the same language. However, it does not pronounce on the often disputed question of the point at which different forms of expression constitute separate languages (32).

ლიტიკურ ფაქტორზე, რომლებიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებულ პასუხს შეიძლება იძლეოდეს“ /32-ე განმარტება/.

ენისა და კილოს სტატუსის მინიჭების საკითხის განსაზღვრისას „ევროპული ქარტია“ პრეროგატივას ანიჭებს ქვეყნის ხელისუფლებას, რომელმაც დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით, თავად უნდა განსაზღვროს ის კრიტერიუმები, რომლებზე დაყრდნობითაც ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელებულ ამა თუ იმ მეტყველებას მიენიჭება დამოუკიდებელი ენის სტატუსი /32-ე განმარტება/.

წარმოდგენილი დებულებების ფონზე ქართველ თუ უცხოელ ექსპერტთა ნაწილი ითხოვს, საქართველოში რეგიონული ან უმცირესობის ენის სტატუსი მიენიჭოს 12-დან 20-მდე ენას; მაგ., 2008 წელს თბილისში გამოქვეყნდა „რეკომენდაციები ენობრივ უმცირესობათა დაცვის მიმართულებით ენობრივი პოლიტიკის შემუშავებისათვის“ (კონსულტანტი: პოზნანის ადამ მიცკევიჩის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი ტომაშ ვიხერკევიჩი)[151], რომელთა მიხედვით, „რეგიონული ან უმცირესობის ენების ევროპული ქარტიით“ საქართველოში დაცული უნდა იყოს: **სომხური** და **აზერბაიჯანული** (გვ. 78-79); **რუსული, ბერძნული, ებრაული, ქურთული, უკრაინული, ჩეჩნური** (/ ქისტური - ჩეჩნურის ახლო მონათესავე ენა), **ასირიული, ხუნძური** (გვ. 80) და უმწერლობო ენები: **სვანური** და **მეგრულ-ლაზური** (გვ. 80-86). ავტორებისა და კონსულტანტის აზრით, „ზანური და სვანური სოციოლინგვისტურად **უმწერლობო ენებია**“ (გვ. 82)[152].

---

[151] კრიტიკისათვის ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია, „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტია“ და საქართველო; 2010
http://www.putkaradze.ge/cigni%20dasrulebuli/cigni.htm

[152] მათივე აზრით, ამ ენებზე უნდა გავრცელდეს ევროპული ქარტიის მხოლოდ მეორე თავის დებულებები (გვ.86).

ევროსაბჭოს ექსპერტი ჯონათან უითლი საქართველოს „რეგიონული და უმცირესობათა ენების ცხრილში“ 29 ენას წარმოადგენს (გვ. 10-12; 22-23). მისი აზრით, ამ ენათა დიდი ნაწილი საქართველოში დაცული უნდა იყოს „რეგიონული ან უმცირესობის ენების ევროპული ქარტიის“ მიხედვით[153]. **ქართველური ქვესისტემების შესახებ ჯ. უითლი წერს:**

„რაც შეეხება მეგრულს, სვანურსა და ლაზურ ენებს. მხოლოდ ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობითაც ძნელია იმის დამტკიცება, რომ ისინი მხოლოდ ქართული ენის დიალექტები არიან, ვინაიდან ისინი არ არიან გასაგები ქართული ენის მცოდნეებისათვის“ (გვ. 17)...

ჩანს, პატივცემული ექსპერტი ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ **„გაგებინება“ არ არის ენისა და კილოს გამმიჯნავი კრიტერიუმი;** გარდა ამისა, ევროპაშიც და აზიაშიც თითქმის ყველა ენას აქვს დიალექტებად წოდებული სახესხვაობები, რომელთა მფლობელთ არ ესმით მათივე სალიტერატურო ენა, თუკი საგანგებოდ არ შეისწავლეს.

გვაქვს საპირისპირო შემთხვევებიც:

---

[153] ჯონათან უითლი, საქართველო და რეგიონული ან უმცირესობათა ევროპული ქარტია, ECMI-ის (უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრი – კავკასია – **ECMI Caucasus**) სამუშაო მოხსენება № 42, ივნისი, 2009, გვ. 10-12.
http://www.ecmicaucasus.org/upload/publications/working_paper_42_geo.pdf (დამოწმება: 22.05.2018). ევროპელ ექსპერტთა მოსაზრებების კრიტიკული ანალიზისათვის ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია, „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ“ და საქართველო“, ქუთაისი, 2010, გვ. 153-157; T. Putkaradze, E.Dadiani, R. Serozia „European Charter for Regional or Minority Languages“ and Georgia“, Kutaisi, 2010;
http://www.scribd.com/doc/35702700/Tariel-Putkaradze-Eka-Dadiani-Revaz-Seroozia-2010

ბევრი მონათესავე მეტყველება იწოდება „ენად“, მაგ.: ბოსნიური, ჩერნოგორიული, სერბიული და ხორვატიული... მიუხედავად იმისა, რომ მათ სტრუქტურულად („საკუთრივ ლინგვისტურად“) ერთნაირი აგებულება აქვთ და გაგებინებაც უპრობლემოდ ხდება[154]. აქვე აღვნიშნავ, რომ დამოწმებული ექსპერტების „რეკომენდაციებს“ 2004-2016 წლებში საქართველოს პარლამენტში აქტიური მხარდამჭერები ჰყავდათ რესპუბლიკური პარტიის წევრების სახით[155].

საინტერესოა ერთი გარემოება:

რატომღაც, ეს ექსპერტები თუ პოლიტიკოსები ამ მოთხოვნას აყენებენ ავტოქთონობის ცნებისა და ენის/კილოს სტატუსის განმსაზღვრელი კრიტერიუმების გააზრების გარეშე; არადა, „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტია“ საშუალებას იძლევა, **მკაფიოდ განისაზღვროს საკვალიფიკაციო კრიტერიუმები,** რომელთა საფუძველზეც მოხდება ქართველური ენობრივი ქვესისტემებისა თუ საქართველოში მცხოვრებ უმცირესობათა ენების სტატუსის განსაზღვრა.

ვფიქრობთ, პირველ რიგში, გასააზრებელია **უმწერლობო ენისა და დიალექტის გამმიჯნავი კრიტერიუმები.**

---

[154] მსჯელობისათვის ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია, „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტია“ და საქართველო; 2010
http://www.putkaradze.ge/cigni%20dasrulebuli/cigni.htm

[155] ამ მიმართულებით უფრო აქტიურობდა პაატა ზაქარეიშვილი; იხ. შესაბამისი მასალა: http://www.newposts.ge/?l=G&id=9242-enebis,dacvis,qartia,axalqalaqi,sakrebulo (დამოწმება: 22.05.2018); რესპუბლიკური პარტიის წინააღმდეგ გაილაშქრეს რესპუბლიკური პარტიის მოკავშირე პარტიის წევრებმაც კი; იხ., მაგ.: http://www.kavkasiatv.ge/ge/portal/news/388 (დამოწმება: 22.05.2018 წ.); იხ., ასევე:
http://www.opentext.org.ge/index.php?m=12&y=2013&art=2324
(დამოწმება: 22.05.2018).

2.2. ვის აქვს უმწერლობო ენა?

თანამედროვე ენათმეცნიერებაში ენისა და კილოს გამმიჯნავი კრიტერიუმები ორ ჯგუფად იყოფა:
- ლინგვისტური;
- ექსტრალინგვისტური.

თავის მხრივ, ლინგვისტური კრიტერიუმებიც ორგვარია:
- ენის შიდასტრუქტურული კრიტერიუმები;
- სოციოლინგვისტური კრიტერიუმები.

მეთოდოლოგიურად გამართულ სამეცნიერო ნაშრომებში უპრობლემოდ ხდება დიდი სამწიგნობრო ტრადიციის მქონე ერის სამეტყველო კოდების სტატუსისა და იერარქიის განსაზღვრა: მოცემული ეთნოსის/ერის[156] დედაენაა ისტორიული სამწიგნობრო კულტურის ენა; ამ ენის **ზეპირი სახესხვაობები** კი, რაც არ უნდა განსხვავდებოდეს სამწიგნობრო ენისაგან, მიიჩნევა დიალექტებად: როგორც წესი, ერთი სამწიგნობრო ენის მქონე ერთ ეთნოსს/ერს ორი დედაენა არა აქვს (იხ., მაგ., არაბული თუ გერმანული ენების დიალექტები).

საყოველთაოდაა მიღებული, ასევე, „უმწიგნობრო ენის“ (/უმწერლობო ენის) და „დიალექტის“ განმარტებანი:

უმწერლობო ენად იწოდება იმ ეთნოსის მეტყველება, რომელ ეთნოსსაც თავის დედაენაზე არ შეუქმნია სამწიგნობრო კულტურა.

დიალექტად იწოდება იმ ეთნოსის/ერის ერთი ნაწილის კუთხური მეტყველება, რომელსაც თავის დედაენაზე აქვს ხანგრძლივი ისტორიის სამწიგნობრო კულტურა. თითქმის ყველა ენას აქვს ისეთი დიალექტი, რომელის მფლო-

---

[156] **ერის** ორგვარი გაგება არსებობს:

- ერი – ერთი ენისა და კულტურის მქონე ისტორიული ერთობა;
- ერი – მოცემული სახელმწიფოს მოქალაქეთა ერთობა.

ენისა და კილოს განმარტებისას ნაგულისხმევია პირველი გაგება.

ბელთ საგანგებო შესწავლის გარეშე არ შეუძლიათ გაიგონ წინაპრების მიერ შექმნილი სამწიგნობრო ენა (/დედაენა).

ენისა და კილოს გამიჯვნის სირთულის შემთხვევებში სპეციალისტები უფრო ეყრდნობიან **სოციოლინგვისტურ** კრიტერიუმებს; არაიშვიათად გამოყენებულია **ექსტრალინგვისტური** „კრიტერიუმებიც“:
სოციოლინგვისტური კრიტერიუმებია:
– ეთნოკულტურული ერთიანობა (ეთნოკულტურულად ერთ საზოგადოებას ერთი ენა აქვს);
– კოდიფიცირებულობა (დამწერლობის ქონა/არქონა);
– სტანდარტულობა /ნორმირებულობა/;
– რეესტრულობა (სახელმწიფო ენის სტატუსი);
– თვითიდენტიფიკაცია და სხვ.
ექსტრალინგვისტური „კრიტერიუმები“:
– გაგებინება;
– პოლიტიკური მიზანშეწონილობა;
– რელიგიური იდენტობა...

მსოფლიოს არც ერთი ცივილიზებული ხალხის ენის სტატუსი არ დადგენილა არც გაგებინების (ექსტრალინგვისტური) **კრიტერიუმით** და **არც შიდასტრუქტურული კრიტერიუმებით** – ბგერათშესატყვისობითა თუ ენების/კილოების სისტემური მსგავსება-განსხვავებით: **ბგერათშესატყვისობა არსებობს დიალექტებსა** და კილოკავებს შორისაც კი. გარდა ამისა, არავის დაუდგენია ზღვარი, თუ რამდენპროცენტიანი სხვაობა შეიძლება იყოს საკმარისი დიალექტების „მონათესავე ენებად“ კვალიფიკაციისათვის/[157].

---

[157] მსჯელობისათვის ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ“ და საქართველოში ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვის საკითხი, თბ., 2009. „უნივერსალი“; „European Charter for Regional or Minority Languages“

მეტყველების სტატუსის დადგენის პროცესში გასათვალისწინებელია მოცემული მოსახლეობის ენობრივი თვითიდენტიფიკაციაც. საქართველოში ამ თვალსაზრისით საინტერესოა კ. გაბუნიას, ჭ. ქირიას და ლ. ეზუგბაიას მიერ ჩატარებული კვლევა, რომელიც განხორციელდა ფოლკსვაგენის ფონდის დაფინანსებული პროექტის: „სოციოლინგვისტური სიტუაცია თანამედროვე საქართველოში" (პროექტის ხელმძღვანელები: ი. გიპერტი, მ. თანდაშვილი) ფარგლებში[158]. პროექტის ავტორთა მიერ შედგენილი **მაპროვოცირებელი კითხვების** მიუხედავად[159],

---

and An Issue of Plannig Linguistic Policy in Georgia, Tb. 2009. https://www.scribd.com/document/12621676/T-Putkaradze-European-Charter-for-Regional-or-Minority-Languages-and-An-Issue-of-Plannig-Linguistic-Policy-in-Georgia; იხ. ასევე: ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია, „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ" და საქართველო", ქუთაისი, 2010, გვ. 153-157; T. Putkaradze, E.Dadiani, R. Serozia „European Charter for Regional or Minority Languages" and Georgia", Kutaisi, 2010; http://www.scribd.com/doc/35702700/Tariel-Putkaradze-Eka-Dadiani-Revaz-Seroozia-2010. იხ. ასევე: ტ. ფუტკარაძე, ქართველთა დედაენა და დიალექტები, ქუთაისი, 2008; „ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობა"; The national language and the dialects of Kartvels (Georgians), Kutaisi, 2008 http://www.scribd.com/doc/8727375/T-Putkaradze-Kartvelta-Dedaena-Da-Dialeqtebi-2008.

[158] კ. გაბუნია, ლ. ეზუგბაია, ჭ. ქირია, ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში (ქართველური ენები), თბილისი, 2010; გამომცემლობა „საიმედო".

[159] მაგ., საზოგადოებას, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე **ქართული სამწიგნობრო ენით** აღასრულებს ღვთისმსახურებას და, ასევე, მომავალ თაობებს ზრდის წინაპრების მწიგნობრული დედაენით, არაკორექტულია, დაუსვა ასეთი კითხვები:
- რომელ ენაზე გსურს ღვთისმსახურება: ქართულად თუ მეგრულად/სვანურად/ლაზურად?;
- რომელ ენაზე გსურს პრესა/ტელევიზია: ქართულად თუ მეგრულად/სვანურად/ ლაზურად?;

სამეგრელოსა და სვანეთში გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ მეგრულ-ლაზური და სვანური ქართული ენის დიალექტებია[160].
ასეთი შედეგი ლოგიკურია, რამდენადაც თანამედროვე მეცნიერებაში აპრობირებული არც ერთი კრიტერიუმით **ქართველთა ზეპირი იდიომები „უმწერლობო ენებად“ არ უნდა მივიჩნიოთ,** ვინაიდან ამ მეტყველებების მფლობელთ აქვთ, სულ მცირე, 16-საუკუნოვანი სამწერლობო კულტურა. შესაბამისად, დღეს, როცა საქართველოში აღარ არის ბოლშევიკური თუ კომუნისტური რეჟიმი, დასახელებულ თუ სხვა ავტორთა მიერ ე.წ. „უმწერლობო ქართველური ენების“ არსებობის მტკიცება და „რეგიონული ან უმცირესობის ენის“ სტატუსით აღჭურვის მცდელობა ან საკითხში გაურკვევლობით უნდა აიხსნას, ანდა ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების სურვილით.

ბუნებრივია ისიც, რომ რომელიმე **„უმწერლობო ენის“ არსებობის მტკიცება** თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში **ლოგიკურად ააქტუალურებს ამ მეტყველების გადარჩენისა და კულტურულ ენად ქცევის თემას. ჩვენს შემთხვევაში:** ენისა და კილოს გამმიჯნავი კრიტერიუმებისა და ქართველთა ენობრივი ისტორიის არცოდნის გამო, როცა ვინმე თვლის, რომ ქართველური ენობრივი სამყარო წარმოდგენილია ოთხ (სამ) ენად, რომელთაგან სამი (ორი) უმწერლობოა, **ლოგიკურად მივა დასკვნამდე:** საქართველოში საქმისწარმოება თუ განათლების სფერო უნდა დაიგეგმოს ე.წ. „სამი (თუ ორი) უმწერლობო ქართველური ენის“ მიხედვითაც; მაგ., **ქართველ-**

- რომელ ენაზე გსურს, ასწავლო შვილს: ქართულად თუ მეგრულად/სვანურად/ლაზურად?;
- რომელია შენი დედაენა: ქართული თუ მეგრული/სვანური/ლაზური?..

[160] დასახ. ნაშრომი, გვ. 62-92.

თა ენობრივი ისტორია და ქართული სამწიგნობრო ენის ქმნადობის ისტორია ნამდვილად არ იციან ჯონათან უითლიმ, ტომაშ ვიხერკევიჩმა და სხვებმა; ისინი ეყრდნობიან საბჭოთა თუ ქართველ ლინგვისტთა შესაბამის კვალიფიკაციებს და საქართველოს ხელისუფლებას სთავაზობენ რეკომენდაციას, რომლის მიხედვით „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ მეორე თავის დებულებები უნდა გავრცელდეს „ტერიტორიის არმქონე ენების“: რუსულის, ბერძნულის, ებრაულის, ქურთულის/იეზიდურის, უკრაინულის, ჩეჩნურის/ქისტურის, ასირიულის, ავარიულის (ხუნძურის) და **„უმწერლობო ენების“:** მეგრულ-ლაზურისა და სვანურის მიმართ[161].

პირადად, ჩემთვის მათი პოზიცია გასაგებია, რამდენადაც, ქართველური ზეპირი იდიომების მიმართ „რეგიონული ან უმცირესობის ენების ევროპული ქარტიის“ დამცავი მექანიზმების გამოყენების „საფუძველს“ მათ უქმნის არა მხოლოდ საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებული **ე.წ. ოთხი თუ სამი ქართველური ენის „იდეოლოგია“,** არამედ **ქართველური „უმწერლობო ენების“ შესახებ პოსტსაბჭოთა პერიოდში შექმნილი „ახალი“ „არგუმენტებიც“;** შდრ., მაგ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ნ. დობორჯგინიძის აზრით, II-III და მომდევნო საუკუნეებში დაწერილი მსოფლიო ისტორიების ავტორები **სვანურსა და მეგრულს** მსოფლიოს ხალხთა ენებს შორის მოიხსენიებენ“[162]. ამ სიცრუის პარალელურად, ჩვენ, ქართველ ენათმეცნიერთა ერთ ნაწილს, გვწა-

---

[161] ვრცელი მსჯელობისათვის იხ.: ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია, „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტია“ და საქართველო; 2010

[162] ნ.დობორჯგინიძე, რელიგიური ისტორიოგრაფიის უძველესი წყაროები სამწერლობო და არასამწერლობო ქართველური ენების შესახებ: ქართული სალიტერატურო ენის საკითხები, ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, I კრებული, თბ., 2007, გვ. 259.

მებს ცილს: **თურმე** „ნაციონალისტური“ თუ პატრიოტული მიზნებიდან გამომდინარე, ვაცხადებთ „ქართველურ უმწერლობო ენებს“ ქართველურ დიალექტებად! სინამდვილეში, ჩვენ სწორედ მყარი მეცნიერული არგუმენტების საფუძველზე ვამბობთ:
საერთოქართველურ ენაზე დაფუძნებული ქართული სამწიგნობრო ენა ერთადერთი დედაენაა ქართველებისათვის. ისტორიის მიზანმიმართული გაყალბებაა, მეგრელები, სვანები, ლაზები გამოცხადდნენ „უმწერლობო ენების“ მფლობელ „მცირე ხალხებად“; დამამცირებელია, იოანე ლაზის, იოანე მინჩხისა თუ ჭყონდიდლების აღმზრდელი კუთხის ქართველობას დღეს შეუქმნა ანბანი თუ სამწერლობო ენა.

ზემოთაც აღინიშნა:
არც ერთი ძველი წყარო **სვანურსა და მეგრულს** მსოფლიოს ძველ ხალხთა ენებს შორის არ მოიხსენიებს. ამგვარ უზუსტობას (რბილად რომ ვთქვათ) მხოლოდ ერთი ლოგიკური ახსნა შეიძლება მოეძებნოს:
პოსტსაბჭოთა პერიოდში ქართველური დიალექტების **უმწერლობო ენებად გამოცხადებით** შესაძლებლობა ჩნდება, მავანმა მოიპოვოს „საფრთხის ქვეშ მყოფი ენებისათვის“ გამოყოფილი მაღალბიუჯეტიანი ევროპული თუ ქართული გრანტი (რა თქმა უნდა, არ გამოირიცხება სხვა მოტივაციაც).
შდრ.: ქართველური იდიომების დამოუკიდებელ უმწერლობო ენებად გამოცხადების თვისობრივად სხვა მოტივაცია აქვთ რუს პოლიტიკოსებს[163].

---

[163] ალ. დუგინის, რუსი პოლიტიკოსებისა თუ სხვა მეცნიერების კვალიფიკაციების კრიტიკისათვის იხ.: ტ. ფუტკარაძე, 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, პუტინ-დუგინის გეოპოლიტიკური გეგმები და რუსული ოკუპაციის დასასრულის დასაწყისი; საქართველოს პარლამენტის ანტიკრიზისული საბჭოს ფორმატით გამართული სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივები“, 2008 წლის 13 ოქტომბერი; The act April 9 of the

აქვე, ერთი „საინტერესო“ ისტორიაც:
საქართველოს „ენის კანონის“ ბოლო რედაქციაში დაფიქსირებული იყო ტერმინი: **ქართველური ენა-კილოები** (მუხლი 4, 3); კანონის მიღების დღეს კი ეს კვალიფიკაცია, განხილვის (მსჯელობის) გარეშე, კულისებში „დაზუსტდა“ ტერმინით: **„ქართველური ენები და დიალექტები“**[164]. ვფიქრობ, ეს „კულუარული დაზუსტებაც“ ქართველთა ენობრივი ერთიანობის წინააღმდეგ მიმართული სახიფათო „პროექტის“ არალეგიტიმური/კრიმინალური ნაწილია; კერძოდ, როგორც გაირკვა, კანონპროექტის ბოლო საპარლამენტო მოსმენის დროსაც კი ამგვარი დაზუსტების შესახებ ინფორმაცია არ ჰქონია კანონპროექტის ერთ-ერთ ინიციატორსა და ავტორს, ბ-ნ ლევან ღვინჯილიას[165].

---

restoration of independence of Georgia, geopolitical plans of Putin-Dugin's and the commence of the end of the Russian occupation; Anti-crisis council scientific conference of the parliament of Georgia: 'Perspectives for the restoration of entirety of Georgia', 13 October, 2008;
http://www.scribd.com/doc/6505547/The-Perspectives-of-Restoration-of-the-Entirety-of-the-Territory-of-Georgia.

[164] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2931198?publication=2 (დამოწმება: 28.12.2018).

[165] ქართველურ ზეპირ იდიომთა უმწერლობო ენებად მიჩნევის მხარდამჭერ მეცნიერთა ერთი ნაწილი არის საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი ენის დეპარტამენტის **ექსპერტთა საბჭოში;** ამავე საბჭოს წევრები ვართ მე და ჩემი კოლეგებიც, ვინც ვფიქრობთ, რომ ქართველთა საშინაო სამეტყველო კოდები (საქართველოს სახელმწიფო ენის სახესხვაობები) განსახილველი არ არის „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ კონტექსტით (მეტიც, საქართველოს დეოკუპაციამდე „ქარტიის“ რატიფიკაციაც კი მეტად სახიფათოა); შესაბამისად, ლოგიკური იქნება, სწორედ ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის ფარგლებში მომზადდეს „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ რატიფიცირებისა თუ რატიფიცირების

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს ენობრივი სიტუაციით დაინტერესებული უცხოელი კოლეგების[166] ნაწილს საკმარისი ინფორმაცია ნამდვილად არა აქვს ქართველთა ენობრივი ისტორიის შესახებ და ზოგი ქართველი „ექსპერტის“ „შუამავლობითაც“ ექცევა რუსული „რბილი ძალის“ მიერ ორგანიზებული პროპაგანდის გავლენის ქვეშ; შესაბამისად, **ზოგ ევროპელ თუ ამერიკელ კოლეგას, ევროპულ ენებზე ობიექტური ინფორმაციების სიმცირის გამო, მართლა ჰგონია,** რომ მეგრელებს, ლაზებსა თუ სვანებს დედაენაზე არა აქვთ სამწიგნობრო კულტურა და ცდილობენ, „რეგიონული ან უმცირესობის ენების ევროპული ქარტიით“ დაიცვან „უმწერლობო“ საზოგადოებების „ენები“[167].

დოკუმენტისათვის დასართავი ენების სია, რომელსაც პარლამენტი დაამტკიცებს დეოკუპაციის შემდეგ. აქვე აღვნიშნავ, რომ „ენის დეპარტამენტის“ ხელმძღვანელთა ახალი ინიციატივაა, „ენის კანონში“ ტერმინი: „ქართველური ენები“ შეიცვალოს ფრაზით: **„ქართველური ენობრივი მრავალფეროვნება“.**

[166] იხ., მაგ., იუნესკოს მონაცემები და საქართველოს ენების ახალი სია ცნობილ აკადემიურ ვებგვერდზე: ethnologue.com.

[167] ევროპელი ექსპერტების ამგვარმა პოზიციამაც მისცა ახალი ბიძგი **პუტინ-დუგინისაგან მართულ მცირერიცხოვან თანამედროვე აშორდიებსა თუ ისაკ ჟვანიებს,** რომლებიც დღეს ითხოვენ „რეგიონული ენის“ სტატუსს მეგრული, ლაზური და სვანური მეტყველებებისათვის და უკვე „ევროპული ქარტიის“ დებულებების გაუკუღმართებით ცდილობენ, ქართველთა ნახევარს გაუუცხოონ ისტორიული სამწიგნობრო კულტურა. საქართველოში რუსული ენობრივი პოლიტიკის კრიტიკის შესახებ ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია, „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტია“ და საქართველო; 2010.

დავძენ: რუსული სპეცსამსახურების სტილია ეროვნული შინაარსის მქონე ცნებების დატვირთვა ანტიეროვნული ფუნქციით. მოცემულ შემთხვევაში: ქართველი ერისათვის საკრალური ადგილის სახელი – ილორი – გამოყენებულია ანტიქართული სულისკვეთების გაზეთის სახელად.

2.3. საქართველოს სტრატეგიული მიზანი

ენობრივი პოლიტიკის მიმართულებით, ვფიქრობ, **საქართველოს ხელისუფლების სტრატეგიული მიზანი** უნდა გახდეს საქართველოში ენობრივი სიტუაციის რეალური ისტორიული დინამიკის წარმოჩენა და დასავლეთელი მეგობრებისათვის ადეკვატური ინფორმაციის მიწოდება, რომ **ჩვენი ენობრივი კანონმდებლობის სფერო უსაფუძვლოდ არ დახარვეზდეს** და, მათდა უნებურად, ხელი არ შეეწყოს საქართველოზე რუსეთის საინფორმაციო იერიშებს; რეალობა კი ასეთია:

ყველა კუთხის ქართველებს გვაქვს ერთი მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ენა და მისი მრავალი ზეპირი სახესხვაობა. „რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის“ განმარტებითი ნაწილის 31-ე და 32-ე პუნქტების მიხედვით კი, „ქარტიის დებულებები მოიცავს მხოლოდ **ისტორიულ უმცირესობათა ენებს,** ანუ იმ ენებს, რომლებიც დიდი ხანია გავრცელებულია მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე; ეს ენები მკაფიოდ უნდა განსხვავდებოდეს იმ ენის ან ენებისაგან, რომელზეც/რომლებზეც სახელმწიფოში მცხოვრები დანარჩენი მოსახლეობა საუბრობს. **ქარტიის დებულებები არ ეხება ერთი ენის ადგილობრივ სახესხვაობებსა თუ დიალექტებს“** [168].

აქვე აღვნიშნავთ: **ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს თავისი მყარი პოზიცია** ამ და ყველა სხვა არსებითი თემის მიმართულებით; თუმცა, ასევე, აუცილებელია, **არც ერთ შემთხვევაში არ შეიზღუდოს მეცნიერის აკადემიური თავისუფლება.**

---


[168] „the charter covers only historical languages, that is to say languages which have been spoken over a long period in the state in question“ (ევროპული ქარტიის 31-ე განმარტება).

ვფიქრობ, აშკარაა: ყურადღებითაა გასაანალიზებელი არა მხოლოდ მეგრულის, ლაზურისა თუ სვანურის, არამედ საქართველოში ისედაც კარგად დაცული სომხურის, აზერბაიჯანულისა თუ რუსულისათვის ე.წ. რეგიონული **ენის სტატუსის მინიჭების მოსურნეთა მოტივაცია** (ასევე, საქართველოს ფედერაციული თუ კონფედერაციული მოწყობის მოთხოვნის მოტივაციაც), რამდენადაც, **რუსეთი ევროსაბჭოს „უმცირესობის ენების ქარტიის სამდივნოს“ გამოყენებით ცდილობს,** მეტად კეთილშობილური „ევროპული ქარტია“ აქციოს მის მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომის მძლავრ იარაღად; კერძოდ:
საქართველოში **„ენის ქარტიის“ რატიფიცირების დოკუმენტისათვის უმცირესობის ენების ჩამონათვალში აზერბაიჯანულისა და სომხურის შეყვანაც უშუალო კავშირშია რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესთან.**

დავაკონკრეტებ:
ერთი მხრივ, რუსეთს სურს, სრულად აკონტროლოს საქართველოს საზღვაო აკვატორია;
მეორე მხრივ, ცდილობს, უსაფრთხო სახმელეთო კავშირი ჰქონდეს სომხეთ-თურქეთის საზღვარზე არსებულ გიუმრის 102-ე რუსულ სამხედრო ბაზასთან (რომელსაც რუსეთ-სომხეთის 2010 წლის ხელშეკრულებით, 2044 წლამდე გაუგრძელდა არსებობის ვადა)[169].
რუსეთს ორივე მიზნის მიღწევის შესაძლებლობა გაეზრდება **საქართველოს რეგიონალიზაციის** შემთხვევაში; შდრ., საქართველოსთვისაც სახიფათო გიუმრის ბაზის მდებარეობა:

---

[169] მსჯელობისათვის ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია, „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ“ და საქართველო“, ქუთაისი, 2010; T. Putkaradze, E.Dadiani, R. Serozia „European Charter for Regional or Minority Languages“ and Georgia“, Kutaisi, 2010;
http://www.scribd.com/doc/35702700/Tariel-Putkaradze-Eka-Dadiani-Revaz-Seroozia-2010



მეორე თავში გაანალიზებულ გამოწვევასთან დაკავშირებით, ჩვენი მსჯელობა რეკომენდაციების სახით ასე შეიძლება შეჯამდეს:

ა) ხელისუფლების შესაბამისი სამსახური უნდა გათავისუფლდეს ფსევდოლიბერალი თუ საქართველოს ენობრივი ისტორიის არმცოდნე პირების გავლენებისაგან. საქართველოს ხელისუფლებამ ქართველოლოგი ექსპერტების დახმარებით უნდა შეიმუშავოს სწორი სტრატეგია ენობრივი პოლიტიკის მიმართულებით; პარალელურად, გამჭვირვალე კრიტერიუმების საფუძველზე უნდა გააკეთოს „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ რატიფიკაციის დოკუმენტის ენათა ჩამონათვალი. **„ევროპული ქარტიის“ რატიფიკაცია უნდა მოხდეს საქართველოს დეოკუპაციის შემდეგ.**

ბ) ხელისუფლებამ ოფიციალური გამოყენებისათვის უნდა უზრუნველყოს ქართველურ ენობრივ ქვესისტემათა კვალიფიკაციის შესახებ კონსენსუსი, რომელის შესაბამისი თვალსაზრისი გავრცელდება საერთაშორისო სივრცეშიც, ასევე, დამკვიდრდება სკოლის დაწყებით, საბაზო თუ საშუალო საფეხურზე. **ოფიციალურმა თვალსაზრისმა არ უნდა შეზღუდოს განსხვავებული მიდგომის მქონე მეცნიერთა აკადემიური თავისუფლება.**

III თავი
ტერმინოლოგიური დივერსიები

მოცემული მოვლენის სახელდების მოტივაცია, როგორც წესი, ასახავს ამ მოვლენის არსს. არაიშვიათად, დაინტერესებული მხარე გააზრებულად იყენებს არაადეკვატურ ტერმინს, ან რომელიმე საზეიმო/სამგლოვიარო დღეს ისე არქმევს სახელს, რომ **შეცდომაში შეიყვანოს** მოცემული საზოგადოება.

სამწუხაროდ, 2008 წლის შემდეგაც კი საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შეძლო რუსული იმპერიული ენათმეცნიერულ-ეთნოლოგიური „ნაღმების“ განეიტრალება, მათ შორის, ვერ დააბალანსა საინფორმაციო ომში ფართოდ გამოყენებული ტერმინები, რომლებიც შექმნილია რუსული ენობრივი პოლიტიკის კონტექსტში; კერძოდ, დღევანდელი საქართველოს სახელისუფლებო თუ სამეცნიერო ელიტის მეტყველებაში ფართოდაა გამოყენებული ქართველი ერისა და საქართველოს დეზინტეგრაციის ხელშემწყობი ტერმინოლოგია; მაგ., პოლიტიკური ლიდერებისა თუ საერთაშორისო დოკუმენტების ტექსტებში ხშირადაა გამოყენებული **არაადეკვატური ტერმინოლოგიური შესიტყვებები:**

- ქართულ-ოსური დაპირისპირება;
- აფხაზი სეპარატისტი; ოსი სეპარატისტი...
- იმერელი მწერალი; კახელი ჟურნალისტი; სვანი კრიმინალი[170]...
- შავშეთის/ართვინის ქართული დიასპორა;
- სამხრეთი ოსეთი;
- ზემო აფხაზეთი;
- საქართველოს რეგიონები[171] და მრავალი სხვა.

---

[170] მსჯელობისათვის იხ. თ. გვანცელაძე, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში 2006, გვ. 146.

[171] შდრ. თინა ხიდაშელი: „ჩვენი არჩევანი არის რეგიონული პროპორციული სისტემა“ http://www.interpressnews.ge/ge/politika/323420-

ფართო საზოგადოების დეზორიენტირებას იწვევს **სადღესასწაულო** თუ **სამგლოვიარო დღეების** არასწორი სახელდება, კერძოდ: დამარცხების დღის „გამარჯვების დღედ“ გამოცხადება, ანტიეროვნული პარტიის მიერ სახელად „ეროვნულის“ დარქმევა, ანტიეროვნული პროექტის სახელად ეროვნული გმირის, მაგ. ილია ჭავჭავაძის სახელით შეფუთვა, ერის დამანაწევრებელი გაზეთის სახელად „ნათელის“ (/„ნოთე“), ან „ილორის“ შერჩევა და სხვ. ქვემოთ განვიხილავ არაადეკვატური სახელდების რამდენიმე შემთხვევას.

3.1. სეპარატისტი თუ კოლაბორაციონისტი?

ტერმინოლოგიური შესიტყვება: „ქართულ-აფხაზური ეთნოკონფლიქტი“ მსმენელსა თუ მკითხველს ავარაუდებინებს, რომ საქართველოში არსებობს ქართველთა და აფხაზთა დაპირისპირება. რეალობა კი ასეთი არ არის:
XIX-XXI საუკუნეებში ჯერ ე.წ. მუჰაჯირობით, შემდეგ ბოლშევიკთა რეპრესიებით, ბოლოს კი რუსეთ-საქართველოს 1992-2008 წლების ომით რუსეთმა განახორციელა ქართველთა და ანტირუსულად განწყობილ **აფხაზთა გენოციდი** საქართველოს ისტორიულ კუთხეში – აფხაზეთში. აქ ჯერ ხელოვნურ საზღვრებში შექმნა აფხაზეთის საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკა; ახლა ცდილობს, ეს პროცესი დაასრულოს სატელიტი „სახელმწიფოს“ წარმოქმნით, რომელშიც აფხაზეთიდან გამოდევნილი ძირითადი მოსახლეობის – ძირძველი ქართველების (/აფხაზების), ასევე, საქართველოს სახელმწიფოს ერთგული აფხაზების (თვითსახელწოდებით: აფსუების) ნაცვლად, იცხოვრებენ პრორუსულად განწყობილი აფხაზები (დიდი ნაწილი წარმოშობით ეთნიკური ქართველია!), რუსების

---

thina-khidasheli-chveni-archevani-aris-regionuli-proporciuli-sistema.html?ar=A (დამოწმება: 22.05.2018)

ზეწოლას იძულებით დაქვემდებარებული თუ რუსების მხარეს გადასული ქართველები, მიგრანტი სომხები და ახალჩამოსახლებული რუსები... შესაბამისად, რუსეთ-საქართველოს ბოლო ომების (1992-93, 2008 წლები) შემდეგ **აფხაზეთში მიმდინარეობს რუსეთის მიერ საქართველოს ნაწილის ანექსიის პროცესი.**

არც ადრე და არც ახლა აფხაზეთის ტერიტორიაზე დომინანტური არ არის ქართულ-აფხაზური ეთნოკონფლიქტი: სოხუმის საოკუპაციო რეჟიმის მხარდამჭერთა შორის ქართველებიც არიან და პირიქით: საქართველოს ხელისუფლების წევრები არიან ეთნიკური აფხაზებიც. **აფხაზეთში რუსეთ-საქართველოს ომის ეთნოკონფლიქტად სახელდება მხოლოდ რუსეთს აძლევს ხელს; კერძოდ:**

ფაქტების არსის გაყალბებითა და არაადეკვატური ტერმინოლოგიური შეფასებით **რუსეთი ცდილობს, დაარწმუნოს მთელი მსოფლიო,** რომ საქართველომ დაიპყრო აფხაზეთი, რომ საქართველო დასაშლელი „მცირე იმპერიაა“, რომ აგრესორი ქართველები „ჩაგრავენ“ „განუვითარებელ“ სხვა „ეთნიკურ ჯგუფებს“... ხოლო „რუსეთი არის კავკასიაში მშვიდობისმყოფელი“, „რუსეთი იცავს აფხაზი ერის ინტერესებს“ და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ ამ იდეოლოგიზებული ზღაპრის უკვე აღარ სჯერა სოხუმის რეჟიმის წარმომადგენელთა დიდ ნაწილსაც კი.

საქართველოში არ გვაქვს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ეთნოკონფლიქტები; მაგ., საქართველოს არაოკუპირებულ ტერიტორიაზე (თბილისში, ზუგდიდში, ბათუმში...) მშვიდად ცხოვრობენ ეთნიკური ოსებიც და აფხაზებიც. ოკუპირებულ მხარეებში კი რუსეთის საოკუპაციო ადმინისტრაციასთან ზოგი ქართველიც კი თანამშრომლობს, მაშინ როცა რუსეთი **საქართველოს დამოუკიდებლობას ანგრევს და ცდილობს თავისი აგრესია კავკასიელთა შიდა ეთნოკონფლიქტად მონათლოს.**

რაც შეეხება სეპარატისტობას: ზოგადად თუ ვიტყვით, **სეპარატისტია** ის, ვისაც სურს მოცემული სახელმწიფოსაგან გამოყოს თავისი მხარე (რეგიონი, კუთხე) და მიაღ-

წიოს დამოუკიდებლობას ცენტრალური ხელისუფლებისაგან (იხ., მაგ. კატალონიის ლიდერთა სურვილი); შდრ.: ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში დე ფაქტო არსებული საოკუპაციო ადმინისტრაციები ყველაფერს კადრულობენ, რომ ამ ტერიტორიებს რუსეთი დაეუფლოს; შესაბამისად, იქ მცხოვრები პრორუსი აფხაზები, პრორუსი ოსები, პრორუსი ქართველები თუ პრორუსი სომხები **არიან კოლაბორაციონისტები და არა – სეპარატისტები.** სწორედ კოლაბორაციონისტების დახმარებით ცდილობს კრემლი, მიიერთოს გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი საქართველოს ტერიტორია – ოდითგანვე ქართველი ერის კუთვნილი მიწა-წყალი, ზოგადად, სამუდამოდ დაეუფლოს კავკასიას.

ხშირად გამოყენებული ტერმინები რომ დიდ ზემოქმედებას ახდენს პიროვნების განწყობის ჩამოყალიბებაზე, უდავო ფაქტია. **ე.წ. ტერმინოლოგიური დივერსიები** მეტად აქტუალურია ამჟამინდელი საინფორმაციო ომების პირობებში; შესაბამისად, **პრორუსულ იდეოლოგიურ დისკურსში შექმნილი ტერმინოლოგიური შესიტყვებები არ უნდა გამოიყენოს სამართლიანმა პიროვნებამ; მით უმეტეს, საქართველოს ინტერესების დამცველმა პოლიტიკურმა სპექტრმა და ობიექტურმა მასმედიამ.**

ტერმინოლოგიური დივერსიების რანგშია განსახილველი ისეთი ენობრივი კვალიფიკაციები, რომლებიც ფართო საზოგადოების ცნობიერებაში ანაწევრებს ქართველ ერს. მხედველობაში გვაქვს ბოლო პერიოდში მასმედიის მიერ ხშირად გამოყენებული გამოთქმები:

- ✓ იმერელი მწერალი;
- ✓ სვანი პოეტი...

მართებული ტერმინოლოგიური შესიტყვებებია:

- ➢ ქართველი მწერალი;
- ➢ ქართველი ჟურნალისტი;
- ➢ კრიმინალი (კრიმინალს ეროვნება არა აქვს)...

შდრ., ასევე, სწორია: კახური ღვინო, აჭარული ცეკვა, სვანური მარილი, მეგრული საცივი, იმერული ხაჭაპური, თუშური ყველი...

3.2. 9 აპრილი – დამოუკიდებლობის აღდგენის დღე თუ გლოვის დღე?

9 აპრილი არის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე. მოქმედი კონსტიტუციით, საქართველო დამოუკიდებელია 1991 წლის 9 აპრილის „დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის“ საფუძველზე. 1989 წლის 9 აპრილს კი საქართველოს ეროვნულმა მოძრაობამ ზნეობრივი გამარჯვება მოიპოვა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს იყო დიდგორის ომის ტოლფასი გამარჯვება. სწორედ 9 აპრილის გამარჯვებამ განსაზღვრა 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებში კომუნისტების დამარცხება და 1991 წლის 31 მარტს საქართველოს მოსახლეობის (ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად) ერთსულოვანი გადაწყვეტილება – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

საქართველოში 1992 წლის პუტჩის[172] შემდეგ არსებული

---

[172] 1989 წლის 2 დეკემბერს მალტაში ამერიკა-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებით (ბუში, ბეიკერი; გორბაჩოვი, შევარდნაძე) გადაწყდა, რომ საბჭოთა იმპერია უარს იტყოდა ბალტიის ქვეყნებზე (დასავლეთს ისინი აღიარებული არ ჰქონდა სსრ კავშირის ნაწილად) და ჯარებს გაიყვანდა აღმოსავლეთ ევროპიდან. რუსეთის გავლენის ველში დატოვეს კავკასია, შუა აზიის რესპუბლიკები და უკრაინა-ბელორუსია-მოლდოვა. 1991 წ. 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა (09.04.1991 წ.) და რუსეთის ჯარს **ოკუპანტის სტატუსი** მიანიჭა. 1992-95 წლებში რუსეთმა სამხედრო ძალით დაამხო კავკასიის იმ სახელმწიფოების (საქართველო, აზერბაიჯანი, იჩქერია) ხელისუფლებები, რომელთაც დამოუკიდებლობა გამოაცხადეს: საქართველოში – პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლება. გარკვეული ძალები დღემდე ჩქმალავენ ამ ძალადობრივი მოვლენის არსს და საქართველოში კრემლის ორგანიზებით განხორციელებულ პუტჩს ე.წ. „სამოქალაქო ომად“ ნათლავენ (დოკუმენტური მასალისა და მსჯელობისათვის იხ. ტ. ფუტკარაძე,

ხელისუფლებები 9 აპრილს გლოვის დღედ აღინიშნავს. 9 აპრილის გლოვის დღედ გამოცხადება შეურაცხყოფს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა სულებს; რაც მთავარია, ასეთი კვალიფიკაცია უკანა პლანზე აყენებს 9 აპრილის გმირთა გააზრებულ თავგანწირვას სამშობლოსათვის და 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენის უმნიშვნელოვანეს ფაქტს. **9 აპრილი ოფიციალურად უნდა გამოცხადდეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ.** ამ საზეიმო დღეს პატივი უნდა მივაგოთ ბრძოლაში დაღუპულ გმირებს (და არა – ტრაგედიის მსხვერპლთ).

აქვე განვიხილავ 25 თებერვლისა და 7 მარტის არამართებულ კვალიფიკაციებს:
სამართლიანი არ იყო და, ამავე დროს, სათანადო ინფორმაციის არმქონეთათვის დღემდე მადეზორიენტირებელია რუსეთის კომუნისტური იმპერიის მიერ 25 თებერვლის სახელდება „საქართველოს განთავისუფლების დღედ“ და თურქეთის ხელისუფლების მიერ 7 მარტის გამოცხადება „ართვინის განთავისუფლების“ დღედ.
შდრ.:
მაშინ როცა საქართველოს კანონიერი მთავრობა ჯერ კიდევ საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებოდა (1921 წლის თებერვალ-მარტი), ლენინ-სტალინის ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ და ათათურქის რევოლუციურმა მთავრობამ მოსკოვში დაასრულეს რამდენიმეთვიანი მოლაპარაკება და საქართველოს ნების წინააღმდეგ **გადაინაწილეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორია:** რუსეთმა თურქეთს დაუთმო **საქართველოს ნაწილი** - „სამუსლიმანო საქართველოს“ ნახევარზე მეტი

„რაცა ღმერთსა არა სწადდეს“, ანუ მიმდინარე პროცესების შესახებ; კრებ. „აფსირტედან გამსახურდიამდე“, თბ., 1999, გვ. 61-68).

– ართვინისა და არტაანის ოლქები (რომლებიც ოსმალეთის იმპერიას ოკუპირებული ჰქონდა XVII საუკუნიდან 1878 წლამდე); სტრატეგიული ბათუმის ოლქი (მაჭახელას ხეობის ნაწილის გამოკლებით) კი თავად დაიტოვა და, ამავე ხელშეკრულების საფუძველზე, შექმნა უკანონო სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა (ქართველთა ავტონომია საქართველოში sic!)...

1921 წლის 25 თებერვალს ბოლშევიკური რუსეთის არმიამ აიღო საქართველოს დედაქალაქი. **პარალელურად,** მოსკოვის გარიგებით გათამამებულმა ოსმალეთის რევოლუციურმა ხელისუფლებამ **რუსეთთან ომში ჩაბმული საქართველოს მთავრობა 1921 წლის 23 თებერვალს აიძულა, ჯარი გაეყვანა არტაანისა და ართვინის ოლქებიდან** (ამ დროს ისტორიული სამხრეთი საქართველოს ამ ნაწილში არ იდგა არც რუსეთის და არც ინგლისის სამხედრო შენაერთები; ტერიტორიას აკონტროლებდა მხოლოდ საქართველოს ჯარი)[173]. უშუალოდ ართვინში თურქები შევიდნენ 1921 წლის 7 მარტს. შდრ.: 1918-21 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაახლოებით ასეთ საზღვრებში იყო[174]:

---

[173] 1921 წლის 21 და 23 თებერვალს ანკარის მთავრობამ ორი ნოტა გადასცა რუსეთთან ომში ჩაბმულ საქართველოს ხელისუფლებას: **ომის მუქარით მოითხოვა საქართველოს ჯარის გაყვანა არტაანისა და ართვინის ოლქებიდან** (რ. ყავრელიშვილი, თურქეთის მთავრობის ორი ნოტა, საისტორიო კრებული: „მესხეთი", VI-VII, თბილისი-ახალციხე, 2005. სტატიაში გაანალიზებულია პროფესორების: სულაჰთინ თანსულისა და ადილ ოზდერის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები; იხ., ასევე: მიხეილ სვანიძე, თურქეთის ისტორია 1923-2000 წწ/ (რესპუბლიკის პერიოდი), III ტ., თბილისი, 2005, გვ. 43). ნოტებში ნახსენები არაა **ბათუმი**, რომელიც, მოსკოვის გარიგების მიხედვით, საბჭოთა რუსეთს უნდა დარჩენოდა პორტო-ფრანკოს სტატუსით.

[174] https://image.slidesharecdn.com/1921-25-130516225153-phpapp01-130517075310-phpapp02/95/1921-25-27-638.jpg?cb=1384935435 (დამოწმება: 15.01.2019).



პოლიტიკური ცინიზმი:
კომუნისტები დაპყრობილი საქართველოს მოსახლეობას 25 თებერვალს აზეიმებდნენ, როგორც საქართველოს განთავისუფლების დღეს. საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (09.04.1991) 25 თებერვალი, რეალური ისტორიის გათვალისწინებით, სახელდებულია, როგორც **რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის დღე.**
ანალოგიური ვითარებაა თურქეთში, სადაც დღემდე **7 მარტი** აღინიშნება **მტრისაგან** ართვინის განთავისუფლების დღედ. ამ დღეს თურქეთის ხელისუფლება მართავს ზეიმს მთელი თურქეთის მასშტაბით (განსაკუთრებით, იმ ქალაქებში, სადაც ეთნიკური ქართველები ცხოვრობენ)[175]. არადა, რეალურად, 7 მარტს ოსმალეთმა/თურქეთმა საქართველოს მეორედ წაართვა საქართველოს ისტორიული ტერიტორია – ართვინის ოლქი (ტაო-კლარჯეთის დიდი ნაწილი).

---

[175] დოკუმენტური მასალა: http://www.08olay.com/7-mart-artvinin-dusman-isgalinden-kurtulusun-hikayesi.html (დამოწმება: 08.01.2019); https://www.facebook.com/erolalkan.vaketli/posts/10156267634799170 (დამოწმება: 08.01.2019).

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების შემდეგ მთელმა მსოფლიომ საქართველო ცნო იმ საზღვრებში, რომლებიც საქართველოს ჰქონდა 1991 წლის მდგომარეობით; საქართველოსა და თურქეთს შორისაც დაიდო **მეგობრობის ხელშეკრულება**; შესაბამისად, დღეს თურქეთთან ტერიტორიული **პრეტენზიების წამოყენება** ვერ გამართლდება საერთაშორისო სამართლის მიხედვით; თუმცა, ვერც იმას მოვიწონებთ, რომ 7 მარტს თურქეთი აღნიშნავს "მტრისაგან ართვინის განთავისუფლების" დღედ.

3.3. 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე თუ საქართველოს პირველი რესპუბლიკის გამოცხადების დღე?

მსოფლიოში არსებულ ბევრ სახელმწიფოს აქვს ეროვნული დღესასწაული – დამოუკიდებლობის დღე. დამოუკიდებლობის დღედ სახელდების სამგვარი მოტივაცია გვაქვს:

- **სახელმწიფოს დაფუძნების დღე**; მაგ., აშშ დაფუძნდა 1976 წლის 4 ივლისს; შესაბამისად, ამერიკის შეერთებულ შტატებში 4 ივლისს ზეიმობენ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დღეს.
- **დამოუკიდებლობის აღდგენის დღე;** მაგ., საბერძნეთისათვის 25.03.1821: ოსმალეთისაგან განთავისუფლების დღე.
- **ქვეყნის რომელიმე გამორჩეული თარიღი;** მაგ., საფრანგეთში 14. 07.1789 – ბასტილიის აღების დღე.

ქართველთა სახელმწიფო პირველად დაფუძნდა აიეტის დროს – ძვ.წ. II ათასწლეულის შუა პერიოდში; აღორძინდა 23 საუკუნის წინ. **დაფუძნების დღე არავის ახსოვს.** დამპყრობლებთან ბრძოლის პროცესში საქართველომ (თუ ძვ. ქართლის სახელმწიფომ) კიდევ რამდენჯერმე დაკარ-

გა დამოუკიდებლობა; ერთიანი საქართველო (ქართლი) რამდენჯერმე დანაწევრდა პატარ-პატარა „საქართველოებადაც" (ქართულ სამეფოებად). შესაბამისად, რამდენჯერმე აღდგა ერთიანი საქართველოს დამოუკიდებლობა. გასულ საუკუნეში საქართველოს დამოუკიდებლობა **პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სახით** აღდგა 200-წლიანი რუსული ოკუპაციის შემდეგ –1918 წლის 26 მაისს. 1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ საქართველომ ისევ დაკარგა დამოუკიდებლობა. ბოლოს საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგა 1991 წლის 9 აპრილს. გამომდინარე აქედან, **26 მაისი უნდა ვიზეიმოთ,** როგორც პირველი რესპუბლიკის დაფუძნების დღე.

3.4. 14 აპრილი – დედაენის დღე თუ საქართველოს სახელმწიფო ენის დღე?

1978 წლის 14 აპრილს საქართველოს რჩეულმა საზოგადოებამ დაიცვა საქართველოს სსრ სახელმწიფო ენის სტატუსი; მალევე, საბჭოთა ხელისუფლებამ ეს დღე გამოაცხადა „დედაენის დღედ".

ქართველობის გარდა, საქართველოში რამდენიმე ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს, რომელთა დედაენა არის სხვა ენა (აფხაზური, სომხური, რუსული, აზერბაიჯანული...); შესაბამისად, გაბუნდოვანდა 14 აპრილის მოვლენის არსი **– 14 აპრილი – სახელმწიფო ენის დაცვის დღე.**

14 აპრილი თავიდანვე სახელმწიფო ენის დღედ რომ გამოცხადებულიყო, საქართველოში ხელი შეეწყობოდა მოსახლეობის კონსოლიდაციას და არა – დეზინტეგრაციულ პროცესებს (მაგ., აფხაზეთში).

მომავალში მაინც საქართველოს ყველა მოქალაქემ, ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, 14 აპრილი უნდა იზეიმოს, როგორც თავისი **სახელმწიფო ენის დღე.**

შდრ.:
ყველა ეთნიკურ უმცირესობას სხვა დღე აქვს (ან უნდა ჰქონდეს) თავისი დედაენის დღის აღსანიშნავად; 14 აპრილი კი საქართველოს მოქალაქეთა კონსოლიდაციის დღე უნდა იყოს, დღე, როდესაც **საქართველოს ყველა მოქალაქე სხვადასხვა ღონისძიებით აღნიშნავს სახელმწიფო ენის დღეს.**
სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება 14 აპრილს ჯერ კიდევ საბჭოური კვალიფიკაციით აღნიშნავს: 14 აპრილი ოფიციალურად აღინიშნება „დედაენის დღედ“; ამგვარი კვალიფიკაცია დღესაც ხელს უწყობს საქართველოს მოქალაქეთა დეზინტეგრაციას.
ხელისუფლებამ დროულად უნდა მიიღოს სამართლებრივი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც 14 აპრილი გამოცხადდება საქართველოს სახელმწიფო ენის დღედ. 14 აპრილი საქართველოს ყველა მოქალაქემ (ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად) ერთნაირად უნდა იზეიმოს, როგორც თავისი სახელმწიფოს სახელმწიფო ენის დღე.

3.5. ტაო-კლარჯეთში ავტოქთონი ქართველობაა თუ ქართული დიასპორა?

საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა მცხოვრები ყველა ქართველის აღსანიშნავად ჩვენი ხელისუფლების ოფიციალური სტრუქტურების მიერ გამოიყენება ტერმინი: „დიასპორა“.
შავშეთში, ართვინში, რიზესა თუ იუსუფელში მცხოვრები ქართველები საკუთარ მიწა-წყალზე ცხოვრობენ და, შესაბამისად, დიასპორად არ უნდა მოვიხსენიოთ: საკუთარ ისტორიულ მიწაზე მცხოვრები ავტოქთონი ქართველები, რომლებიც პოლიტიკური კატაკლიზმების გამო აღმოჩნდნენ სხვა სახელმწიფოს (თურქეთისა თუ აზერბაიჯან-

ის) შემადგენლობაში, ისტორიულ ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ და არა დიასპორას.

დიასპორა ორი სახისაა:

- ისტორიული დიასპორა;
- ახალი დიასპორა.

სხვა სახელმწიფოებში ისტორიულ დიასპორად შეიძლება მივიჩნიოთ ფერეიდნელი ქართველები (ირანში) და მუჰაჯირი ქართველების შთამომავლები (თურქეთში), რომელთა წინაპრები იძულებით გადაასახლეს აგრესორებმა.

სხვა სახელმწიფოებში ახალ დიასპორებად უნდა მივიჩნიოთ ბოლო ათწლეულებში საქართველოდან წასული საქართველოს მოქალაქეები.

3.6. საქართველოს რეგიონები თუ საქართველოს კუთხეები?

პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლები ბოლო პერიოდში აქტიურად იყენებენ ტერმინს: „რეგიონი"; შდრ., **ხელისუფლების სლოგანიც:** „ძლიერი რეგიონი ძლიერი საქართველოსათვის". „რეგიონი" ნიშნავს ავტონომიურ წარმონაქმნს ან რამდენიმე სახელმწიფოს მომცველ დედამიწის გეოგრაფიულ მონაკვეთს (კავკასია, წინა აზია...). ტერმინ „რეგიონს" ზოგი შეიძლება ინერციით იყენებს, მაგრამ გარკვეული ძალები ბოლო 20 წლის მანძილზე საქართველოს მხარეების აღსანიშნავად მიზანმიმართულად ამკვიდრებენ მას და ე.წ. რეგიონული თვითმმართველობის დამკვიდრებით საქართველოს მოსახლეობის ცნობიერებაში ააქტუალურებენ **ფედერაციულ მოწყობას**.

მძაფრი გეოპოლიტიკური რისკების შემცველ **კავკასიის რეგიონში** საქართველოს კუთხეების /the corner (area)/ აღსანიშნავად სახიფათოა ტერმინ „რეგიონის" დამკვიდრება; მით უმეტეს, მცირე ტერიტორიის მქონე საქართვე-

ლოს სახელმწიფოში სრულიად ზედმეტია ე.წ. რეგიონული თვითმმართველობის შემოღება თუ საქართველოს პარლამენტში „რეგიონების“ წარმომადგენლების არჩევა[176]. სამაგიეროდ, აუცილებელია, ქალაქების, მუნიციპალიტეტების, სოფლების თვითმმართველობების გაძლიერება. სწორი სახელმწიფოებრივი ორიენტირების გაბუნდოვნების თავიდან აცილების მიზნით, ვფიქრობ, აუცილებელია:

ა) სპეციალისტების მონაწილეობით ხელისუფლებამ მკაფიოდ განსაზღვროს პოლიტიკურ დისკურსში გამოსაყენებელი ოფიციალური ტერმინოლოგია;

ბ) საქართველოს ხელისუფლებამ დროულად ჩამოაყალიბოს ეროვნული დღესასწაულების ობიექტური კვალიფიკაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის კონსოლიდაციას.

---

[176] საქართველოს რეგიონალიზაციის კონტექსტში საყურადღებოა სომხეთის ყოფილი პრეზიდენტის, სერჟ სარქისიანის განცხადება https://www.kvirispalitra.ge/politic/403-somkhethis-prezidenti-saqarthveloshi-somkhuri-enis-regionul-enad-gamockhadebas-ithkhovs.htm (დამოწმება: 28.12.19) და ცალკეული სომეხი მეცნიერის, ასევე, ზოგი თურქი პოლიტიკოსისა თუ პოლიტიზებული ჯგუფის წარმომადგენელთა განცხადებები. მათი კრიტიკული ანალიზისათვის იხ.: ტ. ფუტკარაძე, თანამედროვე ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები/ საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე საინფორმაციო ომის კონტექსტი/, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, XI, 2016 წ., გვ. 425-468. აქვე აღვნიშნავ, რომ ჩვენი მიზანია მეზობელი ქვეყნების მეცნიერებთან ერთად აკადემიური /სამეცნიერო/ „ზიარჭურჭლის“ შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს **კავკასიის რეგიონის მშვიდობიან განვითარებას** (ამ მიზნიდან გამომდინარე, ჩემს საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილია მეზობელი ერების ენების სწავლება).

IV თავი
ქართული ენის ტექნოლოგიზება

4.1. ავტომატური აკადემიური თარგმანის საკითხი

თანამედროვე მსოფლიოში უაღრესად აქტუალურია **აკადემიური ავტომატური თარგმანის** უზრუნველმყოფი კომპიუტერული პროგრამების შექმნა. უახლოეს პერიოდში საქართველომაც უნდა შეძლოს, სახელმწიფო ენაზე განახორციელოს აკადემიური ორენოვანი ავტომატური თარგმანი; **წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართული ენა დაკარგავს კულტურული ენის ფუნქციას.**

საამისოდ აუცილებელია, ქართული (ქართველური) სამწიგნობრო ენისა და ქართველური დიალექტების ერთიანი (/ერთენოვანი) ეროვნული კორპუსის შექმნა: „ტექსტების ეროვნული კორპუსი“ სულ მოკლე დროში ყველა ერისა თუ სახელმწიფოს იდენტობის განმსაზღვრელად იქცევა.

ქართული ენის ტექნოლოგიზების მიმართულებით განსახორციელებელია სამი ძირითადი ამოცანა:


- ქართული გაბმული მეტყველების (და არა მხოლოდ მარტივი წინადადების) ქცევა ადეკვატურ ნაბეჭდ ელექტრონულ ტექსტად;
- ქართული ნაბეჭდი ელექტრონული ტექსტის მყისიერი თარგმნა უცხო ენაზე;
- თარგმნილი ტექსტის ავტომატური გახმოვანება.


ასევე, განსახორციელებელია საპირისპირო პროცესი:

- სხვაენოვანი ნაბეჭდი ელექტრონული ტექსტის თარგმნა ქართულ ენაზე;
- თარგმნილი ტექსტის ავტომატური გახმოვანება ქართულ ენაზე.

ქართული ენა არის აგლუტინაციური ენა, შესაბამისად, ეს ამოცანები უფრო განხორციელდება ჰიბრიდული (და არა – სტატიკური) მეთოდოლოგიით; შესაბამისად, აუცილებელია როგორც მორფოლოგიური სინთეზატორი, ასევე –

ქართულენოვანი ტექსტების მომცველობითი კორპუსი[177]. ენის ტექნოლოგიზების ამოცანები სქემების სახით ასე გამოიყურება:





[177] მსჯელობისათვის იხ. ასევე: ტ. ფუტკარაძე, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ამოცანები; კრებული: „ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“, თბ., 2012, I, გვ. 207-222.

ქართული ენის ტექნოლოგიზება და ქართული ენის, როგორც კულტურისა და განათლების ენის, შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ ხელისუფლების მიერ ქართული სალიტერატურო ენის ტექნოლოგიზების საგანგებო ორგანიზების – მორფოლოგიური ანალიზატორისა[178] და ერთენოვანი ტექსტების ეროვნული კორპუსის შექმნის – შემთხვევაში (აუცილებელია, ხელისუფლებამ შეიმუშაოს კონკრეტული გეგმა ქართული ენის ტექნოლოგიზებისათვის).

4.2. ერთენოვანი ქართული ტექსტების ეროვნული კორპუსი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტში 1993 წლიდან ჩემი ხელმძღვანელობით მიმდინარეობს ქართველური დიალექტური (მეგრული, სვანური, ტაოური, რაჭული, იმერული...) და ზეპირი ტექსტების მოძიება ქართველური ტექსტების ერთენოვანი ეროვნული კორპუსის შესაქმნელად. ჩვენეული **ერთენოვანი კორპუსის კონცეფციის** მიხედვით, ქართველური ენობრივი სამყარო წარმოდგენილია ქართული (ქართველური) სამწიგნობრო ენითა და ათეულობით ქართველური დიალექტით. ავტომატური თარგმა-

---

[178] ენის ტექნოლოგიზებისა და ინტერნეტის ენის მიმართულებით, ჩემი ხელმძღვანელობით დამუშავდა და მუშავდება რამდენიმე სადოქტორო დისერტაცია: **სვეტლანა ადამია,** „ორპირიან და ორვალენტიან ზმნათა სრული პარადიგმა სამწიგნობრო ენასა და ქართველურ დიალექტებში“, 2015 წ.; **ხატია ბაბუნაშვილი,** „ქართულენოვანი ინტერნეტსივრცე – პრობლემები და პერსპექტივები (საინფორმაციო სააგენტოების ლექსიკა)“, 2016 წ.; **ანა მოდებაძე,** „ქართული ენის სახელის ფორმაწარმოების მოდელირების პრინციპები“; **ლია ოთინაშვილი,** „ქართულ-ინგლისური ორენოვანი მთარგმნელი პროგრამის რესურსები (ქართული ენის ეროვნული კორპუსი და მორფოლოგიურ-სინტაქსური ანალიზატორი)“; **მანანა ხვინგია,** „რუსულ-ქართული მანქანური თარგმანის პრობლემები“...

ნის დაგეგმვის თვალსაზრისით, **პირველი რიგის ამოცანაა სამწიგნობრო ენის წერილობითი და ზეპირი ტექსტების ეროვნული კორპუსის შექმნა.**

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში რამდენიმე წლის წინ შეიქმნა პროექტი: „საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი“, რომლის ავტორთა (მ. ბერიძე და სხვ.) მიხედვით, ქართველური ენობრივი სამყარო „წარმოდგენილია **სამი ქართველური ენითა** (ქართული, სვანური, ზანური) და მათი მრავალრიცხოვანი დიალექტებით“[179]. შდრ., ასევე:

ფრანკფურტის უნივერსიტეტისა და ილიაუნის პროფესორების (ი. გიპერტი, მ. თანდაშვილი, ნ. დობორჯგინიძე...) მონაწილეობით, ასევე, დაწყებულია ქართული ენის ნაციონალური კორპუსის შექმნა; მათ კონცეფციაში ქართველური ენობრივი სამყარო წარმოდგენილია **ოთხი ქართველური ენით:** ქართულით, სვანურით, ლაზურითა და მეგრულით[180].

თუკი სახელმწიფოს მიერ მოხდება არსებული რესურსების მობილიზება ქართული ენის ტექნოლოგიზებისათვის და მომზადდება **ქართული ენის ტექსტების ერთენოვანი ეროვნული კორპუსი** (რომელშიც შევა ზანურ-სვანური მასალაც), ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაშიც ქართული ენა შეინარჩუნებს როგორც ქართველთა მაკონსოლიდებელ, ასევე, კულტურისა და განათლების ენის ფუნქციას. სამი ან ოთხი ქართველური „ენის“ ტექსტების კორპუსზე ორიენტირება კი XXI საუკუნეში განახორციელებს

---

[179] იხ.: http://www.mygeorgia.ge/gdc/About.aspx http://radio1.ge/media-view/11180 – მე-20 წუთიდან (დამოწმება: 05.05.2018).

[180] http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/ssgg/ssgg01.htm№gProjekt;

იხ. ასევე:

https://docs.google.com/document/d/1rLGJre602doVvkprGLk5KUU7G3XmgKrS2Cjhejbd2f0/edit?hl=en_US. იხ. აქვე: რუსთაველის ფონდის დაფინანსებით უკვე განხორციელდა პროექტი: *„მეგრული ტექსტების ელექტრონული კორპუსი“* – გრანტი – № A – 43-09 (დამოწმება: 05.05.2018).

რუსეთის იმპერიის გეგმას – საბოლოოდ დაანაწევრებს ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ ერთობას და ისტორიულ დედაენას – ქართულ (ქართველურ) სამწიგნობრო ენას – გაუუცხოებს ქართველთა მესამედს[181].

არსებული რეალობიდან გამოსავალი:

ა) ხელისუფლების მიერ ქართული ენის ტექნოლოგიზებისათვის საქართველოში არსებული ინტელექტუალური რესურსების კონსოლიდაცია;

ბ) ხელისუფლების მიერ ქართული ენის ტექნოლოგიზების დაფინანსება სპეციალური პროექტის ფარგლებში;

გ) ხელისუფლების ორგანიზებით, ქართული ენის ტექსტების ერთენოვანი ეროვნული კორპუსის შექმნა (რომელშიც შევა ზანურ-სვანური მასალაც).

---

[181] მსჯელობისათვის იხ.: ტ. ფუტკარაძე, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ამოცანები; კრებული: „ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები", თბ., 2012, I, გვ. 207-222; მოხსენებად წაკითხულ იქნა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის **ქართველოლოგიის ცენტრის II** კონფერენციაზე; კონფერენციის თემა: „ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები", 25-26 ნოემბერი, 2011 წელი; ტ. ფუტკარაძე, ქართული ენის ტექნოლოგიზება /პირველი რიგის გადაუდებელი ამოცანები/; ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, 2013, II, გვ. 15-24.

V თავი
ქართველთა ენობრივი მემკვიდრეობის დაცვის პერსპექტივა

5.1. ქართული ენის პრესტიჟი

საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული ენა, აფხაზეთის ტერიტორიაზე კი – აფხაზური ენაც. ხელისუფლების დიდი ძალისხმევის შემთხვევაშიც კი **საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო ენების სტატუსის სრულად დაცვა შეუძლებელია საქართველოს ორი მხარის – აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის – დეოკუპაციამდე და სამხრეთ საქართველოში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის – ქართული ენის – დაუფლებამდე.**
არსებული რეალობის გათვალისწინებით, პირველ რიგში, აუცილებელია და შესაძლებელიცაა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გადაისინჯოს ჩვენი უმცირესობებისათვის ქართული ენის სწავლების პროექტ(ებ)ის არსებული სახელები:
- „ქართული ენა, როგორც მეორე ენა“,
- „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“;
უმჯობესია ასეთი კვალიფიკაცია: პროექტი: „ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, სწავლება“; ასეთი სახელის შემთხვევაში აიწევა ქართულის, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის, **პრესტიჟი.**

ასევე, პირველი რიგის ამოცანაა, მომზადდეს **ქართული ენის სტრუქტურაზე** ორიენტირებული სახელმძღვანელოები A1, A2, B1, B2, C1 და C2 დონეების მიხედვით[182].

---

[182] A1, A2, B1, B2, C1, C2 დონეების მიხედვით სახელმძღვანელოების შექმნის მიმართულებით, გადადგმულია მხოლოდ პირველი ნაბიჯები; იხ., მაგ., პროფ. მარიკა ოძელისა და პროფ. კახა გაბუნიას ხელმძღვანელობით მომზადებული „ქართული ენის ფლობის ზო-

ზოგადად, აუცილებელია ქართული და აფხაზური ენების, ასევე, ოსური ენის სწავლების მეტი კოორდინაცია[183].

თანამედროვე გლობალური სამყარო საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ უმწერლობო იდიომებს (ენებს, დიალექტებს), არამედ დიდი ტრადიციის მქონე სამწიგნობრო ენებსაც კი; შესაბამისად, **სახელმწიფოს სტრატეგიულ ამოცანად უნდა იქცეს ქართული (/ქართველური) და აფხაზური ენების დიალექტების – სახელმწიფო ენების ზეპირი სახესხვაობების – შენარჩუნებისათვის აუცილებელი ღონისძიებების კოორდინირება.**
სხვა პროექტების პარალელურად, სახელმწიფო თუ კერძო ფონდებმა უნდა დააფინანსონ იმ მეცნიერთა პროექტები, რომელთა მიზანია დიდი ქართველური მემკვიდრეობის – სვანური, მეგრული, ლაზური, ტაოური, იმერხეული, მაჭახლური, ხევსურული, ფერეიდნული, ინგილოური, წოვათუშური, ჩაღმათუშური, ფშაური, მოხეური, რაჭული, აჭარული, მესხური, გურული, ქართლური, კახური და სხვა ქართველური ზეპირი სახესხვაობების – შესწავლა. **განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ დიალექტებს,** რომელთაც გაქრობის საფრთხე ემუქრებათ ირანში, შუა თურქეთში, რუსეთის ფედერაციასა და დღეს თურქეთში შემავალი ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე (ლაზეთსა და ტაო-კლარჯეთში); ასევე, აუცილებელია, სამეცნიერო კვლევა-ძიების ჩატარება ლორეტაშირის მხარეში, სადაც დღემდეა შემორჩენილი ქართული ენის კვალი; განსაკუთრებული ზრუნვის საგნად უნდა

გადი სტანდარტი“, რომელიც ცოტა ხნის წინ დაამტკიცა საქართველოს ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიამ.

[183] ამ თვალსაზრისით ბევრი რამ კეთდება საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, სადაც ენათმეცნიერების მიმართულებით სამაგისტრო პროგრამაში გათვალისწინებულია აფხაზური და ოსური ენების, ასევე, სომხური, თურქული და სპარსული ენების ოთხსემესტრიანი სასწავლო კურსები.

იქცეს საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა მცხოვრებ ქართველთა დედაენობრივი იდენტობის გადარჩენა.

პარალელურად, „ქართული ენის“ სახელმძღვანელოს დამატების სახით, სკოლაში უნდა შევიდეს დამხმარე სახელმძღვანელო: **„ქართველთა ენობრივი სამყარო“,** რომელიც ხელს შეუწყობს ქართველთა ზეპირი მეტყველებების (/დიალექტების) გადარჩენას; კერძოდ, მისი მიზანი იქნება, სკოლის მოსწავლეებს გააააზრებინოს:

- ქართული ენის – დედაენის – გავრცელების თანამედროვე რეალური საზღვრები;
- ქართველთა ენობრივი იდენტობა;
- ქართველური დიალექტური ლექსიკით ქართველთა (ქართველური) სამწიგნობრო ენის გამდიდრების პერსპექტივა;
- საქართველოს ყველა კუთხის მეტყველების, როგორც ქართველთა კულტურული მემკვიდრეობის, მაღალი ღირებულება.

5.2. ქართველური ენობრივი მემკვიდრეობა და „სისხლით დაცული ანბანი“

ქართველური ენობრივი სამყარო, მრავალსაუკუნოვანი **ქართული სამწიგნობრო ენის გარდა, მოიცავს ოცამდე ზეპირ ქართველურ ქვესისტემას** (/ქართველურ დიალექტს).

ქართველთა დიდი განძია, ასევე, როგორც დიდებული პოეტი მუხრან მაჭავარიანი წერს, **„სისხლით დაცული ანბანი“.** ქართული ანბანი ისტორიული ენობრივ-ეთნიკური მეობის უმთავრესი მარკერია, განსაკუთრებით, საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა მცხოვრები ქართველებისათვის; შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებას სერიოზული პროექტები აქვს განსახორციელებელი სხვა სახელმწიფო ენის ველში მოხვედრილი დაახლოებით, 4 000 000 ქართველის დედაენობრივი მეობის გადა-

სარჩენად. პირველ რიგში, აუცილებელია ქართული ენის ბუნებაზე ორიენტირებული ქართული ენის შემსწავლელი თანამედროვე სახელმძღვანელოს შექმნა.

ასევე, აუცილებელია ქართველური ზეპირი მეტყველებების შენარჩუნებისათვის საგანგებო ზრუნვა; ამ მიმართულებით, **მე და ჩემმა კოლეგებმა ორი ათეული წლის წინ შევიმუშავეთ სტრატეგია და გვაქვს კონკრეტული შედეგებიც;** კერძოდ:

ა) 1995 წლიდან დღემდე სამეგრელოში, სვანეთში, ლაზეთსა და ისტორიული თუ ამჟამინდელი საქართველოს სხვა კუთხეებში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს ადგილობრივი მეტყველების ტექსტებისა და ლექსიკის ჩაწერა, დოკუმენტირება, კვლევა; ჩაწერილი გვაქვს დიდძალი მასალა (პროექტის ხელმძღვანელები: ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი); მსგავს აქტივობებს ახორციელებს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრიც.

ბ) ჩემი ხელმძღვანელობით მომზადდა ათზე მეტი სადოქტორო დისერტაცია რომელთა, თემატიკა მოიცავს საფრთხის ქვეშ მყოფ ქართველურ ქვესისტემებს; კერძოდ:

ეკა დადიანი, „კავშირებითის ნაკვთები მეგრულში (სხვა ქართველურ ქვესისტემებთან მიმართებით)“, 2001 წ., შიფრი: 10.02.08. (თანახელმძღვანელი: რ.შეროზია);

სოფიო ტყეშელაშვილი, „თანხმოვანთკომპლექსთა ტრანსფორმაციისათვის ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში“, 2006 წ., შიფრი: 10.02.01;

მიხეილ ლაბაძე – „მურღულის ხეობაში მცხოვრებ ავტოქთონ ქართველთა – ლაზთა და ლივანელთა – მეტყველების თავისებურებანი“ (სამეტყველო კოდთა შერევის საკითხები“, 2013; შიფრი: 1005;

სვეტლანა ადამია – „ორპირიან და ორვალენტიან ზმნათა სრული პარადიგმა სამწიგნობრო ენასა და ქართველურ დიალექტებში“, 2015; შიფრი: 1005;
ხატია ჯანგავაძე – „ქართული ენის ტაოური და იმერხეული დიალექტების ფონემათა სინტაგმატური ანალიზი“, 2015; შიფრი: 1005;
იაშა თანდილავა – „საერთო ქართველური ზმნური ძირები ლაზურში“, 2015; შიფრი: 1005;
ეკა ჭკუასელი – „ქართული რელიგიური წეს-ჩვეულებები და სარიტუალო ლექსიკა (სვანეთისა და სამეგრელოს ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით)“, 2015; თანახელმძღვანელი: რ. გუჯეჯიანი; შიფრი: 1006;
მარიკა თედორაძე, „ენისა და კილოს გამმიჯნავი კრიტერიუმები (ასწლოვანი დისკუსია ქართველური იდიომების კვალიფიკაციის გამო)“, 2018 წ.; შიფრი: 1005;
ნერიმან ალბაირაქი – „იუსუფელის მხარის ჰიდრონიმია და ტოპონიმია“; 2018; შიფრი: 1005;
კესო გეჯუა – „მეგრული სიტყვა-ფორმები და ქართველთა სამწიგნობრო ენის ლექსიკური ფონდი“;
ფევზი ჩელები – „დუზჯეში მცხოვრებ ქართველთა მეტყველების თავისებურებანი“, 2018; შიფრი: 1005[184];
ქეთევან გურჩიანი – „თურმეობითის მწკრივთა წარმოება სვანურ კილოებში (დიალექტურ მონაცემთა შეპირისპირებითი ანალიზი) “, 2018; შიფრი: 1005;
საიდ მულიანი – „ქართული ენა ირანში“;
თინათინ მილორავა – „ზმნის ფორმაწარმოება ქართული ენის ტაოურსა და იმერხეულ დიალექტებში“...

---

[184] დუზჯეს უნივერსიტეტში (თურქეთის რესპუბლიკა) ჩემი აქტიური მონაწილეობით შეიქმნა ქართველოლოგიური მიმართულების პერსპექტიული სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი, სადაც ფევზი ჩელებთან და თურქეთის მოქალაქე სხვა კოლეგებთან ერთად მოღვაწეობენ ქართველოლოგები: პროფ. მაკა სალია, პროფ. შორენა ლომაია და პროფ. მარიამ სულხანიშვილი.

გ) ჩემი ხელმძღვანელობით რამდენიმე უნივერსიტეტში მოქმედი სადოქტორო, სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამებით გათვალისწინებულია მეგრულ-ლაზური, სვანური და სხვა ქართველური ქვესისტემების სწავლება-კვლევა;

დ) ტ. ფუტკარაძისა და ე. დადიანის მიერ მომზადებულია დამხმარე სასკოლო სახელმძღვანელო **„ქართველური ენობრივი სამყარო“**, რომლის პირველ ნაწილში აღწერილია ქართველური ქვესისტემების გავრცელების არეალი და ცალკეული ქართველური დიალექტების საზღვრები (რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეს, გაიაზროს ქართველი ეთნოსისა თუ ცალკეული ქართველური თემების საცხოვრისთა საზღვრები). აღწერას თან ერთვის შესაბამისი რუკები. წიგნის მეორე ნაწილი ეთმობა ადგილობრივი მეტყველებების ლექსიკისა თუ თავისებურებების შესწავლას – საგანგებო კითხვარების საფუძველზე მოსწავლეთა მიერ დიალექტებისათვის დამახასიათებელი ლექსიკისა თუ თავისებურებების აღნუსხვას. ამგვარი მიდგომა ხელს შეუწყობს როგორც ადგილობრივი **რაგადის** (მეტყველების, დიალექტის)[185] შენარჩუნებას, ასევე, მრავალსაუკუნოვანი ერთიანი ქართული (ქართველური) სამწიგნობრო ენის გამდიდრებას ქართველურ ქვესისტემებში შემონახული ლექსიკით[186]. ამ ასპექტით ჩვენთვის მაორიენტირებელი

---

[185] **რაგადი** ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში გამოიყენა ბ-მა სერგი საჯაიამ. შესაძლებელია ამ ქართველური სიტყვა-ფორმის ტერმინად დამკვიდრება; შდრ.: სულხან-საბასთან, ასევე, მეგრულ და სვანურ ქვესისტემებში **რაგადი** ნიშნავს „მეტყველებას“.

[186] მსჯელობისათვის ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, საქართველოს ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვისათვის, ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული, VI, ქუთაისი, 2014 წ. გვ. 285-294; ტ. ფუტკარაძე, ახალი ნაღმები საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული, V, ქუთაისი, 2013 წ. გვ. 362-72; ტ. ფუტკარაძე, თანამედროვე ქართვე-

თვალსაზრისი გამოთქვა დიდმა ქართველმა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ:

„ჩემის აზრით, უნდა ხდებოდეს **ენის რეპარაცია ადგილობრივი დიალექტების საშუალებით.** უნდა შემოუშვათ ქართულ (სამწიგნობრო) ენაში როგორც **მეგრულ-სვანური დიალექტების სიტყვები,** ისე ფშავ-ხევსურული... ვაჟა-ფშაველამ ამ მხრივ დიდი სამსახური გაუწია ქართულ ენას...“ (კ. გამსახურდია, 1922; იხ. ათტომეული, 1983, ტ.VII, გვ. 411). შდრ., აგრეთვე: „მე შემოვუშვი ახალ ქართულში მრავალი გარდასული სიტყვა; სამაგიეროდ, ასევე უხვად ვასხურე ჩემს ლექსიკას **ხევსურულიდან, იმერულიდან, ქართლ-კახურიდან და მეგრულ-გურულ ენაკავებიდან მოტანილი სიტყვები...** მე საჭიროდ დავინახე ქართული ტომების (განსხვავებული) ლექსიკის შეკრების ლოზუნგი გადამესროლა და ეს პირველად ვცადე კიდევაც „დიონისოს ღიმილში“ და ჩემს ნოველების წიგნშიაც...“

„...სალიტერატურო ქართულის ზრდა არ შეიძლება მარტოოდენ გარეგან სესხს – ბარბარიზმებს – დაეყრდნოს. აქ უმთავრესია „შინაგანი სესხი“, **ქართული ენაკავებიდან, სვანურ-ჭანურ და ოდიშურ დიალექტებიდან ახალი და**

ლოლოგიის აქტუალური პრობლემები/ საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე საინფორმაციო ომის კონტექსტი/; გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული, XI, 2016 წ., გვ. 425-468 (კრებული ეძღვნება წმიდა მღვდელმთავარ ალექსანდრე ოქროპირიძეს); ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, ქართველურ ენობრივ ვარიანტთა (ქვესისტემათა) კვალიფიკაცია და კლასიფიკაცია, ქართული უნივერსიტეტის შრომები, ტ. III, 2017, გვ., 80-105; ტ. ფუტკარაძე, ენისა და კილოს გასამიჯნი კრიტერიუმები და ქართველურ იდიომთა კვალიფიკაციის პოლიტიზების რეტროსპექტივა; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, ტ. VII, თბ., 2017 წ., გვ. 115-134.

უხმარი ლექსიკური მასალის მოხვეჭა...“ (კ. გამსახურდია, რვატომეული, 1980, ტ.V, გვ. 995-956). „XX საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვცეს ილიას ქართლურის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშაურის, **მეგრულისა და გურული ენობრივი ელემენტების სრული სინთეზი.** აი, ეს იქნება იდეალური ლიტერატურული ქართული“ (კ. გამსახურდია, 1929; ათტომეული, 1983, ტ.VII, გვ. 499)...

ნიშანდობლივია: კონსტანტინე გამსახურდიას მიდგომა **დიდებულ ქართველთა** (იოანე ლაზის, იოანე მინჩხის, გიორგი მერჩულის[187], იოანე პეტრიწის, ჭყონდიდლების, “ივერიელთა ერთობის ტრაქტატის“ ავტორთა...) **ღვაწლის ლოგიკური გაგრძელებაა.**

ამ კონტექსტშია საინტერესო ლევან დადიანის მოღვაწეობის ერთი ნახნაგიც:

ოდიშის ძლევამოსილმა მმართველმა „ვეფხისტყაოსანი“ მეგრულად კი არ „ათარგმნინა“, ან თავისი კუთხის დიალექტი სამეფო კანცელარიის ენად კი არ აქცია, გაუფრთხილდა წინაპრების მიერ შექმნილ დედაენას – ქართულს და ყველაფერი გააკეთა ქართული სამწიგნობრო ენის განვითარებისათვის. პარალელურად, 1646 წელს მამუკა თავაქარაშვილს გადააწერინა „ვეფხისტყაოსანი“, მეტიც, დაასურათებინა იგი.

---

[187] მწერალ ზურაბ თორიას ცნობით, გიორგი მერჩულის ერთ-ერთი შთამომავალი სასულიერო პირი დასაფლავებულია ოჩამჩირესთან ახლოს არსებულ **ილორის წმიდა გიორგის ტაძრის ეზოში.** ამ გვარის შვილები რუსულ ოკუპაციამდე (1993 წლამდე) ცხოვრობდნენ სოფელ ილორში მერჭულის გვარით. მერჭულეები ყოფილან ილორის წმიდა გიორგის ხატის მცველები. ილორელი მერჭულეები თავს თვლიან დიდი გიორგი მერჩულის შთამომავლებად. ოკუპირებულ აფხაზეთში არსებული ქართული ხუროთმოძღვრების ეს გამორჩეული ტაძარი XI საუკუნეშია აგებული. ოჩამჩირეშია XI საუკუნის საქართველოს უმნიშვნელოვანესი სალოცავი – ბედიის ტაძარიც, სადაც დაკრძალულია გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III და მისი დედა – დედოფალი გურანდუხტი.

სამეგრელოს მკვიდრთა ამჟამინდელი თაობაც, სხვა ქართველთა მსგავსად, რუსეთის იმპერიისაგან 150-წლიანი დიდი ზეწოლის მიუხედავად, დღესაც აქტიურად იღვწის ქართული სამწიგნობრო კულტურის განვითარებისათვის (მეგრული ლექსიკით დედაენის – ქართული ენის – გამდიდრებისათვის და სხვ.)[188]. სანიმუშოდ დავასახელებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრს, შესანიშნავ მწერალს, **ზაურ ქობალიას**, რომლის წიგნი: „დაბრუნება დაბადებაში“ (თბ., 2017) არის სამწიგნობრო ენის მეგრული ლექსიკით გამდიდრების საინტერესო ცდა.

ერთიანი ქართული (/ქართველური) ეროვნული ცნობიერებისა და ზოგადქართული სამწიგნობრო ენის დაცვის/განვითარების მიმართულებით იღვწოდა და იღვწის კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიების მრწამსის თანაზიარი ბევრი სხვა **ღირსეული პიროვნება**, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმე პირს დავასახელებ (მათთან მე წლების მანძილზე მაქვს ურთიერთობა): ნოდარ ჯალაღონია, ნომადი ბართაია, ზურაბ თორია, ვალტერ შურღაია, ედემ კვირტია, რენე კალანდია, სერგი საჯაია, ველოდი მირ-

---

[188] იგივე ითქმის სვანეთისა და საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში არსებული ლაზეთის მკვიდრთა შესახებაც; შდრ.: თურქეთის შემადგენლობაში მოქცეული ლაზეთის მკვიდრთ ნაკლები ინფორმაცია აქვთ თავიანთი წინაპრების მიერ შექმნილი ქართული სამწიგნობრო კულტურის შესახებ; მაგ., მათ არ იციან, რომ **იოანე ლაზი** ქართული სამწიგნობრო კულტურის ერთ-ერთი მესაძირკვლეა. ამ თემაზე ვრცლად იხ. ტ. ფუტკარაძე, ლაზთა ენობრივ-ეთნიკური თვითაღქმის საკითხისათვის, ლაზეთ-ჭანეთი: ისტორია და თანამედროვეობა, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2005, 25 აგვისტო, საქართველოს პარლამენტი – პირველი რესპუბლიკის დარბაზი (On the question of Laz linguistic-ethnic self perception; Scientific Conference, Tbilisi, 25 August, Parliament of Georgia); ტარიელ ფუტკარაძე, იაშა თანდილავა, მიხეილ ლაბაძე, ლაზეთის მკვიდრ ქართველთა (ლაზთა) ენობრივ-ეთნიკური იდენტობის საკითხები; ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, I, 2012, გვ. 207-222.

ცხულავა, რევაზ კემულარია, ჯემალ შონია, ელგუჯა მარღია, ლაშა გვასალია...

ფაქტია:

საერთოქართველურ ენაზე დაფუძნებული ქართული (ქართველური) სამწიგნობრო ენა თვისობრივად ერთნაირად იქმნებოდა და იქმნება ისტორიული საქართველოს ყველა კუთხეში და მდიდრდებოდა/მდიდრდება ყველა კუთხის დიალექტური შენაკადით; ეს კალაპოტი მომავალშიც ასევე უნდა გაგრძელდეს. შესაბამისად, აუცილებელია, **ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შევიდეს ნარჩევი მეგრულ-ლაზურ-სვანური დიალექტური ლექსიკაც** (არნ. ჩიქობავას რედაქტორობით გამოქვეყნებულ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულში, სამწუხაროდ, შედის მხოლოდ ქართველთა სხვა კილოების მონაცემები; იგივე მიდგომა მეორდება „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალ რედაქციაშიც).

5.3. გერმანული გამოცდილება

ქართველური ზეპირი ქვესისტემების (/ქართველური დიალექტების) გადასარჩენად თუ შესასწავლად საგანგებო ღონისძიებები უნდა დაიგეგმოს საჯარო სკოლაში დიალექტების გამოყენების მიმართულებითაც. ჩვენი თვალსაზრისის წარმოდგენამდე, **ვფიქრობთ, საინტერესო იქნება გერმანული რეალობის აღწერა:**

გერმანიაში ბევრი ისეთი ადგილობრივი დიალექტია, რომელთა მფლობელს არ ესმის სალიტერატურო გერმანული, თუკი ის საგანგებოდ არ შეისწავლა. **ულრიჰ ამონმა** 1973 წელს ჩაატარა ემპირიული კვლევა დიალექტისა და ლიტერატურული ენის გამოყენების სფეროების შესახებ და შემდეგ შედეგებამდე მივიდა:

- დაბალ სოციალურ ფენებში ლიტერატურული ენა ნაკლებად გამოიყენება, ვიდრე მაღალ სოციალურ ფენებში;
- საერთო ჯამში, მამაკაცები უფრო მეტად იყენებენ ლიტერატურულ ენას, ვიდრე ქალები, ხოლო ერთ ასაკობრივ და პროფესიულ ჯგუფში ქალები უფრო მიმართავენ ლიტერატურულ ენას, ვიდრე კაცები;
- ასაკის მატებასთან ერთად, სალიტერატურო ენის გამოყენება დიალექტში გადადის;
- ახალგაზრდა თაობები უმეტესად ლიტერატურულ ენას იყენებენ, საშუალო ასაკის თაობებთან შედარებით[189].

შდრ., ასევე, სტეფან არცბერგერის მსჯელობა სტატიაში: „დიალექტი სკოლაში – მეგობარი თუ მტერი“: ხუთწლიანი ასაკობრივი ჯგუფიდან მოყოლებული, თითქმის ყველა ასაკობრივი ჯგუფის სასკოლო გეგმაში შეტანილი იყო დიალექტი. მაგრამ დღეისათვის მხოლოდ გიმნაზიის ცხრაწლიან ასაკობრივ ჯგუფში არის ერთ ადგილას შეტანილი, სადაც ეცნობიან დიალექტურ ტექსტებს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ დიალექტის სწავლების საკითხით აღარ არიან დაინტერესებული, განათლების პოლიტიკოსები კვლავ აქტიურობენ, რომ წინა პლანზე წამოსწიონ თემა: „დიალექტი სკოლაში“[190].

ზოგი სპეციალისტის აზრით, იქ, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა განსხვავებულ დიალექტზე ლაპარაკობს, გერმანული სალიტერატურო ენის სწავლებისას პირველ ეტაპზე შეიძლება გამოყენებული იყოს დიალექტური ლექსიკა; მაგ., **ულრიხ კანცი** წერს:

„აუცილებელია წინა პლანზე წამოვწიოთ დიალექტის საკითხი და ის წინ უნდა უძღოდეს სასკოლო სახელმძღვანე-

---

[189] Ammon, U. Dialekt und Einheitssprache in ihrer sozialen Verflechtung, Weinheim und Basel 1973, გვ. 93–100.

[190] Arzberger, S. Dialekt in der Schule – Freund oder Feind?, 2007, გვ. 3-8 https://opus4.kobv.de/.../IZD (დამოწმებულია:15.04.2017).

ლოებს. სასწავლო პროცესი მაშინ იქნება დამაკმაყოფილებელი, როცა თემა დიალექტი აუცილებლად იქნება თემატურად შეტანილი შესაბამის ასაკობრივ ჯგუფში"[191].

ბავარიის მასწავლებელთა გაერთიანების პრეზიდენტი **კლაუს ვენცელი** კი ასკვნის: „ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დიალექტი ბევრი ბავშვისთვის არის პირველი ენა. სკოლის უპირველესი მიზანი არის მოსწავლე განათლების გზით წაიყვანოს და დაეუფლოს სტანდარტულ ენას, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ბავშვების პირველი ენის ხარჯზე"; შდრ., ასევე: **ბავშვი უნდა აღიზარდოს სალიტერატურო ენაზე, თუმცა ამავდროულად მისთვის დიალექტი უნდა იქცეს არა დაბრკოლებად, არამედ სიმდიდრის განსაკუთრებულ სახეობად.**

საგაკვეთილო პროცესში სალიტერატურო ენისა და დიალექტის შეთავსების შესახებ მკვლევრები: **ბრაუნი და მატაიერი** აყალიბებენ 4 ძირითად შესაძლო მიდგომას:

- ✓ *დიალექტის რაც შეიძლება სწრაფი და ძლიერი შევიწროება და განდევნა ცხოვრების ყველა სფეროდან, რათა მოსწავლეებმა საერთოდ აღარ ილაპარაკონ დიალექტზე;*
- ✓ *დიალექტისა და სალიტერატურო ენის თანაბარი სწავლება სკოლაში, რათა მოსწავლეებმა იცოდნენ ორივე ვარიანტი;*
- ✓ *სალიტერატურო ენის ნორმების უგულებელყოფა, რომ შესაძლებელი გახდეს სხვადასხვა სასაუბრო ენის ვარიანტების შესწავლა;*
- ✓ *დიგლოსიის პრინციპის დამკვიდრება: საგაკვეთილო პროცესში წერა, მეტყველება და კითხვა სალიტერატურო ვარიანტით, ხოლო გაკვეთილზე ყოველდღიური სიტუაციების აღწერისას თუ დაწყებით კლასებში ახალი სიტყვების განმარტებისას დიალექტური ვარიანტის გამოყენებაც*[192].

---

[191] Kanz, U. Dialekte unda Lehrplan. Ein Uberblick. In: Dialekte in Bayern, 2006, გვ. 88.
https://www.klett.de/sixcms/media.php/321/KTD%2063%2015-16.pdf (დამოწმება:15.04.2017).

[192] ბრაუნი და მატაიერი წიგნში: Ammon, U. Dialekt, soziale Ungleichheit und Schule. 2 Auflege, Weinheim und Basel 1972, გვ. 160;

გარკვეული კორექტირებით ჩვენთვის მისაღებია დიგლოსიური პრინციპი, რამდენადაც მსოფლიოს ბევრ რეგიონში ბავშვი გარესამყაროს შეიმეცნებს დიალექტის გზით; შესაბამისად, დიალექტი, როგორც ეროვნული ენის ნაწილი, წარმოადგენს სამყაროს ხედვა-აღქმის სისტემის ერთერთ წახნაგს. დიალექტი ემოციურ კავშირშია ეროვნული ენით მსოფლაღქმასთან; ეს ფაქტორი მისაჩქმალი არ არის; გამოსაყენებელია პიროვნების ენობრივი ხედვა-აღქმის სრულყოფილი სისტემის ჩამოსაყალიბებლად[193].

რა ხდება ამ მხრივ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მომზადებულ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების სტანდარტში?[194]

სტანდარტში **დიალექტ- ფუძე** ორჯერაა ნახსენები:

1. „ომონიმი, დიალექტიზმი, ბარბარიზმი, ჟარგონი, არქაიზმი, ნეოლოგიზმი“...

2. „ქართული ენის ისტორია: მსოფლიოს ენათა ოჯახები; ქართული ენა, ქართულის მონათესავე ენები, ქართული ენის დიალექტები; ქართული სალიტერატურო ენა, ქართული დამწერლობა (ანბანი)“[195].

ორივე კონტექსტის გათვალისწინებით, დავსვამთ ასეთ კითხვას: **დავუშვათ მხატვრულ ტექსტში შეგვხვდა მეგ-**

მსჯელობისათვის ვრცლად იხ.: მ. თედორაძე, ენობრივი ერთეულის სტატუსის განმსაზღვრელი კრიტერიუმები (საუკუნოვანი დისკუსია ქართველური ენობრივი სამყაროს სეგმენტაციის შესახებ); სადოქტორო დისერტაცია, ქუთაისი, 2018.

[193]მსჯელობისათვის იხ., ასევე: მ. თედორაძე, ენობრივი ერთეულის სტატუსის განმსაზღვრელი კრიტერიუმები (საუკუნოვანი დისკუსია ქართველური ენობრივი სამყაროს სეგმენტაციის შესახებ); სადოქტორო დისერტაცია, ქუთაისი, 2018.

[194]http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/sabazo-safekhuri-vi-ix-klasebi-proeqti-sadjaro-gankhilvistvis

[195]http://ncp.ge/files/ESG/NC%202018-2024/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A.

რული სიტყვაფორმა: „ოდაბადე“; მოსწავლეს რას ვეუბნებით:

- „ოდაბადე“ დიალექტიზმია, სამეგრელოში დაბადებული ქართველი მწერლის მიერ სამწიგნობრო ენაში შემოტანილია ქართული სამწიგნობრო ენის კუთხური სახესხვაობიდან – მეგრული დიალექტიდან;

თუ

- „ოდაბადე“ ზანიზმია – უმწერლობო მეგრული ენის ფაქტია და ქართულ სამწიგნობრო ენაში ნასესხებია ქართულის ახლომონათესავე მეგრული ენიდან (/ან: ზანური ენის მეგრული დიალექტიდან)?

პასუხი მარტივი არ იქნება, რამდენადაც, ასი წლის მანძილზე რუსეთის იმპერიამ ქართულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში დაამკვიდრა დაუსაბუთებელი თვალსაზრისი, რომ არსებობს ე.წ. ორი თუ სამი უმწერლობო ქართველური ენა; გარდა ამისა, სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია ტერმინი **ზანიზმი**, რომელიც ქართულში მეგრულ-ლაზურიდან „ნასესხებ“ სიტყვებს გულისხმობს.

ჩემი და ჩემი კოლეგების პასუხი კი ასეთია:

ქართულ სამწიგნობრო ენას 16 საუკუნეზე მეტია ქმნის საქართველოს ყველა კუთხის ქართველობა; მათ შორის განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ისტორიული ეგრისის, გვიანდელი ოდიშისა და ამჟამინდელი სამეგრელოს მოსახლეობას. ეს ბუნებრივიცაა, რამდენადაც, საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, ისტორიულმა ეგრისმა, რომელსაც შედარებით ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ეჭირა, ყველაზე ნაკლებად განიცადა დამპყრობელთა აგრესია და, შესაბამისად, დიდი დრო და ენერგია დაუთმო ქართული ეროვნული კულტურის განვითარებას; შესაბამისად, ჩვენთვის ქართული ენის მონათესავე ენებია: აფხაზური (აფსუური), აბაზური, ქისტური, ჩეჩნური, ინგუშური, დაღესტნური ენები... მეგრული

(/ლაზური...) კი არის ქართული ენის კუთხური სახესხვაობა – დიალექტი, შესაბამისად, მაგ., სიტყვები: მარქვალი, ჯარგვალი, ოდაბადე... ქართულ (ქართველურ) სამწიგნობრო ენასთან მიმართებით დიალექტიზმებია, რომლებიც **ბუნებრივად დამკვიდრდა** ქართველთა სამწიგნობრო ენაში; შდრ.: კოჩი, დუძახუ, გებგონი... დიალექტიზმებია, რომელთა ქართულ სალიტერატურო ენაში გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ პერსონაჟთა მეტყველებაში კუთხური წარმომავლობის მისანიშნებლად.

შდრ.: ვინც მეგრულს (/ზანურს) ქართულის მონათესავე „უმწერლობო ენად" თვლის, მისთვის „ოდაბადე", „ჯარგვალი"... სიტყვაფორმები ქართულში ნასესხებია ზანურიდან (მეგრულიდან).

ჩვენი აზრით, ქართულში ნასესხებ სიტყვებად უნდა ჩაითვალოს მონათესავე აფხაზურიდან თუ არამონათესავე სპარსულიდან, ინგლისურიდან შემოსული სიტყვები.

რაც შეეხება მეგრული (ლაზური, სვანური, ტაოური, ხევსურული, თუშური, აჭარული...) **ლექსიკით ქართველთა სამწიგნობრო ენის გამდიდრებას:**

მრავალი საუკუნეა სხვა ქართველებთან ერთად სამეგრელოს ქართველობა ამ კუთხის მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლექსიკით ამდიდრებს ქართულ (/ქართველურ) სამწიგნობრო ენას. სამწუხაროდ, **ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტში დღემდე გათვალისწინებული არ არის** ქართველთა კუთხურ რაგადებში დავანებული ლექსიკის სამწიგნობრო ენაში გამოყენების პერსპექტივა[196]. ვფიქრობთ, აუცილებელია, ასევე, საჯარო სკოლაში სწავლისას მოსწავლეს მიეწოდოს ადეკვატური ინფორმაცია ქართველთა ენობრივი სივრცის შესახებ.

---

[196] ამჟამინდელ სასკოლო წიგნებშიც (ეთნიკურ უმცირესობათათვის განსაზღვრულ სახელმძღვანელოებშიც) ქართველური ენობრივი სამყარო ისევ ოთხი/სამი ენის „იდეოლოგემით" ისწავლება.

არსებული რეალობიდან გამოსავალი:
ა) აუცილებელია სახელმწიფოს ყველა მოქალაქემ გააცნობიეროს, რომ **სახელმწიფო ენა არის ქვეყნის ღირსების საზომი** და, მავთულხლართებიანი საზღვრების მოშლის შემდეგ – სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტიც. გასააზრებელია ისიც, რომ, პარალელურად, ქართული ენა არის ქართველთა იდენტობის საფუძველი;
ბ) ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ **შენარჩუნდეს და შესწავლილ იქნეს ქართველთა დიდი საგანძური** – ქართველთა დედაენის ზეპირი სახესხვაობები (მეგრული, ლაზური, სვანური, ხევსურული, ტაოური, თუშური...). ამ მიმართულებით აუცილებელია, საქართველოს სკოლებში ისწავლებოდეს საგანი: **„ქართველთა ენობრივი სამყარო“**, რომელშიც მოცემული იქნება ზოგადი ცნობები ქართველთა დედაენისა და ცალკეული ქართველური რაგადების გავრცელების არეალის შესახებ; ასევე, წარმოდგენილი იქნება ლექსიკის განყოფილება, რომლის მიხედვითაც შეისწავლება ადგილობრივი დიალექტური ლექსიკა, მოეწყობა მოსწავლეთა კონფერენციები ადგილობრივი მეტყველების ლექსიკის შესწავლის მიზნით და სხვ. ასეთ შემთხვევაში მოზარდს მეტი ინფორმაცია ექნება საკუთარი ენობრივი თუ ეროვნული იდენტობის შესახებ; პარალელურად, შენარჩუნდება კუთხურ მეტყველებათა სახით არსებული საგანძური.
გ) გარკვეულ რეგულაციას უნდა დაექვემდებაროს სკოლაში სწავლების პროცესში ქართველური დიალექტების გამოყენება; კერძოდ: სამეგრელოს, სვანეთის, აჭარის, საქართველოს მთიანეთის სკოლებში, ასევე, ირანის, თურქეთის, აზერბაიჯანის ქართველ მოქალაქეთათვის ქართული სალიტერატურო ენის სწავლებისას მასწავლებელს ექმნება საჭიროება, ადგილობრივი დიალექტური მეტყველებით აუხსნას მოსწავლეს სამწიგნობრო ენის სიტყვაფორმები (მასწავლებლის მიერ კუთხური მეტყველება არ უნდა წარ-

მოჩნდეს, როგორც არანორმირებული და არასაჭირო მეტყველება). ვფიქრობ, განმარტებისას, აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია, დაწყებით კლასში დამხმარე საშუალებად გამოყენებულ იქნეს ადგილობრივი მეტყველება (რაგადი), როგორც ამას გეგმავდნენ არნ. ჩიქობავა და მისი თანამოაზრე წინა თაობის სხვა ენათმეცნიერები;

დ) ხელისუფლებამ საგანგებო ღონისძიებები უნდა დაგეგმოს ქართველი ერის ენობრივი და ეთნოკულტურული რეალური ისტორიის საერთაშორისო ასპარეზზე წარმოსაჩენად და საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა დარჩენილი თუ საქართველოდან წასული ქართველების ენობრივი იდენტობის გადასარჩენად.

ჰუმანიტარული მეცნიერებები ყალიბდება ბოლო 200 წლის მანძილზე. მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო კულტურის მქონე ქართველი ერის საცხოვრისი – საქართველო – ბოლო 200 წლის მანძილზე ოკუპირებული ჰქონდა რუსეთის იმპერიას.

საქართველოს/კავკასიის შენარჩუნების მიზნით, რუსეთის მოხელეები ცდილობდნენ, ენობრივ-ეთნიკურად დაეწაწევრებინათ ქართველები, ზოგადად, კავკასიელები; ამ მიზნით ქმნიდნენ ფსევდომეცნიერულ დებულებებს (იდეოლოგემებს) ქართველთა/კავკასიელთა ენობრივი ისტორიისა და ქართველური/კავკასიური სამეტყველო კოდების კვალიფიკაციისა თუ კლასიფიკაციის მიმართულებით.

სამწუხაროდ, **საქართველოს მეგობარი ქვეყნების ექსპერტებმა ნაკლებად იციან ქართველთა ენობრივ-ეთნიკური რეალური ისტორია** და ზეპირ ქართველურ ენობრივ სახესხვაობათა სტატუსის განსაზღვრისას თუ ქართველთა ეთნიკური იდენტობის კვალიფიცირებისას **ეყრდნობიან რუსული ენობრივი** (/ეთნიკური) **პოლიტიკის წიაღში შექმნილ იდეოლოგემებს.** ნიშანდობლივია, რომ არაერთი აკადემიური საერთაშორისო ცნობარის, ენციკლოპედიისა თუ ეთნიკური რუკის მიხედვით, **ქართველთა ნახევარი ქართველად არ მიიჩნევა;** მაგ., მსოფლიო გლობალური ქსელის ძირითადი ეთნოლოგიური ენციკლოპედიის მიხედვით, საქართველოში არის შემდეგი ეთნიკური ჯგუფები (/ენები):

აზერბაიჯანელები – 270 000, ასირიელები (აისორები) – 3 400, აფხაზები – 129 000, ბაცბები – 3 200, ურუმები (ბერძნები) – 90 000, ლაზები – 1 000, მეგრელები – 345 000, ოსები – 35 000, რუსები – 405 000, სვანები (სამწერლობო ენად იყენებენ ქართულს და რუსულს) – 15 000, სომხები – 448 000, ურუმები – 97 746, ქართველები – 3 200 000, ქართველი ებრაელები – 2 800, ქურთები – 20 600[197].

[197] http://www.ethnologue.com/show_country.asp?name=GE;

ფაქტია:
ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების საფუძვლად დღემდეა გამოყენებული საბჭოთა პერიოდში შექმნილი ე.წ. „ოთხი ქართველური ენის“ „იდეოლოგია“, რომლის მიხედვითაც „უმწერლობო ენების“ მფლობელად ცხადდება მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო კულტურის მქონე ქართველთა ნახევარი: მეგრელები, ლაზები, სვანები.
ცოდნის/ინფორმაციის გავრცელების თანამედროვე პირობებში იმის მტკიცება, რომ მეგრელებს, ლაზებს (თუნდაც საქართველოში მცხოვრებ ლაზებს), სვანებს დედაენებზე მწიგნობრობა არა აქვთ, საფრთხის ქვეშ მყოფი „უმწერლობო ენების“ გადარჩენის საბაბით, **ევროპული გრანტის** მიღების სურვილს უფრო ჰგავს, ვიდრე – ქართველთა ენობრივ მემკვიდრეობაზე ზრუნვას.

თანამედროვე პირობებში, როდესაც შესაძლებელია ჰუმანიტარულ მეცნიერებებათა თავისუფალი (დეპოლიტიზებული) განვითარება, ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის, ასევე, მიმდინარე საინფორმაციო ომში საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და **საერთაშორისო აკადემიურ ველში ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის საწინააღმდეგო იდეოლოგემის დასაბალანსებლად,** ვფიქრობთ, აუცილებელია:

ა) **საქართველოს ხელისუფლებამ საგანგებო ღონისძიებები დაგეგმოს** ქართველი ერის ენობრივი და ეთნოკულტურული რეალური ისტორიის საერთაშორისო ასპარეზზე წარმოსაჩენად და საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა დარჩენილი თუ საქართველოდან წასული ქართველების ენობრივი იდენტობის გადასარჩენად. **პარალელურად,** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით,

---

http://www.ethnologue.com/show_country.asp?name=GE (დამოწმება: 12.01.2019); შდრ., საყოველთაო აღწერის მონაცემები: http://census.ge/ge/results/census.

უცხოეთის წამყვან ბიბლიოთეკებს, უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებს მიეწოდოს ქართველოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურის აკადემიური თარგმანები და მომზადდეს ისეთი საერთაშორისო კონფერენციები, რომლებზეც წარმოდგენილი იქნება თანამედროვე ქართველოლოგიური კვლევები;

ბ) დროულად და თვისობრივად გადაისინჯოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ასევე, რუსთაველის ფონდის ექსპერტებისა და საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაცია/ავტორიზაციის საბჭოებისა თუ ექსპერტთა ჯგუფების შემადგენლობა, რამდენადაც ამ სტრუქტურებზე დღემდე (01.12.2018 წ.) დიდ გავლენას ინარჩუნებენ სამი თუ ოთხი „უმწერლობო ქართველური ენის“იდეოლოგემის მხარდამჭერები, იდეოლოგემისა, რომელიც, საბოლოო ჯამში, საფრთხეს უქმნის ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ ერთიანობას;

გ) ყველაფერი გაკეთდეს, რომ შენარჩუნდეს **ქართველთა დიდი საგანძური – ქართველთა დედაენის ზეპირი სახესხვაობები (მეგრული, ლაზური, სვანური, ხევსურული, ტაოური, თუშური...)**. ამ მიმართულებით აუცილებელია, საქართველოს საჯარო სკოლაში ისწავლებოდეს ზოგადი ცნობები ქართველთა ენობრივი სამყაროსა და ცალკეულ ქართველურ დიალექტთა გავრცელების არეალის შესახებ. ასეთ შემთხვევაში მოზარდს მეტი ინფორმაცია ექნება საკუთარი ენობრივი თუ ეროვნული იდენტობის შესახებ. გარკვეულ რეგულაციას უნდა დაექვემდებაროს სკოლაში სწავლების პროცესში ქართველური დიალექტების გამოყენება; კერძოდ: სამეგრელოს, სვანეთის, აჭარის, საქართველოს მთიანეთის სკოლებში, ასევე, ირანის, თურქეთის, აზერბაიჯანის ქართველ მოქალაქეთათვის ქართული სალიტერატურო ენის სწავლებისას მასწავლებელს ექმნება საჭიროება, ადგილობრივი დიალექტური მეტყველებით აუხსნას მოსწავლეს სამწიგნობრო ენის სიტყვაფორმები (მასწავლებლის მიერ კუთხური მეტყველება არ უნდა წარმოჩნდეს, როგორც არანორმირებული

და არასაჭირო მეტყველება). განმარტებისას, აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია, დაწყებით კლასში დამხმარე საშუალებად გამოყენებულ იქნეს ადგილობრივი მეტყველება (რაგადი), როგორც ამას გეგმავდნენ არნ. ჩიქობავა და მისი თანამოაზრე წინა თაობის სხვა ენათმეცნიერები;

დ) ისე დაიგეგმოს ენობრივი პოლიტიკა და კულტურის განვითარება, რომ დროულად და შეუქცევადად ჩამოყალიბდეს საქართველოს მოსახლეობის (ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად) **მყარი სახელმწიფოებრივი (/ნაციონალური) ორიენტირები;**

ე) საქართველოს ხელისუფლების მიერ საგანგებო ყურადღება მიექცეს უმნიშვნელოვანეს პრობლემას – **ქართული ენის ტექნოლოგიზებას.** მხოლოდ ტექნოლოგიზების შემთხვევაში შეინარჩუნებს ქართული ენა კულტურისა და განათლების ენის ფუნქციას; შესაბამისად, საჭიროა, ამ მიმართულებით მოხდეს ეროვნული **რესურსების მობილიზება;**

ვ) განხორციელდეს **შედეგზე ორიენტირებული საგანგებო ღონისძიებები** საქართველოს სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვის უზრუნველსაყოფად, **ქართველური ზეპირი მეტყველებების გადასარჩენად,** ქართველთა ენობრივი იდენტობის შესანარჩუნებლად;

ზ) „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ რატიფიცირების კონტექსტში მოხდეს საქართველოს ენობრივი სიტუაციის ადეკვატური აღწერა და საქართველოს მოქალაქე უმცირესობების ენობრივი უფლებების განუხრელი დაცვა;

თ) ხელისუფლების მიერ ენობრივი პოლიტიკის სტრატეგიის მკაფიოდ გამოკვეთის პარალელურად, **არ შეილახოს განსხვავებული აზრის მქონე მეცნიერის აკადემიური თავისუფლება.**

Brief Summary in English

Humanities were formed within the last 200 years. The Georgian nation with its centuries-old literature habitation – Georgia – has been occupied by the Russian Empire over the last 200 years.

For maintaining Georgia / Caucasus, Russian officials were trying to break up Georgians, generally Caucasians by linguistically and ethnically; for this purpose they created pseudo-scientific provisions (ideologemes) in the direction of qualification or classification and Kartvelian / Caucasian lexical codes of Georgian / Caucasian linguistic history.

Unfortunately, **the experts of the friendly countries of Georgia are less aware of the linguistic and ethnic real history of the Georgians**, and in the process of identifying the variation of status, or qualification of Georgian people ethnic identity, are based on the ideologues created in the bosom of Russian language (ethnic) politics.

For example, according to many academic international references, encyclopedia or ethnic map, **half of Georgians are not considered as Georgians;** For example, according to the main ethnological encyclopedia of the global network (as of April 2018), there are following languages (/ethnic groups) in Georgia: Azerbaijanis – 270 000, Assyrians – 3 400, Abkhazians – 129 000, batsbits – 3 200, Lazi – 1 000, Megrelians – 345 000, Ossetians – 35 000, Russians – 405 000, Svans – 15 000, Armenians – 448 000, Urum – 97 746, Georgians – 3 200 000, Georgian Jews – 2 800, Kurds – 20 600[198].

[198] http://www.ethnologue.com/show_country.asp?name=GE (citation date:12.05.2018).

The fact is:
The basis of the linguistic and ethnic divisions of the Georgians is still used in Soviet times, so called, „ideology" of „Four Kartvelian Languages", according of it, half of the Georgian people, Megrelians, Lazi and Svans, with centuries-old cultural literary, are declared as owners of „unwritten languages".

In the modern conditions of knowledge / dissemination of information to prove that the Megrelians, Laz (even the Laz people living in Georgia), Svans do not have the literacy on their mother tongues, under the pretext of survival of „unwritten languages", is more like the desire to secure a European grant, than to take care of the „the languages without literacy".

In the modern conditions when free (depoliticized) development of the humanities is possible, to protect Georgia's vital interests in the linguistic and ethnic unity of the Georgian nation and the current informational war and **in the international academic fields to balance the ideologue of the ethnolinguistic unity of the Georgian nation, I think:**

A) It is necessary that **the Georgian authorities should plan special measures** to present the national language of linguistic and ethno-cultural realities in the international arena and surviving the current borders of Georgia or for the survival of the Georgian identity of Georgians who left Georgia. By Organizing of the Ministry of Education and Science of Georgia, the leading libraries, universities and scientific centers should be provided academic translations of Kartvelian scientific literature and prepare such international conferences where modern Kartvelological studies will be presented.

B) Timely and qualitatively to review the Strategy of functioning of the Ministry of Science and Education of Georgia, as well

as, of Rustaveli Foundation and National Center for Educational Quality Enhancement, as far as the state structures are still somewhat oriented on the Russian ideologeme of the three or four „unwritten Kartvelian languages", which ultimately, endangers the linguistic and ethnic Georgian unity of Georgians.

C) **Everything should be done to preserve and study the great treasure of Georgians – the oral traditions of Georgians' mother tongue** (Megrelian, Laz, Svan, Khevsurian, Tao, Tush ...); in this direction, it is necessary to study general information about the Georgian linguistic world and the distribution area of Kartvelian dialects in Georgian public school. In this case, the teenagers will have more information about his own language or national identity. In the school teaching process, using of Kartvelian dialects should be subdued under the certain regulation. In particular, in the schools of Samegrelo, Svaneti, Adjara, Highland schools, as well as for ethnic Georgian citizens of Iran, Turkey and Azerbaijan, teachers are required to teach the Georgian literary language, explain the dialect of the local language with local dialectal speech (The teacher's dialectal speech should not be as unreasonable and unnecessary). In my opinion, in the process of explaining the possibility of using the local language as an auxiliary tool in the primary class, as planned by Arn. Chikobava and other linguists of the previous generation;

D) The development of education and culture should be planned in a timely fashion to establish solid state (national / ethnic) orientation of Georgian population (regardless of ethnic origin);

E) The Georgian authorities should mobilize resources for Georgian language technologies. Only in the case of technologies will maintain the Georgian language function of culture and education;

F) Special care should be taken to ensure the constitutional status of the state language of Georgia, carrying out the necessary measures for the survival of the Kartvelian verbal expression, implementation of special projects for maintaining the linguistic identity of Georgians, adequate description of the linguistic situation in the context of the ratification of the „European Charter on Regional or Minority Languages" and the constant protection of minority language rights of Georgian citizens;

G) In parallel with the clear understanding of the language policy of the government, the academic freedom of all scholars should be ensured.

დ ა ნ ა რ თ ე ბ ი

დანართი № 1

ალ. გეგეჭკორი

იანოვსკი-ვოსტორგოვის ღირსეულ მემკვიდრეებს

/გაზ. „კომუნისტი“, 1925, №203/

ჩემ წინ ფრიად საინტერესო საბუთია – მიმართვა „სრულიად რუსეთის სტაროსტის მამა მიხეილ ივანეს ძისადმი“ (ამხ. კალინინი), ხელმოწერილი დღემდე მაინც სრულიად უცნობ მოქალაქეების, ციბაკი ბუკონიას და სოლომონ ბესელიას მიერ. საბუთი იგი დაწერილია ნეტარი ძველი დროის რჩეული კილოთი – შტაბის „პისარის“ ან ჟანდარმის „ვახმისტრის“ ენით. კითხულობ გულდასმით, უკვირდები ამ მორახრახე, გაჭიაყელებულ სიტყვებს და ფრაზებს და მაინც ვერ გადაგიწყვეტია, ვის ნამოქმედარ-ნაცოდვილართანა გაქვს საქმე, ვინ არის მისი ავტორი, მთლად გამოჩერჩეტებული ადამიანი... შეგნებული პროვოკატორი, დამოუკიდებელი „მოაზროვნე“ თუ სხვისი გეგმის შემსრულებელი. ერთი რამ არის მხოლოდ ცხადი და უდავო – ეს ის, რომ ხსენებულ საბუთის ავტორები და მათი ნატანჯი „ნაწარმოები“ შეგნებულად თუ შეუგნებლად, ნებსით თუ უნებლიეთ, ემსახურებიან საქართველოს მშრომელთა დაზარალების, საბჭოთა ხელისუფლების მტრობის საქმეს.

ბუკონია-ბესელიას კოლექტიურ „შემოქმედების“ საგანს შეადგენს ზრუნვა „სამეგრელოს მშრომელი ხალხისათვის“, რომელიც, თურმე „მისთვის სრულებით მოულოდნელად საქართველოს სუვერენიტეტის უღელქვეშ მოექცა და მისგან ჯერაც ვერ განთავისუფლებულა“. „ჩვენთვის სრულიად გასაგებია – დასძენენ ავტორები – რომ სრულიად რუსეთის საკავშირო სახელმწიფო არის პოლიტიკური სხეული, რომლის მამოძრავებელი გული მოსკოვია“. მაგრამ შევამოწმეთ რა ჩვენი სახელმწიფოებრივი მექანიზმი (არა სჯობდა, განა, რომ ავტორებს თავისი „აზროვნების მექანიზმი“ „შეემოწმე-

ბინათ“, როგორც ეს ყველა მექანიზმისთვის არის მიღებული, ჩვენ ვხედავთ, რომ მასში არა აქვს მინიჭებული ადგილი სამეგრელოს მშრომელ ხალხს, რომელიც რუსეთს შეუერთდა 1804 წლის ტრაქტატის და ალექსანდრე მეორის 1867 წლის იანვრის 4-ის ბრძანების ძალით და რომელმაც დაამსხვრია საკუთარი მონარქია, რათა საბოლოოდ და სამუდამოდ შეერთებულიყო რუსეთის მშრომელ მასას.

არა მარტო მენშევიკები ავიწროებდნენ უბრალო მეგრელ ხალხს, მისი ტანჯვა დღემდე გრძელდება: „ქართველი უკლონისტები (!) ყოველ ღონესა ხმარობენ ინტერნაციონალურ ცენტრის (მოსკოვი) მიერ ეროვნულ საკითხის შესახებ გამოცემულ განკარგულების გავრცელების საწინააღმდეგოდ“, „ყველანაირად აქარწყლებენ და აფუჩეჩებენ ცენტრის წინაშე მეგრელთა ტომს, ხოლო სამეგრელოს მშრომელთა სათავეში უკლონისტების მიერ დაყენებული ჩვენი მეგრელი ამხანაგები დაუდევრობას იჩენენ იმ საკითხებისადმი, რაც შეეხება სამეგრელოს მშრომელთა მასას. ამასთან მექანიკური ხასიათის მიზეზებისა გამო, მათ არა აქვთ საშუალება კავშირი იქონიონ რუსეთის ცენტრთან“.

დასასრულს სათხოვარი: „დაკვრითი წესით გაანთავისუფლეთ სამეგრელოს მშრომელი ხალხი საქართველოს განგებ თავზე მოხვეულ სუვერენიტეტისაგან და კვლავ სამუდამოდ განამტკიცეთ სამეგრელოს და რუსეთის მშრომელთა ისტორიული კავშირი“.

იგივე თხოვნა განმეორებულია მხოლოდ უფრო დაჟინებით, ამიერკავკასიის ცაკის სახელზე მიმართულ დეპეშაში, რომელსაც ხელს აწერს ბუკონია-ბესელიასებური ზუგდიდის ოცი მოქალაქე. ესენიც რიხით გაიძახიან, რომ „სამეგრელოს მშრომელნი მოელიან განთავისუფლებას ისტორიულადაც, იურიდიულადაც უსაფუძვლო საქართველოს სუვერენიტეტისაგან, რაც განმტკიცებულია მხოლოდ იმპერიალისტურ ელემენტების მეშვეობით“.

უკანასკნელ, ხუთი მოქალაქე (გრიგოლ ახალაია და სხვანი) სრულიად საკავშირო ცაკის სახელზე მიმართულ დეპეშაში ფიცულობენ, რომ „სამეგრელოს ყველა კუთხის მიწის მუშები განსაკუთრებით მოითხოვენ ქართული ცენტრის მიერ შე-

ჩერებულ სამშობლო ენაზე გადაცემული გაზეთის გამოგზავნას და დარწმუნებული არიან, რომ".... ხოლო რაში არიან დარწმუნებულნი მოქალაქე ახალაია და ძმანი მისნი, ეს ისეთი უცნაური „მეგრული რუსულით" არის გამოთქმული, რომ მისი გადათარგმნა ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ სიტყვა-სიტყვით მომყავს დეპეშის დედანის შესაფერი ნაწილი: „Уверены что научное основание Советскаго Строителства исключает всякую рутинную формальостъ а тем более совершенно не предвиденно созданную в нетерпеливом ожидании непосредственной защиты на культурних стремленний по строжайшей линии Ленинизма".

რამდენათაც შეიძლება ამ აჯაფსანდალის გაგება მთელ სამეგრელოში იწილ-ბიწილოთი შეკრებილი ბუკონია-ბესელია-ახალაიას „კომპანიას" განუზრახავს ამ საქმის განხორციელება, რაც, დიდი ხანია მას აქეთ, რაც მიზნათა ჰქონდათ დასახული ცნობილ იანოვსკის და ვოსტორგოვს არა ნაკლებ ცნობილ აშორდიას თანამშრომლობით. მაშინ იყვნენ იანოვსკ-ვოსტორგოვ-აშორდია, ახლა არიან ბუკონია-ბესელია-ახალაია. ის რის გაკეთება ვერ შესძლო და რაზედაც, როგორც უიმედო საქმეზე, ხელი აიღო პირველმა, შავრაზმელმა სამებამ, განზრახული აქვს განახორციელოს წითელ ნიღაბს ამოფარებულმა, „из культурных стремлений по строжайшей линии Ленинизма" მოქმედმა სამეგრელოს მშრომელი ხალხის დღევანდელ მოჭირნახულე ბუკონია-ბესელია-ახალაიას ჯგუფმა. ესენი იშვიათ ჯამბაზურად შეუხამებენ ერთმანეთს ერთის მხრივ „თანამედროვე" ფრაზებს „ლენინიზმის" და „საბჭოთა აღმშენებლობის მეცნიერულ საფუძვლების შესახებ და მეორე მხრივ ხავსმოკიდებულ სეფებრძანებებს და „რუსეთის სახელმწიფო არქივში" მტვერმოკიდებულ საბუთებს.

ვთქვათ, ეს იდეა, დეე ბუკონია-ბესელია-ახალაიას ავადმყოფ აზროვნებაში წარმტაცი ფერადებით იყოს დასურათებული რუსეთის თვითმპყრობელთა ხანა, დეე მათ წარმოდგენილი ჰქონდეთ, რომ იმ ხანაში, მაშინდელ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში, „სამეგრელოს ხალხს" შეეძლო „დაემსხვრია საკუთარი მონარქია, რათა საბოლოოდ და სამუდამოდ შე-

ერთებოდა რუსეთის მშრომელ მასას“ („მშრომელი მასების“ წარმომადგენლების როლში როგორ მოგწონთ რუსეთის თვითმპყრობელი და სამეგრელოს მთავარი. განა ესენი არ იყვნენ, რომ ბუკონია-ბესელია-ახალაია სატრფიალო ტრაქტატებს ხელს აწერდნენ!). ვთქვათ, ყველაფერი ეს ასე იყო და უნდა იყოს. მაგრამ არ შეიძლება ვთხოვოთ ახლად მოვლინებულ ზუგდიდელ „ისტორიკოსებს“, განგვიმარტონ, რა შედეგი მოჰყვა მათ მიერ დასახელებულ ტრაქტატებს და რას მოწმობენ ეს ტრაქტატები – სამეგრელოს „დამოუკიდებელ“ პოლიტიკას თუ, პირიქით, სამეგრელოს, როგორც საქართველოს ერთ-ერთ კუთხის, იმ პოლიტიკურ ხაზის გაყოლას, რაც მიღებული იყო მთელი საქართველოს მიერ. ან, იქნებ, ამხანაგმა „ისტორიკოსებმა“ ისურვონ თავის „ისტორიულ ანალიზის“ რამდენადმე გაღრმავება და დაგვისახელონ სამეგრელოს ისტორიის რომელიმე ხანა, როდესაც მას საქართველოსაგან დამოუკიდებლად ეცხოვროს. ჩვენ, ყოველ შემთხვევაში, არ ვიცით ასეთი ხანა. თუ დამოუკიდებელ პოლიტიკურ არსებობად ჩავთვლით ზუგდიდელ ისტორიკოსების „სამშობლოს“ სამეგრელოს მთავრის გამგებლობაში ყოფნას, მაშინ ხომ ესევე უნდა ითქვას საქართველოს სხვა კუთხეების შესახებაც – ქართლ-კახეთზედაც, მთაზედაც, გურიაზედაც, იმერეთზედაც – მათზედაც უნდა ვთქვათ, რომ ისინი დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცხოვრებას ეწეოდნენ. რუსეთის თითქმის ყველა კუთხეზედაც, თითქმის ყველა მაზრაზედაც შეიძლება მაშინ იმისავე თქმა – იქაც ხომ ოდესმე არსებობდენ სუზდალის, პოლიცკის და სხვა სამთავროები.

ბუკონია-ბესელია-ახალაიას მიერ თუთიყუშისებრ გაზეპირებული ცნება „მეგრელი ხალხი“ (რუსულად „მინგრელსკი ნაროდ“ შეიძლება ისეც იყოს გაგებული, როგორც „მეგრელი ერი“) – ნამდვილი სისულელეა, სრული უვიცობის ნაყოფი. მართლაც და რა არის ხალხი, ერი, როგორია მისი დამახასიათებელი თვისებები და შეიძლება თუ არა ლაპარაკი ისეთ თვისებებზე, რამდენადაც საქმე სამეგრელოს და მეგრელებს შეეხება, განსხვავდება თუ არა ქართველი ერისაგან ის, რაც ნამდვილად ამ ერის მხოლოდ ერთ-ერთი შტოა – ისე-

თი შტო, როგორც იმერეთი და იმერლები, გურულები, თუშ-ფშავ-ხევსურნი, – ხოლო იანოვსკ-ვოსტორგოვ-აშორდიას მიერ „სამეგრელოს ხალხად“, „მეგრელთა ეროვნებად“ იწოდება.

პირველი, ენა. მაგრამ რას წარმოადგენს „მეგრული ენა“, შეიძლება თუ არა მას დამოუკიდებელი ენა ვუწოდოთ, თუ მასში ხმარებული სიტყვების დიდი უმეტესობა – იგივე ქართული სიტყვებია, ხოლო უკლებლივ ყველა სიტყვის ძირები მთლად ეთანაბრება შესაფერ ქართული სიტყვების ძირებს – იმდენად, რომ ქართულ ლიტერატურულ ენის საფუძვლიანად შესასწავლად აუცილებელია მეგრული დიალექტიკის გაცნობა. რომ უკანასკნელი მართლა დიალექტია, მხოლოდ დიალექტი, ქართული ენის ერთ-ერთი შტოთაგანია, ამის საუკეთესო და თვალსაჩინო დასამტკიცებელი საბუთი ის არის, რომ საკმარისია ლიტერატურულ ქართულის სულ უცოდინარი მეგრელი (ეს განსაკუთრებით ბავშვებს ემჩნევა) ქართულად მოლაპარაკეთა შორის ერთი-ორი კვირა დატრიალდეს და იგი თავისუფლად ეჩვევა ქართულად ლაპარაკს. არა მაქვს პატივი ბუკონია-ბესელია-ახალაიას პირადი ცნობისა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მათ მიერ ქართულის შესწავლა-შეთვისება სწორედ ასეთი გზით მოხდა და არა რომელიმე სპეციალურ ფილოლოგიურ ინსტიტუტში. მეგრული დიალექტის სამოქმედო ასპარეზი ვიწროდ არის შემოფარგლული ისე, როგორც, მაგალითად, საფრანგეთის ზოგიერთ კუთხის (პროვანსი და სხვა.) კილოკავებისა. მაგრამ როგორც იქ, საფრანგეთში, არავის აზრად არ მოსვლია ამ კილოკავების განვითარებისთვის ზრუნვა, ჩვენშიაც თავდაპირველად მეგრელთაგანს არც ერთს ჭკუათმყოფელ ადამიანს არ უფიქრნია მეგრულ კილოკავის განვითარებაზე, მეგრულ მწიგნობრობის შექმნაზე. სამეგრელოს მთელი მწერლობა ქართულია, მხოლოდ და მხოლოდ ქართული. **მეგრელები დასაბამიდან განთქმულნი იყვნენ ქართული ლიტერატურული ენის სიყვარულით ცოდნის მხრივ. ძველადვე უცხო ნაწარმოებთა მთარგმნელებად საქართველოში მეგრელები ითვლებოდნენ. სამეგრელოს ყველა მატიანე ქართულად არის დაწერილი. ჩვენამდე „მეგრულად“ დაწერილ არც ერთს წიგნს, არც ერთს აღწერას, არც ერთს**

სიგელ-გუჯარს არ მოუღწევია. სამეგრელოს მთავართა საქმისწარმოებაც კი ქართული იყო. მიუხედავად იმისა, რომ მათ დინასტიური მოსაზრებით, არც ისე ძალიან ეჭაშნიკებოდათ საქართველოს სახელმწიფოებრივობის და კულტურის სამეგრელოზე გავლენის ცხადყოფა. საქართველოს პირველ გრამატიკოსთა შორის უდიდესი ადგილი უჭირავს მეგრელს ანტონ ჭყონდიდელს. ჩვენს დროში ქართული ენის და ისტორიის საუკეთესო მცოდნის სახელი აგრეთვე მეგრელმა მოიხვეჭა ქართული გრამატიკის და ყველა მეცნიერულ თხზულებაში დასახელებული კაპიტალურ ისტორიული თხზულების „ქრონიკების“ ავტორი მეგრელია, განსვენებული თედო ჟორდანია. ქართული კულტურის ყველა დარგში შეიძლება დავასახელოთ დიდი ავტორიტეტით მოსილი პირების არა ერთი და ორი ათეული მეგრელი. ყველა ამათთვის ქართული ენა და ქართული კულტურა, მისი სტიქიონია, რომელიც მას შესისხლხორცებული აქვს, რომლის გარეშე მისი განვითარება მოღვაწეობა წარმოუდგენელია. მაშ, ვისა აქვს მეტი უფლება, მეტი ავტორიტეტი სამეგრელოს და მეგრელების სახელით სალაპარაკოდ, ქართული ენის და მისი მეგრული შტოს ურთიერთობაზე მსჯელობისათვის ყველასგან ცნობილ მოღვაწეებს, თუ დღემდე სრულიად უცნობ ბუკონია-ბესელია-ახალაიას, ვინც ნებსით თუ უნებლიეთ განაგრძობს იანოვსკი-ვოსტორგოვის შავრაზმულს საქმეს. და განა ღირსშესანიშნავი არ არის ის გარემოება, რომ „მეგრული კულტურის“ ამ არამკითხე მოსარჩლეთა პირველსავე „დებიუტს“ მოჰყვა მთელი მეგრული ინტელიგენციის, მისი საუკეთესო, პატიოსან და მოწინავე ნაწილის ერთსულოვანი პროტესტი. ბუკონია-ბესელია-ახალაიას ნაცოდვილარს მათ ერთხმად ცხადად რეაქციული, ხალხისათვის მავნე საქმე უწოდეს. სხვათაშორის, არამკითხე კომპანიის მიერ შექმნილ უდღეურ-უნიჭო გაზეთის – „ნოთეს“-ს დახურვა გამოიწვია სამეგრელოს როგორც პარტიულ, ისე უპარტიო ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის ბეჯითმა მოთხოვნამ, რაც შეეხება სამეგრელოს ფართო მშრომელ მასას, მას არც კი შეუნიშნავს „სამეგრელოს ხალხის“ ოცდარვა ახლად მოვლინებულ მეს-

ვეურის უილაჯო გამოსვლა, მან ზიზღით აარიდა თვალი შექმნილ აურ-ზაურს.

ასე და ამრიგად, „მეგრული ხალხი“ მოკლებულია უმთავრეს არსებითს თვისებას მის „ცალკე“ ერად ჩასათვლელად. იგივე უნდა ითქვას კულტურის სხვა ელემენტებზედაც. არავითარ დამოუკიდებელ „მეგრულ კულტურაზე“ არ შეიძლება ლაპარაკი. სამეგრელოს კულტურა მთლიანად ქართულია, ქართულ საფუძველზე მოქარგული, ქართული ფესვებით მოარსებე.

არ შეიძლება არც სამეგრელოს ეკონომიურ ან გეოგრაფიულ მოწყვეტილობაზე ლაპარაკი, აქაც იგი მჭიდროდ არის საქართველოს სხვა მისებრ ნაწილებთან გადახლართული.

მაშ, სად არის ის „იმპერიალისტური ელემენტი“, ის „იმპერიალისტური პოლიტიკა“, რასაც ბუკონია-ბესელია-ახალაია უსაყვედურებენ საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებას. „იმპერიალიზმად“ ის ხომ არ მოეჩვენათ, რომ ჩვენ სასწავლებლებით ავავსეთ სამეგრელო, ელექტროსადგურებს ვაშენებთ. მდინარეების სანაპიროებს ვამაგრებათ და ჭაობებს ვაშრობთ, გზებითა ვქსელავთ. ხიდებს ვაშენებთ, საქართველოს კუთხეთაგან პირველად სამეგრელოს ტერიტორიაზე დავიწყეთ ფართო რკინის გზის სააღმშენებლო მუშაობა (შავი ზღვის სამხრეთ ნაწილის აშენება, შუაგულ სამეგრელოში – ჯვარის მიმართულებით – შტოს გაყვანით), ყველა ღონისძიებას ვხმარობთ ამ ძველად მივარდნილ – მიყრუებულ კუთხის გამოსაცოცხლებლად, ეკონომიურად და კულტურულად ასაღორძინებლად. კეთილი. თუ ამას იმპერიალიზმი ეწოდება, ჩვენ სიამოვნებით ვკისრულობთ ასეთ ბრალდებას, სხვა ცოდვა კი ჩვენ კისერზე არ გვეგულება, გარეშე იმისა, რომ ვერა ვცნობთ და ვერ ვიცნობთ ბუკონია-ბესელია-ახალაიას „სამრევლოს“ „დამოუკიდებლობას“, რასაც არც კულტურული, არც ეკონომიური საფუძველი არ გააჩნია და ადგილობრივ მოსახლეობაშიაც ვერ მოუკიდებია ფესვი, ვერ ავყვებით ნამდვილ მანიაკებს და შეგნებულ პროვოკატორებს, ვინც მიჰყვება ნეტარხსენებულ მამა იოანე ვოსტორგოვის კურთხევით იანოვსკი-აშორდისტების მიერ ნატკეპნ გზას.

ბოლოს და ბოლოს, რა ჩვენი ბრალია, თუ „სამეგრელოს ხალხის“ არამკითხე მოსარჩლეთა ავანტიურობამ დააყენა მყრალი სუნი ბინძური მაბეზღრობისა „ქართველ უკლონისტთა“ იმპერიალიზმის შესახებ. მართლა არ დამავიწყდეს, მივულოცო ახალი სახელწოდება საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის დღევანდელი პოლიტიკის პასუხისმგებელ მესვეურთ. სულაც არ ეღირებოდა პრესის ფურცლებზე ლაპარაკი იმ აბდაუბდაზე, რაც წარმოიშვა ახალაიასებურ უსაქმო ჰეროსტრატების მიერ, რომ „საქართველოს იმპერიალიზმის“ მანიაკებისაგან მოსალოდნელი არ იყოს ჩვენი გაჩუმების ყალბად გაგება. დეე, თვით მეგრელმა ინტელიგენციამ და „სამეგრელოს მშრომელმა ხალხმა“, ვისი სახელით ჰბედავენ ლაყბობას ჩხოუშიის სანაპიროს ყბედები, გაიგონ სიმართლე თვით არამკითხე მოსარჩლეთა „საგმირო საქმეთა“ შესახებ, საკადრისი პასუხი მიუძღვნან მათ. იქნებ ამის შემდეგ მაინც, საკმარისი მოქალაქეობრივი გამბედაობა ჰპოვოს „ოცდა რვათა ძმათა ჩხოუშელთა“ კომპანიამ იმისთვის, რომ დასტურ შეამოწმოს არა საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივი მექანიზმი, არამედ თავისი საკუთარი „აზროვნების მექანიზმი“, თუ რა თქმა უნდა, იგი მთლად უიმედოთ დაავადებული არ არის იმ სენით, რაც თანა სდევს ცნობილ მეგრულ წყევლას: „სქანი ვანორჩქედას დო შხვაში ვადაგიჯერებუდასია“ (შენი არ გცოდნოდეს და სხვისი არ დაგეჯერებიოსო).

დანართი №2

ლავრენტი ბერია

მეგრელ ავტონომისტების შესახებ

/გაზ. „კომუნისტი“, 1925, №210/

ამჯამად ჩემს წინ დგას მთელი რიგი ერთგვარად „კლასიკური“ დოკუმენტებისა. ეგრევითარი, უაღრესად გამახვილებული ფანტაზიაც ვერ შესძლებდა ეხლა, 1925 წელს საბჭოთა ხელისუფლების პირობებში საქართველოში შეექმნა ამაზე უფრო ღირსშესანიშნავი დოკუმენტი: „სამეგრელოს მშრომელები მოელიან განთავისუფლებას საქართველოს ისტორიულად და იურიდიულად უსაფუძვლო სუვერენიტეტისაგან, რომელსაც მხარს უჭერს მხოლოდ იმპერიალისტური ელემენტი“, ნათქვამია ერთ „მიმართვაში“, რომელსაც ხელს აწერენ ვლადიერ ბუკია და სხვა ახლად გამოჩეკილი მეგრელი ავტონომისტები.

სამეგრელოს „მასები“ მოითხოვენ ავტონომიას...

სამეგრელოს მშრომელი ხალხი „გმინავს“ ქართველების უღელს ქვეშ, ის ხალხი, რომელიც, როგორც ნათქვამია მეორე დოკუმენტში, „შეუერთდა რუსეთს 1804 წლის ტრაქტატით და ალქსანდრე II-ეს ბრძანებით, რაც სჩანს რუსეთის სახელმწიფო არქივებიდან“.

მეფის რუსეთის აქტებში, რუსეთის იმპერიის არქივებში „სამეგრელოს მშრომელი მასები“ ეძებენ კანონიერ საბუთებს ავტონომიისათვის.

„1867 წელს, როგორც აღნიშნავს მესამე დოკუმენტი, სამეგრელოს გლეხობამ თავისი ბედ-იღბლის ხელმძღვანელობა სამუდამოდ ჩააბარა რუსეთს და ჩამოაგდო თავისი მჩაგვრელი მეფე ავტოკრატი“.

როგორც სჩანს, უდაო ყოფილა, რომ 1867 წელს რუსეთი წარმოადგენდა, მეტი რომ არ ვსთქვათ, დემოკრატიულ რესპუბლიკას.

საიდან მოდიან ეს დეპეშები, რომლებიც ეგზავნება საბჭოთა კავშირის ცაკს, ა/კ. ცაკს, საქართველოს კომპარტიის ცეკას და სხვა?

უნებლიეთ გებადება აზრი: ხომ არ არის ეს მორიგი ოინები თავზე ხელაღებულ კონტრ-რევოლუციონერებისა, რომლებიც ყოველივე ძალღონით ცდილობენ გათხარონ უფსკრული საქართველოში მცხოვრებ ტომებს შორის?

განვიხილოთ, ვინ ხელმძღვანელობს ამ „მოძრაობას“ და ვინ მოჰყვება „ბელადებს“. რიგ-რიგობით მიდის ჩვენ წინ მთელი წყება ტიპებისა, რომელთაც უთუოდ ეყოლებათ თავისი პორტრეტისტები. იშვიათად შეიძლება აშკარად დაფარული კონტრრევოლუციის ასეთი სურნელოვანი თაიგულის, ასეთ სამუზეუმო იშვიათობათა ერთგვარი კოლექციის შერჩევა.

აი, ტიპი ნომერი პირველი:

მიშა დადიანი – სამეგრელოს ავტონომიის იდეის საძირკველის ჩამყრელი. მისი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი – კომპარტიის ყოფილი წევრი, რომელიც გამორიცხული იყო პარტიიდან 1922 წელს. ყოფილი მომრიგებელი შუამავალი, ყოფილი მსხვილი მემამულე – მეგრელ თავადების, დადიანების მემკვიდრე. თავის დროზე იცავდა სამეგრელოს ავტონომიის იდეას თვითმპყრობელობის გულისათვის, ეხლა კი მოითხოვს იმასვე საბჭოთა ხელისუფლების... გულისთვის, მისთვის სულერთია.

აი, „სახალხო მოძრაობის“ მეთაური და „ბელადი“.

ტიპი ნომერი მე-2: ვლადიმერ ბუკია; დადიანის უახლოესი მეგობარი და ხელისშემწყვე, არასოდეს არც ერთ პარტიაში არ ყოფილა, მაგრამ რამდენიმე წელი იჯდა თბილისის პსიქიატრიულ საავადმყოფოში. მისი მშფოთარე შეშლილობა არაქათის გამოლევამ დააცხრო. ამჟამად ლექციებს კითხულობს ორ ძირითად თემაზე: სამეგრელოს ავტონომია და პსიქიატრიის საკითხები.

ყველა საკითხში ეთანხმება დადიანს. არ ეთანხმება მხოლოდ ერთ მეტად მნიშვნელოვან მუხლში, როგორი იყოს სამეგრელოს რესპუბლიკის მომავალი ავტონომიის სახელწოდება: ლაზ-კოლხიდა თუ მარგალისტანი.

ნომერი მე-3: კოსტა კილასონია, მენშევიკი, რომელიც იარაღით ხელში მონაწილეობას ღებულობდა აგვისტოს ავანტიურაში, ყოფილი სახალხო გვარდიელი, რომელიც არა ერთხელ ყოფილა პასუხისგებაში ქურდობისა და ფულების დატყუებისთვის.

მთელი ზუგდიდის მაზრა იცნობს მის „საქმეებს“, ის ცნობილი გამოჩენილი პიროვნებაა, რომელიც სავსებით სარგებლობს პირველი ორის ნდობით.

ნომერი მე-4: ახალაია გრიგოლ – ყოფილი მემარცხენე ფედერალისტი, როგორღადაც გაძვრა საქ. კომპარტიის კანდიდატათ. ცნობილია მაზრაში მეტი სახელით: „სულელი“, კარგა დიდი „ფსიქიატრიული სტაჟით“.

ნომრები 5-6: ხურცილავა პარმენ და გრიგოლია ვლადიმერ – მენშევიკები, რომელნიც მონაწილეობას იღებენ აგვისტოს ავანტიურაში.

ნომრები 7-8 და 9: ნანეიშვილი ბიქტორ, საჯაია გური და ჯგერენაია სოლომონ – ყოფ. აზნაურები, სოც.ფედერალისტები.

ნომრები 10-11-12-13-14: ჯიქია, ვეკუა, ქობალია, როგავა, თორდია – ყველანი კომპარტიის ყოფილი წევრები, რომელნიც გამორიცხული იქნენ პარტიიდან ჯერ კიდევ 1922 წელს, როგორც საეჭვო, კომპარტიისათვის უცხო ელემენტები.

განა ღირს დანარჩენების ჩამოთვლა?

ვფიქრობ, რომ არა.

ნათქვამი სავსებით საკმარისია.

და, აი, ეს საკმაოდ ბნელ ადამიანების – ძმა-ბიჭების კომპანია კომპარტიიდან რკინის ცოცხით გამოგვილ საეჭვო ელემენტებთან ერთად ბედავს ლაპარაკს „სამეგრელოს გლეხობის“ სახელით და თავს სთვლის მისი სურვილების, აზრების და იმედების გამომეტყველად.

2 სექტემბერს ერთ-ერთ კრებაზე დადიანის ინიციატივით და წინადადებით არჩეულ იქნა განსაკუთრებული ბიურო სამეგრელოს ავტონომიის იდეის ცხოვრებაში გასატარებლად. ბიუროში შევიდენ ზემოდ დასახელებული ახალაია, თორდია და ჯიქია. სხვები დარიგდენ რაიონებში იმავე მუშაობის საწარმოებლად.

იღებენ გადაწყვეტილებას მტკიცედ და ფრთხილად გაავრცელონ ავტონომიის იდეა პარტიულებსა და უპარტიოებს შორის თვით დადიანის ხელმძღვანელობით.
ბოლოს, დადიანის რჩევით, გადასწყდა აღრიცხული იქნან ყველა ანტიმეგრელი ელემენტები კომუნისტებითურთ იმ მიზნით, რათა პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში დააპატიმრონ ისინი და გადაასახლონ სამეგრელოს საზღვრებიდან.
ყველაფერი ეს იქნებოდა უმსგავსო საბჭოთა ფარსი, რომ ამ კომპანიისა და მისი „იდეისათვის“ მხარი არ დაეჭირათ, სამწუხაროთ, ზუგდიდის ორგანიზაციის ზოგიერთ პასუხისმგებელ მუშაკებს და, მათ შორის, ამხ. ჟვანიასაც.
ამხ. ჟვანია სერიოზულათ არ გარკვეულა, როგორც მარქსისტი, ამ საკითხში და განიცდის დადიანის გავლენას. მისთვის, ალბათ, აშკარა არ არის, თუ როგორ უღირს როლს ასრულებს ის, პარტიის ძველი წევრი, რომელიც თამაშობს ყოფილ ძველ თავადის – დადიანის დუდუკზე.
პარტიის წევრის ამგვარი ყოფა-ქცევა, როდესაც ის ხელს უწყობს საბჭოთა ხელისუფლების მტრებს – არ შეიძლება შეწყნარებული იქნეს, იგი ღირსია ყოველგვარი გაკიცხვის.
კომუნისტს, რომელიც დახმარებას უწევს იმ დანაშაულებრივ ელემენტებს, რომელნიც საბჭოთა წესწყობილების დროს იცავენ თავიანთ რეაქციონულ იდეებს სამეგრელოს ავტონომიის შესახებ, ლაყბობენ საბჭოთა საქართველოს რაღაც იმპერიალიზმზე სამეგრელოს მიმართ, ან საბოლოოდ დაუკარგავს აზროვნების უნარი, ან ის შეგნებულად ხელს უწყობს ანტისაბჭოთა იდეების გავრცელებას.
საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც სდგას ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების სადარაჯოზე, რა თქმა უნდა, მისცემდა სამეგრელოს ავტონომიას, ეს რომ რითიმე იყოს გამოწვეული. მაგრამ სამეგრელოს არც ეკონომიური, არც კულტურულ ყოფაცხოვრების და, ბოლოს, არც ისტორიული პირობები არ წარმოადგენს საფუძველს ლაზ-კოლხიდის ავტონომიის შესაქმნელად და საბჭოთა საქართველოსაგან მის ჩამოსაგლეჯად.
სამეგრელოს ავტონომია – ეს ნაბიჯის უკან გადადგმაა, ეს არის ნახტომი 300 წლით უკან.

სამეგრელოს გლეხობაც და სამეგრელოს ინტელიგენციაც გაბედულად ილაშქრებენ ასეთ მოძრაობის წინააღმდეგ: ისინი ხედავენ, რომ ეს არის მოძრაობა არა წინისაკენ, არამედ უკანისაკენ და სწორედ აქეთკენ ეწიკებიან სამეგრელოს ავტონომისტები.

ამ იდეას ასულდგმულებს და მხარს უჭერს ზემოთ დახასიათებულ ავანტიურისტების, პარტ. ყოფილი წევრების, აშკარა კონტრ-რევოლუციონერების ჯგუფი და სამწუხაროთ რამდენიმე პარტიული მუშაკი, რომლებიც ოცნებობენ მოიხვეჭონ რაიმე სახელი, ან უიმედოთ დაბნეულან.


განგაში, რომელიც ამ ერთმა ჯგუფმა ასტეხა, ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოისპოს.

არც ერთ გულწრფელ და შეგნებულ მეგრელ-კომუნისტს და უპარტიოს არ შეუძლია სხვაგვარად აზროვნება.

საკითხი სავსებით ნათელია.

დანართი № 3

ფახულანის თემის კოლექტიური წერილი მეგრულის სკოლების წინაღმდეგ /შსს არქივი, ფ. 14, აღ. 6. №266, ფურც. 220-223/.



221

[illegible] ბუკვიდის რაიონის ხელმძღვანელობა, რომელიც ფაქტიურად ხელმძღვანელობს მეურნეობა "ხაბაღიში" ამაბანაკებენ მეურნეობა "ხაბაღიში" ქვეყნის "ხაბაღიში ქვეყნის" ხელის ქარიული ენის უცოდინარი მშრომელი მეურნეობა ხელმძღვანელობის გაუგებრობის, რომ ქარიული ენა, რომელიც ძალიან მოსათვისო მეურნეობაში და ქარიული ენაში ადვილებელი მეურნეობა სიცოცხლეშია შეუძლებელია ეს გაგებული ქარიული ენის ადვილი მასალებელი ხელის მეურნეობაში, ამასთან ერთად ვინც კომპეტენციის ქვეშა აღნიშნავს, რომ ქარიული კულტურა და მეურნეობა, რომელიც ხანგრძლივად ერთად იქნება გათვალისწინებული დაუშვებელია. მიუხედავად ამისა ბუკვიდის რაიონის ბევრი ენის ხელმძღვანელები შორის "ხაბაღის ქვეყნის" ხელმძღვანელობა მოითხოვენ ამაბანაკებენ მეურნეობა ენაში ქარიული ენის ადვილი ხელმძღვანელობა ენაში ადვილებელი მეურნეობა სიცოცხლეში /ხელმძღვანელობა, ხელმძღვანელობა, მეცნიერება, ხანგრძლივობა და სხვა უცნობი ადგილი სიცოცხლეში/ ძირითად ადგილზე სამეურნეოს ტერიტორიების ერთიანობები ადვილებში დაინტერესებული სიცოცხლეს/ მარჯვენა, ენერგეტიკა, ხელმძღვანელობა ადვილებელი სიცოცხლეს/ მარჯვენა, ენერგეტიკა, ხელმძღვანელობა ადვილებელი სიცოცხლეში და სხვა ადვილებელი ადგილები/ იმისათვის, რომ დაადასტურებ მეურნეობა ენა ქარიული ენისაგან და ამით გაუძლებენ მეურნეობა ენაში ქარიული ენა ადვილებელი ენის ძალისა, ხელმძღვანელობენ და

222 92

დანართი № 4

მოხსენება მეგრული პირველი ჯგუფების მუშაობის შედეგების შემსწავლელი კომისიისა

(უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფ. 300, ა.12, №26, ფ. 44-47)

ზუგდიდის რაიკომის მიერ გამოყოფილმა კომისიამ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: 1. განათლების განყ. გამგე – შ. ფაჟავა. 2. რაიკომის წარმომადგენელი ამხ. თ. თოდუა და 3. განსახკომის წარმომადგენელი ამხ. არ. ჩიქობავა. 23-27 აპრილს გამოიკვლია პირველი მეგრული ჯგუფი 5 ოთხწლედში/ზუგდიდის 1-ლ საცდელ-საჩვენებელი 4 წლედი. ჭითა წყალის 4 წლედის, გრიგოლიშის 4 წლედის, ჭანქვინძის 4 წლედის, აბასთუმნის 4 წლედის. /და ერთი ქართული 4 წლედში/ ზუგ. მე-4 წლ. ეწერის 4 წლედი. ცაცხვის 4 წლედი. ნარაზენის 4 წლედი/ მეგრულად საცდელი სწავლების შემოწმების შედეგების მიზნით.

პარალელურად წარმოებდა სხვა ჯგუფების შესწავლაც/ზუგდიდის მე-2 საფ. საქ. შვიდწლედი მე-5 და 7ჯგ., ჭითა წყალის მე-5ჯგ., გრიგოლიშის მე-5 და მე-6 ჯგ., ნარაზენის ჩაის ტექნიკუმის 1-ლი კურსი სხვადასხვა საგნებში: გეოგრაფია, ბუნება, რუსული, ფიზიკა, პოლიტეკონომია/.

2. საერთო შთაბეჭდილება, რომელსაც ჩატარებული მუშაობა იძლევა, სავსებით დამაკმაყოფილებელია, მიუხედავად იმ დეფექტებისა, რომლებსაც აქვს ადგილი პროგრამების ხშირი ცვლისა. მასწავლებელთა სათანადო მომზადებული კადრების უყოლობისა და ხელისშემწყობ პირობათა/სასწავლო შენობების მდგომარეობა, დამხმარე ხელსაწყოების ნაკლებობა/უქონლობის გამო.

სკოლებს ემჩნევათ განათლების განყოფილების მზრუნველი ხელი.

3. რაც შეეხება კერძოდ პირველ ჯგუფებს, უნდა აღინიშნოს შემდეგი:

ა/ მეგრულ ჯგუფებში მეტი აქტივობა ელის შესწავლისას, რადგანაც ბავშვები დაუბრკოლებლივ ლაპარაკობენ მეგრულად; რაც შეეხება ანგარიშს და ბუნებას, არსებითი სხვაობა ქართულ პირველ ჯგუფთან შედარებით არ არის და გადამწყვეტი მნიშვნელობა მასწავლებლის საქმიანობისა და სკოლის მუშაობის პირობებს აქვს. არის მოწინავე სკოლები მეგრული პირველი ჯგუფებით/ზუგ. საცდელი 4 წლედი, აბასთუმნის 1-ლი ოთხწლედი/. სადაც ბავშვებს კარგი წარმატება აქვთ მოპოვებული, ანგარიშშიაც და ბუნების ცოდნაშიც; იმავე დროს არის მეგრული ჯგუფები, სადაც ბავშვი ვერ ამბობს რა თვეა და წელიწადის რა დროა ახლა, სადაც 2:6 3-ს, ანდა ოთხს ვერ ყოფს ორზე; ასეთი მაგალითები არც ისე იშვიათია.

მეორე მხრივ, მოწინავე ქართული პირველი ჯგუფი/ნარაზენისა, მაგ. /არ ჩამოუვარდება ანგარიშში მოწინავე ქართულ ჯგუფს და ბუნების ცოდნასაც მკვიდრს იძლევა/ქართულად. უაღრესად საგულისხმოა, რომ ქართულ პირველ ჯგუფში, როცა ბავშვი პასუხს ვერ იძლევა ქართულ შეკითხვაზე, პასუხს ვერ იძლევა მაშინაც, თუ მეგრულად იქნება შეკითხვა მოცემული.

ბ/ რაც შეეხება კითხვის და წერის დასწავლას მეგრულის დახმარებით, ჯგუფის ხელმძღვანელ მასწავლებლების უმეტესს აზრით, ეს მეგრულ ჯგუფში იმდენადვე ძნელია, რამდენადაც ძნელი იყო ქართულად სწავლებისასო. მხოლოდ ერთი მასწავლებელი აღნიშნავს: მეგრულად უფრო ადვილია დასძლიოს წერა-კითხვაო; გამოითქვა საწინააღმდეგო აზრიც: მეგრულ ჯგუფში უფრო სჭირს წერა-კითხვის დაძლევა, რადგანაც ნაცნობ სიტყვებს ბავშვები ზეპირად ამბობენ და ასოების გარეგნობას ყურადღებით არ ეკიდებიანო.

გ/ არსებითს განსხვავებას, მეგრულ და ქართულ პირველ ჯგუფს შორის ვპოვებთ ქართულზე გადასვლის შესაძლებ-

ლობის თვალსაზრისით – ქართული პირველი ჯგუფი დაუბრკოლებლივ გააგრძელებს მეორე ჯგუფში ქართულად სწავლას. მეგრული პირველი ჯგუფი ამის შესაძლებლობას მოკლებულია – ამჟამად: წრევანდელ სექტემბერს მეორე ჯგუფში ქართულად სწავლა მისთვის გაცილებით უფრო ძნელი იქნება, ვინემ შარშან – სექტემბერს იქნებოდა პირველ ჯგუფში, რომ დაეწყო ქართულად მეცადინეობა. ამას აღნიშნავენ მეგრული ჯგუფის მასწავლებლები ყველგან/მხოლოდ ერთმა განაცხადა: წელს უფრო ადვილი იქნება, რადგანაც ქართული სიტყვების შესწავლა ბავშვებისათვის სიძნელეს არ წარმოადგენსო./

ეს არ არის გასაკვირი, რადგანაც მეგრულ ჯგუფებში სწავლებისას პარტიის ცენტრ. კომიტეტის დადგენილების გატარების დროს ადგილი ქონდა პარტიის ხაზის უხეშ დამახინჯებას: მეგრული პირველი ჯგუფის მუშაობა ისე კი არა, რომ მეგრულად მოლაპარაკე ბავშვს გაადვილებოდა ქართულზე გადასვლა, არამედ პირიქით ისე, რომ ეს გადასვლა გაძნელებულიყო: ბავშვებს შეგნებულად არიდებდნენ ქართულ სიტყვებს, თუნდაც რომ ის ბავშვისათვის ოჯახშიც ნაცნობი ყოფილიყო/მაგ. გაურბოდნენ „სიმინდს“, ხმარობდენ მხოლო „ლაიტს“/ თუ მოწაფე ქართულ სიტყვას იხმარდა, მასწავლებელი საჭიროდ სთვლიდა მოებოდიშებინა/ მაგ. „მწერი ვიხმარე მეგრული ტერმინის უქონლობის გამოო“.../ანდა ზომებს იღებდა, რომ ბავშვს სიტყვა არ ეხმარა.

ეს უთუოდ არის გამოძახილი იმ ტენდენციისა, რომელიც ყველა მეგრელისთვის გასაგებ „თავ-რეს“ სცვლიდა და ხელოვნურად ნაწარმოები გაუგებარი დუდმახვენჯი“ შემოქონდა.

ამგვარი ტენდენციებისაგან თავისუფალი არაა პირველი ჯგუფის მეგრული სახელმძღვანელოც კოლექტიური ხანდა“/მაგ. „ლაიტის“ სიმინდის ნაცვლად, ფანია, ც-დაბოლოება ს-ნაცვლად-კოოპერატივიც/.

4. ენის საკითხი სკოლაში შეუძლებელია მოვწყვიტოთ ჩვენი მშრომელი მოსახლეობის, მუშისა და კოლმეურნის კულტურული წინსვლისა და განვითარების სასიცოცხლო ინტერესებს.

საბჭოთა საქ. მშრომელთათვის (მხედველობაში გვყავს ქართული გვარტომობის მოსახლეობა) მეცნიერებისა და ლიტერატურის ენა იყო და არის ქართული ენა, საქ. სახელმწიფო ენა. სოციალისტური მშენებლობისა და კულტურული რევოლუციის ენა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ენა/ქართული ენა/არ არის ოჯახში სასაუბრო ენა სამეგრელოს მოსახლეობისათვის, ის მეტად ახლოს სდგას მეგრულთან საერთო და მსგავსი სიტყვებით, და რაც უმთავრესია მთელი თავისი ბუნებით და თვისებით, რის გამოც ბუნებრივ იარაღს წარმოადგენს მეგრულად მოლაპარაკე ბავშვის ნორმალური გონებრივი განვითარებისათვის.

არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ სალიტერატურო ქართული ენა განსხვავდება/ზოგჯერ თვალსაჩინოდაც/ თვით ქართული კუთხური მეტყველებისაგან/მაგ. თუშური, ხევსურული, გურულისაგან/. სალიტერატურო ქართულს თვით ქართულად მოუბარნიც სწავლობენ.

პედაგოგიურად საჭიროა და პრაქტიკულად აუცილებელი, სწავლების პროცესში გამოვიყენოთ მეგრული, როგორც დამხმარე საშუალება ქართულად მოცემული მასალის შეთვისების გასაადვილებლად.

5. ზემოხსენებულის მხედველობაში მიღებითა და მეგრული და ქართული პირველი ჯგუფების გამოკვლევის შედეგთა ანალიზის საფუძველზე კომისია საჭიროდ სთვლის:

ა/იმთავითვე მიღებული იქნეს ზომები, რომ მეგრულმა პირველმა ჯგუფებმა სასწავლო წლის დაძლევამდე, დარჩენილი დრო გამოიყენონ ქართული ლექსიკური მასალისა და დამუშავებისათვის, რათა მეორე ჯგუფიდან შესაძლებელი გახდეს ქართულად მეცადინეობა.

ბ/აღინიშნოს, რომ ქართულად მეცადინეობა/მეგრულის გამოყენებით/სავსებით შესაძლებელია პირველი ჯგუფიდან, როგორც ამას მოწმობს ქართული პირველი ჯგუფის წარმატება.

გ/იმ ბავშვთათვის რომელნიც საბავშვო ბაღში არ ყოფილან, სასურველად იქნეს ცნობილი პირველი კვარტალის განმავლობაში სწავლების პირველ წელს მეგრული სახელმძღვანელოს გამოყენება, წერა-კითხვის შესწავლისას.

შენიშვნა: ამ მიზანთან შეფარდებით ახლა ხმარებული სახელმძღვანელო/კოლექტიური ხანდა, არსებითად უნდა გადამუშავდეს იმგვარად, რომ თავიდან იქნეს აცდენილი ახლანდელი არა ჯანსაღი ტენდენციები და მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი ძირითადი მიზანი: ქართულზე გადასვლის გაადვილება.


კომისიის წევრები ტ. თოდუა; შ. ფაჟავა; არნ. ჩიქობავა

დანართი № 5

ისაკ ჟვანია

სამეგრელოს ავტონომისტების შესახებ

/გაზეთი კომუნისტი, 1925, 15 სექტენბერი, #11/



დანართი № 6

თედო სახოკიას მოხსენება

/გაზ. *„კომუნისტი“*, 1925, №219: 2/

- სამეგრელოს „ავტონომიის“ საკითხი, – ამბობს მომხსენებელი, – წამოყენებულია ერთი ჯგუფ ავანტიურისტების მიერ. სამეგრელო საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო ყოველთვის. მეგრული ენა არ არის ცალკე ენა, ის მხოლოდ ქართული ენის ერთ-ერთი კილოკავია, რომელსაც ხმარობენ შინაურ ცხოვრებაში სამეგრელოს მკვიდრნი.

მეგრული ენის საკითხი არასოდეს არ წამოჭრილა საქართველოში. ის დაისვა მხოლოდ რუსების შემოსვლის შემდეგ, როდესაც გაუქმდა საქართველოს სხვადასხვა სამთავროები. რუსეთის თვითმპყრობელურმა მთავრობამ იგრძნო საქართველოს გაერთიანების საშიშროება და ის ხელოვნურად ცდილობდა გამოეწვია საქართველოს დაქუცმაცება. სწორედ ამ მიზნით იყო წამოყენებული მეგრული ენის საკითხი.

60-იან წლებში რუსეთის მთავრობამ იერიში მიიტანა სამეგრელოს სკოლებზე, საიდანაც განდევნილ იქნა ქართული ენა. ეს მდგომარეობა გრძელდებოდა 1890 წლამდე; ამ ხანებში კი სცენაზე გამოჩნდნენ სახალხო განათლების ამიერკავკასიის ოლქის უფროსი იანოვსკი და მისი თანაშემწე ლევიცკი.


ამ უკანასკნელმა შემოიღო სწავლების ეგრეთ წოდებული მუნჯური მეთოდი, რომლის გატარებასაც სცდილობდა საქართველოს სკოლებში.


ლევიცკიმ ხონის სემინარიის მასწავლებელს პეტროვს და ამ სემინარიის მაშინდელ მოწაფეს, შემდეგ კი ცნობილ აფერისტ აშორდიას დაავალა მეგრული ანბანის შედგენა რუსული ასოებით.

იმ ხანებში ქართული ენა სავსებით განდევნილი იყო განათლების სამინისტროს სკოლებიდან. ეს ენა შენარჩუნებული იყო მხოლოდ სამრევლო სკოლებში, რადგან იქ ღვთის მსახურება ქართულ ენაზე ხდებოდა.

იმ მიზნით, რომ აქაც მოსპობილიყო ქართული ენა ლევიცკიმ აშორდიას დაავალა საღმრთო სჯულის მეგრულად თარგმნა.

ამას წინ აღუდგა მთელი სამეგრელო, რომელმაც ბოიკოტი გამოუცხადა აშორდიას ნაცოდვილარს.
ამ დროს საქართველოს სასულიერო უწყების სკოლებს სათავეში ჩაუდგა მღვდლის ანაფორაში გახვეული კაციჭამია დეკანოზი ივანე ვოსტორგოვი. ის ამტკიცებდა, რომ მეგრელებს არავითარი ნათესაობა არ აქვთ ქართველებთან, მეგრელები ცალკე ერს შეადგენენო და სხვა. მან პრესაშიაც კი სცადა ასეთი აზრებით გამოსვლა. მას გამოეკამათა პროფესორი ნიკო მარი, რომელმაც ნაცარტუტად აქცია და მიწასთან გაასწორა ვოსტორგოვის საბუთები.
ვოსტორგოვის შემდეგ ქართული ენის დევნას ხელი მიჰყო სოხუმის ეპისკოპოსმა არსენმა, რომლის ხსოვნას წყევლა-კრულვით იხსენიებს ყოველი მეგრელი. მან ბრძანება გასცა, რომ სამურზაყანოში წირვა-ლოცვა შემოღებული ყოფილიყო რუსულ ენაზე.
რუსეთის თვითმპყრობელობის ეს რუსიფიკატორული ცდები მოსპო დიდმა რევოლუციამ, რომელმაც თავისუფლება მოუტანა ქართველ ერს.
მაგრამ 1918 წელს ქ. ფოთში ვოსტორგოვ-ლევიცკის გამოუჩნდენ მემკვიდრეები მასწავლებელ სტეფანე გაგუას სახით. ზუგდიდელი ავანტიურისტების ჩხირკედელაობა სწორედ ამ დროიდან იწყება.
ჩემი მოკლე მოხსენება – ამბობს თედო სახოკია – მე მინდა გავათავო შემდეგი მეგრული ანდაზით:
- წიარი კურდღელს გეთხოზუ, მარა კურდღელი მუს გეთხოზუ, (მწევარი კურდღელს მისდევს, კურდღელი რაღას მისდევსო!)
თუ ვის მისდევდა ლევიცკი და ვოსტორგოვი – ჩვენ ვიცით, მაგრამ თქვენ ვის მისდევთ, ბ-ნო ჩხოუშელებო?





...ეგრაფის „პეტროგრაფიის" ...
...ში ...ოგრაფ საქართველოს ...ვითრება პრესა

...ის ...ის ...ის

დანართი № 7

სამეგრელოს მკვიდრთა 1925 წლის 23 სექტემბრის რეზოლუცია

/გაზ. *„კომუნისტი“*, 1925, №219: 2/

1925 წ. სექტემბრის 23-ს, თბილისში მცხოვრებ სამეგრელოს მკვიდრთა საზოგადო კრებამ იქონია მსჯელობა ერთი ჯგუფის გამოსვლის შესახებ, რომელმაც განიზრახა დღევანდელ პირობებში ბნელი საქმის განხორციელება, რაც თავის დროზე ვერ შესძლო რომანოვების რუსეთმა. კრება საქვეყნოდ აცხადებს, რომ ეს არის გაგრძელება იმპერიალისტური რუსეთის გამთიშავი პოლიტიკისა, რაც მიმართული იყო ქართული ეროვნული ოჯახის დაქსაქსვისა და საქართველოს, როგორც მთლიანი ეროვნული ერთეულის მოსპობისაკენ.

ამ ბნელ პოლიტიკანებს არავითარი – არც ზნეობრივი, არც იურიდიული, არც პოლიტიკური – უფლება არა აქვთ ილაპარაკონ სამეგრელოს სახელით.

სამეგრელო, ათასეული წლების ისტორიული წარსულით, ენით, კულტურით და სისხლით დაკავშირებული საქართველოს დანარჩენ ნაწილებთან, წარმოადგენს მთლიანი საქართველოს განუყრელ ნაწილს.


სამეგრელოში წარსულშიაც იყო ასეთი ცდა რუსიფიკაციის მოციქულთა – იანოვსკ-ვოსტორგოვი-ლევიცკისა და მათი მოსყიდული ლაქიებისა, მაგრამ ხალხმა თავზე გადაახია თვითმპყრობელობის აგენტებს იმპერატორისაგან ბოძებული მეგრული სიტყვებით და რუსული ასოებით დაბეჭდილი მანიფესტი, ზიზღით უკუაგდო რუსული ასოებით შედგენილი წიგნები, ბოიკოტი გამოუცხადა რუსულ წირვა-ლოცვას და ალაგმა არამკითხე ჭირისუფლები.

დღეს, როდესაც გაერთიანებული ქართველი ერი პროგრესისა და კულტურული აღორძინებისაკენ მიისწრაფვის, ეს არამკითხე ჭირისუფალნი სცდილობენ ერთსულოვან მოძრაობიდან გამოთიშონ სამეგრელოს მშრომელი მასა. ჩვენ, საქართველოს დედაქალაქში მცხოვრები სამეგრელოს მკვიდრნი – მასწავლებელნი, ინჟინრები, მწერლები, საბჭოთა მოსამსა-

ხურენი, მოსწავლე ახალგაზრდობა, მუშები, ხელოსნები ვგმობთ წითელ ქურქში გახვეული შავრაზმელების ცდას საქართველოს მთლიანი სხეულის დაქუცმაცებისას.

როგორც მრავალი საუკუნის მანძილზე, ისე მერმისშიაც სამეგრელოს მშრომელი მასა მთელ საქართველოსთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებული ივლის და ვერავითარი ბნელი ინტრიგები ვერ ჩაშლიან ქართველი ერის ათასეული წლობით განმტკიცებულ კულტურულ-ეკონომიკურ-პოლიტიკურ მთლიანობას.

სამეგრელოს მკვიდრთა კრება კატეგორიულად მოითხოვს საქართველოს მთავრობისაგან მიღებულ იქნეს სასტიკი ზომები ასეთ უმსგავსო შავრაზმული მოვლენის ძირიან-ფესვიანად აღმოსაფხვრელად.



დანართი № 8

ტარას შენგელიას „დანოსი”
(ცილისმწმებლური წერილი)
/თარგმნილია რუსული ენიდან. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 284, აღ. 3, ს. 456, ფურც. 6-11/

რკპ (ბ) ცკ მდივანს, ამხანაგ სტალინს
რცაკ (რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი) სსრკ თავმჯდომარეს, ამხანაგ კალინინს
საბჭოთა კავშირის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარეს, ამხანაგ მოლოტოვს

კოლექტიური განცხადება

სამეგრელო, რომლის მოსახლეობა დღეისათვის შეადგენს 400 000, მეფის მთავრობის მიერ მისი საბოლოოდ დაპყრობიდან (1867 წ.) გასაბჭოებამდე, ისევე როგორც აფხაზეთი, ოსეთი და კავკასია, თავისი მცირე ეროვნებებით, წარმოადგენდა ორი ნაციონალიზმის – ქართულისა და რუსულის – საბრძოლო არენას. გასაბჭოებამდე ამ ბრძოლაში ჩართული იყო სამეგრელოს თავადაზნაურობა, სასულიერო პირები, სამღვდელოება და ნაღები ინტელიგენცია (იურისტები, ექიმები, აგრონომები და ა.შ.), რომლებიც მიემხრნენ ქართულ ნაციონალიზმს.

რუს ნაციონალისტებს სურდათ სამეგრელოს რუსიფიცირება რეაქციული შავრაზმელი სამღვდელოების ხელით, რომლის წარმომადგელები იყვნენ ვოსტორგოვი, იანოვსკისი და სხვები. ამ მიზნის მისაღწევად სამეგრელოს ეკლესიებში წირვა-ლოცვა მეგრულ ენაზე უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ სალოცავი წიგნები, ისევე როგორც სხვა სახელმძღვანელოები, გადაიყვანებოდა რუსულ და სლავურ შრიფტზე, საქმისწარმოება კი გამგეობის ორგანოებში, სოფლებში, ქალაქებში რუსულ ენაზე უნდა წარმართულიყო.

ქართველმა ნაციონალისტებმა, რომლებსაც სათავეში ედგათ ი.ჭავჭავაძე, ი.გოგებაშვილი (იხილეთ მისი რეაქციულ-შოვინისტური წიგნი: „სამეგრელოს დაწყებით სკოლებში მეგრული ენის შემოღების წინააღმდეგ“ – შავრაზმელების გაზეთი „პეტერბურ-

გის ცნობის ფურცელი“, 1903 ვარიანელის ფსევდონიმით), თედო ჟორდანია, განახორციელეს შეტევითი ღონისძიებები რუსი ნაციონალისტების წინააღმდეგ. მათ მობილიზება გაუკეთეს სამეგრელოს აზნაურობასა და სასულიერო პირებს, ამისათვის გამოიყენეს სამეგრელოს ეპისკოპოსი ბესარიონ დადიანი – ცნობილი ხულიგანი, შავრაზმელი და შოვინისტი, აგრეთვე მეგრელი თავადაზნაურობის მეთაური – თავადი ნიკოლოზ დადიანი. ასეთი ნაგავი მეგრელი ხალხის სახელით 1893 წელს ახალ სენაკში იწვევს ყრილობას, რომელსაც ესწრებიან მხოლოდ „კეთილმოწესე მღვდლები“ და წოდებიანი აზნაურობა. ამ ყრილობაზე მეგრული ენა გამოცხადდა მონებისა და მდაბიოთა ენად; მათი მტკიცებულებით მეგრული ენის შეტანა სკოლებსა და ეკლესიებში სამეგრელოს გლეხობას უბიძგებს „ანტიქრისტიანული სწავლებისაკენ, რაც ხელსაყრელია ათეისტ-მატერიალისტებისათვის (ი. გოგებაშვილი, გვ.21), რამეთუ მეგრული ენა არ არის მეგრელებისთვის ის საღვრთო ენა, როგორიცაა ქართული“. მეგრული ენის აღმოფხვრის ძირითადი მოტივი სინამდვილეში იყო ის, რომ მისი აღიარება, თითქოს შეასუსტებდა „ერთიან საქართველოს“, მის საერთაშორისო მდგომარეობას და ა.შ. (სამწუხაროდ, ეს მოტივი დღესდღეობითაც ძალაშია ქართულ სინამდვილეში მეგრული ხელისუფლების ჩამოყალიბების წინააღმდეგ). ამ ყრილობის შემდეგ „უწმინდესმა“ სინოდმა აღასრულა მშრომელი მეგრელების სისხლისმწოველთა მოთხოვნა და შეწყვიტა სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლება.

ყველაფერი ზემოთ ნათქვამი გახდა ქართული შოვინიზმის აღზევების მიზეზი. სამეგრელოს გლეხობა კი ძალზე შორს იყო ამ ამბებისაგან, მათ არავინ არაფერს აგებინებდა და ეკითხებოდა, თუმცა გლეხობის სახელით ხდებოდა მიმდინარე მოვლენების აფიშირება.

კომპარტიის ხელმძღვანელებისათვის და საბჭოთა კავშირის ხელისუფლებისათვის ცნობილი იყო თუ რა საზიზღარ პოლიტიკას ატარებდა თავადაზნაურობა და სამღვდელოება სამეგრელოში, ისინი დასცინოდნენ მეგრულ ენას, უწოდებდნენ „ძაღლების ენას“, ცდილობდნენ გაენადგურებინათ ყველაფერი მეგრული, მაგრამ ამას აღწევდნენ მხოლოდ მაღალი ფენის – აზნაურების, თავადებისა და სამღვდელოებას შორის; მეგრულად ოჯახებშიც

კი აღარ საუბრობენ. კულტურულ-პოლიტიკური რეჟიმის მიუხედავად (სკოლა და მმართველობა) გლეხები უარს ვერ ამბობდნენ მშობლიურ ენაზე და არ უნდოდათ მისი შენაცვლება ქართულით. მენშევიკური მთავრობა სხვა უსაქციელობასთან ერთად დევნიდა და ანადგურებდა ყველაფერს მეგრულს. მენშევიკები არა მარტო საქმისწარმოებას არ წარმართავდნენ მეგრულ ენაზე, არამედ დაწესებულებებში მეგრულად საუბარსაც კი კრძალავდნენ, მაგრამ ეს უმსგავსოებები აღიკვეთა გასაბჭოების შემდეგ.

სამეგრელოს საკითხის დეტალური შესწავლის შემდეგ და ბელადის – ამხანაგ სტალინის მითითებით, საქართველოს კპ(ბ) ცკ 1929 წელს გამოიტანა შემდეგი ბოლშევიკური დადგენილება:

1. გამოიცეს წიგნები და გაზეთები მეგრულ ენაზე;
2. საქმისწარმოება სასამართლო ორგანოებში, რაიონულ და სასოფლო საბჭოებში წარიმართოს მეგრულ ენაზე;
3. მოწიფულ მოსახლეობას შორის წერა-კითხვის უცოდირანობის აღმოფხვრა მოხდეს მეგრული ენის მეშვეობით.
4. დაწყებით კლასებში მეცადინეობები წარიმართოს მეგრულ ენაზე.

ამ ღონისძიებებმა დიდი კულტურულ-პოლიტიკური ეფექტი მოახდინა სამეგრელოს სოფლებში; დადგენილებამ ხელი შეუწყო ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა ხელისუფლებისა და სამეგრელოს გლეხობის ურთიერთკავშირს, რაც გახდა საუკუნეების მანძილზე ჩაგრული სამეგრელოს გლეხთა მასების საწარმო-შემოქმედებითი ინიციატივისა და შრომითი ენთუზიაზმის გაზრდის საწინდარი. ამიტომაც ზუგდიდის მაზრაში და მის რაიონებში საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის დადგენილებები ხორციელდებოდა ყოველგვარი შეფერხების გარეშე, სხვა რაიონებში კი, ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება არ ხდებოდა. ამის პირველი მიზეზი იყო ის, რომ ხელი შეეწყოთ მეგრელების ქართველებთან ასიმილაციისათვის, ხოლო მეორე – რაიონის ხელმძღვანელობას ეშინოდა არ დაედანაშაულებინათ ისინი მეგრულ ნაციონალიზმში.

არავისათვის არ არის საიდუმლო, რომ ამ სიტუაციიდან გამომდინარე, საუკეთესო მეგრელი ბოლშევიკ-ლენინელები, რომლებიც მოღვაწეობდნენ ყოფილ ზუგდიდის მაზრაში, საქართველოს

კპ (ბ) ცკ-ის მეგრელთა საკითხთან დაკავშირებული დადგენილებების სრული რეალიზაციისათვის, კპ (ბ) ცკ-ის წინაშე დააყენეს საკითხი, საქართველოს შემადგენლობაში შემავალი სამეგრელოს ოლქის შექმნის შესახებ. იმ დროისათვისაც და ახლაც ამ მოთხოვნის მოტივი გახლდათ სამეგრელოს რეალური ცხოვრება და ნაციონალური საკითხის მარქსისტულ-ლენინური და სტალინური გაგება, რომ ერი წარმოადგენს „ისტორიულად ჩამოყალიბებული ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრების, ფსიქიკური ყაიდის ერთიანობას, რომელიც კულტურის ერთობლიობაში ვლინდება“ (სტალინი).

ამხანაგი სტალინი სტატიაში „მარქსიზმი და ეროვნული საკითხი“ (ვენა 1913 წ., იხილეთ გვ.6) წერს: „რა ვუყოთ ასეთ ხალხს: მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, ლეკებს და სხვ., რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ? რომელ ერს მივაკუთვნოთ ისინი? შესაძლებელია თუ არა მათი ეროვნულ კავშირებში გაერთიანება? რომელი კულტურული საქმის ირგვლივ მოხდება მათი ორგანიზება?“ თავისივე დასმულ კითვას სტალინი სცემს შემდეგ პასუხს: „დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს თანაბარი უფლებებით მათი მაღალ კულტურასთან ზიარება“. თუმცა, ეს საკითხები უკვე დიდი ხანია გადაწყვეტილია ოქტომბრის რევოლუციის მიერ, მაგრამ საკითხი: რა ეშველებათ მეგრელებს (რობლებსაც უკვე თავისი ლიტერატურა აქვთ)? სამწუხაროდ, არ არის მოხსნილი დღის წესრიგიდან, ოქტომბრის რევოლუციის მე-16 წლისთავზეც კი.

ჯერ კიდევ არ მომხდარა, და ალბათ, არც მოხდება მეგრელების ქართველებთან ასიმილირება, რადგან ქართულ ენას თავს ახვევდნენ მეგრელ გლეხობას, ჯერ სასულიერო პირებისა და თავადების, შემდეგ კი მენშევიკების ჩარევით, ამჯერად კი (კპ(ბ) ცკ 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების შემდეგაც კი, ისეთი „გავლენიანი“ კომუნისტების მეშვეობით, როგორც სამსონ მამულია და სხვ. ასიმილაცია სულაც არ არის აუცილებელი. რამეთუ ქართული ენა არ არის მაღალი კულტურის მონოპოლური კარიბჭე კავკასიის ხალხებისათვის. ესე იგი აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი და სხვები ვერ ეზიარებიან მაღალ კულტურას, სანამ არ მოხდება მათი ქართველებთან ასიმილირება?

ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით მეგრელი ბოლშევიკები ამტკიცებდნენ, რომ აუცილებელია შეიქმნას სამეგრელოს ოლქი, რომლის არსებობის აუცილებლობა გვიჩვენა პრაქტიკამ და ცხოვრებამ 1930 წლიდან მოყოლებული, განსაკუთრებით სამეგრელოს რაიონებად დაყოფის შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ პარტიის მე-16 ყრილობაზე პარტიის ბელადმა, ამხანაგმა სტალინმა განაცხადა, რომ დარაიონება არ ნიშნავს ეროვნული ოლქების გაუქმებას. ამიტომ, იმ დროისათვის უკვე მომწიფებული საკითხი, სამეგრელოს ოლქის ჩამოყალიბების შესახებ მექანიკურად მოხსნა, თუმცა დარაიონების პროცესი მაინც მიმდინარეობდა. მეგრელი ბოლშევიკების პროტესტი არ იყო გათვალისწინებული და სამეგრელო დაიყო შვიდ პატარა რაიონად (ყოველი მათგანი 35-38 ათასი მოსახლეობით, გარდა ზუგდიდის რაიონისა, რომელშიც მოსახლეობის რიცხვი 65 ათასამდე იყო). ყველა ეს რაიონი უშუალოდ ექვემდებარებოდა საქართველოს რესპუბლიკურ ცენტრს. ვიმეორებთ, ჯერ კიდევ მაშინ სამეგრელოს ბოლშევიკები ამბობდნენ, რომ საქართველოს რესპუბლიკური ცენტრი ვერ შეძლებს კპ(ბ) ცკ ზემოთ მოხსენიებული დადგენილებების უზრუნველყოფას თუ სამეგრელო არ იქნება გამოყოფილი ცალკე ოლქად, რომელიც შევა საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში. ამხანაგმა ქართველებმა პირობა დადეს, რომ ზედმიწევნით ზუსტად გაატარებდნენ კპ (ბ) ცკ გადაწყვეტილებებს სამეგრელოს საკითხთან დაკავშირებით. მაგრამ ეს შეპირებები დარჩა მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი.

არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ აფხაზეთი, აჭარისტანი ეკონომიკურად უფრო მაღალ დონეზეა, ვიდრე სამეგრელო: მაგალითად, აფხაზეთის 1933 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 17 მილიონ მანეთს ამას ემატებოდა 5 ½ მილიონი დოტაცია, ჯამში ბიუჯეტი შეადგენდა 22 ½ მილიარდ რუბლს 230 ათას მოსახლეობაზე. აჭარისტანის ბიუჯეტი შეადგენდა 10 მილიონ მანეთს ამას ემატებოდა 3 ½ მილიონი დოტაცია, ჯამში ბიუჯეტი შეადგენდა 13 ½ მილიარდ რუბლს 125 ათას მოსახლეზე. მაშინ, როდესაც სამეგრელოს ყველა სოფლისა და რაიონის ბიჯეტი არ აღემატება 8 მილიონ რუბლს 350 მოსახლეობაზე და ამის გარდა საქართველოს სახკომს სამეგრელოდან მიაქვს 530.000 რუბლი (ეს მხო-

ლოდ ერთი რაიონიდან). სამეგრელოს სხვა რაიონებს გამოუყოფენ 900.000 და თუ ამ თანხას გამოვაკლებთ 500.000, რომელიც გააქვთ ზუგდიდის რაიონიდან, მაშინ გამოდის, რომ სამეგრელო იღებს 400.000 რუბლს 350.000 მოსახლეზე, რაც დაცინვის ტოლფასია.

სამეგრელოს სამეურნეო-კულტურული მშენებლობა და საწარმოო ძალები ერთი წერტილიდან არ იძვრის მაშინ, როცა ავტონომიური აფხაზეთი, აჭარისტანი და სხვები გიგანტური ნაბიჯებით მიიწევენ წინ. სამეგრელოში არ არის გზები, სკოლები, საავადმყოფოები (თუ არ ჩავთვლით ზუგდიდის საავადმყოფოს, რომელიც წლების მანძილზე შენდებოდა და ბოლოს და ბოლოს დასრულდა), არ მიმდინარეობს საკურორტო მშენებლობა, მიუხედავად იმისა, რომ იგი მდიდარია კურორტებით: სამთო-კლიმატური (ჩეგვა, ლებარდე, მუხური, ოხაჩკუე), მინერალურ-სამკურნალო (ცაიში, მენჯი, სკური, ლუგელა) და საზღვაო – ანაკლია და სხვ.

ეს ულამაზესი ადგილები გავერანებულია. ისმის კითხვა, რატომ? იმიტომ რომ არავინ ყურადღებას არ აქცევს მათ. სამეგრელო რომ იყოს ავტონომიური ოლქი, მაშინ არ იქნებოდა ასეთ მდგომარეობაში, გაიზრდებოდა სამეგრელოს ბიუჯეტი, ის აყვავდებოდა ისე, როგორც აფხაზეთის და საბჭოთა კავშირის სხვა კუთხეები. ამას არ ითვალისწინებს ზოგიერთი მეგრელი კომუნისტი და შეცდომაში შეჰყავთ პარტიის ცკ, როდესაც ამტკიცებენ, რომ სამეგრელოს არ სჭირდება ავტონომია, ასეთ მოთხოვნას ნაციონალისტურს უწოდებენ, სოფლის კომუნისტებს აშინებენ პარტიის რიგებიდან გარიცხვით და ა.შ. ძველი გლეხი ბოლშევიკები: მ. გაბედავა, პ. როგავა, ქობალია და სხვები გარიცხეს პარტიიდან 1925 წელს, იმის გამო, რომ ითხოვეს სამეგრელოს ავტონომია. მათ სარჩელი შეიტანეს სკპ (ბ) ცკ-ში და პარტიის რიგებში აღდგენილ იქნენ 1929 წელს.

რას მოელოდა მშრომელი სამეგრელო და რა მოხდა სინამდვილეში? არა მარტო არ ჩამოაყალიბეს ოლქი, უფრო მეტიც, სრულიად მოულოდნელად საუკეთესო ზუგდიდელ მეგრელ ბოლშევიკ-ლენინელებს ათავისუფლებენ თანამდებობებიდან სხვადასხვა მიზეზის გამო და გადაჰყავთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, ხოლო ნაწილი დატოვეს უმუშევარი. მათ ადგილებზე კი სვამ-

დნენ პოლიტიკურად არამყარ ადამიანებს, ტროცკისტებს, კარიერისტებს, რომლებიც განაცხადებდნენ, რომ მეგრელები არა მეგრელები, არამედ ქართველები არიანო იმისთვის, რომ მიიღონ რაიკომის მდივნის ან თავმჯდომარის თანამდებობები.

ზუგდიდის რაიონის ბოლშევიკ-მეგრელების გაყრის მოტივი გახლდათ მათ მიერ სამეგრელოს ოლქის შექმნის მოთხოვნა, კერძოდ კი, რაიკომის მდივნის, ამხანაგ ისაკ ჟვანიასი.

საქართველოს კპ(ბ) ცკ მდივანი 1933წ. 14 თებერვლის ზუგდიდის რაიკომის პლენუმზე ამბ. აგნიაშვილმა განაცხადა, რომ ამხ. ჟვანია გადაჰყავს სხვა რაიონში, იმიტომ რომ მან გადაამეტა სამეგრელოს საკითხთან დაკავშირებით. სამეგრელოს ოლქის ჩამოყალიბების მოთხოვნა კვალიფიცირებულია როგორც გადამეტებული, ითვლება რეაქციულ მოთხოვნად, მაგრამ ისმის შეკითვა, რატომ არის ის რეაქციული? ამ კითვაზე პასუხი არ არის გაცემული. რატომ ითვლება ლენინურ-საბჭოურად აფხაზეთი, აჭარისტანი, სამხრეთ ოსეთი, ყარაჩაი, ნახჭევანი და სხვ. რევოლუციურ კუთხეებად, ხოლო სამეგრელო კონტრრევოლუციურად?

გასაბჭოების დღიდან მოყოლებული დღის წესრიგში დგას სამეგრელოს ოლქის საკითხი (განხილვა დაიწყო ზუგდიდის მაზრის პირველ ლეგალურ პარტკონფერენციაზე 1921 წელს), მაგრამ დღემდე არავის გაუცია განსაზღვრული ბოლშევიკური პასუხი, რომ ლენინურ-სტალინურად გადაიჭრეს ეს საკითხი. ამიტომ დიდი ხნის დუმილის შემდეგ, გთხოვთ, ჩაერთოთ ამ საქმეში.

რა ხდება ამჟამად, ზუგდიდის ბოლშევიკების გაძევების შემდეგ?

1. გამოდის სარაიონო მეგრული გაზეთი „ყაზახიში გაზეთი“- საქართველოს კპ (ბ) ცკ ორგანო, რომლის გამოცემა დაიწყო 1930 წლიდან საქართველოს კპ (ბ) ცკ დადგენილებით და გახდა ზუგდიდის რაიკომის ორგანოდ. გაზეთის ფორმატი შეკვეცილია, ტირაჟი შემცირებულია 20.000-დან 3.800-მდე. გაზეთი გამოიცა შერეულ ქართულ-მეგრულ ენაზე, ენის დისკრეტაციის მიზნით. პირველ რიგში, მკითხველის ხელოვნურად განთესვის მიზნით, მეორე – გლეხებისათვის გაუგებარი იყოს მისი შინაარსი, ხოლო მესამე – ამით მოამზადონ ნიადაგი იმისთვის, რომ თითქოსდა მოხდა მეგრელების ასიმილირება ქართველებთან და რომ დროა შეწყდეს გაზეთის გამოცემა მეგრულ ენაზე.

2. ასეთ შერეულ ენაზე და ამავე მიზნებით გამოდის დეკადური და მრავალტირაჟიანი გაზეთები.

3. სკოლებში ლიკვიდირებულია მეგრულ ენაზე სწავლება: განათლების სახალხო კომიტეტმა ზუგდიდის რაიონში მიავლინა „მეგრელი“ ჩინოვნიკი, „პროფესორი“ ჩიქობავა დავალებით, რომ ამ „მეგრელ ვაი მეცნიერს“ „მეცნიერეული“ თვალსაზრისით შეეჯამებინა დაწყებით სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლება. ამ მეცნიერმა ზუსტად შეაჯამა შედეგები და დაწერა: „მართალია მეგრელი ბავშვები უკეთ ითვისებენ მასალას მშობლიურ მეგრულ ენაზე, ვიდრე მათთვის გაუგებარ ქართულ ენაზე, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ შემდგომში მეგრულიდან ქართულ ენაზე გადასვლა გაძნელდება, ამიტომ მეგრული სკოლების პირველივე ჯგუფებიდანვე ამოღებული უნდა იქნეს მეგრულ ენაზე სწავლება; ანუ სამომავლო „პერსპექტივისათვის“, უკვე დღეს გავწიროთ მეგრული ენა“.

ასეთ „საფუძვლიან“ „მეცნიერეულ“ ანტილენინურ გამოსვლას დაეთანხმა ზუგდიდის პარტიის რაიკომის ახალი ხელმძღვანელობა და გადაწყვიტა მომავალი სასწავლო წლიდან სამეგრელოს დაწყებით სკოლებში დაეკანონებინათ ქართულ ენაზე სწავლება. ამ „ჭკვიანური“ გადაწყვეტილებით ზუგდიდის ახალი ხელმძღვანელობა განათლების სახკომთან ერთად ცვლის სკპ(ბ) ცკ-ს დადგენილებას კავკასიის ნაციონალური კომიტეტის და, საერთოდ, ლენინურ-სტალინურ სწავლებას ნაციონალური საკითხის შესახებ.

ზუგდიდის რაიონის ახალმა ხელმძღვანელობამ აკრძალა მეგრულ ენაზე თითქმის უკვე დაბეჭდილი პარტიის ბელადის, ამხ. სტალინის ბროშურა „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, მაგრამ იგი ნახევრად ლეგალურ პირობებში დაიბეჭდა და გამოიცა, ამისათვის დაისაჯნენ და სამსახურიდან გათავისუფლდნენ გამომცემლობის პასუხისმგებელი პირები – პარტიის წევრები გ/ტ. საჯაია, კვირტაია და ა.შ.

მსგავსი აღმაშფოთებელი ანტიპარტიული და ანტისაბჭოთა მოქმედება ზუგდიდის რაიონული კომიტეტის პარტიის ახალი ხელმძღვანელობის მიერ განხორციელდა მშრომელი ხალხის ხელით.

მეგრელმა კარიერისტებმა გაახმაურეს ლოზუნგები „ერთიანი, განუყოფელი საქართველოსათვის“, „ასიმილაცია“ და „ინტერნაციონალიზმი“. ეს იყო ინტერნაციონალიზმის კარიკატურა.
ასეთი მკვეთრი შემოტრიალება ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარის წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, აღელვებს მშრომელ მეგრელ ხალხს. ამ მოვლენებზე ამხანაგი სტალინი წერს: „ განსაკუთრებით რა აღელვებს ეროვნულ უმცირესობებს? უმცირესობა უკმაყოფილოა არა ეროვნული კავშირის არ არსებობით, არამედ მშობლიურ ენაზე უფლების უქონლობით. მიეცით მას უფლება გამოიყენოს მშობლიური ენა და ყველაფერი თავისთავად გაივლის. უმცირესობა უკმაყოფილოა არა ხელოვნური კავშირის უქონლობით, არამედ მშობლიური სკოლის უქონლობით. მიეცით მას ასეთი სკოლა და უკმაყოფილებას ყოველგვარი ნიადაგი გამოეცლება“. მაგრამ პარტიის ბელადის, ამხანაგ სტალინის მითითებები სამეგრელოს საკითხთან დაკავშირებით ოქტომბრის რევოლუციის მე-16 წლისთავზეც კი არ არის განხორციელებული. პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ მომავალშიც არ შეიძლება მეგრელების უფლებების უზრუნველყოფა ენის მიმართ, თუ არ შეიქმნება ავტონომიური ოლქი და მხოლოდ ამის შემდეგ „უკმაყოფილება“, რომელიც გრძელდება უკვე რამდენიმე ათეული წელია – გაქრება. მაგრამ ამას ვერ გებულობს ზოგიერთი ჯიუტი ქართველი ამხანაგი, იმიტომ რომ ისინი ეყრდნობიან იმ მეგრელი კარიერისტების „საფუძვლიან“ მოსაზრებებს, რომლებიც თავს „ინტერნაციონალისტებად“ აცხადებენ.
სამეგრელოს საკითხი კპ (ბ) ცკ-ს ჩარევის გარეშე ვერ გადაწყდება და არ მოიხსნება დღის წესრიგიდან, სანამ „პროლეტარიატი არ გაიმარჯვებს მთელს მსოფლიოში და სანამ სოციალიზმი არ შემოვა ყოფა-ცხოვრებაში“.
ამიტომ ჩვენ – პარტიის წევრები ვთვლით საჭიროდ და დაჟინებით გთხოვთ:
1. შენარჩუნდეს მეგრული რაიონთაშორისი გაზეთი „ყაზახიში გაზეთი“ სქართველოს კპ (ბ) ცკ ორგანო (მეგრული ოლქის ჩამოყალიბებამდე) ადრინდელი ტირაჟითა და ენით.
2. უზრუნველყოფილ იქნეს დაწყებით მეგრულ სკოლაში მშობლიურ ენაზე სწავლება, მოსწავლეებისათვის გასაგებ ენაზე ანუ მეგრულად.

3. სამეგრელოს რაიონებსა და სოფლებში საქმისწარმოება მოხდეს მეგრულ ენაზე.
4. დაჩქარდეს სამეგრელოს ოლქის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს სამეგრელოს კულტურულ-სამეურნეო განვითარებას სოციალისტური მიმართულებით.
თუკი ზემოთ აღნიშნული ფაქტები იწვევენ სულ მცირე ეჭვსაც კი, გთხოვთ, გამოაგზავნოთ კომისია შემდეგი შემადგენლობით:
1. ბურნოვი – რსფსრ განათლების სახალხო კომიტეტი
2. სკრიპნინი – უსსრ განათლების სახალხო კომიტეტი
3. კრინიცკი – სსრკ პოლიტგანყოფილების უფროსი

ზუგდიდი, 1933 წლის აპრილი
ხელს აწერენ: 1. ვ. ჩემინავა, 2. ტ. ზარქუა, 3. ტ. შენგელია, 4. ი. გაბუნია, 5. მ.ჯალაღანია, 6.ი.ნაჭყებია, 7. ო.გვასალია, 8. ნ. ფაჟავა (სკპ (ბ) წევრები)[199]

[199] დღეს ანალოგიურად წერენ ალ. ჭაჭიას ჯგუფის წევრები.

დანართი №9

არნ. ჩიქობავა

ჩვენი დედაქალაქი და ჩვენი დედაენა

/გაზ. „კომუნისტი“, 1958, №238/

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ჭაბუკ დედაქალაქს ათასხუთასი წელი უსრულდება. ათასხუთასი წელი ისტორიის საკმაოდ დიდი მონაკვეთია. ათასხუთასი წლის მანძილზე არა ერთი ქვეყანა აღორძინებულა და კიდეც დამხობილა, არა ერთი ქალაქი, ოდესღაც აყვავებული, ნაქალაქრად ქცეულა, არქეოლოგების საძებარი გამხდარა.

ათასგვარ მეხისტეხასა და ქარიშხალს გადაუვლია თბილისის თავზე, არა ერთხელ წაქცეულა იგი და კვლავ ამდგარა, და – მრავალ ჭირნახულს – მოუღწევია ჩვენს დრომდე, როცა სოციალისტური წყობილების დროს იგი გაიზარდა, დამშვენდა ისე, როგორც წინათ არასოდეს.

პოეტის სიტყვები: „გწვავდნენ და არ იწვებოდი, ცეცხლში დიდების მხვეჭელი“-ო, ისევე შეიძლებოდა გვეთქვა თბილისის მრავალსაუკუნოვან წარსულზე, როგორც ქართველი ხალხის მოუსვენარსა და სახელოვან ისტორიაზე.

თბილისის ისტორია ქართველი ხალხის ისტორიას ასახავს და უკუფენს. თბილისის დღესასწაული ქართველი ხალხის დღესასწაულია.

დღეს, როცა თბილისს იუბილეს ვუხდით, მისი ერთი ღირსშესანიშნავი თვისებაც არ შეიძლება არ ვახსენოთ: ქართული ქალაქი – თბილისი – ინტერნაციონალური ტრადიციების ქალაქი იყო და არის. და ეს როდია შემთხვევითი: ქართველ ხალხს, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა მოძმე ხალხებს, ის სასახელო თვისება ჰქონდა და აქვს, რომ თავისი კარგი უყვარს და სხვისას პატივისცემით ეკიდება.

სახელოვანია თბილისის წარსული; მშვენიერია მისი აწმყო; საიმედო – მომავალი.

ჩვენი დედაქალაქის ისტორია ჩვენი დედაენის ისტორიისაკენ მიმართავს ყურადღებას. ჩვენს დედაენასაც დიდი

ხნის, მდიდარი და სახელოვანი ისტორია აქვს. სულ მცირე ორი ათასი წელია, რაც ქართული სიტყვა ისმის, ხოლო ათასხუთას წელზე მეტია გასული მას შემდეგ, რაც ქართული სიტყვა – ჩვენი ცნობილი მწერლის თქმისა არ იყოს – ულამაზესი ქართული ასოებით აღიბეჭდა (ქართული წარწერა ბოლნისის სიონზე 439 წლისა სრულყოფილი ლამაზი მრგვლოვანი ხელით არის შესრულებული: ჯერხნობით არ არის ნაპოვნი უფრო ძველი წარწერა).

ქართულ ენაზე თხუთმეტი საუკუნის მანძილზე მდიდარი მწერლობა შეიქმნა. საუკუნეთა მანძილზე დედაქალაქი თბილისი ქართველი ხალხის პოლიტიკური ერთიანობის ცენტრს წარმოადგენდა. დედაენა – ქართული ენა – კულტურული ერთობისა და ეროვნული მთლიანობის შეგნებას ასახიერებდა. ქართული სალიტერატურო ენა აერთიანებდა ქართველობას მაშინაც, როცა საქართველო დაქუცმაცებული იყო, და ეკონომიკაც ამის გამო ერთიანობას ხელს ვერ შეუწყობდა. ქართული სალიტერატურო ენა შექმნილია მთელი ქართველი ხალხის მიერ, იგი კუთვნილებაა მთელი ქართველობისა, – იქნება ეს ქართველი – ხევსური თუ სვანი, კახელი თუ მეგრელი, ქართლელი თუ აჭარელი... თვით დაქუცმაცებულ ფეოდალურ საქართველოშიც კი სხვა სამწერლო ენა არა ჰქონიათ არც მეგრელებსა და არც სვანებს. ქართული სალიტერატურო ენა ერთადერთი ეროვნული ენაა მთელი ქართველობისათვის; ასე იყო წარსულში და მით უფრო ასეა ახლა, როცა საბჭოთა საქართველოში სოციალისტურ ქართველ ერში შედუღაბებულია როგორც ქართველობის განუყრელი ორგანული ნაწილი, მეგრელი, ჭანი და სვანი ისევე, როგორც ქართლელი, კახელი, აჭარელი, თუში... დიდმა ქართველმა პედაგოგმა ი. გოგებაშვილმა დედა-ენა უწოდა იმ წიგნს, რომელსაც ყოველი კუთხის ქართველი ბავშვი, – სვანი ისევე, როგორც ფშაველი, მეგრელი ისევე, როგორც აჭარელი, ქართლელი და კახელი... – იღებს პირველად ხელში, რომ ერთიან ნაციონალურ ქართულ ენას დაეუფლოს, – დაეუფლოს იმ ენას, რომლითაც ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ შექმნეს ქართული ლიტერა-

ტურის შესანიშნავი ნიმუშები, – იმ ენას, რომელიც განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა საბჭოთა დროის სახელოვანი ქართველი პროზაიკოსებისა და პოეტების შემოქმედების წყალობით:

„ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა, ჩვენი ენა ქართული, ოქროს ხმიან სიმებად გულში ამოხლართული“...

* * *

თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორია ქართული სალიტერატურო ენისა, მთელი ქართველობის დედა-ენისა, ეხმაურება დედაქალაქის თხუთმეტსაუკუნოვან ისტორიას და ჩვენი ქვეყნის მდიდარი ისტორიული წარსულის მიღწევათა გამოყენებით ჩვენი თანამედროვე სოციალისტური ცხოვრების შემდგომი აღმავლობისაკენ მოგვიწოდებს.


ჩვენი დედაქალაქი
და ჩვენი დედაენა

არნ. ჩიქობავა

არ დავივიწყოთ დედაენა

/გაზ. „*სამშობლო*“, 1969, 22 აგვისტო/

ქართული ენა მოცემული გვაქვს კუთხური კილოკავების სახით ერთი მხრივ, სალიტერატურო ქართული ენის სახით – მეორე მხრივ. კილოკავები ნაირ-ნაირია, ზოგ კუთხეში ასე „უქცევენ“, ზოგში – სხვაგვარად. თუშურიც ქართულია და გურულიც, ხევსურულიცა და ქვემოიმერულიც, აჭარულიცა და ქართლურ-კახურიც. ეს უკანასკნელი ყველაზე ახლოსაა სალიტერატურო ქართულთან. ქართლურ-კახური საყრდენი დიალექტია სალიტერატურო ენისათვის, მაგრამ მაინც დიალექტი.

ქართლურის ნიმუში: ადგა ბიჭმა, ახსენა ღმერთი, და იქ უნდა წავიდეს, სადაც ია და ვარდის ქალაქია, გასწია, წავიდა. ერთ ალაგს ერთი ალვი ხე იდგა. იმ ალვი ძირში მშვენიერი წყარო გამოდის. მეტიც არ იქნება, იქ დაისვენა. ამ ბიჭს ძილში მაესმა რაღაც ჯივილ-ხივილი, წიოკობა. ამ ალვი ხეზე თურმე წიწილები არიან ფაშკუნდისა, ემაგნაირად წიოკობენ ე წიწილები, რომ იმითი ცოდვით რაღა თქვას კაცმა (მოგვყავს ივანე გიგინეიშვილის, ვარლამ თოფურიასა და ივანე ქავთარაძის „ქართული დიალექტოლოგიიდან“, 1961 წელი).

შეადარეთ **გურული** (ჩოხატაურის რაიონი): დაძმობილდა თურმე ორი კაცი. ვეღარ გავძლეფთ აქანაიოო და წევიდეთო. წევიდნენ თურმე. სამი პური ერთმა წეიღო საგძლათ, სამი – მეორემ. იარენ, იარენ, მოშივდენ. ვჭამოთო, ერთმა უთხრა მორეს. ჯერ შენი ვჭამოთ და მერე – ჩემიო. ჭამეს იი პური. ერთი დღეი გადიარენ. ვჭამოთ კიდომო... ამას აღარა აქ საგძალი მეტი. გადიარენ მეოთხე დღეი... (იქვე).

ქვემოიმერული (ვანის რაიონი): ზამხული ძალიანი ადრე დეიწყო წროულს. ჩვენი ეზო თხმელაეფშია და საურცხოვო სანახავი იყო... ყორიფელი ნამყოფი ადრეა, თებერვლის კვირტი როა, მიტო. ამ ეზოობაში და საბზეურებზე


სიმიდე დაბაზებულია. მარა უნაირო ჯვაპები დეიწყო. ანა საშინელი გვიანი არი, ხეხილი ნამეტარი ადრეა (იქვე).

ჩაღმათუშური: წელიწად ღამესავ დიკლოს ლეკის ჟარ მოიდავ. როცა რომ ჭამის ჭამაზე დავსხედითავ, მანამ ვერ გავიგეთავ, მანამ სოფელში არ შემოიდავ. შვიდმეტ დღესავ იბრუნავ ჯარმავ (იქვე).

2. **კუთხური კილოკავების მთელი წყება გვაქვს, სალიტერატურო ქართული ენა კი ერთია ყველა კილოკავზე მოუბართათვის, ერთობლივ ყველა კუთხის ქართველთათვის. ქართლელი იქნება იგი, აჭარელი, ფშაველი თუ სვანი, ხევსური თუ მეგრელი.**

ეს ერთი სალიტერატურო ქართული ენა ქართველობის **ეროვნული ენაა,** სკოლისა და სასამართლოს ენა, თეატრისა და რადიოგადაცემათა ენა, იგი საბჭოთა საქართველოს **სახელმწიფო ენას წარმოადგენს.** 3. სალიტერატურო ქართულ ენას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს; უძველესი ქართული წარწერები მეხუთე საუკუნეს ეკუთვნის. მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებში ქართულ ენაზე უკვე მოიპოვებოდა მდიდარი სასულიერო, თეოლოგიური და ფილოსოფიური ლიტერატურა, მეტწილად ნათარგმნი. ქართულ ენაზე მეთორმეტე საუკუნეში დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“ საერო ქართული მწერლობის ბრწყინვალე ნიმუში. ახალი ქართული სალიტერატურო ენის საძირკველია ქართული მწერლობის კლასიკოსების – ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას თხზულებები. მდიდარი და მრავალფეროვანია საბყოთა წლების ქართული პოეზია და პროზა. ქართულ ენას სწავლობდნენ გამოჩენილი ავსტრიელი ენათმეცნიერი ჰუგო შუხართი, გერმანელი ქართველოლოგი დეეტერსი, მეკელაინი... ქართული ენის შესწავლა-გამოკვლევაში თვალსაჩინო მიღწევები აქვს ნორვეგიელ ენათმეცნიერს ჰანს ფოგტს, ფრანგ ბასკოლოგსა და კავკასიოლოგს რენე ლაფონს, გერმანელ მკვლევარებს პროფესორებს გერტრუდ პეჩს, კარლ შმიდტს... წარმატებით სწავლობენ ქართულს ჰოლანდიელი ენათმეცნიერები ებელინგი და კოიპერსი... 4. ყოველი ენის დანიშნულებაა კაცს აზრი გამოათქმევინოს

და მოსაუბრესთან ურთიერთობა შეაძლებინოს, ანუ, როგორც იტყვიან, ყოველი ენა აზროვნების იარაღი და ურთიერთობის საშუალებაა. ეს ორი ფუნქცია ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება. მთავარი მაინც მეორეა, ურთიერთობის საშუალებად ყოფნა. რაც უფრო მეტი ადამიანი იყენებს ენას ურთიერთობის საშუალებად, მით უფრო მეტი სასიცოცხლო ძალა აქვს ენას. თუ ენას ურთიერთობის საშუალებად არავინ ხმარობს, ეს ენა მკვდარია. კაცი იფიქრებს: აზროვნების იარაღად მაინც დარჩება ენა, თუნდაც მასზე არავინ საუბრობდესო. ეს ასე არ არის. რა ენაზეც ვსაუბრობთ, ის ენაა, პირველ ყოვლისა, აზროვნების საშუალება. თანდათან გადაეჩვევა ადამიანი იმ ენაზე აზროვნებას, რომელზეც აღარ ლაპარაკობს. ამიტომ არის, რომ სხვა ხალხში, სხვა ენის გარემოცვაში მყოფ ადამიანს თანდათანობით ავიწყდება დედაენა. ხოლო თუ დედაენა დაგვავიწყდება, მშობელ ხალხთან კავშირიც გვავიწყდება: ენა არის ხალხის მეობის არსებითი ნიშანი. ქართველი კაცი, რომელმაც დაკარგა ქართული ენა, მალე და ადვილად გაითქვიფება სხვა ხალხში. არ დაივიწყოთ დედაენა!


არ დავივიწყოთ
დედაენა

ლ. ბერიას წერილი ი. სტალინს[200]

Секретарю ЦК ВКП(б)

товарищу И. С Т А Л И Н У.

В основу разработки вопроса национальности по материалам Всесоюзной переписи населения 1937 года положен "Словарь национальностей", присланный Госплана СССР Управлением Наркозучета Грузинской ССР для руководства.

Согласно этого словаря а д ж а р ц ы выделены в отдельную от грузин национальность.

Выделение аджарцев в отдельную национальность и обособление их от грузинской национальности в корне противоречит сталинскому определению понятия нации.

Аджарцев об'единяют с грузинской нацией общность языка, территории, экономической жизни и культуры. Аджарцы - те же грузины, с той лишь разницей, что они были ислусульманами в прошлом.

Для характеристики той путаницы, или вернее, зоологического духа, которым все еще пронизаны некоторые научные учреждения Академии Наук СССР, приведем здесь те разноречивые выводы, к которым приходят эти научные учреждения в вопросах классификации грузинской национальности.

Комиссия Академии Наук по изучению племенного состава населения СССР и сопредельных стран, выделенная в свое время в связи с переписью населения 1926 года, установила следующую классификацию грузинской национальности:

1. Грузины (в составе: картелинцы-картли, кахи, тушины, пшавохевсурцы, мтиулы, сонхиты, дмаевхцы, месхи-цы, кларджинцы, тао-цы, аджарцы, гурийцы, имеры, рачинцы, лечхумцы)
2. Мегрелы
3. Чаны
4. Сваны
5. Бацбы

Институт языка и мышления Академии Наук СССР в связи с переписью населения 1937 года дает другую классификацию:

[200] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს პერიოდული ჟურნალი: „საარქივო მოამბე“, VI, 2009, გვ. 116.

1. Грузины
2. Мегрелы
3. Лазы
4. Сваны
5. Бацбии
6. Аджарцы

А Институт Антропологии Академии Наук СССР, тоже в связи с переписью населения 1937 года, предлагает третью классификацию, которая и легла в основу преподанного к руководству ЦУНХУ "Словаря национальностей":

1. Грузины

В том числе:

а) Мегрелы
б) Лазы
в) Сваны
г) Бацбии

2. Аджарцы

Таким образом, в первом случае, аджарцы включаются в состав грузинской национальности, но зато в виде отдельных национальностей выделяются: мегрелы, сваны, лазы и т.д.; во втором случае и аджарцы, и мегрелы, и сваны, и лазы, и бацбии выделены в самостоятельные национальности; в третьем случае те же самые мегрелы, сваны, лазы, бацбии вновь включены в грузинскую национальность, но зато аджарцы выделены уже в отдельную национальность.

В ближайшее время материалы переписи населения Грузинской ССР подвергнутся в Москве обработке и подсчету, при котором аджарцы, согласно вышеупомянутой классификации, пройдут особой позицией, как отдельная национальность.

Поэтому просу дать ЦУНХУ Госплане СССР соответствующее указание об исправлении неправильной классификации национальностей Грузии, предложив включить аджарцев в состав грузинской национальности.-

Секретарь ЦК КП(б) Грузии (Б е р и я)

დანართი № 12

ივ. ჯავახიშვილი ნიკო მარის წინააღმდეგ:

ა) წერილი ნიკო მარს[201]

პატივცემულო ბ-ნო ნიკო!

თქვენი წერილის მიღებისთანავე მისი შინაარსი ვაცნობე ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიას და ვკითხე „სასურველია თუ არა იაფეტურ ენეთმეცნიერისაგან ერთ და ერთ დღევანდელ მიწევნილებაზე ლექცია რომ ყოფილიყო თქვენ მიერ ქართულად წაკითხული".

თქვენი თხოვნის თანახმად, გაცნობებთ სრულებით გულწრფელად კოლეგიის საერთო აზრს და პასუხს.

ჩვეულებრივს პირობებში უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგია სიამოვნებით შეეგუებოდა ამ სურვილს, თქვენ „სხვაფრივ მოაზრეობისდა" მიუხედავად, მაგრამ თქვენ მიერვე შექმნილ პირობებში პროფესორთა კოლეგიას თქვენი სურვილის დაკმაყოფილება სრულებით შეუძლებლად მიაჩნია. ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების განზრახვას მთელ რუსეთში არავინ არ შეხვედრია ისე მტრულად, როგორც თქვენ, 1917 წლიდან მოყოლებული არავის თქვენებრ თავგამოდებით არ უწერია და არ უბრძოლია სათანადო წრეებში ამ წმინდა კულტურული საქმის პოლიტიკურ საკითხად გადასაქცევად, მისი სახელის გასატეხად და ჩასაშლელად.

განმაცვიფრებელი და ბევრი ჩვენთაგანისთვის ფრიად სამწუხრო გარემოება იყო, რომ ასეთი წმინდა და უანგარო

---

[201] წერილი პირველად გამოაქვეყნა თ. კვაჭანტირაძემ ჟურნალში: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", 1986 წლის № 2-3, "მასალები ივანე ჯავახიშვილის არქივიდან" გვ. 132-135. აქვეა თ. კვაჭანტირაძის შემდეგი მინაწერი: „ივანე ჯავახიშვილის ქვემოთ წარმოდგენილი კერძო წერილი წარმოადგენს მკვეთრ შეფასებას იმ საჩოთირო პოზიციისას, რომელიც მის მოძღვარს ნიკო მარს ეკავა სამეცნიერო თუ ოფიციალურ წრეებში ქართულ უნივერსიტეტთან დაკავშირებით".

საქმე თქვენთვის გაუგებარი გამოდგა, რომ როგორც საქართველოს, ისევე სომხეთის კულტურული აღორძინებისა და განახლების კერისათვის საძირკველის ჩაყრამ, საქართველოსა და სომხეთის უნივერსიტეტის დაარსებამ თქვენს, იაფეტური ენათმეცნიერების წარმომშობელს, გულში სიხარულის მაგიერ განუზომელი სიძულვილი აღძრა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გუნებაზე დაგაყენათ. მაგრამ ზეპირად მოსულ ამბავს მაშინ ჩვენ სათანადო ანგარიში არ გავუწიეთ და ეს სამწუხარო მოვლენა თქვენი ხასიათის სიფიცხის დროებით, წარმავალ შედეგად მივიჩნიეთ. იმ დროს ჩვენ მოსული და წაკითხული არ გვქონდა თქვენი, ტფილისის უნივერსიტეტის დაარსებით გამოწვეული მოხსენება, ჯერ რუსეთის განათლების სამინისტროში, ხოლო შემდეგ სამეცნიერო აკადემიისათვის წარდგენილი. როდესაც შემდეგში თქვენი 1920 წლის ნოემბრის თარიღით წერილი მოგვივიდა, რომელშიაც ჩვენს უნივერსიტეტში გადმოსვლის ამბავსა და ქართულად წასაკითხავ ლექციების სათაურებს გვატყობინებდით. თანაც გვეკითხებოდით, თუ სახელდობრ რა თანამდებობა გექნებოდათ ჩვენს უნივერსიტეტში, უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიამ ეს თქვენი მიმართვა ისე გაიგო, რომ თქვენ გსურდათ ამ ახლობელი წარსულის უსიამოვნო მოგონება დავიწყებისათვის მიგვეცა და მით ჩვენგან დაწყებული საქმის გამართლებას იმდენად უდავოდ სცნობდით, რომ ჩვენი უნივესრიტეტის აღმშენებლობაში მონაწილეობის მიღებასაც კი კისრულობდით, მაგრამ საქმეთა მერმინდელმა მიმდინარეობამ, მეტადრე ს.ს.ს.რ. მთავრობის მიერ აღძრული საკითხის გამო ქართულ სიძველეთა საქართველოში უკან დასაბრუნებლად მოწყობილმა რუსეთ-საქართველოს მეცნიერთ წარმომადგენელთა თათბირმა ცხადჰყო, რომ ეს წარსული სამწუხარო მოვლენა აწმყოშიაც გრძელდებოდა. ამაზე უწინარესაც და ამ თათბირის დროსაც თქვენს, როგორც სიტყვიერს, ისევე წერილობითს, ოქმებში დაცულს, განცხადებებში ჩვენი უნივერსიტეტისა და ქართველ მეცნიერთა და თვით საქართველოს შესახებ მრავალგზის სრულებით შეუწყნარებელი, შეურაცხმყოფელი სიტყვები და გამოთქმები გიხმარიათ.

რუსეთის სამეცნიერო აკადემიის მდივნისადმი მიმართულს თქვენს უკანასკნელ განცხადებაში ისეთ თავდავიწყე-

ბამდე მისულხართ კიდეც, რომ თავისთვის უფლება მიგიციათ და თანამდეროვე საქართველო სამეცნიერო მოღვაწეობისათვის გაუნაყოფოებულ ქვეყნად გამოგიცხადებიათ, რომელშიაც თურმე დაბალი ბიოლოგიური ნაციონალისტური გრძნობები ბატონობენ, – იმ დროს, როდესაც პეტერბურგში ისეთი ბედნიერება ყოფილა, რომლის მსგავსი ხელსაყრელი პირობები დიადი სამეცნიერო შემოქმედებისთვის მთელს დედამიწის ზურგზე ცისა და მთვარე-ვარსკვლავების ქვეშ არსად სხვაგან და თქვენ პიროვნების გარემოს გარდა არავისთან სხვაგან თურმე არ ყოფილა.

რამდენად შეჰშვენის ამგვარი უმაგალითო თავმომწონეობა მეცნიერს, ეს თქვენი პირადი საქმეა და თქვენზე არანაკლებ ამის მსჯავრის დადება თქვენ მანდაურ მკითხველებს და მსმენელებს შეუძლიანთ, მაგრამ ყოველ მოთმინებასაც საზღვარი აქვს, და რაც შეეხება საქართველოს გინდაც აწინდელს, უნდა კარგად გცოდნოდათ, რომ მის შეურაცხყოფის უფლებას თქვენ არც ერთი ქართველი, მიმართულებისდა მიუხედავად, არასდროს და არავითარ პირობებში არ მოგცემდათ. სწორედ ამიტომ პროფესორთა კოლეგია ფიქრობს, რომ ამის შემდგომ ჩვენს უნივერსიტეტსა და ჩვენს შორის რაიმე თანამშრომლობაც სრულიად შეუძლებელია. მას უკვირს კიდეც, რომ თქვენ სამეცნიერო გაუნაყოფოებულს, ზოოლოგიური ეროვნული გრძნობებით შეპყრობილ საქართველოში მოისურვეთ მობრძანება და ლექციების წაკითხვა მოგდომებიათ იმ უნივერსიტეტში, რომელსაც მეცნიერული ავლადიდებისა და შემოქმედების აუცილებელ სიღატაკეს და არსებობის უფლებას ასეთი თავგამოდებითა და შეურყეველი რწმენით უწინასწარმეტყველებდით. ისევ სჯობია თქვენ თქვენთვის ბრძანდებოდეთ და ჩვენ აქამდისაც არ შეგვიწუხებიხართ და, გარწმუნებთ, არც შემდეგში შეგაწუხებთ, დაე, მაშ ჩვენმა მეცნიერულმა მუშაობამ, თუგინდ კეთილშობილ შეცილებისა და მეტოქეობის შედეგებმა, დაანახოს ყველას და პირუთვნელმა ისტორიამ დასდოს თავისი თვალუხვამი მსჯავრი, თქვენ თუ თქვენგან თვალწუნებული ტფილისის უნივერსიტეტის მეცნიერნი არიან მტყუანნი?

პეტერბურგის მეცნიერთათვის ხელის შეშლა არც წინათ მოგსვლია ოდესმე ფიქრად და ეხლაც, მომავალშიაც მრავალგვარ ზემოაღნიშნულ უსიამოვნებისდა მიუხედავად ყოველთვის გულწრფელად მოხარული ვიქნებით პეტერბურგელ მკვლევარის თითოეული თხზულებისათვის, თუ რომ იგი წმინდა მეცნიერული იქნება და არა იმგვარი პუბლიცისტური ხასიათისა, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი პოლიტიკური და კულტურულ-ეროვნული განადგურება ჰქონდეს მიზნად დასახული. თქვენი წერილის დაბოლოვება შემდეგი მრავალ-მეტყველი სიტყვებით გინებებიათ: „თუმც სხვაფრივ მოიაზრე, სულ იგივე და მისივე მსურველი, რასაც თქვენ მიელტვით“-ო. ჩვენთვის ბედნიერება იქნებოდა, ეს გარემოება რომ ყველასთვის ცხადი ყოფილიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, თქვენი ნაშრომების ყველა, თვით არაქართველ, მკითხველსაც სულ სხვანაირად ესმის მთელი თქვენი 1917წ. მერმინდელი მოღვაწეობა და პეტერბურგიდან საგანგებოდ ჩამოტანილი თქვენი მოხსენებანი ჩვენსა და ჩვენი უნივერსიტეტის დაუძინებელ მტრებს, პირიქით, სწორედ თავიანთი ზრახვების სახარებლად, ხოლო ჩვენი უუწმინდესი გრძნობებისა და სულისკვეთების გამანადგურებელ იარაღად მიაჩნია.

დავშთები მაინც მარად თქვენთვის კეთილის მოსურნე ივ. ჯავახიშვილი, 7 დეკემბერი 1923 წ. ქ. ტფილისი“.

ბ) ივ. ჯავახიშვილის მოხსენება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ოთხი წლის თავთან დაკავშირებით წარმოშობისა და დაარსების მოკლე ისტორიით (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივ. ჯავახიშვილის ფონდი 872)[202]

უკვე ოთხი წელიწადია დღეს, რაც ჩვენი უნივერსიტეტი გაიხსნა. ჩვეულებრივ სამეცნიერო ტაძრის არსებობისათვის ეს ისეთ მცირე დროდ უნდა ჩაითვალოს, რომ ასეთ ჟამს წარსულზე ფიქრისა და წარსულის მოგონების მაგიერ მთელი ჩვენი აზრი და გონება მომავალისაკენ უნდა ყოფილიყო მიპყრობილი და მომავალ სამუშაო გეგმებზე და წინამდებარე საქმეზე უნდა გვესაუბრა. რასაკვირველია, ჩვენც მომავალზე ვფიქრობთ (ამ ოცნებით ვიქარწყლებთ ჩვენ თანამედროვე ცხოვრების პირობებით გამოწვეულ დარდებს), მაგრამ ჩვენ მაინც იძულებული ვართ, ჩვენი ნორჩი უნივერსიტეტის ახლობელი წარსული მოვიგონოთ და მისი წარმოშობისა და დაარსების მოკლე ამბავის მოთხრობით შეგაწუხოთ. თუმც ისტორიკოსს თქვენს უმორჩილეს მონას ამ შემთხვევაში ისტორიკოსობა არ ჰსურდა და, მეტსაც მოგახსე-

---

[202] აკად. ივ. ჯავახიშვილის ეს კრიტიკული ნარკვევი სრულად პირველად დაიბეჭდა ჩვენს წიგნში: „ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმვა“, თბ., 2011 წ. (თანაავტორი: ი. ვაშაკიძე). **ნიშანდობლივია:** ივ. ჯავახიშვილის ეს პოლემიკური ტექსტი ჩვენამდე სრულად არავის გამოუქვეყნებია. ზოგადად, მოსაფრთხილებელია წარსული კონფლიქტების „გამომზეურება“, მაგრამ, ქართველოლოგიის ერთ-ერთ შეუცდომელ მამამთავრად ნიკო მარის გამოცხადებით დღესაც მიზანმიმართულად აყალებენ ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკურ ისტორიას და აბუნდოვნებენ ქართველოლოგიის სწორ ორიენტირებს; შდრ.: ნ. მარის საპასუხოდ ივ. ჯავახიშვილი წერდა: **„დაე, მომავალმა ისტორიკოსმა პირუთვნელად განსაჯოს და ღირსეული მსჯავრი დასდოს“**... სწორედ ახალი თაობის მიერ „პირუთვნელი განსჯის“ მიზნით თანამედროვე მკითხველს ვთავაზობთ ამ „დავიწყებულ“ საპოლემიკო მოხსენებასაც და ჩვენს წიგნებსაც: „ქართველები“ (2005), „ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმვა“ (2011 წ.) და **„ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“** (2019 წ.).

ნებთ, არ შეჰშვენიდა, ყველაზე ნაკლებ მე ამაზე მიფიქრია, მაგრამ ერთმა სამწუხარო გარემოებამ მაიძულა დუმილი დამერღვია და ხელში კალამი ამეღო. პროფესორს აკადემიკოსს ნ. მარრს, თუმცა ენათმეცნიერს, მაინც უკისრნია უკვე ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიკოსობა და რუსეთის განათლებული საზოგადოებისა და სამეცნიერო აკადემიისათვის შეუთხზავს კიდეც ამის შესახები მოხსენება, რომელიც ვითარცა წარსულის ძეგლის წერა მისივე თხოვნით სამეცნიერო აკადემიის უწყებებში დართული და დასტამბულია: ჯერ კიდევ ძველმა ქართველმა მეცნიერმა სამართლიანად აღნიშნა, რომ „ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყველი, გამომაჩინებელი აღმწერელისაი საუკუნოდ“ (არსენი, ქადაგებები II, 109), და ვინც აკადემიკოს ნ. მარრის მოხსენებას გადაიკითხავს, უმალ შეამჩნევს მის აღმწერელის ზრახვასა და გრძნობას და თითონაც ადვილად დასდებს მსჯავრს, მაგრამ ვინ გაარჩევს ნებსითსა და უნებლიეთს ცდომილებებს ამ მოხსენების იმ ნაწილში, სადაც ავტორი ისტორიული ძეგლის მწერლობას ჩემულობს, თუ თანამედროვე მკითხველს და მომავალ ისტორიკოსს ამ საკითხის შესახებ თანდამხთურთა, თვითმხილველთა და მონაწილეთაგან აღნუსხული უტყუარი ცნობებიც არ ექმნება ხელთ? სწორედ იმ გარემოებამ, რომ რუსულს ადგილობრივსა და პეტერბურგის დროგამო-შვებითს გამოცემებში ჩვენი უნივერსიტეტის შესახებ ან გამო უკვე არა ერთი მტრული სულისკვეთებით განმსჭვალული ტენდენციური შინაარსის წერილები და მთელი მოხსენებაც კი დაიბეჭდა, თუ არ პასუხის გაცემა, საქმის ნამდვილი ვითარების აღნუსხვას მაინც აუცილებელ საჭიროებად ხდის. **დაე, მომავალმა ისტორიკოსმა პირუთვნელად განსაჯოს და ღირსეული მსჯავრი დასდოს**. ქვემორე მოყვანილი მოგონება ამ სტრიქონების ავტორს მიაჩნია მხოლოდ ერთ-ერთ იმ მასალათაგანად, რომელნიც ჩვენი სამეცნიერო ტაძრის მომავალს ისტორიკოსს სხვათა შორის უნდა ჰქონდეს ხელთ. საითგან, როგორ და როდის წარმოიშვა ჩვენი უნივერსიტეტი, რომელსაც ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეწოდება: აკად. ნ. მარრი რუსეთის დროებითს მთავრობასა და შემდეგ სამეცნიერო აკადემიას უმტკიცებდა, ვითომც აზრი მისი დაარსების შესახებ 1906 წ. შემდგომ

რუსეთის რევოლუციის იმედების გაცრუების უმალ დაბადებულიყოს, თურმე ნუ იტყვით, იგი დაკავშირებული ყოფილა ქართული საზოგადოებრივი აზრის ახალ ეროვნულ ავადმყოფურ, მწვავე ნაციონალისტურ მიმართულებასთან[203].

1906 წ., ნ. მარრის სიტყვით, ეროვნულად მოაზროვნე ქართველ ინტელიგენტთა წრეში დაბადებულა აზრი ქართულ ეროვნულ მეცნიერების შესახებ. ამ, როგორც ეტყობა, უმწეო მდგომარეობაში მყოფს ჯგუფს ნ. მარრისათვის მიუმართავს, რომლისთვისაც მათი სახელით ნ. თავდგირიძეს უთხოვნია ქართული სამეცნიერო აკადემიის წესდება შეგვიდგინეო. ნ. მარრი სდუმს იმის შესახებ, აასრულა თუ არა ეს თხოვნა, მხოლოდ ბუნდოვანად აქვს ნათქვამი, რომ განზრახვა უნიადაგო გამოადგაო:

„Группа лиц из этой среды, в числе их князь Н. Тавдгиридзе, обратились ко мне в Петрограде с просьбой составить проект устава Грузинской Академии Наук, но начинание оказалось беспочвенным в условиях общественного движения того времени" /стр. 1499-1500/.

„Грузинская национальная мысль подверглась тогда тяжкому испытанию ... почувствовав себя разочарованной в русских, ушла в себя .... В широких кругах усилился культ национализма, страсть к преувеличенному демонстративному проявлению национального домогательства. Лишь в .... кружках с серьезными духовными запросами началась работа по национальной культуре, а с ней возрос действительный интерес к научному изучению родного прошлого" /стр. 1497/ .... [г]когда в 1905-1906 годах на Кавказе перебросилось движение в Грузии сословные ... слои, националистически настроенные, оказались как бы не у дела. И однако в их среде витали мысли о национальной грузинской науке" /стр. 1499/.

„Волна интереса к национальной культуре, а с ним вместе и к изучению прошлого не только увеличивалась, но и развилась по более широким кругом. Это отразилось точно на барометре на

---

[203] *„Она связана с новым национальным, получившим, к сожалению, болезненный острый националистический характер, уклоном грузинской общественной мысли" /стр. 149б/.*

составе слушателей факультета Восточных языков: грузины-студенты умножились на армяно-грузинском разряде и составляли главный контингент вообще немногочисленной аудитории, грузинский студенческий научный кружок при факультете под руководством и при живом участии моих учеников – грузин развил интенсивную деятельность по изучению родной культуры, что сказалось на приливе студентов – грузин со всех факультетов и даже студентов грузинок с Высш. женск. курсов на Кавказоведения, но преимущественно грузиноведческие лекции, почему чтение некоторых лекций и мне пришлось перенести из почти пустой аудитории, расчитанной максимум на десяток другой студентов, в полную аудиторию, вмещавшую десятки слушателей и слушательниц" /стр. 1500/.

„Если социалдемократы не могли избавиться от крещения в духе национализма, то этот процесс еще сильнее естественно должны были пережить социалисты – федералитсы, перенесшие центр федерализма с принципа самоуправления .... способного дойти до форм самой широкой автономии, на национальное начало, обосновавшее самоуправление на исторических правах, на известном трактате, и ведущее неминуемо или к разделению Грузии из общекавказского комплекса или в восстановлению былой гегемонии груз. народа над Кавказом вообще. Груз. крыло национального движения усилилось ..... в факте вступления в состав Особого Закавказского Комитета федералиста Киты Абашидзе .... 12 сент. в местных газетах оповещено утверждение высшей властью фактической национализации всех средне – учебных заведений Кавказа" /стр. 1501/.

ნ. მარრს უნდა მოვაგონო, რომ ამ საქმის დამსწრეთა უმრავლესობა ცოცხალია და შეძლიათ დაწვრილებით აღადგინონ ყველაფერი. აკად. მარრს ბევრი რამ დავიწყებია, თორემ მისი მოგონება სულ სხვას გვამცნებდა. ნ. მარრისაგან მოხსენებულ ნ. თავდგირიძის გარდა, ამ საქმის თანდამხთური და თვითმხილველი ვიყავით მე და აწ განსვენებული ალ. ყიფშიძე. თავდგირიძესაცა და მეც შეგვიძლიან ნ. მარრს მოვაგონოთ ის, რაც მას ასე მალე ამოუშვია მეხსიერებითგან. ეს ამბავი სულ სხვანაირად იყო. ნ. თავდგირიძესა და ალ.

ყიფშიძეს ნ. მარრთან სადარბაზოდ მისვლა და ნახვა უნდოდათ. მეც გავყევი და ნ. მარრთან მივიყვანე, რომელიც მაშინ ვასილის კუნძულის მე-4 ხაზზე ცხოვრობდა, ლაპარაკის დროს საუბარი ჩვენი საზოგადოებრივი და სამეცნიერო აზრის სიღარიბეზე ჩამოვარდა. ნ. მარრმა ქართული სამეცნიერო აკადემიის დაარსების აუცილობლობაზე დაიწყო ლაპარაკი: ყველას აქვს სამეცნიერო აკადემია, სომხებსაც კი ლაზარაანთ მონასტერში ერთგვარი აკადემიის მსგავსი დაწესებულება მოეპოვებათ. მარტო ქართველებს არა აქვთ ამნაირი ცენტრიო. ნ. მარრმა დაუმატა, რასაკვირველია, ამას ქონებრივი სახსარი ესაჭიროება, მაგრამ ნუთუ ქართველთა შეძლებული წრეები ასეთი დაწესებულებებისათვის საკმაო ფულს ვერ გამოიღებენო? ნ. თავდგირიძეს ეს აზრი მოეწონა და სთქვა ფულების შოვნა მოხერხდებაო. მაშინ ნ. მარრმა განაცხადა, თუ ეს ქონებრივად მოსახერხებელია, მე ინგლისის სამეცნიერო აკადემიის წესდება მაქვს შინ და იმის მიხედვით ქართულ სამეცნიერო აკადემიის წესდების შედგენას შევუდგებიო. ალ. ყიფშიძეს და ნ. თავდგირიძეს გაეხარდათ და ნ. მარრს წესდების დაწერა სთხოვეს. ჩემთვის მთელი ეს საუბარი მოულოდნელი იყო და თუმცა ნ. მარრის პროექტი სრულებით განუხორციელებელად და უნიადაგო ოცნებად მიმაჩნდა, მაგრამ მაინც მიამა, როდესაც დავინახე, რომ ნ. მარრიც ქართული სამეცნიერო ცენტრის შექმნაზე ოცნებობდა, და ამიტომ გაჩუმებული უსმენდი ამ საუბარს და საწინააღმდეგო არა მითქვამს რა. ხოლო როდესაც აღიძრა, სად შევკრებილიყავით და მოგვესმინა ნ. მარრის მიერ შედგენილი ქართული სამეცნიერო აკადემიის წესდება, მე ჩემი ბინა შევთავაზე იმ იმედით, რომ ჩემთან გარეშე მოულოდნელი სტუმარი ვერავინ შეგვიშლიდა საუბარს, და ასეც გადაწყდა. დანიშნულ დღესა და საათზე ნ. მარრმა, ნ. თავდგირიძემ და ალ. ყიფშიძემ ჩემთან სერგიევის ქუჩაზე მოიყარეს თავი. ნ. მარრი პორტფელით მოვიდა და თან ქართულად დაწერილი სამეცნიერო აკადემიის წესდების პროექტი და ინგლისური სამეცნიერო აკადემიის დაბეჭდილი წესდებაც მოიტანა. საკმარისი იყო ამის თაობაზე დამშვიდებული საქმითი მსჯელობა დაწყობილიყო, რომ საქართველოში სამეცნიერო აკადემიის არსებობის შეუძლებლობა ცხადი გამხდარიყო და თვით ნ. თავდგირიძესაც ამ დაწესებულებისათ-

ვის საჭირო თანხის ჩვენში ერთდროულად შეგროვებისა და კერძო თაოსნობით ყოველ წლიურად გამოღების შეუძლებლობა აღეარებინა. ამნაირად ჯერ კიდევ ქართული სამეცნიერო აკადემიის დაარსების შესაძლებლობის შესახებ მსჯელობის დაწყებამდე ამ პროექტის უნიადაგობა ცხადი შეიქმნა. რაკი აკადემიის ქონებრივად არსებობის უზრუნველყოფის შეუძლებლობა გამოირკვა, სხვა თვალსაზრისით ეს საკითხი უკვე აღარ განხილულა და ნ. მარრმა თავისი პროექტი და წიგნი ისევ აბგაში ჩაალაგა. თუ ამ უქაღალდობის დროს ის ფურცლები, რომელზედაც ეს წესდება ეწერა, სხვა მიზნით არ გამოიყენა, შემდგენელი პროექტს თავის ქაღალდებში, უეჭველია, იპოვის.

ზემო ნათქვამითგან ცხადია, რომ აზრი ქართულ სამეცნიერო აკადემიის დაარსების შესახებ ქართველ ინტელიგენტთა ერთ ჯგუფს კი არ ეკუთვნის, როგორც შეცდომით ნათქვამი აქვს ნ. მარრს, არამედ სწორედ მისივე საკუთარი აზრია და მისივე თაოსნობა, ამის დადასტურება, დარწმუნებული ვარ, ნ. თავგირიძესაც შეუძლიან. ეს ამბავი შემდეგში ჩემ მახლობელ მოწაფე სტუდენტებისათვის არა ერთხელ მიამბნია და როდესაც 1917 წ. სექტემბერში პეტერბურგითგან ცნობა მოგვივიდა, რომ აკად. ნ. მარრი ჩვენი უნივერსიტეტის მოწინააღმდეგეთა – ბანაკის ბელადად არის, მე უნებლიეთ გამახსენდა ზემომოთხრობილი ამბავი ჩვენ პროფესორთა წრეში და **გაოცებული ვიყავ, რომ ის ადამიანი, რომელმაც 1906 წ. ქართულ სამეცნიერო აკადემიის დაარსება იკისრა, ათი წლის შემდგომ ქართული უნივერსიტეტის დაარსების გააფთრებულ მოწინააღმდეგედ იქცა. ისეთი რა მოხდა ამ ხნის განმავლობაში, რომ ნ. მარრის აზროვნება ასე ძირიანად შესცვალა?**

შეუძლებელია ეს გარემოება მარტო 1917 წ. რევოლუციის შედეგი იყოს. 1906 წ., როდესაც ნ. მარრს ქართული სამეცნიერო აკადემიის დაარსება საჭიროებად მიაჩნდა, ის რუსეთის სამეცნიერო აკადემიის წევრად არ ითვლებოდა, არამედ მხოლოდ პროფესორად. მაშინ მას აკადემიკოსად არჩევის იმედიც – კი არ ჰქონდა და ამ აკადემიას თავისებური ენამახვილობით დასცინოდა. ამ დროს ქართულ სამეცნიერო აკადემიის არსებობასაც მისთვის მნიშვნელობა ჰქონ-

და. **შემდეგ კი, როდესაც დიდი ხნის ნატვრა აუსრულდა და აკადემიკოსობას ეღირსა, ეხლა ქართულ სამეცნიერო ტაძრის დაარსება უკვე მას არამც თუ საჭიროდ არ მიაჩნია, მის თავშეუკავებელ მრისხანებასაც კი იწვევს.** ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების აზრს მაშინ არაფერი საერთო არ ჰქონია იმ მართლაც სრულებით უნიადაგო წინადადებასა და პროექტთან, რომელიც თვით პროფ. ნ. მარრს ეკუთვნოდა.

საკმარისი იყო ტფილისში ყური მოეკრათ ქ-ლ კერძო უტის დაარსებაზე საუბრისა და ხმებისათვის, რომ მაშინვე ადგილობრივს არა ქართულს წრეებში და დროგამოშვებით გამოცემებში ალიაქოთი ატეხილიყო. 18 ივნისს, 1917 წ. რუსულ გაზეთ „რესპუბლიკა"-ში (№16) ჯერ ხელმოუწერელი მეთაური გაურკვეველი და ბუნდოვანი შინაარსის წერილი „Практические планы, науки и национальнный вопрос" დაიბეჭდა, რომელიც შორითგან უვლიდა საკითხს. ერთი დღის შემდგომ მოთავსებული იყო უკვე სრულებით გარკვეული შინაარსიის წერილი ალ. სელიხანოვიჩისა, რომელიც ტფილისის ქალთა კურსებზე კითხულობდა ლექციებს „Проблема Высшего образования на Кавказе" (№17, 19 ივლისს, 1917 წ.), სადაც ნათქვამი იყო: „У"-т на Кавказе должен ..... идти навстречу национальным стремлениям народностей Кавказа. Школа и национальность теснейшим образом связаны. В школе изучается родной язык, усвоивается начала национльной культуры и разрабатывает национальное самосознание. Естественно, что всякая национальность хочет иметь свою школу: свои нач. училища, свои гимназии и свой университет. Мы знаем, что грузинские ученые озабочены немедленным открытием груз. университета в Тифлисе, учреждается в Тифлисе и армянский научный институт, который может стать основой для будущего армянского университета. Эти стремления ...нужно приветствовать и всячески поддерживать. Но ...должны ли быть эти национальные школы обособленными ...нет, ...первый Кавказский университет должен стать федеративной республикой всех ученых и всего учащегося юношества Кавказа" / Республика 1917 г. # 17/ .

იმავე გაზეთის № 20-ში (22 ივლისს) კვლავ მეთაური წერილი იყო „Высшая школа на Кавказе", რომელშიაც უცნობი ავტორი ამტკიცებდა, რომ ტფილისის ქალთა კურსები, უნი-

ვერსიტეტად გადაკეთებული, უნდა არსებობდეს, იმის და მიუხედავად, რომ ტფილისში ახალი უმაღლესი სასწავლებელი არსდებაო. ყველანი და, მათ შორის, პოლიტიკური პარტიებიც მოვალენი არიან მას დაეხმარნენო. ახმაურდა ქართულ უ-ტის დაარსების განზრახვის გამო აკად. ნ. მარრიც, რომელმაც იმავე გაზეთში (№ 29) მოათავსა წერილი „Без университета Кавказское будущее в опастности".

ხოლო 9 აგვისტოს იმავე რესპუბლიკა-ში (№ 31) მისივე მეორე წერილის გაგრძელება დაიბეჭდა: „От далекого прошлого Кавказа к его будущему П. О родном Восточном гуманизме".

აკად. ნ. მარრმა რუს. გაზეთ „რესპუბლიკაში"-ში (1917 წ. 9 აგვ. № 31) მოათავსა ანისის ნაქალაქევში 24 ივლისს დაწერილი მეორე წერილი:„О родном Восточном гуманизме" / От далекого прошлого Кавказа к его будущему/, რომელშიაც თუმცა ქართული უნ-ტის დაარსების ავკარგიანობის შესახებ კრინტიც – კი არ იყო დაძრული, მაგრამ მაინც ცხადად ეტყობა, რომ მხოლოდ ამით არის გამოწვეული.

„Прошлое Кавказа .... очень сложно. Будущее его еще более сложная загадка: оно усложнено вкладом XIX-го и переживаемого нами момента XX-ти веков принесших в дополнение и развитие основ Кавказских цивилизаций вместе со многими сейчас не учитываемыми положительными явлениями новые общественно – творческие начала. Первые из них – демократизация просвещения и свобода самоопределения. Однако для исторических народов Кавказа самоопределение в условиях нового времени сводится к трудной задаче, к необходимости сопределить свои национальные идеалы, переоценить свое прошлое и построить свою новую жизнь не на местных реставрационных основаниях, не с возвратом к прошлому, а с неослабным устремлением вперед к общечеловеческому идеалу, к широким и светлым перспективам будущего. Реальные условия, сложившиеся на Кавказе и укрепившиеся за XIX в. Также не могут быть отброшены, и следовательно, игнорируемы как и культурные стяжения Кавказских народов за ту же эпоху".

„Надо считаться с историческими реальностями. Культурная история Кавказа не только существует, не только может быть безнаказанно отрицаема и отвергаема, как это делала бюрократия нашего режима, она вовсе не так проста, чтобы, не дав удовлетворения реальным запросам, направлять судьбы края по чьему велению, как повидимому, рисуется это наличным общественным организациям в свете тех или иных религиозных учений, националистических построений или специально экономических доктрин. Сведение строительства Кавказа до простых шаблонных формул приведет к катастрофическим разочарованиям.“ / Н. „Марр, там-же „Республика“ 1917 г. № 31 „О родном Восточном гуманизме“ /. „Республика“ არ სცხრებოდა და 26 აგვისტოს № 45-ში ლ. ლ. წერილი იყო მოთავსებული:„ Новый тип высшей школы на Кавказе в связи с ролью Тифлиса в будущем“, სადაც ავტორი ამტკიცებდა, რომ კავკასიისათვის საუკეთესო იქნებოდა შეერთებული პოლიტეხნიკუმ – უტი გახსნილიყო.

აზრი ქართული უნივერსიტეტის დაარსების შესახებ ნ. მარრის ფიქრით იმ ნაციონალისტური მიმართულების ნაყოფია, რომელსაც, თუმცა არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც ჰსურდა განახლებულ რუსეთისათვის ანგარიშის მოთხოვნა, რომელსაც თურმე რუსეთში თავისუფლების სულის ჩაქრობა შეეძლო . რატომ?- უნებლიეთ იკითხავს ადამიანი. ნუთუ ქართული უნივერსიტეტის დაარსება რუსეთისათვის ასეთი საბედისწერო რამე უნდა ყოფილიყო? ქართული უნივერსიტეტის დაარსება მას ქართველთა ავადმყოფური ეროვნული გრძნობის წარმონაშობად ეჩვენებოდა, იმ უკიდურეს ნაციონალისტთა საქმედ, რომელთაც სასწავლებელში უცხო ენის ბატონობა ერისათვის გადამაგვარებელ გარემოებად მიაჩნდათ და სასურველად სთვლიდნენ, მეცნიერებაც დედაენაზე შეეთვისებინათ, რომელთაც ლექსიკონშიაც – კი ქართული სიტყვების განსამარტავად რუსულის ხმარება ქართული აზროვნობისათვის მავნებლად მიაჩნდათ.

„В начале лета, в июне, армяне обсуждали в Тифлисе вопрос об учреждении армянского Университета в столице Кавказа, в первую голову факультета Восточных языков или, вернее, разряда

армяноведение. И у них поскольку я мог разяснить себе из обмена мнений на двух совещяниях на котором я был приглашен, также имеются в виду постановка преподавании не по научной классификации а по националистическому подбору кавказоведных дисциплин" /стр. 1505 – 1506/.

Рядом с грузинами взяться за учреждение Университета в Тифлисе склонны и армяне ... правда также, что неизвестно и то, где будет после войны центр армянской культурной жизни, не в Ване – ли? Но мимоходом отдельные органы и отдельные не особенно близко у национального дела стоящие группы армян предлагают организовать или организуют уже некоторые предприятия интересующагося нас порядка. Так, недавно в армянской печати было сделано предложение перенести на Кавказ в район коренного армянского населения Лазаревский институт из такого культурного центра, как Москва, в Эривань, пустыню в культурном отношении, понизить уровень его просветительной работы и лишить ею благотворного ... значения для армян" /стр. 1505/.

6 июня (24 мая) 1918 года, IX заседание экстраординарное: „я считаю своим долгом указать ... на необходимость скорейшего создания в России университета с новым типом историко-филологического факультета, раз этого нельзя сделать в Тифлисе, по видимому представляемом реставрации грузинского традиционно–национального строительсва до русского владычества, то в каком либо центральном пункте предкавказья, легко доступном для всего действительно прогрессивно настроенного населения Кавказа, интересующее более развитием налаженного уже приобщену к культуре и его углублением..."

„здесь попутно выяснилось чрезвычайно показательное явление у армян с их давнишними автономными правами на национальную школу и сеть построенных на так называемых национальных началах средних учебных заведений, именуемых семинариями и училищами разных типов, с национальной Духовной Академиею в Эчмиадзине, находившихся по идее в полном и неограниченном управлении самого армянского народа, оказалось меньше научных сил на месте для ведения национально конструированной высшей школы, чем у грузин, главной массой воспитывавшихся в русской

школе обычного типа и в своих даже всего на всего двух национальных гимназиях груз. дворянство, терпевших гнет государственного контроля и государственного языка в качестве, преподавательского. У армян не оказалось специалистов ученых в сколько нибудь достаточном числе даже по национальным дисциплинам“ / стр. 1506/.

სწორედ მათი საქმე ყოფილა, რომ საშუალო სასწავლებლების გაეროვნულება ქართული უნივერსიტეტის დაარსებით უნდა დამთავრებულიყო. აკად. ნ. მარრს ნაგულისხმევი ჰყავს ამ შემთხვევაში ის პატარა, 9 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელმაც პატარა საპროგრამო წიგნაკი დაბეჭდა „ქართული ლექსიკონის შესახებ“, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: „ლექსიკონი ყოველი ქართველისათვის უნდა იყოს გასაგები, ისეთისათვისაც – კი, რომელმაც ქართულის მეტი სხვა ენა არ იცის. რუს. – ქართული, ფრანგ. – ქართული, გერმ. – ქართული მხოლოდ მცირე რიცხოვან მუშაკთა ჯგუფისათვის არის საჭირო, ხოლო თუ იგი საყოველთაო სახმარებლად იქნება განკუთვნილი, ჩვენი გადაგვარების იარაღად იქცევა იმიტომ, რომ მკითხველს უცხო ენაზე შეაჩვევს აზროვნებას და ადამიანს მეტად მავნებელსა და ყალბს შეხედულებას ჩაუნერგავს გულში, თითქოს დედაენის შეგნებისათვის უცხო ენის ხმარება აუცილებელი იყოს“ (გვ. 5). ეს დებულება ნ. მარრს სრულ შეცდომად მიაჩნია. ის თანახმაა კიდეც ქართველებს ეროვნული დაწყებითი სკოლები მისცეს.[204]

---

[204] *„Способ действия может вытекать из существующего по глубокому недоразумению в той – же среде убеждения, что пользование не грузинской речью в научном изложении грузиноведных дисциплин... затемняет языковую психологию грузинского народа. Если – бы речь была о преподавании не на родном языке в начальных школах, то спора здесь не могло быть, но упомянутая теза в применении к высшей школе... мало того, что теоретически несостоятельна, ...приводит к полному извращению истинного положения вещей . “/стр. 1504/.*

უმაღლეს სასწავლებელში დედაენის ხმარება მაინც და მაინც საჭიროდ არ მიაჩნია, რომ ზემომოყვანილი აზრი უფრო შეუწყნარებლად წარმოედგინა რუსეთის უმაღლეს წრეებისათვის. ის ამ აზრს ამახინჯებს და ამტკიცებს, ვითომც მას ადამიანი იმ დასკვნამდის მიჰყავდეს, რომ არა ქართველს ქართულის შესწავლა არ შეეძლოსო.

ასეთ დებულებას ის, რასაკვირველია, დიდის რიხითა და ძლევამოსილებით არღვევს, თითქოს ამით ახალს რამეს მეტყველებდეს: მთელ თანამედროვე წარმატებას აღმოსავლეთის შესწავლაში ევროპიელებსა და მათ შორის რუსებსაც უნდა ვუმადლოდეთ და ამ მხრივ არც კავკასიის შესწავლის სფერო წარმოადგენს გამონაკლისსო. საითგან და როგორ გამომდინარეობს ესოდენ უცნაური დასკვნა, როდესაც იმ ჯგუფს ნათლად აქვს ნათქვამი, რომ „ადამიანს ... ყალბს შეხედულებას ჩაუნერგავს გულში, **თითქოს დედაენის შეგნებისათვის უცხო ენის ხმარება აუცილებლად საჭირო იყოსო. ეს ალბად აკად. ნ. მარრის ლოღიკური მსჯელობის საიდუმლოებას შეადგენს.** სხვა არა იყოს რა, მე თითონ მისწავლებია გერმანიაში გერმანელისათვის ქართული და ეს აკად. ნ. მარრმაც იცის იმიტომ, რომ ჩემმა ნამოწაფარმა იოანე საბანისძის თხზულების გერმანული თარგმანი დაბეჭდა კიდეც და ასეთი უგუნურების თქმა რომელს ჩვენგანს შეეძლო? თუ ამის და მიუხედავად ის სხვის აზრის დამახინჯებას კადრულობდა, ალბად სხვა საბუთიანობის ნაკლებობით უნდა აიხსნებოდეს.

მაგრამ რამდენადაც ცხადია, არც ერთს შეგნებულს ქართველს და მით უმეტეს ჩვენი უნივერსიტეტის აღმშენებლობის რომელსამე მონაწილეთაგანს ფიქრადაც არ მოუვიდოდა ეთქვა, რომ არა ქართველს ქართულის კვლევა-ძიება არ ძალუძსო, ამდენად, სამართლიანობა გვავალებს აღვნიშნოთ, რომ ნ. მარრი მართალს არ ბრძანებს, როდესაც კავკასიის ჰუმანიტარულ შესწავლას ევროპიელებსა და მათ შორის რუსეთსაც მიაწერს. ცოტაოდნად ამის თქმა კიდევ სომხეთისა და სომხურის დასავლეთ ევროპიელთა მიერ შესწავლის შესახებ შეიძლება, მაგრამ რუსებს აქაც არა გაუკეთებიათ რა, ქართული ენისა და ისტორიის შესახებ – კი შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ დაუვიწყარ ფრანგ მეცნიერ აკად. მარ-

რი ბროსეს გარდა, არც დასავლეთელს და მით უმეტეს რუს მეცნიერთაგანს არავის არა გაუკეთებია რა. კარგა ხანია უკვე რაც აღნიშნული აქვს ეს პროფ. აკად. ვ. ბარტჰოლდს, რომლის პირუთვნელობის ეჭვი რასაკვირველია არც ნ. მარრს ექმნება, რომ: „Обзор русских трудов по изучению Востока показывает, что русской наукой в этом отношении достигнуты, особенно в XIX веке, значительные успехи, но что эти успехи большей частью все-таки далеко не соответствуют тем ожиданиям, на которые, казалось бы, дают право географическое положение России, состав её населения и труд длинного ряда поколений со времени Петра Великого. Несмотря на достигнутые успехи, состояние русского востоковедения, как и русской науки вообще, все-таки является красноречивым доказательством общей усталости русской культуры" / История изучения Востока в Европе и в России. СПБ 1911г. стр. 256/. „Заключение истории Грузии митроп. Евгения, составленное ....по сведениям... находившихся в то время в Петербурге „грузинских посланников и депутатов" .... Броневского, ...А.Н. Муравьева и некоторых других трудов, работы по Кавказоведению в России следующих десятилетий производилось главным образом иностранными учеными"/Там же, 254/; „Преподавателями языков армянского и грузинского в университетах со времени кафедры этих языков, всегда были природные армяне и грузины.... Ученым армянского и грузинского происхождения русская наука обязана как распространением в России научных взглядов, выработанных в армянских и грузинских кругах, так и впоследствии исправлением этих взглядов, на основании методов Европейской науки. Ими же были определены новые научные задачи грузиноведения и армяноведения" / там же, стр. 255/.

„Если историко–филологические дисциплины, занимающиеся разработкой армянских и грузинских материалов, не удается довести до той ступени развития, какой эти материалы заслуживают и какой достигли другие Востоковедные области, то в значительной степени повинно в этом, как не раз приходилось высказываться печатно с фактическими доводами, хорошо известное обстоятельство: большинство работников по Кавказоведению – представители

народов, объектов исследования, и они независимо от трудности по существу самонаблюдения и самооценки – вообще „познания себя", попадают в безвыходное положение, в виду как общего современного культурного состояния Кавказских народов, так особенно захватывающих их целиком жизненных политических проблем: и раз обостряются национальные отношения Кавказской жизни в условиях чрезвычайной запутанности, они, естественно, психологически не способны стать на вполне объективную научную точку зрения в разрабатываемых ими специальностях, до сих пор для них нет собственно историко – филологической области Востоковедения по Кавказу, а националистически in majorem gloriam данного народа воспринимаемые: армяноведение и грузиноведение". /стр. 1504 – 1505/.

თუ ისტორიკოს ნ. მარრს დავუჯერებთ იმ გვარადვე, როგორც ქართულ სამეცნიერო აკადემიის დაარსებისათვის ქართველ უსაქმურ ინტელიგენტთა ჯგუფს ნ. მარრისათვის უნდა მიემართათ, ამგვარადვე ქართული უნივერსიტეტის დაარსებისა და აგებულობის დედა აზრი უნებლიეთ მის, აკად. ნ. მარრის პიროვნებასთანვე ყოფილა დაკავშირებული. მისი სიტყვით, ამ დედა აზრის ძირითადი და ორიგინალური ნაწილი თურმე მის ქართველ მოწაფეებს ჩამოუტანიათ ტფილისში. უნივერსიტეტის სამეცნიერო მხარე მხოლოდ და მხოლოდ მისი, ნ. მარრის სამეცნიერო მსოფლმხედველობის ქართულ ნიადაგზე გადმონერგვის უხეირო ცდა ყოფილა. როგორც მოსალოდნელიც იყო, ეს ნ. მარრის მსოფლ-მხედველობა რასაკვირველია რუსული სამეცნიერო მსოფლმხედველობა ყოფილა და რაც ქართულ უნივერსიტეტს თავის მომავალი მოღვაწეობის გეგმაში შეტანილი აქვს, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტზე ვითომც დიდი ხანია უკვე განხორციელებული ყოფილა.[205] იხ. გვ. 1501-1502.

---

[205] *„Идея же сама и конструкция грузинского университета, если не вся, то в основной оригинальной её части, принесена в Тифлис, судя по программе, из Петербурга, из круга моих учеников грузин /стр. 1501/. „Формально вся схема общей постановки этой части научного*

ყველაფერი, რაც ჩვენი უნივერსიტეტის სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტის პროგრამაშია შეტანილი, ვითომც აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტზე უკვე წაკითხული ყოფილიყო. თუნდაც რომ ასეც იყოს საქმე. განა კარგი საქმის მიბაძვა ცუდი რამეა? მაგრამ საქმეც ის არის, რომ ნ. მარრის სიტყვები მართალი არ არის და ამას ვერც როდის ვერ დაამტკიცებს.

ნ. მარრი ბრძანებს, ვითომც ჩვენი პროგრამის დებულებანი პეტერბურგის უნივერსიტეტის იმავე ფაკულტეტის სასწავლო გეგმისა და მიმოხილვისაგან ყოფილიყოს ნასესხები იმ განსხვავებით, რომ აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტის პროგრამაში ყველგან ნახმარი „იაფეტურის“ მაგიერ განზრახ ნაციონალისტური ზრახვების განსახორციელებლად „ქართული“ ყოფილიყო აღნიშნული.[206]

ეს ისეთივე საქციელია, რუსულ სასწავლებლებში რომ სლავურის ან ინდოევროპულის მაგიერ ყველგან რუსული

дела по уставу грузинского университета представляет попытку провести в жизнь в грузинской среде наше понимание, я бы сказал, русское научное понимание реально – филологического изучения переднеазиатского мира .... Это научное понимание возможно в более, чем полувековой работе факультета Восточных языков, является сколком того, что удалось осуществить реально или наметить программно для ближайшего осуществления на названном факультете“ /стр. 1502/.

[206] *„Все, выдаваемое за неслыханную новость, давно не только намечено, но осуществлено и осуществляется в Петрограде на факультете Восточных языков, из программы которого и обозрений преподавания и заимствованы все термины, кроме одного. Изгнан термин „яфетический“ и вместо него введен „грузинский“, чтобы в националистических целях придать видовому термину „грузинский„ такое родовое значение, как если бы в русской школе и в русской науке установили термин „русский“ употреблять вместо термина „славянский“, более того – вместо термина „индоевропейский“ /стр. 1502 – 3/.*

ეხმარათო (იქვე). ნ. მარრის უკანასკნელი სიტყვები სრულს გაუგებრობას წარმოადგენს და სწორედ გასაოცარია, რომ მას ასეთი რამის დაწერა შეეძლო. ჩვენი უნივერსიტეტის წესდების განმარტებითს მოხსენებაში, როგორც ნ. მარრსაც აღნიშნული აქვს, ეწერა, რომ სიბრძნისმეტყველების ფ-ტზე თანდათანობით მოეწყობა ლექციები ქართული ენათმეცნიერების, ქართული დიალექტოლოგიისა და კავკასიის მეცნიერების შესახებ, ქართული არქეოლოგიისა, ეპიგრაფიკისა და პალეოგრაფიისა, საქართველოს ეკონომიკური ისტორიისა, საქართველოს საეკლესიო ისტორიისა, ქართული ხელოვნების ისტორიისა, სპარსულ- ქართულის, ბერძნულ-ქართული, სომხურ-ქართული და ოსმალურ-ქართული მწერლობის ისტორიის შესახებ. სად შეიძლება ყოფილიყო აღმოსავლეთ ენების ფ-ტის პროგრამაში იაფეტური ნახმარი, რომელიც ჩვენს პროგრამაში ქართულად ყოფილა მონათლული? მხოლოდ იაფეტურ ენათმეცნიერებასა და დიალექტოლოგიაში. **მაგრამ საითგან წარმოიდგინა ბ-ნმა მარრმა, რომ ქართულ ენათმეცნიერებასა და დიალექტოლოგიას ნ. მარრისებურ იაფეტურ ენათმეცნიერებასა და დიალექტოლოგიასთან რამე საერთო ექმნება?** ხოლო თუ სიმართლის გაგონება ჰსურს ნ. მარრს, ჩვენ კი არ განგვიდევნია ტერმინი იაფეტური, არამედ **სწორედ მან განდევნა და სდევნიდა, რეალური ერთეული, ისტორიულად და ეხლაც არსებული ტერმინი ქართული და თავისი ჩვეულებრივი ჟინიანობით ყველგან ქართულის მაგიერ შემოიღო თავისგან შეთხზული და მოგონილი, მის ავტორისათვისაც – კი გამოურკვეველი ერთეულისა და ავადებადი ცნების გამომხატველი ტერმინი იაფეტური.** ქართული ენის შესახები შრომებიც – კი, როგორიც ი. ჭყონიას და ვ. ბერიძის სიტყვის კონები და აკ. შანიძის ხევსურული კილოა, მან იაფეტურ ენათმეცნიერების მასალების სერიაში მოაქცია, როდესაც მხოლოდ და მხოლოდ ქართული ენათმეცნიერების მასალები იყო. მოვაგონებ, რომ ამ საკითხში მას მარტო ჩვენისთანა, „ნაციონალიტები“ – კი არ ეკამათებოდნენ, არამედ თვით სხვა აკადემიკოსებიც, რომელთაგან **კარლ ზალემანი ურჩევდა მას ქართული ენათმეცნიერების სერია ეწოდებინა.** მაგრამ მან ჟინიანობით თავისი გაიყვანა და სწორედ მანვე

და არა ჩვენ ხშირად ნამდვილი ტერმინი ქართულის მაგიერ იაფეტური შემოიღო და ქართული განდევნა. იაფეტური ენათმეცნიერება ნ. მარრის პირადი მონოპოლიაა და დამშვიდებული ბრძანდებოდეს ბ-ნი აკადემიკოსი; არც ერთ ჩვენგანს ქართული ენათმეცნიერება და დიალექტოლოგია მარისებურ იაფეტურ ენათმეცნი-ერებად არ ჰქონია განზრახული.

მართალი არ არის ნ. მარრი, როდესაც ამტკიცებს, ვითომც ჩვენი უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფ-ტის პროგრამა სწორედ მის რუსულ მსოფლმხედველობისა და აღმოსავლური ენების ფ-ტის გეგმის მითვისება იყოს მის ყოფილ მოწაფეთაგან. ჯერ ერთი, ახალი გაგონებაა რომ ყველაფერი, რაც აღმოს. ენების ფ-ტზეა, ნ. მარრის მსოფლმხედველობა ყოფილიყო. არც მისია და არც განსაკუთრებული რუსული რამეა ამ პროგრამაში იმ გვარადვე, როგორც ჩვენ ფიქრად არ მოგვსვლია იგი ქართულ მსოფლმხედველობად მიგვეჩნია და მით უმეტეს გაგვესაღებინა. მას რომ ჩვენი სიბრძნისმეტყველების ფ-ტის სასწავლო გეგმა გადაეკითხა, თავის თვალით დარწმუნდებოდა, რომ აღმოსავლური ენების ფ-ტზე ამის მსგავსი არაფერია. ამით მე იმის თქმა არ მსურს, რომ ჩვენ ვისიმე გაკვირვება გვსურდეს, ლაპარაკი აქ მხოლოდ პროგრამის ერთგვარ თავისებურებაზეა. ის ზოგიერთი მსგავსება, რომელიც ჩვენს პროგრამასა და აღმოს. ენების პროგრამასა და კურსებს შორის არის, იმით აიხსნება, რომ აღმოს. ენების ფ-ტმა თავის დაძველებულს გეგმაში ზოგიერთი ცვლილება შეიტანა 1906-7 წ. ამავე ფ-ტის პრივანტ დოცენტთა წრის მიერ შემუშავებული გეგმისა და პროგრამის თანახმად. ამ წრეში ნ. მარრი, ვითარცა პროფესორი, არც წევრად ითვლებოდა და არც რაიმე მონაწილეობა მიუღია მის მუშაობაში. არც განსაკუთრებით რუსული ელფერი ჰქონია ამ წრის მუშაობას, რათგან 2-3 რუსის გარდა, პოლონელი და ერთი ქართველიც მხურვალე მონაწილეობას იღებდენ ამ პროგრამებისა და გეგმების შემუშავებაში. როდესაც ეს გეგმა ფ-ტში იყო შეტანილი, პროფ. ნ. მარრი, მართალია, მისი სხვებზე უფრო მეტი მომხრე და მოსარჩლე გამოვიდა და მის ნაწილობრივ მიღებას ხელი შეუწყო, მაგრამ ფ-ტის ამ კრებების დამსწრეთ და მათ შორის ყველაზე მეტად ნ. მარრს კარგად ეხსომებათ, რაოდენი წინააღმდეგობა გაუწია ფ-ტის პროფესორ წევრთა უმრავლესობამ ამ გეგმას

და რამდენი ბრძოლა იყო საჭირო, რომ გეგმის ზოგიერთი რამე მაინც ფ-ტს დაედასტურებინა. 1917 წ. გაზაფხულამდე, როდესაც მე პეტერბურგითგან წამოვედი, ფ-ტის პროგრამა და სასწავლო გეგმა ჯერ კიდევ დაუმთავრებელ და ჭრელ სურათს წარმოადგენდა.

მეორეს მხრით თუ ზოგიერთი (და არა ყველა, როგორც ნ. მარრი ბრძანებს) კურსთაგანი ჩვენს უნივერსიტეტში წაიკითხებოდა და იკითხება კიდეც, აღმოს. ენების ფ-ტეტის მიმოხილვაშიც შეიძლება ადამიანს ენახა და თვით ლექციებიც იკითხებოდა, ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ამ ლექციების პეტერბურგში მკითხველნი სწორედ ის პირნი იყვნენ, რომელნიც ჩვენი უ-ტის სიბრძნისმეტყველების ფ-ტის წევრად გახდნენ და მის აღმშენებლობაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს და, რასაკვირველია, ისინი ჩვენს უ-ტში სხვათა შორის ამ ლექციებსაც წაიკითხავდენ. თვით რუსეთში – კი და არა სხვაგან სადმე ამ ლექციებს ახლო მომავალში მაინც ვერავინ წაიკითხავდა.

ეს მშვენივრად იცის ნ. მარრმაც და თვით მასაც აღნიშნული აქვს, რომ ამ კურსების წაკითხვა არც კავკასიაში და არც სხვაგან სადმე შეუძლიან ვისმე იმათ გარდა, რომელნიც ქართული უნივერსიტეტის აღმშენებლობაში მონაწილეობას იღებდენ, წინათ – კი პეტერბურგში მუშაობდენ აღმოსავლეთ ენების ფ-ტზე. „Грустная правда ..... содержится в .... строках .... уже приведенных нами in extenso отрывке из объяснительной записки о якобы нигде не читавшихся и даже не намечавшихся новых курсах и т.п. Дело в том, что на всем Кавказе и вообще вне Петрограда нет никого, кто бы был подготовлен читать эти курсы. И так как я не имею основания не верить, что курсы эти все таки будут добросовестно читаться в грузинском университете в Тифлиссе, то следовательно речь идет об исходе из факультета Восточных языков тех единственных пока специалистов, которые могут читать и читают эти именно курсы на нем" /стр. 1503/.

მაგრამ ნ. მარრი სცდება, როდესაც ფიქრობს და წერს, ვითომც ჩვენს უ-ტში ყველაფერი მის ყოფილ მოწაფეების მოწყობილი იყოს და სიბრძნისმეტყველების ფ-ტზეც მხოლოდ ის იკითხებოდეს, რაც პეტერბურგში. მე მგონია, ნ. მარრიც ვერ უარჰყოფს, ჯერ ეს ერთი, რომ აღმოს. ენების

ფ-ტზე არას დროს საქართველოს საეკლესიო ისტორია, ქართული სასულიერო მწერლობის ისტორია, ქართული ხელოვნების ისტორია, ქართული პალეოგრაფია, დიპლომატიკა, მეტროლოგია, ნუმიზმატიკა და ქრონოლოგია, სომხური საისტორიო მწერლობის ისტორია, ოსური ენათმეცნიერება და ბევრი სხვაც, რაც ეხლა ჩვენთან იკითხება, არას დროს ჯერ არ წაკითხულა. მეორეც ისა, რომ პროფესორთაგანი არა ერთი და ორია ისეთი, რომელიც არც მისი მოწაფეა და საზოგადოდ პეტერბურგის უ-ტშიაც არ უსწავლიათ.

აკად. ნ. მარრი ბრძანებს, რომ ვითომც და მისი მსოფლმხედველობის მიმთვისებელი და საქართველოში გადმოსული მოწაფეები ნაციონალისტ-რომანტიკოსები და უნიადაგო თეორეტიკოსები ყოფილიყვნენ, რომელთაც კავკასიის ცხოვრების საერთაშორისო საზომით გათვალისწინებულ პირობებისა თურმე ცოტა რამ გაეგებათ. ისინი თავის მასწავლებელს დაჰშორებიან როგორც საქართველოს კულტურული ინტერესების საკითხში, ისევე წმინდა მეცნიერულ ნიადაგზეო (გვ.1501-1502).[207]

მე მგონია ცხოვრებამ საკმაოდ გამოარკვია, ვინ გამოდგა უნიადაგო თეორეტიკოსად და კავკასიისა და საქართველოს პირობების უცოდინარად, რასაკვირველია, თუ უხეშ სამხედრო ძალას თავის გაცრუებული იმედებისა და მართლაც რომ გეგმების განმამტკიცებელ და გამამხნევებელ გარემოებად არ მიიჩნევს. ხოლო მასა და ჩვენ შორის მომხდარს პრინციპიალურს უთანხმოებასა და განსხვავებებების შესახებ, შემიძლია მოვახსენო, რაკი ამაზე საუბარი საჯაროდ თვით ინება, რომ ჩვენ შორის მართლაც დიდი ხანია ერთგვარ ნიადაგზე აღმოცენებული შეუთანხმებლობა იყო, მაგრამ მხოლოდ ეხლა, როდესაც ჩვენ, სამ-

---

[207] *„Из круга моих учеников грузин идеалистически или точнее национально-романтически настроенных, но жестоких теоретиков, плохо знающих реальную жизнь Кавказа, в ее международном масштабе и разошедшихся с нами не только в понимании культурных интересов Грузии, но и чисто научных задач гуманитарного Кавказоведения" /стр. 1502/.*

წუხაროდ, დაგვიანებით მისი უკანასკნელი 1917-1918 წ. მოღვაწეობის ძეგლები გადავიკითხეთ, **ცხადი შეიქმნა, რომ ჩვენსა და ნ. მარრს შუა სრული უფსკრული ყოფილა და მიკვირს, რომ იმის შემდგომ, რის დაწერაც მან იკადრა,** ჩვენ, თბილისის სახელმწიფო უ-ტის აღმშენებლობის მონაწილენი, თავის მოწაფეებად, ხოლო თავისი თავი მოძღვრად მიიჩნია. მოძღვარ-მოწაფეობა სამეცნიერო სფეროში სულიერ ნათესაობასა და თანხმობაზე უნდა იყოს დამყარებული. ნ. მარრის ნაწერებითგან კი ცხადადა ჩანს, რომ ჩვენი უწმინდესი სულისკვეთება და უძვირფასესი გულისნადები, ჩვენი წლობით ნაფიქრი ოცნება მისთვის გაუგებარი ყოფილა და ფეხქვეშ გასათელი. სამწუხაროა ეს, მაგრამ ქართული ანდაზისა არ იყოს, მაინც „გამჟღავნებული ჭირი სჯობია დაფარულსა“. რათგან კარგა ხანია, რაც ნ. მარრს ამ გვარი პოლიტიკური მიდრეკილების ნიშნები ემჩნეოდა, ყოველი პირუთვნელი მკითხველი მიხვდება, თუ რამდენად ბუნებრივია, რომ ჩვენ ამ ნიადაგზე ერთი ერთმანეთს დავშორებოდით.

თუ ეხლა წმინდა მეცნიერულ ნიადაგზე აღმოცენებულ უთანხმოებას შევეხებით, აქაც ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ ვეცდებით სიტყვა მოკლედ მოვჭრათ. ჩვენ პატივსა ვცემდით ნ. მარრს და ვაფასებდით მარტო მისი დიდი ნიჭისა და დაუღალავი შრომის მოყვარეობის გამო კი არა, რითაც იგი ეხლაც უხვად არის შემკული, არამედ იმ მეთოდური, დინჯი სამეცნიერო ფილოლოგიური კვლევა ძიებისათვის, ტექსტების გულდასმითი შესწავლისა და საუცხოვო გამომცემლობი-სათვის, რომლითაც ქართულსა და სომხურს ფილოლოგიას მტკიცე საძირკველს უყრიდა. არა ერთხელ ამ ხანაში მას ზოგიერთ ქართველ მოღვაწეთაგან საყვედური გაუგონია და უსიამოვნებაც მისდგომია. მაგრამ რადგან, ერთის მხრით, განმარტოებულად იდგა ის – ნ. მარრი, დამოუკიდებელ თავისუფალ სამეცნიერო კვლევა-ძიების თავგამოდებული მიმდევარი, მეორეს მხრით – ფილოლოგიურ მეცნიერებაში უცოდინარი, მარტოდენ ყალბი მამულიშვილური თავმოყვარეობით აღტყინებული მცირედი მოღვაწეები და ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი, ჩვენ, თუმცა ეს მაშინდელ პირობებში ადვილი არ იყო და პირადად უსიამოვნების მეტს არას გვიქადდა, უყოყმანოთ საჯაროდ მის დასაცა-

ვად გამოვედით (იხ. „მამულიშვილობა და მეცნიერება“, ტფილისი). ვგონებ არ უნდა ვცდებოდე, თუ ვიტყვი, რომ არა ერთს ქართველ ინტელიგენტს ამ ჩემმა წერილმა და წიგნაკმა ნ. მარრისაკენ გული მოუბრუნა და თანდათან გაფანტა ის გაუგებრობა, რომელიც ქართველ საზოგადოებაში ნ. მარრის შესახებ სუფევდა.

მაგრამ, აი, ნ. მარრი თავის ყრმობის ხანის ნამუშავარს საენათმეცნიერო შრომებს დაუბრუნდა და გამოქვეყნებას შეუდგა. პირველი წინასწარი უწყებულება ბევრს რამეს ახალს გვპირდებოდა. მას უნდა მოჰყოლოდა საკითხი ქართულ-სემიანთა ენების მონათესავეობის შესახებ, არა ერთი და ორი საფუძვლიანი, მრავალ უცილობელ ფაქტსა და დაკვირვებაზე დამყარებული გამოკვლევა. **მაგრამ დრო გადიოდა, წელიწადი წელიწადს მისდევდა და შეპირებული შედარებითი გრამატიკის არც ფონეტიკა და არც მორფოლოგია არ გამოქვეყნებულა.** სამაგიეროდ, ის, ერთის მხრით, პატარ-პატარა, კერძო საკითხების შესახებ გამოკვლევების ბეჭდვას იწყებს, მეორეს მხრით – სწრაფი და გამარტივებული საშუალებით ის ორი-სამი კვირის განმავლობაში სულ ახალ და ახალ ენებს სწავლობს და უმალ, თუმცა წინასწარს, მაგრამ მრავალს ისტორიულს, ეთნოლოგიურსა და საენათმეცნიერო პირველხარისხოვან საკითხების თითო ოროლა მაგალითების საშუალებით გადამწყვეტ მოხსენებებს კითხულობს და ბეჭდავს. **თეორია თეორიას მისდევს და ხშირად იცვლება ისეთი სისწრაფით, რომ თვით მათ ავტორს, აკად. ნ. მარრსაც წინათქმული ხეირიანად აღარ ახსოვს და ერთისა და იმავე საკითხის შესახებ ზოგჯერ სულ მოკლე ხანში რამდენიმე სხვადასხვა თეორია აქვს გამოქვეყნებული,** ისე – კი, რომ წინანდელი მერმინდელ თეორიის გამოქვეყნების დროს თვით ავტორისაგან არც მოხსენებულა და არც უარყოფილა, თუმცა ყოველ თავის თეორიას მის გამოქვეყნების დროს იცავდა ხოლმე, როგორც უცილობელსა და შეურყეველ ჭეშმარიტებას. ამგვარად, თვით ნ. მარრმავე ისე არია საქმე, რომ განსვენებულ აკად. კარლ ზალემანის მარრის ერთ-ერთი მოხსენების დროს ნათქვამი სამართლიანი სიტყვით, მარრის თეორიის გაგება შეუძლებელი ხდებოდა. **ის, რასაც აკად. ნ. მარრი იაფეტურ ენათმეცნიერებად**

ასაღებდა, რომ მართლა ენათმეცნიერება ყოფილიყო და იყოს, ადამიანს ყოველგვარი პატივისცემა უნდა დაეკარგოს ენათმეცნიერებისადმი და უნიადაგო თეორიად და თვალთმაქცობად უნდა მიიჩნიოს.

კარგა ხანია, რაც გარემოება თანდათან, ნ. მარრის ამგვარი მოღვაწეობის თანდათანი გაძლიერებისთანავე, **ჩემთვის ცხადი შეიქმნა. ის წინააღმდეგობა, რომელსაც მას უწევდნენ, ნ. მარრს მისი ყოფილი ქართველი მოწაფეების ნაციონალისტობად ეჩვენებოდა.** 1915 წელს, როდესაც ქართველი ერის ისტორიის წიგნის ახალი გამოცემისათვის შესავსები ნაწილების, მათ შორის ქართულისა და მის მონათესავე ენების შესახები თეორიების მიმოხილვის წერას შევუდექი და ნ. მარრის ყველა ნაწერებიც გულდასმით თავითგან ბოლომდის გადავიკითხე, მაშინ ჩემთვის სრული უეჭველობით ცხადი შეიქმნა, რომ ნ. მარრის მთელი თეორია, მრავალი წლების ლინგვისტური მუშაობა ძირიანად უნდა შეყულიყო და მის სრულის უარყოფით უნდა დამთავრებულიყო. ასეთი დასკვნის შემდგომ მე ზნეობრივ მოვალეობად ჩავთვალე ეს გამომექვეყნებინა და მთელი ეს მიმოხილვა წავუკითხე კიდეც ჩემ მსმენელ სტუდენტებს, ხოლო შემდეგ უნდა დაბეჭდილიყო. სამწუხაროდ, წიგნების გამომცემლობის შეფერხების გამო, „ქართველი ერის ისტორიის“ ახალი გამოცემის დაბეჭდვა შეუძლებელი შეიქმნა და აქამდის ეს მიმოხილვა გამოუქვეყნებული დამრჩა.

ეხლა აკად. ნ. მარრი თითონაც დაახლოვებით იმავე დასკვნამდის მისულა, რაც ჩვენთვის კარგა ხანია ცხადი იყო. აი, რასა სწერს იგი თავის 1920 წ. დაბეჭდილს შრომაში „Яфетический Кавказ и третий этнический элемент в создании Средиземноморской культуры".

„Для ученого в моем возрасте и положении, ведь в порядке вещей, сугубо надлежит твердо отстаивать то и неизменно держаться того, что он давно открыл и усвоил и что он защищал и укреплял десятки лет. В этом смысле мой сегодняшний доклад может вызвать разочарование. Если бы я разделял точку зрения незыблемости раз установленных когда-то совершенно правильных научных достижений, то это было бы убийственным ударом по всему научному прошлому. Я вынужден сам изменить всю основу, если не

выбросить, то перевернуть и переместить тот фундамент, на котором .... возводились .... стены нового здания – яфетического языкознания. В этом смысле сегодня если я не вынимаю из всей моей 30-летней научной работы душу, то разрушаю все ее одухотвореное, архитектурно сотворенное, опрокидываю все построение, как оказывающееся несостоятельным; неадекватным полноте знания ставших впоследствии известными афетидологических материалов" /стр. 8/.

მაშასადამე, თვით აკად. ნ. მარრი იძულებულია გამოტყდეს, რომ მას სხვა აღარა დარჩენია თავისი, მისი სიტყვით, ოცდაათი წლის განმავლობაში აგებული შენობის იაფეტური თეორიის საფუძველი და საძირკველი გადააბრუნოს. ადვილი წარმოსადგენელია თუ რა დაემართებოდა მისი ხუროთმოძღვრებით აგებულს შენობას. დღეს ვანგრევ მთელ ჩემს შენობასო. როდესაც სახლს საძირკველს გამოაცლით ან გამოეცლება, ის სხვის დაუხმარებლივ თითონაც დაინგრევა. მართალია, აკად. ნ. მარრი გულს არ იტეხს და გვარწმუნებს, ვითომც ეს იმიტომ მომხდარიყოს, რომ ახალი წინათ უცნობი მასალები აღმოჩენილიყოს, მაგრამ არა მგონია ვინმე იმდენად გულუბრყვილო აღმოჩნდეს, რომ ბასკური ენა ახალ, ჯერ აქამდის უცნობ ენად მიიჩნიოს. ამასთანავე, ყოველმა ენათმეცნიერების თეორიებში ჩახედულმა ადამიანმა იცის, რომ ბასკურისა და ქართულის მონათესავეობის აზრი დიდი ხანია ნ. მარრზე უწინარეს იყო გამოთქმული და აქ ახალი არაფერია.

გასაოცარია, რომ აკად. ნ. მარრს არ ესმის, რომ მისი მთელისა თუ არა, ვითარცა ენათმეცნიერ-აღმომჩენელის წარსულის გამანიავებელი ის კი არ არის, ვითომც ვისმეს ფიქრად მოსვლოდეს მოძველებულ სამეცნიერო დებულებათა დაცვას მიჰყოს ხელი, არამედ ის, რასაც იგი 30 წლის განმავლობაში გააფთრებული იცავდა სხვათა მცირეოდენი ეჭვისაგან და ყველა მისი თეორიის უარმყოფელთ უვიცად და უგუნურად სთვლიდა. ის, რასაც თავითგან ბოლომდის მეცნიერების უკანასკნელ და უცილობელ ჭეშმარიტებად ასაღებდა, თურმე უნიადაგო თეორია ყოფილა, რომლის საძირკველის დანგრევა თვით მასვე წილად ხვდა. არა მგონია, რომელსამე აღმაშენებელს ხუროთმოძღვარს ასეთი რამით

არამც თუ ეამაყნა, გულ დამშვიდებულსაც – კი აეტანა იმგვარადვე, როგორც ვეჭვობ, ბევრი აღმოჩნდეს ისეთი მეცნიერი, რომელიც ნ. მარრივით გულ-დამშვიდებულად აიტანდა თავისი მრავალ წლოვანი ნამუშავარის, ახალ პირველხარისხოვან აღმოჩენად გასაღებული თეორიის საფუძვლისა და საძირკველის შენობითურთ დანგრევას. ბედნიერი კაცი ყოფილა აკად. ნ. მარრი, რომ ამის შემდგომ მაინც გულს არ იტეხს და თავის თეორიის სრულიადი გადახალისების თავი აქვს. ყოველმა მეცნიერმა კარგად იცის რამდენად ძნელია შეცდომის თავითგან აცდენა, მაგრამ მით უმეტეს **ყოველი ჩვენგანი უნდა გრძნობდეს იმ დიდ ზნეობრივ პასუხისმგებლობას, რომელიც მას, ვითარცა მოძღვარსა და მეცნიერს, აწევს გამოკვლევებისა და ახალი თეორიების გამოქვეყნების დროს,** და მთელი თავისი ძალ-ღონით ბრძნული სიფრთხილითა და მეცნიერული წინდახედულობით შეძლებისდაგვარად შეცდომები თავიდგან აიცდინოს. ნ. მარრს – კი თავის ენათმეცნიერულს გამოკვლევებში თავისი აზრების დაუდგრომელი ცვალებადობა თითქოს პრინციპად აქვს გადაქცეული და რასაც ის ეხლა ვითარცა ჭეშმარიტებას თავგამოდებით იცავს, ორიოდე წლის შემდგომ თვითვე ავიწყდება და მის მაგიერ ახალსა სთხზავს და იმავე გულმოდგინეობით ფიცულობს და იცავს მის ჭეშმარიტებას. ყველა დამეთანხმება, რომ ასეთი რამ მეცნიერებაში სრულებით შეუწყნარებელია და არც ჩვენ შეგვეძლო ამის შეწყნარება. აი, სწორედ ამ ნიადაგზეც ჩვენი შეთანხმება შეუძლებელი იყო და ერთი მეორეს დავშორდით. ჩვენ შეგნებულად და გადაჭრით უარვყოფთ ამ გვარს უ. გზასა და ამ ნაირს მიმართულებას ენათმეცნიერებაში და არც გვსურს, რომ ქართული ენათმეცნიერება მეთოდური, დინჯი და საფუძვლიანი კვლევა ძიების მაგიერ ბრჭყვიალა და ფართო, მაგრამ ხანმოკლე და უნიადაგო თეორიების ტურფა საბაღნაროდ იქცეს.

ნ. მარრი აღშფოთებული იყო იმ სრულებით ბუნებრივი გარემოებითაც, რომ ჩვენ ქართველ მეცნიერებმა მშობელი ერის კეთილდღეობის და წარმატებისათვის ხელისშესაწყობად აღმოსავლეთ ენების ფ-ტს თავი მივანებეთ და სამშობლოში წამოვედით ქართული უმაღლესი სასწავლებლის შე-

საქმნელად. მას თურმე არ სჯეროდა და ვერც წარმოიდგენდა,[208] რომ ვისიმე საზოგადოებრივ საგანმანათლებლო მიზნების გულისათვის ჩვენ იმ მარტოდ მარტო მუხის ფესვებისა და ძირის გამოთხრას ვიკადრებდით, რომლითაც ჩვენ ორიენტალისტი კავკასიის მკვლევარნი ეროვნებისა და მიმართულების და მიუხედავად გამოკვებილი ვართ. არა მგონია აკად. ნ. მარრის რომელიმე პოეტური შედარება რომელიმე ორიენტალისტისათვის შესაწყნარებელი იყოს და თავისი თავი იმ სულდგმულად ჩასთვალოს, რომელიც მუხის ნაყოფით იკვებება ხოლმე. **ნ. მარრს ვერას გზით ვერ გაუგია, როგორ შეგვეძლო ჩვენ ფიქრად მოგვსლოდა აღმოს. ენების ფ-ტისათვის უეცრად თავი მიგვეენებებინა და სამეცნიერო სინათლის ნაკადულის დავსება გვეკადრა,** საზოგადოდ პეტერბურგის უნივერსიტეტისათვის ალმამ მატრემ საქართველო დაგვეპირისპირებინა და ერთნაირ ღირებულებად მიგვეჩნია[209].

უცნაურია რომ ასეთი რამ ვერ გაუგია აკად. ნ. მარრს, რათგან **ყოველი ადამიანისათვის, რომელსაც საზოგადოებრივი ალღო აქვს, ეროვნული შეგნება მოეპოვება და მთლად გადაგვარებული არ არის, ჩვენი ნაბიჯი სრულებით ადვილი გასაგები უნდა იყოს.** მიკვირს სწორედ და

---

[208] *«Слухи об этом исходе до меня доходили, но мне не верилось, что в чьих- либо общественно-просветительных интересах может произойти покушение на подрывание того одинокого дуба, плодами которого мы все ориенталисты-кавказоведы, без различия национальности и направления одинаково вскормлены и кормимся.« / стр. 1503./*

[209] *«У работников научно – национальной школы этого типа на Кавказе проявилось бы враждебное отношение к живым силам организации главного у нас рассадника Востоковедения, сложившейся работой нескольких поколений, его питомцам не могло бы прийти в голову погашать своим внезапным уходом этот источник научного света именно по полноте Кавказоведения, единственный не только в России, но и в Европе, вообще противополагать almae matri, университету almam matrem Грузию как ценность одного порядка.» / стр. 1509 /.*

ვერც წარმოვიდგენდი, თუ შეეძლო როგორმე ეფიქრა, რომ ჩვენ, ქართველი მეცნიერები ჩვენი გინდაც პატარა და დაჩაგრული სამშობლოსი, ერის ინტერესებსა და სამსახურს კულტურული, უჩვენოდაც მდიდარი დიდი რუსეთის უნივერსიტეტების კეთილდღეობას ვანაცვალებდით და რომელსამე ჩვენგანს თავისი ეროვნული და საზოგადოებრივი მოვალეობისათვის ეღალატნა! რაღა ჩვენზე მოიცალა ბ-ნმა აკადემიკოსმა, რატომ პოლონელი, უკრაინელი, ესტონელი, ლატვიელი და სხვა პროფესორებიც არ დაარიგა და ჭკვა არ ასწავლა, განა მათი მრავალრიცხოვანი ნასვლა რუსეთის უტებითგან უფრო სახიფათო არ იყო რუსეთის უმაღლეს სასწავლებელებისა-თვის? მაშინ მათგან მიიღებდა ღირსეულს პასუხს და დარწმუნებოდა, რომ ჩვენ გარდა სხვებიც ყველანი არარუსები სწორედ ასევე ფიქრობდენ და ფიქრობენ. სამწუხაროა, რომ ასეთი მარტივი საზოგადოებრივი ეროვნული ვალდებულების გრძნობის ბუნებრივობა ვერ გაუგია და თანაგრძნობის მაგიერ საყვედურს გვითვლიდა. ერთი რამ მაკვირვებს მხოლოდ, თუ აკად. ნ. მარრი მართლაც იმ აზრისა იყო, რომ ქართველ და სომეხ მეცნიერებს ობიექტივობის დაცვა არ ძალუძთ და სხვათა შორის ვითომც იმიტომ იყოს ჩვენი დარგები ჩამორჩენილი, მაშინ ჩვენი აღმ. ენების ფტითგან წამოსვლა რაღად აწუხებდა? ეს საქმე უეჭველია მისთვის ადვილი გამოსასწორებელი იქნებოდა და იქმნება იმ ერისაგან, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ობიექტივობის ნიჭი და მარტოდენ საზოგადო კაცობრიობის ინტერესების სამსახური დაუსახავს მიზნად, ადვილად შეავსებდა დანაკლისს და ჩვენზე უფრო ღირსეულს და პირუთვნელ მეცნიერებს მოამზადებდა.

ჩვენი წამოსვლით აღმოს. ენების ფ-ტითგან ჩვენ თურმე კავკასიის მეცნიერული კვლევა-ძიების საქმისათვის მახვილი ჩაგვიცია. მაგრამ თუ ნ. მარრს ჰკითხავთ, ასეთი საქციელი ჩვენ ძვირად უნდა დაგვჯდომოდა და ის პირნი, რომელთაც პეტერბურგის მინებება გაბედეს, ვითომც დიდის გაჭირვებით მიღწეულის სამეცნიერო დონის სიმაღლითგან აუცილებლად უნდა ჩამოქვეითებულიყვენ ტფილისში შესა-

ფერისი სამეცნიერო ნიადაგისა და გარემოს უქონლობის გამოისობით.[210]

აკად. ნ. მარრს კარგად ესმოდა, რომ ცოტა რამე იმ საკითხების შესახებ, რაზედაც ასე გაცხარებით სწერდა და ჭკვას გვასწავლიდა, ჩვენც გაგვეგებოდა. არც ისე იყო საქმე, რომ ვერ გაგვეგო რას ჩავდიოდით. თუ ამისდა მიუხედავად მაინც ჩვენსას არ ვიშლიდით და მოურიდებლივ ვიქცეოდით, ამის მიზეზი ისააო, ამცნებდა ბ-ნი აკადემიკოსი რუსეთის მთავრობის მაშინდელ წრეებს, რომ ქართულ უმაღლეს სასწავლებელს იმდენად სამეცნიერო მიზნები არა აქვს, რამდენადაც ეროვნულიო.[211]

ეს ნ. მარრის აზრით, საშინელი და მომაკვდინები ცოდვა და გარემოება ვითომც იმითაც მტკიცდებოდეს,[212] რომ ქარ-

---

[210] *„Он свидетельствует о намеренном разрыве с факультетом Восточных языков, о желании не понимать того, что без тесного с ним общения одной богатой программой Грузинский университет в его официальной Кавказоведной части цели не достигнет: Работа без научного антуража, подбор в смежных историко-филологических и востоковедных наук, которым располагаем мы, университете, не только окажется сама по себе малоплодотворной, но скоро низведет специалистов, собравшихся устроить своего рода „сецессию", с уровня с трудом достигнутой высоты научной атмосферы. И так, настоящий предприятием ..... наносится удар научном Кавказоведению"/стр. 1504/.*

[211] *„Не могу допустить и мысли, чтобы организаторы Груз. университета действительно не понимали того, что они делают. Новое учреждение ... не только возникает в линии крайнего увлечения идею национализации грузинского учебного дела, как венчание его высшей школой, но и задачи её, этой грузинской высшей школы, в первую голову не научные, а национальные"/стр. 1504/.*

[212] *„Место, пустующее в Тифлисе за отсутствием государственного университета занять ....стремится и Грузинский университет, как видно из некоторых статей его устава, так напр., из статьи 10 о праве выдавать ученую степень доктора. В линии развития национального движения грузин это вполне понятно. Тифлис центр Кавказа, но Тифлис в то же время исторически беспорно грузинский город.*

თული უნივერსიტეტი ცდილობს სახელმწიფო უ-ტის ადგილი დაიკავოს. რაკი ტფილისი, რომელიც ეხლა კავკასიის ტერიტორიაზეა, ისტორიულად ქართული ქალაქი იყო, ქართველ ნაციონალისტებს ამ ჟამადაც იქ ქართველთა ბატონობის მოსაპოვებლად და განსამტკიცებლად ტფილისში ქართული უმაღლესი სასწავლებლის გახსნა ეშურებათო. მაგრამ **ქართველთა ამ გვარი პრეტენზიები და წადილი სრული გაუგებრობის ნაყოფი და ანაქრონიზმი ყოფილა, რომელიც თურმე რუსეთის რევოლუციის მიერ აღიარებულ თავისუფლებასაც კი ეწინააღმდეგებოდა.** ანაქრონიზმი იყო იმიტომ, რომ ტფილისი, ისტორიულად უცილობლად ქართული ქალაქი, რუსთა ასი წლის მმართველობის დროს მთელი კავკასიის ცენტრად იქცა, რომელიც, რასაკვირველია, საქართველოდ ვერ ჩაითვლებაო. ამასთანავე, ტფილისი მთელ კავკასიის მარტო ადმინისტრაციული კი არა, კულტურული ცენტრიც არის. ეს გარემოება შეიძლება ყველამ დაივიწყოს, რუსის ხალხის გარდა: რუსის ხალხს უფლება არა აქვს ეს დაივიწყოსო! ბრძანებს აკად. ნ. მარრი[213].

Отсюда последовательно грузинская национальная мысль ....без страха перед научной ответственностью, спешит, как суверенный и ныне, хозяин города, представит себя в нем высшей в крае школой, университетом, как не теряет она времени, чтобы обеспечить за собой там же соответственно первое место ... Каталикосом всея Грузии, и кроме того, Тифлисским митрополитом .... Но в идейном обосновании даже законного и ныне тяготения грузин к Тифлису, тем более домогательства к полному в нем господству, кроется коренное недоразумение, политический анахронизм, приводящий в столкновение.... националистические стремления....с провозглашенными русской революцией свободами" /стр. 1506/.

[213] *„Тифлис, исторически беспорно грузинский город, за сто лет рус. правления вырос столь же беспорно в центре всего Кавказа, который нет никакой возможности отожествить ныне с Грузией. Тифлис при этом центр не только административный, но и культурный всего Кавказа. И если эту реальность кто либо может забыть, то не русский народ: русский народ не имеет права этого забывать .... " /стр. 1508/.*

ნუთუ იმ დროს, როდესაც იგი ამ მუქარითა და ღვარძლით სავსე სტრიქონებს სწერდა, ოდნავად მაინც ხელი არ აუკანკალდა და თავში რაიმე ეჭვმა არ გაუელვა? ბატონებო, თუ უზარმაზარ მიწა-წყლის მფლობელებს რუსის ხალხს, რომლის მთავრობამაც ამ ასი წლის წინათ ქართველთა მოკავშირედ და მფარველად შემოშვებულმა ვერაგობით თავისუფლება მოგვისპო და თბილისი და საქართველო ხელში ჩაიგდო, ამ ერთი საუკუნის ძალმომრეობით მონაპოვარის დავიწყება არც შეუძლიან და არც უფლება აქვს, რა უფლება აქვს და **როგორ უნდა დაივიწყოს ჩვენმა პატარა ერმა თავისი მრავალსაუკუნოვანი წარსული, მამა-პაპათა შრომითა და გამჭრიახობით მონაპოვარი და მათი თავგანწირული მამაცობითა და სისხლით დაცული თავისი პატარა სამშობლოს დედაქალაქი,** რომელიც ყოველთვის ქართული იყო და ურომლოდაც საქართველოს წესიერი არც პოლიტიკური და არც კულტურული ცხოვრება არ შეუძლიან. ერეკლე მეფეს იმისთვის არ დაუდვია რუსეთთან ხელშეკრულობა, რომ საქართველოს ისიც დაეკარგა, რაც მას აუცილებლად ჰქონდა და თუ აკად. ნ. მარრს თავისთავი რუსის ხალხის მესაიდუმლე მრჩეველად და მოძღვრად მიუჩნევია და თავის პოლიტიკურს მრწამსსა და ზნეობას ძალასა და ძალმომრეობაზე არ ამყარებდეს, მას რუსეთის დროებითი მთავრობისათვის უნდა მოეგონებინა სწორედ ის, რის დავიწყების არც პოლიტიკური და არც ზნეობრივი უფლება მართლაც რომ არ ჰქონდა: გატეხილი ფიცისა და დარღვეული ხელშეკრულების აღდგენა!..

მაგრამ საითგან წარმოიდგინა ნ. მარრმა, რომ მაშინ, როდესაც რუსეთის დროებითი მთავრობისაგან ჩვენი უნივერსიტეტის დაარსებისათვის ნებართვას ვიღებდით, ჩვენ სახელმწიფო უ-ტის უფლებების მითვისება გვსურდა და ჩვენს გარდა სხვის გაჭაჭანებას არ ვაპირებდით. ამგვარი აზრი მას მხოლოდ იმიტომ დაჰბადნია, რომ ჩვენ წესდებაში შეტანილი იყო მუხლი სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლების შესახებ. ჩვენი უ-ტის პირველს აღმშენებლობაში ყოველ მონაწილეს კარგად მოეხსენება, რომ ჩვენ ამგვარი აზრი ფიქრადაც არ მოგვსვლია და ჩვენი უ-ტის სახელმწიფო უ-ად ქცევაზე მაშინ არ ვოცნებობდით. მაშინაც კი, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, მთელი ერთი სემეს-

ტრის განმავლობაში ჩვენ ენკენისთვემდის კერძო უ-ტად გვქონდა და მის გასახელმწიფოებრივებაზე არ ვცდილვართ; მით უმეტეს ამგვარი წადილი და ზრახვა არ შეიძლებოდა გვქონოდა მაშინ, როდესაც ჩვენ პირველად ნებართვას ვიღებდით, რათგან კარგად ვიცოდით რა სულის კვეთებისა და მიმართულების ხალხთან გვქონდა საქმე. **მუხლი სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლების შესახებ ჩვენი უ-ტის წესდებაში იმიტომ იყო შეტანილი, რომ ჩვენი უ-ტის ბუნებრივი წარმატება** და ზრდა შესაძლებელი ყოფილიყო მომავალშიაც, რათგან ეჭვი გვქონდა, რომ რუსეთის უ-ტებს თუნდაც მთავრობის ზეგავლენით, პოლიტიკური მოსაზრებებით, რომელსამე ქართველი მეცნიერისათვის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭებინათ. არა მგონია, რომ ეს შიში მაშინ სრულებით უსაფუძვლო ყოფილიყოს და ნ. მარრის მოხსენების მთელი შინაარსი ხომ ცხადად მოწმობს, რანაირი დაუნდობელი ბრძოლის გამართვას აპირებდენ ის და მისი თანამოაზრენი ჩვენი უ-ტის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ აუცილებლად საჭირო იყო, რომ ჩვენს უ-ტს მხოლოდ ქართველი ღირსეული მეცნიერებისათვის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლება ჰქონოდა. განრისხებული აკად. ნ. მარრი და სიძულვილით დაბრმავებული როგორ არ მოსძებნიდა და აღმოაჩენდა ჩვენ ქართველთა აგრესიული პოლიტიკის კვალს ისეთ წმინდა საქმეში, როგორიც უმაღლეს სასწავლებლის დაარსების განზრახვაა, როდესაც იგი ქართველ ინტელეგენციასა და ყველა პოლიტიკურ პარტიებს სხვა და სხვა მომაკვდინებელ ცოდვებს აბრალებდა, რუსეთის რევოლუციის მონაპოვართა დამახშობელად სთვლიდა და კავკასიაში მცხოვრებს ერთა შორის უკიდურეს მტრობისა და მძულვარების ჩამომგდებელად და გამაღვივებელად მიაჩნდა. ამაში თურმე ქართველი სოციალ დემოკრატებიც – კი ყოფილან დამნაშავენი, რომელნიც, სხვაგან თავიანთ თავის აუცილებელ ინტერნაციონალისტად მომჩვენებელნი, კავკასიაში თავის და შეუმჩნევლად ქართველ ნაციონალისტებად ქცეულან და, თავის დასის გარეგნული გამარჯვებით დაბრმავებულნი, თურმე ვერ ხედავდენ, რომ არას დროს თვით ძველი რეჟიმის ხანაშიაც ეროვნული შუღლი კავკასიაში ისე გამწვავებული არ

ყოფილიყოს და რუსეთის სახელმწიფოსთვისაც – კი საშიში არ შექმნილიყოს, როგორც მათ ბატონობის დროს.[214]

წინანდელი, „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" ძახილის მაგიერ საქართველოში გაისმა „ყოველგვარ მიმართულების ნაციონალისტებო, შეერთდით"ო და თვით ქართველმა სოციალდემოკრატებმა შეითვისეს თურმე ნაციონალისტების ეს მოძღვრება.[215]

---

[214] *„Социалдемократия, увлекаемая общим националистическим течением родного края, сильно накрепилась в сторону национального общественного миросозерцания ... Но отсутствие широкого образования и особенно знания сложных в течение веков слагавшиеся культурно-исторических взаимоотношений Кавказских народов, выдающиеся вожаки груз. социалдемократии к решению местных общекраевых вопросов .... стали подходить, естественно, с присущей им природно национальной точки зрения, как только жизнь возложила на них бремя улаживания национальных трений. Безспорные интернационалисты вне пределов Кавказа, на Кавказе незаметно для себя переродились в националистов Грузин. Ослепленные внешним успехом своей партии на родине, они не замечали, то и быть может не видят и теперь, что обострение взаимной розни народов Кавказа ни при каком направлении старого режима не дастигло той глубины и угрожающей самыми роковыми последствиями и Кавказу и вообще Российскому государству, серьезности, как ныне"/стр. 1500 – 1501/.*

[215] *Мировая война, вызвавшая в момент возникновения общероссийское воодушевление и национальный подъем, усилив и в Грузии национальное течение, дала перевес идеологии нароставшего груз. национализма и нанесла тяжкий удар интернациональной социалдемократии. Социалдемократические организации сохранили свою силу, но в груз. среде, даже демократической, перестал вызывать былое воодушевление призыв, красовавшийся на всех флагах груз. общественного движения 1905 – 1906 г.г.: „пролетарий всех стран соединяйтесь". В Грузии стал ярко намечаться девиз: „националисты всех оттенок объединяйтесь". Сама социалдемократия в лице определенного течения и отдельные*

აკად. ნ. მარრი იმასაც – კი უმტკიცებდა რუსეთის მაშინდელ მთავრობას, რომ ქართველები საქართველოთიც აღარ კმაყოფილდებიან და მთელი კავკასიის ხელში ჩაგდება და ბატონობა ჰსურთო.[216] საქართველოს ისტორიის ბრწყინვალე ხანებში, ჩასძახოდა იგი რუსთა მაშინდელ მმართველ პოლიტიკოსებს, საქართველოს მთელი კავკასია ეპყრა და თუ ჩრდილოეთით ის თანამედროვე კავკასიის საზღვრებს არ გასცილებია, სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთით მისი სახელმწიფოებრივი საზღვრები კავკასიის ყოფილ სამეფისმოადგილეოს საზღვრებზე გაცილებით უფრო შორს მიდიოდა. ქართული ნაციონალისტური მსოფლმხედველობა საქართველოზე ლაპარაკის დროს ეხლაც ძველებურად ამ-

---

ее представители стали вкрапливать в свое учение элементы груз. Национализма" /стр. 1499/.

[216] *„Qartvel ..... означал реально всю совокупность не только грузинских и родственным грузинам племен и народов, но и неродственных, лишь бы они входили в состав грузин. коллектива, иногда политического, иногда культурного, но никогда не этнически лишь грузинского. В блестящие периоды истории Грузии термин „Saqartvelo", т.е. обнимал весь Кавказ, и, если на Севере он достигал пределов современного Кавказа, то на юге и юго–западе находил далеко за пределы бывшего наместничества. Грузинская националистическая мыслъ, говоря о Грузии, о „Saqartvelo", и ныне мыслит о стране в древнем масштабе – в указанных пределах, т.е. по существу о нашей Кавказе. Я не касаюсь исторического анахронизма, именно того, что Россия добровольным присоединением в ней Грузии вовсе не получала из рук грузинского царя под названием Грузии столь обширного края. Но что для нас важнее отметить, тот же обширный край за сто лет русского правления не только переменил название, расширившись по сию сторону Кавказского хребта и в связи с этим окрещенный в „Кавказ", но преобразился и внутри.... в части взаимоотношений местных народов ....и еще до революции чувствовал потребность в новом общественном укладе... а никак не на реставрации давно пережитого, на основании реминисценций, до русского правления" /стр. 1507/.*

გვარ ფართოდ შემოფარგლულ მიწაწყალზე „ჩვენ კავკასია“ზე ფიქრობსო. ეს ისტორიული ანაქრონიზმიაო, ბრძანებს ბატონი მარრი, რათგან რუსეთს საქართველოს ნებაყოფლობით შემოერთების დროს ქართველთა მეფისაგან სრულებით ასეთი დიდი ქვეყანა არ ჩაუბარებიაო. ამასთანავე ჩვენთვის უფრო იმასა აქვს მნიშვნელობა, რომ ასი წლის განმავლობაში, რუსთ მმართველობის წყალობით, კავკასია შეიცვალა და საზოგადოებრივი ცხოვრების განახლებაზე ოცნებობდა და არა ძველისა და დრომოჭმულის აღდგენაზეო. ასეთი ცილის წამება ქართველთა წინააღმდეგ არა მგონია ბევრს ვისმეს ეკადროს წინათაც, როდესაც სუვორინის გაზეთის ბელადის – მენშიკოვისა და შავრაზმელ ,,ჭეშმარიტ-რუსთა“ პოლიტიკოსის, განთქმულ მღვდელ ვოსტორგოვის გარდა, პატიოსან ადამიანს პოლიტიკურ საკითხებზე წერა არ შეეძლო. ყველამ კარგად იცის და მით უმეტეს აკად. ნ. მარრს ეცოდინებოდა, რომ საქართველოში არ მოიპოვება არც ერთი პოლიტიკური პარტია, გინდ ჯგუფიც, არც ერთი მოღვაწე თუნდაც უკიდურესი ნაციონალისტი, რომელიც საქართველოს ხსენების დროს კავკასიაზე ფიქრობდეს და მით უმეტეს კავკასია საქართველოდ მიაჩნდეს. ძნელი წარმოსადგენელი იყო, რომ აკად. ნ. მარრი, რომელიც 1906-7 წლ. ვოსტორგოვის ამგვარს პროვოკაციას საჯაროდ ებრძოდა და ღირსეულს პასუხს აძლევდა, ათი წლის შემდგომ ისე დაუხლოვდებოდა მას სულიერად, რომ ვოსტორგოვის მსგავსი ენითა და იარაღით დაიწყებდა ჩვენ წინააღმდეგ თავგანწირულს წინამძღოლობას.

ნ. მარრი არც ამით კმაყოფილდება და ქართველებს გვიკიჟინებს, რომ ჩვენ მაგარი მუშტის საშუალებით სხვების შემოერთება და გაერთიანება გვსურს. პატარა საქართველო მისი მოღერებული მუშტით რუსეთის მთლიანობის დამამხობელი, ერთის მხრით, და, მეორეს მხრით – დიდი რუსეთი, საქართველოს მომგერიებელი, აკად. ნ. მარრის წაქეზებითა და წინამბრძოლობით, – რა უნდა იყოს ამ აკად. ნ. მარრის ფანტაზიით შეთხზულ ზღაპარზე უცნაური!..

მაშასადამე, **ჩვენ უკიდურესი ნაციონალისტები ვყოფილვართ, მეცნიერების დაქვეითებასა და პეტერბურგის აღმ. ენების ფ-ტზე ნ. მარრის მიერ ანთებული ჩირაღდა-**

ნის ჩაქრობას ხელი შევუწყეთ და ქართული უ-ტის დაარსების დროს იმდენად მეცნიერება არ გვაინტერესებდა, რამდენადაც ეროვნულ-პოლიტიკური მიზნები.

ეხლა ვიკითხოთ, თითონ აკად. ნ. მარრი ვინ ბრძანდება, რა სწადიან და რა მიზნებს ემსახურება? **მას რომ კითხოთ, ის ინტერნაციონალისტია,** მსოფლიო კულტურას ემსახურება, ჩვენსავით განხეთქილებაზე – კი არა, გაერთიანებაზე ოცნებობს და ფიქრადაც არ მოსვლია უ-ტს, კულტურულის გარდა, პოლიტიკური დანიშნულება დააკისროს. მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვიერადაა, საქმითა და მისი ნაწერებითგან კი სულ სხვა გამოდის. ცნობილია ისედაც და ქვემოთაც იქნება ამაზე საუბარი საგანგებოდ, რომ **აკად. ნ. მარრმა იმ დროს, როდესაც ჩვენი ქართული უნ-ტის გახსნის ნებართვას ვთხოულობდით, რუსეთის მაშინდელ მთავრობაში წინადადება შეიტანა, რომ თბილისში საჯაროდ რუსული სახელმწიფო უ-ტი გახსნილიყო.** რა მიზნით? იმ მიზნით, რომ, რათგან რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრები ერნი საერთო ეროვნულ-ნათესაობრივ კავშირსა და შედუღებას მოკლებულნი არიან, მათ ისეთი კულტურული დაწესებულებანი ესაჭიროებათ, რომელნიც ამ შედუღებას ხელს შეუწყობენ. ამ გვარ რუსეთში მცხოვრებ სხვა და სხვა ეროვნებათა შემაკავშირებელ უუძლიერეს იარაღად სკოლა და უნივერსიტეტიაო. რასაკვირველია, ნ. მარრის შეხედულებით ასეთ სკოლად მხოლოდ ნაციონალისტურ მიზნებს მოკლებული ე.ი., მისი თეორიით, **მარტო რუსული სასწავლებელი გამოდგებოდა.** გასაოცარია, რომ აკად. ნ მარრს იმდენი არ ესმის, რომ უნივერსიტეტის საშუალებით რუსეთის ერთა შედუღება და სახელმწიფოს შერყეული მთლიანობის განმტკიცება იგივე პოლიტიკურ-ნაციონალისტური მიზნებია, მხოლოდ დიდი რუსეთის და რუსის მრავალრიცხოვანი ერის სასარგებლოდ და გასაძლიერებლად და პატარა ერების შთანსათქავად მიმართული. თბილისში რომ რუსული სახელმწიფო უნივერსიტეტი არ დაარსდეს, მაშინ შესაძლებელია სომხებმაც რუსეთის ორიენტაციას ზურგი შეაქციონო, ჩასჩიჩინებდა აკად. ნ. მარრი რუსეთის დროებითს მთავრობას და ყველა ამის მთქმელი და მქადაგებელი გაუწითლებლივ ჩვენა გვდებს ბრალს, ქართული უ-ტის დამაარსებელთ პოლიტი-

კურ-ნაციონალისტური მიზნები დაუსახავთ და მეცნიერების ტაძარი თავიანთ ეროვნული გეგმის განსახორციელებლად იარაღად უქცევიათო. ვნახოთ ეხლა როგორი ინტერნაციონალისტიც ბრძანდება აკად. ნ. მარრი? **ინტერნაციონალისტისათვის ხომ სულ ერთი უნდა ყოფილიყო, ვისგან მომდინარეობდა განათლების სხივი და ვინ აწარმოებდა სამეცნიერო კვლევა-ძიებას, ოღონდ განათლება მოფენილიყო და მეცნიერება წარმატებით გზას დასდგომოდა.** აბა, გადაიკითხეთ მისი ნაწერები, გინდ იგივე მისი მოხსენება ჩვენი უ-ტის გამო და წერილი[217]და **თქვენ დარწმუნდებით, რომ მას არამც თუ ინტერნაციონალისტებისა არა სცხია რა, მხოლოდ უკიდურეს შოვინისტს შეეძლო იმის თქმა და დაწერა, რასაც იგი სწერდა**[218]: არიქათ, ევროპიელ-

---

[217] *„Между тем на всем видное вакантное место университета в Тифлисе притязают другие бесспорно лучше, чем грузинский или армянский народ, подготовленные для развития научной деятельности иностранныя государства. Понятно, они могут сделать это ... отнюдь не внедряясь в пределы Кавказа, – отводом на свою мельницу культурного сотрудничества кавказских национальных научных учреждений .... мне удалось выяснить с достаточной ясностью, каким кольцом научных предприятий, использованием Кавказских научных сил у себя в Европе, и экспедициями к Кавказу из Турции и внутрь самого Кавказа, западные европейцы особенно же систематически немцы охватили эту почти непочатую сокровищницу научных материалов."/стр. 1510 – 1511/.*

[218] *„Немцы... едвали – ли перестанут вести начатую им линию действия... Линия эта состоит не в одних научных экспедициях, а и в научном использовании и мертвого материала и живых сил Кавказа в основательном деловом разсчете... что это создаст волну обратного культурного воздействия на эту уже сейчас вступающую на путь культурного отхода от общения с нами нашу, казалось бы родную русским и по духу страну... При начатом задолго до войны из... Вана, культурном напоре западных европейцев и американцев, который они сильно усилили за войну, а после войны еще более усилят, и при полном изумительном ничегонеделании с нашей*

ნი და ამერიკელნი სამეცნიერო კვლევა-ძიებასა და ექპედიციებს აწყობენ კავკასიაში, გერმანელები და ამერიკელნი გულმოდგინედ მუშაობენ საქართველოსა და სომხეთში და **ფხიზლად იყავით, კავკასია შეიძლება ევროპისა და ამერიკის კულტურულ ორიენტაციას დაადგესო.**

იმ დროს, როდესაც აკად. ნ. მარრმა რუსულ სამეცნიერო ყოფაცხოვრების სუსტი და უარყოფითი მხარეები თითონაც კარგად იცოდა, როდესაც, მისივე სიტყვით, რუსეთი და რუსული მეცნიერება გასაოცარს უმოქმედობას იჩენდა, ასი წლის განმავლობაში ერთი უმაღლესი სასწავლებლის დაარსება ვერ მოახერხა, ან არ მოიწადინა, ევროპიელთა და ამერიკელთა კულტურული და სამეცნიერო მოღვაწეობა, ქართველთა ბუნებრივი წადილი და ცდა საკუთარი უნ-ტის დაარსების შესახებ მის გულში სიხარულისა და თანაგრძნობის მაგიერ სიძულვილსა და მტრობას იწვევს და **ეს ადამიანი რაღაცა მანქანებით თავისთავს მსოფლიო კულტურის ინტერესების დამცველად ასაღებს.**

იგივე აკად. ნ. მარრი, რომელიც ქართველ ინტელეგენციას **ავადმყოფურ ნაციონალისტობას** სწამებდა და უკიჟინებდა, სწორედ ერთი იმ პირთაგანია, რომელთაც ომის გამოცხადების შემდგომ რუსეთის სამეცნიერო **აკადემიაში წინადადება შეიტანეს, რომ აკადემიკოსებისათვის სავალდებულოთ გაეხადათ რუსულად წერა,** რომ მათ უცხო ენებზე წერის უფლება არ ჰქონოდათ. სწორედ რუს აკადემიკოსთა უმრავლესობისაგან ეს წინადადება უარყოფილი იქმნა და ნ. მარრის უცნაურ საქციელზე და ჭეშმარიტ რუსულ გულმოდგინეობაზე აკადემიურსა და უ-ტის წრეებში ლაპარაკი და საყვედური ისმოდა. მაგრამ რაკი შუამდგომლობა ქ-ლი უ-ტის დაარსების შესახებ აღძრული იყო და საქმის ასე თუ ისე გადაწყვეტა საჭირო იყო, როცა ნ. მარრს შეეკითხენ გახსნის ნება მივცეთ თუ არაო, უპასუხნია გახსნის ნება უნდა მიეცეს, მხოლოდ განსაზღვრულ პირობით. მართალია, პირველი უ-ტი ტფილისში ქართული იქმნება, ამასთანავე, გერ-

---

стороны...удивление будет неуместное, если объединенная национальная мысль армян культурно ориентируется не по России" /стр. 1512/.

მანულ გეგმაზე აგებული და ეს, რასაკვირველია, იქ დიდ შთაბეჭდილებას მოახდენსო, მაგრამ ეგ არაფერია, ოღონდ იქვე **საჩქაროდ რუსული სახელმწიფო უ-ტი გავხსნათ, საუკეთესოდ მოვაწყოთ და მაშინ ქართული უ-ტის მადიდებელნი მალე ჩაჩუმდებიანო**. ალბად მორცხვობით არ აქვს ნათქვამი, რომ ამით თვით ქართული უ-ტის დადუმების იმედიც უღვიოდათ გულში მას და მის თანამოაზრეებს. ქ-ლი უ-ტი, რასაკვირველია, იურიდიულად უნდა შემოიფარგლოს, ვითარცა კერძო უმაღლესი სასწავლებელი და გახსნის ნებართვა მიეცეს როგორც სახელმწიფო უ-ტის მომავალ სასურველ თანამშრომელსო. ეს იმასა ნიშნავდა, რომ ჩვენს უ-ტს სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლება არ უნდა ქონოდა და სამუდამოდ რუსულ უ-ტის შემაცქერალი უნდა ყოფილიყო. ცხადია, თუ რა დაემართებოდა ჩვენ უ-ტს, აკად. ნ. მარრის გეგმა რომ განხორციელებულიყო.

მაგრამ თუ ვინიცობაა მისი და მის თანამოაზრეების იმედი არ გამართლდებოდა და ჩვენი უ-ტი მაინც იარსებებდა, მაშინაც ის გულს არ იტეხდა, რათგან, მისი სიტყვით, ქ-ლ მუშათა და გლეხთა შეგნებული ნაწილი და, საზოგადოდ, გლეხობა გაეროვნულებისა და საქართველოს გამოყოფის მოწინააღმდეგე უნდა ყოფილიყო.[219]

აკად. ნ. მარრი ეტყობა სიამოვნებით იგონებდა იმ წუთებს, როდესაც, მისი სიტყვით, ქართულ სოფლებში მრავალრიცხოვან ქართველთა თანდასწრებით გამართულ მიტინგებზე ქართველი მოლაპარაკენი თავიანთ სიტყვებს ათავებდნენ ხოლმე ძახილით: „ძირს საქართველო! გაუმარჯოს რუსულ სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიას“-ო, როდესაც ეროვნულ იდეის მცირე რიცხოვან წევრებს ლაპარაკის ნებას არ აძლევდენ და თუ ვინმე გამოსვლას გაბედავდა, კათედრითგან ჩამოათრევდენ ხოლმეო.[220]

---

[219] *„Сознательная часть грузинских рабочих и крестьянство, вообще груз. крестьянской массы против националистической конструкции уклада Кавказской жизни, против национального обособления Грузии“ /стр. 1507/.*

[220] *„ Тогда в самой гуще сельского неселения ораторы, чистокровные грузины, на многолюдных митингах, сплошь из таких же грузин,*

აი, ასეთი სულისკვეთების იმედი ქონდა აკად. ნ. მარრს და ღრმად იყო დარწმუნებული, რომ თვით ქართველი ხალხი ხმას არ მისცემდა და ქართული უ-ტის დაარსების ინიციატორებს ვითომც მაქსიმალისტური ოცნებების სიზმარეთითგან გამოაფხიზლებდა და არა დროს არ შეურიგდებოდა თავისი სკოლის მწვალებლურ- ნაციონალისტურ სულსა და წესწყობილებას. სწორედ ამის მოლოდინში, ნ. მარრის აზრით, რუსეთის განათლების სამინისტროს უნდა ქ-ლი უ-ტის გახსნის ნებართვა მიეცა.[221] იქნებ მას და მის თანამოაზრე მკითხველებს თვალებ წინ ეხატებოდათ სურათი, როდესაც ქ-ლი უ-ტის დამაარსებელ „ნაციონალისტ" პროფესორებს კათედრებითგან ჩამოათრევდენ და „ძირს საქართველოს!" შეჰყვირებდენ, მაგრამ ცხოვრების სინამდვილემ მათ იმედები გაუცრუა.

свои речи на грузинском языке заключали при громе аплодисментов выкриками: „Долой Грузию! Да здравствует русская социал-демократическая рабочая партия!" Редким смельчакам, решавшимся выступать против такого отрицания национальной идеи, всецело господствовавшие тогда социал-демократы, меньшевики, не давали высказаться и в случае упорства без церемонии стаскивали из с импровизованных под открытым небом... Грибун. Свидетелем таких явлений лично я был в 1905 году /см. брошюрку мою „Из гурийских наблюдений и впечатлений 1905 г.", стр. 1496/.

[221] *„Нет однако основания отрицать, что максималистические мечты романтиков-инициаторов Груз. университета имеющее наступить спокойное время реальной жизнью будут приведены к трезвым и действительно научным взглядом груз. общества на задачи национального их университета. Сам грузинский народ, давно и действенно выступающий на широкий путь демократизации реальных устоев своей национальной жизни, никогда не примириться с сектантско–националистическим духом и строем школы. Министерство в этих видах имеет не только право, но и долг благословить начинание общества груз. университета, как частного высшего учебного заведения, указав однако соответственно его правовые пределы"/стр. 1510/.*

ვგონებ, თვით აკად. ნ. მარრსაც ამისი ეჭვი ქონდა. ამიტომ ის **რუსეთის მთავრობას დაჟინებით ურჩევდა**[222] **რუსული სახელმწიფო უ-ტი გაეხსნა თბილისში**. გარეგნულად ამის საბუთად ის მოსაზრება მოჰყავდა, რომ ეროვნული ქართული და სომხური უ-ტები ვითომც ნამდვილ უმაღლეს განათლებას ვერ მიანიჭებდენ სტუდენტებს და შურსა და მტრობას ჩაუნერგავდენ. მაგრამ ის სისწრაფე, რომლითაც რუსული უ-ტი უნდა გაეხსნათ თბილისში, და ის მიზნები, რომელიც მას, როგორც დავრწმუნდით, აკად. ნ. მარრის ლოცვა-კურთხევით უნდა დაკისრებოდა, ცხად-ჰყოფენ, თუ ნამდვილად რისთვის უნდა დაარსებულიყო იგი.

აკად. ნ. მარრი მაინც იმდენად დარწმუნებული არ იყო, რომ მისგან ასე შექებული და ცამდე აღზევებული უნივერსალური მიზნების განმახორციელებელი რუსული სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი ქართველთა და სომეხთა შორის თანაგრძნობას მოიხვეჭდა და მოხიბლავდა, რომ რუსეთის მთავრობას ურჩევდა, მის შესანახად სახელმწიფო ხაზინითგან გამოელოთ ხოლმე ფული და პირველ ხანებში მაინც ადგილობრივ მკვიდრთა ანაბარად არ დაეტოვებიათ[223].


---

[222] *„Дело по существу вовсе не в том, что национальные университеты на Кавказе, доступные лишь говорящим или по-грузински, или по-армянски, оставят остальное население обойденным в заботах государства о высшем образовании, поставят его в положение граждан второго и даже третьего ранга. А дело в том, что они никому, и обладателям таких национальных университетов не обеспечивают действительно высшаго университетскаго образования, наоборот, обеспечивают понижение его уровня и вообще сгущение атмосферы ядоносным чадом взаимнаго непонимания и взаимной вражды" /стр. 1509/.*

[223] *„В виду болезненного состояния национального настроения наиболее культурных народов Кавказа, обеспечить Кавказский университет денежными средствами из государственнаго назначейства без обращения на первых порах к местным людям за материальной поддержкой" /стр. 1516/.*

დანართი № 13

სკკპ (ბ) სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომის 1934 წლის 21 მაისის სხდომის ოქმი № 13 [224]



[224] საარქივო დოკუმენტი პირველად გამოაქვეყნა თამარ ბელქანიამ; იხ. მისი: "სტალინური კულტ**ურა** (ინფორმაციით კულტურის კონსტრუირების მცდელობა სოციალისტურ რეალიზმში და უახლესი დრო; საქ.შსს არქივში დაცული მასლების ერთი ნაწილის მიხედვით)", თბ. 2016, გვ. 57-58.

დანართი № 14

ტარიელ ფუტკარაძე

საერთოქართველური ენისა და თანამედროვე ქართველური ქვესისტემების ისტორიული მიმართების ამსახველი სხვადასხვა სქემის შეპირისპირებითი ანალიზი[225]

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა დამუშავებული ფუძეენის **სავარაუდო სახის** აღდგენის ისტორიულ-შედარებითი მეთოდი[226], რომლის მიხედვით შესაძლებელია არსებულ ენათა/დიალექტთა ბგერათშესატყვისობის, მორფოლოგიური სტრუქტურებისა და სხვა მონაცემების შეპირისპირების საფუძველზე **მოცემული ენობრივი ერთეულებისათვის ამოსავალი სისტემის აღდგენა**, კერძოდ, შინაგანი რეკონსტრუქციით, შედარებითი რეკონსტრუქციითა და ლექსიკურ-სემანტიკური რეკონსტრუქციით მონათესავე ენობრივ ერთეულთა ამოსავალი ენობრივი მოდელის დაშვება; მოდელის **სრულყოფილი სახის შესაქმნელად კი გასათვალისწინებელია ინტეგრაციული და კონვერგენციული პროცე-**

---

[225] ვრცელი ვარიანტი იხ.: ტ. ფუტკარაძე, ქართველთა ენობრივი ისტორია დივერგენციული და კონვერგენციული პროცესების გათვალისწინებით; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ქუთაისური საუბრები – XIV; მიეძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 200 წლისთავს; Kutaisi discussions Internacional Scientific Conference 3-4 ნოემბერი, 2017 წელი; November 3-4, 2017; სტატიად დაიბეჭდა „ქართველური მემკვიდრეობის“ XXI ტომში (2017 წ.), გვ. 353-368.

[226] „ისტორიულ-შედარებითი მეთოდი წარმოადგენს ენათა ნათესაობის დადგენის საშუალებას, წარმოშობის მიხედვით მონათესავე ენების შესწავლის მეთოდს. მისი ძირითადი ნაკლი ის არის, რომ **იგი ყოველთვის საჭირო სიზუსტით ვერ გვირკვევს ისტორიას**“ არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 332-338. ისტორიულ-შედარებითი მეთოდის შესახებ განსხვავებული მოსაზრებებისათვის იხ.: მ. ქურდიანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები, 2007, გვ. 91-109.

სებით წარმოქმნილი მოვლენების ანალიზი.
აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ არასწორია ისტორიულ-შედარებითი მეთოდით კვლევის დაყვანა ოდენ **ბგერათშესატყვისობების დადგენამდე**[227]; ჩვენთვის უფრო მისაღებია არნ. ჩიქობავას მიდგომა:
ენათა ნათესაობის რკვევისას „მთავარია მსგავსება, – კანონზომიერი მსგავსება, – მორფოლოგიურ ინვენტარში, ფორმანტების ბგერით შედგენილობაში და გარკვეული სიტყვების ძირთა ბგერით შედგენილობაში“[228].

მსგავსი მიდგომა აქვთ თ. გამყრელიძესა და გ. მაჭავარიანს: „ქართველურ დიალექტთა შორის გენეტურ მიმართებათა დასადგენად უნდა დავემყაროთ არა მარტო ფონოლოგიურ, არამედ აგრეთვე მორფოლოგიურ და ლექსიკურ იზოგლოსებსაც. მხოლოდ ამგვარი კომპლექსური მიდგომა მოგვცემს საშუალებას, გავითვალისწინოთ ის რთული მოვლენები, რომლებსაც ფუძე-ენის დიფერენციაციის პროცესში უნდა ჰქონოდა ადგილი და რომელთა შედეგად ისტორიული ქართველური ენები ჩამოყალიბდა“[229]. აღსანიშნავია ისიც, რომ **შიდა ენობრივ-სტრუქტურული მიმართებებით** – ბგერათშესატყვისობით, გრამატიკული სტრუქტურების შესაბამისობითა თუ სემანტიკური მოდელების შეპირისპირებით – შეიძლება დადგინდეს ამოსავალი ენობრივი მოდელის სახე თუ ენათა/დიალექტთა ნათესაობა, მაგრამ არა – მეტყველების სტატუსი; ენისა თუ დიალექტის სტატუსი დგინდება (ყალიბ-

---

[227] შდრ. მაგ., მ. ქურდიანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები, 2007, გვ. 109: „ენათა ნათესაობის დამტკიცებისათვის მორფოლოგიის მონაცემებს არანაირი მტკიცებულებითი ძალა არ გააჩნია. ერთადერთი და გადამწყვეტი კრიტერიუმი შესადარებელ ენებს შორის კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობათა სისტემის დადგენაა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მკაცრი გამოყენებით“.
[228] არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, II, ძირითადი პრობლემები (მეორე გამოცემა); თბ., 1983, გვ. 252
[229] თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში; თბ., 1965, გვ. 4.

დება) სოციოლინგვისტური მიმართებებით[230].

ქართველური ენობრივი სამყაროს თითქმის ყველა ცნობილი მკვლევარი მიიჩნევს, რომ თანამედროვე ქართველურ ენაკილოთა ამოსავალ საერთოქართველურ მოდელს ძირითადად მიჰყვება ქართული სამწიგნობრო ენა. პირველ რიგში, დავიმოწმებთ არნოლდ ჩიქობავას დასკვნას[231]:
„ჭანურისა და მეგრულის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსურ მოვლენათა ანალიზისას ცხადი და ხელშესახები ხდება ამ მოვლენათა ისტორიული წარსული და გენეტური ურთიერთობა, **როცა ამოსავლად გამოყენებულია ქართული ენა**“. 1948 წელს კი არნ. ჩიქობავა წერს: ზანური (მეგრულ-ჭანური) ისტორიული ქართული ენის ტრანსფორმაციას წარმოადგენს; სვანური, თავის მხრივ, გარკვეული „აგრეგატია“ ძველი ქართული დიალექტის, ზანურისა და ადიღეურის შერევით მიღებული[232].

---

[230] მაგ., ზოგს რატომღაც ჰგონია, რომ ბგერათშესატყვისობების არსებობა/არარსებობით ირკვევა, **მოცემული მეტყველება ენაა თუ დიალექტი**. არც ისტორიულად და არც თანამედროვე მსოფლიოში ენათა თუ კილოთა სტატუსი არ დადგენილა არც **ენის რომელიმე შიდასტრუქტურული კრიტერიუმით** და არც **გაგებინებით** – ლოგიკური /არალინგვისტური/ კრიტერიუმით; ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, ენისა და კილოს გასამიჯნი კრიტერიუმები და ქართველურ იდიომთა კვალიფიკაციის პოლიტიზების რეტროსპექტივა; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, ტომი VII, 2017, გვ. 115-134; ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, ქართველურ ენობრივ ვარიანტთა (ქვესისტემათა) კვალიფიკაცია და კლასიფიკაცია; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის შრომები, ტომი III, 2017, გვ. 80-105.

[231] არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი; თბ., 1936, გვ. 205-206; არნ. ჩიქობავა, შრომები, III, თბ., 2008, გვ. 209.

[232] არნ. ჩიქობავა, ქართველური ენები, მათი ისტორიული შედგენილობა და არქაული ლინგვისტური სახე (რუსულ ენაზე); იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, II, თბ., 1948, გვ. 255-275.

ეს თვალსაზრისი გარკვეული დაზუსტებებით გაზიარებულია სხვა ბევრი სპეციალისტის მიერაც; კერძოდ:
თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის ვარაუდით, საერთოქართველურში აღდგენილი ფუძეები ძირითადად ემთხვევა სამწიგნობრო ქართულის მონაცემებს – მათ მიერ რეკონსტრუირებული ფუძეების ფონემატური სტრუქტურა ნაწილობრივ განსხვავდება ქართული სამწიგნობრო ენის მონაცემებისაგან; კერძოდ, მათი აზრით, საერთოქართველურში უნდა აღდგეს ფონემათა სამი კლასი: თანხმოვნები (ჩქამიერები, სონორები), ა, ე, ო ხმოვნები და *ი/ჲ, *უ/ვ[233], *მ. , *ნ. , *რ. , *ლ. სონანტები, ბგერები, რომლებიც პოზიციისდა მიხედვით რეალიზდებიან ხან მარცვლოვან, ხანაც უმარცვლო ალოფონებად. დასახელებულ ავტორთა მიხედვით, საერთოქართველური ენა თანამედროვე ქართველური ქვესისტემებისაგან სხვაობდა სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა მესამე რიგის – შუასიბილანტური (სისინ-შიშინა) რიგის თანხმოვნების – არსებობითაც; შდრ.: თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის მიხედვით, თანამედროვე ქართველურ ქვესისტემებში სონანტთა კლასი გამოირიცხება[234].
მ.ქურდიანის აზრით[235], სამწიგნობრო ქართულისაგან განსხვავებით, საერთოქართველურში უნდა აღდგეს მხოლოდ „სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა სამი რიგი“: ძ[1], ც[1], წ[1], ზ[1], ს[1].

---

[233] ჩვენი აზრით, ქართულ ენაში ბაგისმიერი სპირანტის ძირითადი ალოფონია წყვილბაგისმიერი ვ (w); იშვითად რეალიზდება კბილბაგისმიერი ვარიანტიც (იმ ენებში რომელშიც ძირითადია კბილბაგისმიერი ვარიანტი, გვაქვს მისი ყრუ ვარიანტიც – f-ც).
[234] თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში; თბ., 1965 გვ. 7, 325-364.
[235] მ. ქურდიანი, საერთოქართველური ენა და მისი დიფერენციაციის თანამიმდევრობის პრობლემა, ქართველური მემკვიდრეობა, I, ქუთაისი, 1996, გვ. 253-264; მ. ქურდიანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები, 2007, გვ. 128-129.

არქაულ სამწიგნობრო ენაშიც და თანამედროვე ქართველურ ზეპირ მეტყველებებშიც არსებობს ი/ჲ და უ/ვ სონანტები[236]; შესაბამისად, ლოგიკურია, საერთოქართველურშიც დავუშვათ მათი არსებობა; ჩვენი აზრით, **საერთოქართველური ფონემატური სტუქტურა** ასე შეიძლება აღდგეს:

ხშულები: *ბ, *ფ, *პ; *დ, *თ, *ტ; *ძ, *ც, *წ; *ჯ, *ჩ, *ჭ; *გ, *ქ, *კ; *ჴ, *ყ;

ნაპრალოვნები: *ზ, *ს; *ჟ, *შ; *ღ, *ხ; *ჰ;

სონორები: *მ, *ნ, *რ, *ლ;

სონანტები: *ი/ჲ, *უ/ვ;

ხმოვნები: *ა, *ე, *ო.

ქართველური ენობრივი სამყაროს ისტორიის მკვლევართა დასკვნით, საერთოქართველურ ენაში დაახლოებით ისეთივე ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსურ-სემანტიკური ვარიანტები აღდგება, როგორიც გვქონდა არქაულ ქართულ სამწიგნობრო ენაში[237]; თანამედროვე ქართველური დიალექტები კი მეტნაკლებად განსხვავდებიან საერთოქართველურისაგან, რამდენადაც საშინაო სამეტყველო კოდები უფრო თავისუფლად ვითარდებიან (მით უმეტეს, ის განაპირა კილოები, რომლებზეც ძლიერია სხვა ენების გავლენა). **საერთოქართველურიდან მომდინარე ქართველთა სამწიგნობრო ენა დღემდე არსებობს, როგორც ქართველი ერის მაკონსოლიდებელი ფენომენი;** ამავე საერთოქართველურიდან მომდინარე დიალექტები (მეგრულ-ლაზური, სვანური, მესხური, თუშური, ქართლ-კახური...) კი სამწიგნობრო ენის მასაზრდოებელი წყაროები არიან. ისტორიული მიმართება ასეთი სქემებით შეიძლება გამოვსახოთ:

---

[236] მსჯელობისათვის იხ. ტ. ფუტკარაძე, თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა (სადოქტორო დისერტაცია); თბ., 1998.

[237] მსჯელობისათვის იხ. ტ. ფუტკარაძე, სათავე და პერსპექტივა ქართული სამწიგნობრო ენისა, 2006. The Origin of the Georgian Literary Language and its Prospects, Tbilisi, 2006; http://www.scribd.com/doc/11390384/The-Origin-of-the-Georgian-Literary-Language-and-its-Prospects.

- საერთოქართველური ენა >> ზოგადქართული (ქართველური) სალიტერატურო ენა;
- საერთოქართველური ენა >> ქართველთა საშინაო სამეტყველო კოდები (/ქართველური დიალექტები/[238].

სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებებია უშუალოდ ქართული სამწიგნობრო ენის საყრდენი ენობრივი მოდელის შესახებ:

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართული სამწიგნობრო ენა ქართლელ-კახელ-იმერელ-გურულებისა და მეგრელ-სვანებისთვის საერთო ენაა... წარმართობისდროინდელი საერთო შემოქმედებაა (1908, გვ. 4; 1979, გვ. 154-156).

არნ. ჩიქობავა ფიქრობდა, რომ ძველი სალიტერატურო ქართული ენა შეიქმნა ისტორიული ქართლის მეტყველების საფუძველზე; ახალი ქართული სალიტერატურო ენა კი ქართლურის გარდა კახურსაც ემყარება“ (არნ. ჩიქობავა, 1952, გვ. 114-115; იხ., აგრეთვე: ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 172-173).

გიორგი ახვლედიანის რედაქტორობით გამოქვეყნებულ „ენათმეცნიერების შესავალში“ ჩამოყალიბებული თვალსაზრისის მიხედვით (ავტორია გ. ნებიერიძე), „ქართულ სალიტერატურო ენას საფუძვლად უდევს ქართლ-კახური დიალექტი, მაგრამ სალიტერატურო ქართული არ ემთხვევა მთლიანად ქართლ-კახურ დიალექტს...“ (გ. ახვლედიანი, 1972, გვ.27)...

ქართველთა სამწიგნობრო ენის ამოსავალ ენობრივ სისტემად ქართლურის თუ ქართლურ-კახურის მიჩნევას ხელს უშლის ერთი არსებითი გარემოება:

არქაული ქართული წერილობითი ძეგლების ენას აქვს ბევრი ისეთი თავისებურება, რომლებიც ნამდვილად არ ახასია-

---

[238] ტ. ფუტკარაძე, საერთოეროვნული სალიტერატურო ენისა და „საშინაო“ სამეტყველო კოდების მიმართების საკითხი ქართული სალიტერატურო ენისა და ქართველური დიალექტების მიხედვით (სამეტყველო კოდების იერარქიისათვის), XX დიალექტოლოგიური რესპუბლიკური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2000, გვ. 102-106. ტ. ფუტკარაძე, ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები), 2005, გვ. 329.

თებს არც ქართლურ და არც კახურ დიალექტს; თუკი დავუშვებთ, რომ ქართლური/კახური სამწიგნობრო ენის დაფუძნების შემდეგ შეიცვალა, ამგვარივე დაშვება შესაძლებელია სხვა ქართველური კილოების მიმართაც. **უფრო ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ქართული ასომთავრული ანბანი შეიქმნა იმ ენისთვის, რომელიც არსებობდა ძვ.წ. I ათასწლეულში; ასეთი ენა საერთოქართველური ენაა, რომლის რეკონსტრუირებული ფორმები თითქმის იდენტურია ყველაზე ძველი (ე.წ. ხანმეტი) ტექსტების ენისა**[239].

სამეცნიერო ლიტერატურაში დისკუსიის თემაა საერთოქართველური ენისაგან ქართველური ქვესისტემების ფორმირების გზებიცა (სქემებიცა) და ქრონოლოგიაც.
კ. ბერგსლანდისა და ჰ. ფოგტის აზრით, ჰიპოთეტური საერთოქართველური ენა „ძველი წელთაღრიცხვის ბოლო ათასწლეულში უნდა მოვათავსოთ“[240]; შესაბამისად, თანამედროვე ქართველური ქვესისტემები წარმოქმნილია ახალი წელთაღრიცხვის შემდეგ.
საერთოქართველური ენის დათარიღების კუთხით, **ანალოგიურია არნ. ჩიქობავას დასკვნაც:**
„იბერიულ-კავკასიური ენები მონათესავე ენებია, მათ წარმოშობა აერთიანებს. ეს ძველისძველ ვითარებას გულისხმობს; სავარაუდოდ, სამი ათასი წლის წინანდელს (შესაბამისად, საერთოქართველური ნავარაუდევია ძვ.წ. I ათასწლეულში – ტ.ფ.), და, ალბათ, ძველ ადგილ-სამყოფელს, კავკასიის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალს. ამ ენათა განვითარება სხვადასხვა გზით წარიმართა; არაერთს სხვა ენას გადაჰყრიან; საუკუნეთა მანძილზე არაერთი დიალექტი თუ ენა წარმოქმნილა თუ გამქრალა/გათქვეფილა სხვა ენაში. ამი-

---

[239] ტ. ფუტკარაძე, სათავე და პერსპექტივა ქართული სამწიგნობრო ენისა, 2006. The Origin of the Georgian Literary Language and its Prospects, Tbilisi, 2006; http://www.scribd.com/doc/11390384/The-Origin-of-the-Georgian-Literary-Language-and-its-Prospects.

[240] კ.ბერგსლანდი, ჰ.ფოგტი, გლოტოქრონოლოგიის საფუძვლიანობისათვის; მიმომხილველი, 6/9, თბილისი, 1972, გვ. 255.

ტომ გასაკვირი ის კი არ არის, რომ იბერიულ-კავკასიურ ენებს „გასაოცარი ნაირგვარობა“ ახასიათებს, არამედ ის, რომ ფონეტიკა-მორფოლოგია-სინტაქსში (ასევე, ლექსიკაშიც) ნიშანდობლივი საერთო თვისებები შერჩენიათ“ (არნ. ჩიქობავა, 1979, გვ.253).

თ. გამყრელიძის, ვ. ივანოვის, დ. მუსხელიშვილის, მ. ქურდიანისა[241] და სხვათა აზრით, ძვ.წ. II ათასწლეულში უკვე არსებობდა სამი ქართველური ენა: სვანური III ათასწლეულში, ქართული და ზანური (მეგრელ-ჭანური) II ათასწლეულიდან; მათი აზრით, საერთოქართველური ენის არსებობის სავარაუდო დროა ძვ.წ. V-IV ათასწლეულები. ამგვარი მოსაზრება ძირითადად ეყრდნობა ენათა დათარიღების საკამათო გლოტოქრონოლოგიურ მეთოდს (ლექსიკური ერთეულების ცვლილების მიხედვით ენის ასაკის განსაზღვრას)[242] ან ცალკეული სიტყვების საეჭვო ისტორიას; კერძოდ, თ.გამყრელიძისა და ვ.ივანოვის მიერ ერთ-ერთ არგუმენტად მოხმობილია ძვ.წ. II ათასწლეულში დადასტურებული მიკენური კოას/კო-ვო „ტყავი“ სიტყვა, რომელიც, მათი აზრით, მომდინარეობს უკვე ძვ.წ. II ათასწლეულში თითქოსდა არსებული „ზანური ენის“ *ტყოვ- ფუძისგან (რომლის ამოსავალ ვარიანტად ივარაუდება საერთოქართველური ***ტყავ-** ფუძე[243].

„არგუმენტი“ არ არის სარწმუნო: მეგრულ-ლაზურში არ არსებობს და არც ოდესმე უნდა არსებულიყო ***ტყოვ-** ფუძე:

---

[241] იხ., მაგ.: თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები, 1984, გვ.908-909; მ.ქურდიანი, ქართველურ ენათა ისტორიული ენობრივი კონტაქტები და საერთოქართველური ენის დიფერენციაციის ქრონოლოგიური საზღვრების პრობლემა; საენათმეცნიერო ძიებანი, XIV, თბ., 2003; გვ. 36; მ. ქურდიანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები, 2007, გვ. 742..

[242] გლოტოქრონოლოგიური მეთოდის კრიტიკული ანალიზისათვის იხ.: კ.ბერგსლანდი, ჰ.ფოგტი, 1972; დ.კრისტალი, 1989, გვ.331; ტ.ფუტკარაძე, 2000, გვ.327; თ.გვანცელაძე, 2004 და სხვ.

[243] თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები, 1984, გვ.908-909.

როგორც წესი, საერთოქართველური *ტყავ- ტიპის ფუძეებში ბაგისმიერი ვ-ს არსებობის გამო ზანურ კილოებში ა გვაძლევს ე ხმოვანს, შესაბამისად, ლაზურ-მეგრულში მოსალოდნელია და არის კიდეც: ტყებ- ფუძე (ტყები „ტყავი“); შდრ.: *ძარღვ- > ჯერღვ, *არჩვ- > ერცქემ- და სხვ.

თ.გამყრელიძის, ვ.ივანოვის, დ.მუსხელიშვილის, მ.ქურდიანისა და სხვა ავტორთა მიერ გაანალიზებული სხვა ლექსიკური პარალელებიც ვერ იძლევა დამაჯერებელ დასკვნას საერთოქართველური ენის ძვ.წ. V-IV ათასწლეულებში არსებობის შესახებ; კერძოდ, ამგვარი საკამათო მასალის მიხედვით ვერ დავადგენთ საერთოქართველური თუ საკუთრივ ქართული ენის არსებობის დროს; გარდა ამისა, რეკონსტრუირებული და არადოკუმენტირებული ენების სავარაუდო ლექსიკური ბაზის მიხედვით, ასეთ შორეულ დროში რთულია დადგინდეს: სესხებასთან გვაქვს საქმე თუ საერთო წარმომავლობასთან[244].

საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ მსოფლიოში არ არსებობს დიდი სამწერლობო ტრადიციის მქონე ენაც კი, რომელსაც 50 საუკუნის განმავლობაში შეენარჩუნებინოს თავისი ძირითადი სახე; მით უმეტეს, ასეთი ვერ იქნება უმწერლობო „ტომობრივი ენა“ თუ დიალექტი. 1000 წლის მანძილზეც კი მხოლოდ დიდ სამწერლობო ტრადიციას შეუძლია, შეანელოს დივერგენციული და კონვერგენციული მიზეზებით შეპირობებული ენის ცვლილების პროცესი; 4000-5000-წლიან თვისობრივ უცვლელობაზე კი, ვფიქრობთ, ლაპარაკიც ზედმეტია. საკითხი კომპლექსურ შესწავლას საჭიროებს; დასკვნების სანდოობა ისტორიკოს-არქეოლოგთა, ეთნოგრაფთა და ლინგვისტთა ერთობლივმა კვლევამ შეიძლება განსაზღვროს.

---

[244] სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისა და მსჯელობისათვის ვრცლად იხ. ტ. ფუტკარაძე, ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები), 2005, გვ. 280-297.

საკუთრივ, ჩვენი ვარაუდი ასეთია:
ძვ.წ. V-IV ათასწლეულში, საერთოინდოევროპულის თანადროულად, არსებობდა იბერიულ-კავკასიური კონტინუუმი, რომლისგანაც, საკუთრივ, ქართველური ენობრივი სამყაროს გამომიჯვნა დაწყებული ჩანს კავკასიასა და ანატოლიაში ინდოევროპული ნაკადის შემოსვლის შემდეგ ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე. ჩრდილოკავკასიურ ენებთან მკვეთრი დაშორება სავარაუდოა ძვ.წ. I ათასწლეულის მანძილზე, კერძოდ, სკვით-კიმერიელთა და სპარსული მოდგმის ტომთა შემოსევების დროს.

რაც შეეხება საკუთრივ ქართულ/ქართველურ ენას:
დიდი ალბათობით, **ისტორიული კოლხას** /კულხა/ კოლხიდა/[245] **ტერიტორიაზე** (რომელიც უფრო მეტ ტერიტორიას მოიცავდა, ვიდრე თამარ მეფის სახელმწიფო) განფენილი ქართველური ტომების დიალექტებიდან კოლხურ-ყობანური არქეოლოგიური კულტურის[246] ფორმირების პროცესში – ძვ.წ. II ათასწლეულის შუა პერიოდიდან ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევრამდე – ყალიბდება საერთო ქართველური ენა (/ენობრივი კოინე).

---

[245] ძვ. წ. XII-VIII საუკუნეების ასურულ და ურარტულ ლურსმულ ტექსტებში დადასტურებული **კილხი** და **კულხა/კოლხა** გაიგივებულია ბერძნულ-რომაული წყაროების **კოლხოი** და **კოლხის** სახელწოდებებთან; ვარაუდობენ, რომ წერილობით ძეგლებში **„კოლხიდა“** ფორმის პირველი დამოწმება გვაქვს ძვ. წ. XIV საუკუნის -ხაზოვან ტექსტებში **კოკიდა/კოკიდეიო** ვარიანტების სახით (ლ.გორდეზიანი, კოლხეთი B-ხაზოვან ტექსტებში; ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციის სამეცნიერო კონფერენციის შრომები, ტ. II, ქუთაისი, 2004, გვ. 226-228). ბერძნულ წყაროებში ტერმინი „კოლხიდა გაია“ უეჭველად დასტურდება ძვ. წ. VIII საუკუნის პოეტთან - ევმილე კორინთელთან; სავარაუდოა, რომ უფრო ადრე ბერძნები იყენებდნენ ტერმინ **აიასაც** (შდრ.: დაიაენი/ტაო. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისათვის ვრცლად იხ. ტ. ფუტკარაძე, ქართველები, 2005).

[246] ყობანი – სოფელი ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, თანამედროვე ოსეთში.




ძვ. წ. I ათასწლეულის II ნახევარში ჩანან შემდეგი ქართველური თემები: მუშქები/მესხები, დაიანელები/ტაოხები, კოლაელები, ტიბარენები, იბერები/სასპეირები, ქუთები/ქვითეები, კორაქსები, ჰალიძონები/ხალიბები, ხალდები/ქალდები, მაკრონები, ფასიანები, ეკრიკტიკეს მცხოვრებნი, ჰენიოხები, სანები, სანიგები/სანიკები...[247]. შდრ., ფარნავაზისა და ქუჯის მიერ აღორძინებული ქართველთა სახელმწიფოს (ძვ.წ. IV-III სს) საზღვრები ლეონტი მროველის მიერ რედაქტირებული „ქართლის ცხოვრების“[248] მიხედვით:

---

[247] ტ. ფუტკარაძე, ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები), 2005, 250-252.

[248] ცნობილ მეცნიერთა ნაწილი „ქართლის ცხოვრებას“ არმენოფილურ მატიანედ თვლის იმიტომ, რომ, მათი აზრით, ლეონტი მროველის მიერ ქართლოსის უფროს ძმად გამოცხადებულია ჰაოსი, ქართველთა პირველ ენად კი – სომხური. მრავალი არგუმენტი ცხადყოფს, რომ ამ თხზულების ავტორი არ არის ლეონტი მროველი. მატიანე იქმნებოდა გაცილებით ადრეული პერიოდიდან; ლეონტი მროველი მხოლოდ რედაქტორი და მატიანის შემსებია. **რაც შეეხება არმენოფილობას:** მართებულია რისმაგ გორდეზიანისა და სხვა მეცნიერთა მსჯელობა: „ქართლის ცხოვრების“ ამ ნაწილში სომხური ენა აღნიშნავს ურარტუელთა ენას, ხოლო ჰაოსი



ვფიქრობთ, ლაზთა, მეგრელთა, იმერხეველთა, მესხთა, კახთა, სვანთა, ჰერთა, ფხოველთა და სხვა ქართველთა ამჟამინდელი საშინაო მეტყველება სათავეს იღებს წელთაღრიცხვათა მიჯნიდან; საყურადღებოა, რომ სწორედ ამ დროს ჩნდება მათი სახელები ისტორიულ წყაროებშიც. დასავლურქართველური (შიშინა) დიალექტური წრის ჩამოყალიბება შეიძლება დავუკავშიროთ ორ ისტორიულ მოვლენას:

- ძვ.წ. I ათასწლეულის დასასრულს ქართველთა ერთიანი სახელმწიფო – ქუჯ-ფარნავაზის ქართლი – დამპყრობელთა მიერ უკვე დანაწევრებულია რამდენიმე სამეფოდ: პონტოდ, ლაზიკად, იბერიად... სხვადასხვა სახელმწიფოებრივ ველში მოქცევა აფერხებს ქართველური მოდგმის თემთა (ეთნოგრაფიულ ჯგუფთა) კულტურულ თანაცხოვრებას; სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში უფრო კნინდება ქართული/ქართველური სამწიგნობრო-ოფიციალური ენის სტატუსი, შესაბამისად, აქტიურდება ზეპირი მეტყველებისთვის

არის ურარტუელთა და არა – არმენთა ეთნარქი (მსჯელობისათვის ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, ქართველები, 2005, გვ. 203-204).


დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენები. ვფიქრობთ, ამ პერიოდიდან საერთოქართველური ენის აღმოსავლურ ვარიანტში გვაქვს პალატალიზებული ბგერების მქონე სპარსული ენის გავლენა (ძვ.წ. II საუკუნეში მტკვარ-არაქსის აუზში მძლავრობენ სპარსული ტომები), დასავლურ-ქართველურ ზეპირ მეტყველებაში კი პირიქით: აქტიურდება წინაენისმიერი ლაბიოველარიზებული ბგერებისგან ველარიზებული ჰარმონიული კომპლექსების (ჟგ, შქ, ჯგ, ჩქ, ჭკ...) წარმოქმნა, ლაბიოველარიზებულ ძ, ც, წ, ზ, ს ბგერებისგან ჯ, ჩ, ჭ, ჟ, შ ფონემების ფორმირება. შემდგომ ეტაპზე დასავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობის მეტყველებაში მომიჯნავე თანხმოვანთა ლაბიალური კომპონენტის მონაწილეობით ხორციელდება ა > ო, ე > ა გადაბგერება; მთის მოსახლეობის მეტყველებაში ხმოვანთა ლაბიალიზაციის პროცესს აფერხებს (და ცვლის) პალატალიზაცია, რომელიც ახასიათებს სვანეთის მოსაზღვრე ჩრდილოკავკასიელი ხალხებისა და მოსული თურქების/ყივჩაყების ენებს...

- ვახტანგ გორგასლის შემდეგ დაწყებული საქართველოს სახელმწიფოებრივი ნგრევა არაბობამ დაასრულა; სწორედ არაბობის პერიოდში დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიებზე საბოლოოდ ჩამოყალიბდა ორი ძირითადი დიალექტური წრე: მეგრულ-ლაზურ-ჭანურ-სვანური და იმერულ-ქართლ-კახურ-მესხურ-ჰერულ-ფხოურ-თაკვერული[249].


სპეციალისტთა შორის დიდი კამათის საგანია ქართველურ დიალექტთა დივერგენციის გზები; კერძოდ, მეცნიერთა ერთი ნაწილი იზიარებს **გ. დეეტერსის ვარაუდს,** რომელსაც საერთოქართველურიდან ჯერ გამოჰყავს სვანური და ქართულ-ზანური; ამ უკანასკნელიდან – ქართული და ზანური, ზანურისაგან კი – მეგრული და ლაზური ენები; იგი ასეთ სქემას გვთავაზობს:

---

[249] ვრცლად იხ. ტ. ფუტკარაძე, ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები), 2005, გვ. 315-316.



სრულიად განსხვავებულია არნ. ჩიქობავას დაშვება: როგორც ზემოთ ვნახეთ, ცნობილი კავკასიოლოგი მიიჩნევს, რომ ქართულის ტრანსფორმაციითაა მიღებული ზანური; ზანურისა და მთის კავკასიური ენების შერევით კი – სვანური; არნ. ჩიქობავას სქემა დაახლოებით ასე გამოიყურება[250]:



საერთო ქართველური ენა -> ქართული სამწიგნობრო ენა

თავის ნაშრომებში არნ. ჩიქობავა სამართლიანად თვლის,

[250] შდრ., მ. ქურდიანი, საერთოქართველური ენა და მისი დიფერენციაციის თანამიმდევრობის პრობლემა, ქართველური მემკვიდრეობა, ტ. I, ქუთაისი, 1996.

რომ საერთოქართველური ენა უშუალოდ გააგრძელა ქართულმა ენამ. მისი აზრით, ქართულს გამოეყო ზანურ-სვანური დიალექტური ჯგუფი, რომელიც შემდეგ დაიშალა უმწერლობო სვანურ და ზანურ ენებად (არ უთითებს კრიტერიუმს, თუ რის მიხედვით თვლის „უმწიგნობრო ენად“ – ტ.ფ.). **არნ. ჩიქობავასვე აზრით, ქართული ენა არის ყველა ქართველის** (მათ შორის, მეგრელ-ლაზ-სვანების) **დედაენა**: „მეფის მთავრობის ცდა (მეცხრამეტე საუკუნის მეოთხმოცე წლებში) მეგრულად შემოეღო სწავლა სამეგრელოს სკოლებში და მით ქართული ენა სამეგრელოს სკოლებიდან განედევნა, მარცხით დამთავრდა: **თუ დედა-ენას ასწავლიდნენ ქართველ ბავშვებს სკოლაში, ეს ენა ქართული იყო ყველა ქართველი ტომისათვის** (ხაზი ჩემია – ტ.ფ.)[251].

პოლიტიკური კონიუნქტურის გამო, ამ კონტექსტში არნ. ჩიქობავა საერთოდ არ ახსენებს გასული საუკუნის 20-იან წლებში განხორციელებულ უფრო საშიშ დივერსიას – ი. სტალინისა ს. ორჯონიკიძის მხარდაჭერით, ისაკ ჟვანიას ჯგუფის მიერ მეგრული სკოლების დაარსებასა და მეგრული გაზეთების გამოცემას. ეს ავანტიურა განხორციელდა იოსებ სტალინის იდეოლოგიური ხასიათის წიგნის (გამოქვეყნდა 1913 წელს): „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ საფუძველზე, სადაც, არგუმენტების გარეშე, მეგრელები, სვანები და აჭარლები, აფხაზებსა და ლეკებთან ერთად მიჩნეულია ისეთ ხალხებად, რომლებსაც დედაენაზე არ შეუქმნიათ ლიტერატურა[252].

---

[251] არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 363.

[252] ი.სტალინი: „რა ვუყოთ ასეთ ხალხებს: მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვ., რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ?“ ი. სტალინის ეს წიგნი საბჭოთა კავშირში მრავალჯერ გამოიცა /ქართულად კი ოთხჯერ დაიბეჭდა/; იხ., აგრეთვე: ი. გიგინეიშვილი, ი. ბ. სტალინის მოძღვრება საერთო სახალხო ენისა და დიალექტების შესახებ და ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის საკითხები, ტ. III, 1952, გვ. 483-510; ქ. ლომთათიძე, ი. სტალინის შრომა «მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები» და მისი მნიშვნელობა-საბჭოთა ენათმეცნიერებისათვის, ტ. III, 1952, გვ. 33-71.

მოგვიანებით, **სავარაუდოდ, ლ. ბერიას არგუმენტების გათვალისწინებით,** ი. სტალინმა შეცვალა მიდგომა და საბჭოთა კავშირის „ეროვნული უმცირესობების“ სიიდან ამოიღეს: აჭარლები, მეგრელები, სვანები... ვფიქრობ, **ამ კონტექსტშია განსახილველი არნ. ჩიქობავას,** როგორც „განათლების სახალხო კომისარიატის“ მიერ შექმნილი კომისიის წევრის, **სამოქალაქო გმირობა,** როდესაც იგი დაუპირისპირდა ლენინ-სტალინური „ნაციონალური“ პოლიტიკის გამტარებელ ქართველ ბოლშევიკთა პირველ თაობას და მათ საპირისპიროდ გამოაცხადა, რომ **მეგრული ზანურის ენის დიალექტია და არა – დამოუკიდებელი უმწერლობო ენა.**


ფაქტია, რომ სტალინის კატეგორიული პოზიციის მიუხედავად (სტალინი მეგრულს, ლაზურს და სვანურს დამოუკიდებელ უმწერლობო ენად მიიჩნევდა), აკად. არნ. ჩიქობავამ შეუძლებელი შეძლო: სტალინის პოზიციის საპირისპიროდ[253], მეგრული და ლაზური მეტყველებების **ზანური ენის** დიალექტებად გამოცხადებით მან ხელი შეუშალა მეგრული და ლაზური კილოების ქცევას ხელოვნურ სალიტერატურო ენებად; თუმცა, ხელი ვერ შეუშალა ტერმინის: „ქართველური ენები“ დამკვიდრებას.

შემდგომ პერიოდში, თავის თეორიულ ნაშრომებში, არნ. ჩიქობავა შეეცადა, ამ მიმართულებითაც შეერბილებინა ქართველთა დამანაწევრებელი ეს რუსული „ლინგვისტური“ იდეოლოგემა; კერძოდ, **მან ერთმანეთისაგან განასხვავა ე.წ. ტომობრივი ენა და ეროვნული ენა: ტომობრივი ენა, როგორც უმწერლობო ენა, დიალექტს გაუთანაბრა;** მაგ., „ენათმეცნიერების შესავალში“ არნ. ჩიქობავა ადამიანთა სამეტყველო ერთეულების ასეთ იერარქიას წარმოადგენს (1952, გვ. 100-101):

---

[253] მოგვიანებით, სავარაუდოდ ლ. ბერიას (და კ. ჩარკვიანის) შუამავლობით, არნ. ჩიქობავა შეხვდა ი. სტალინს. ამ შეხვედრის შემდეგ ი. სტალინმა საბოლოოდ გადააფასა ნიკო მარის მარქსისტული ენათმეცნიერული თეორია.

- ტომობრივი ენები (და დიალექტები): ინდიელთა ენების უმრავლესობა; ასევე: სვანური, ზანური (მეგრულ-ჭანური), აღულური, წახური, ანდიური, დიდოური...
- ხალხების ენები: ხუნძური, დარგუული, ლეზგიური...
- ეროვნული ენები: რუსული, უკრაინული, ბელორუსული, ლატვიური, ლიტვიური, ქართული, სომხური, ჩინური, ინგლისური, გერმანული, ფრანგული... არნ. ჩიქობავასთვის მეგრულ-ჭანური თუ სვანური ტომობრივი ენაა და არა – ხალხის ენა ან ეროვნული ენა.
არნ. ჩიქობავას ეს მოსაზრება (ეროვნული ენა – ტომობრივი ენა – დიალექტი) ბევრმა მეცნიერმა გაიზიარა; მათ შორის – მ. ქურდიანმა; თუმცა, არნ. ჩიქობავასაგან განსხვავებით, იგი ფიქრობს, რომ საერთოქართველური ენა გარკვეულწილად განსხვავდება ისტორიული ქართული ენისაგან. მ. ქურდიანის დივერგენციის სქემა ასე გამოიყურება:



არნ. ჩიქობავას მსგავსად, მ. ქურდიანი უმწიგნობრო, **ტომობრივ ენებად** თვლის სვანურსა და ზანურს.
კვლევის თანამედროვე ეტაპზე ქართველი ერის რომელიმე ნაწილის (/თემის) მოხსენიება „ტომად“, მათი მეტყველებისა კი – „ტომობრივ ენად“ არაკორექტულია; მაგ., თანამედროვე მეგრელი თუ აჭარელი არ არის ცალკე ტომი; მეგრელი, აჭარელი, სვანი, ლაზი... ისეთივე ორგანული ნაწილია ქართველი ერისა, როგორც გურული თუ იმერელი; მეგრელი, სვანი თუ ლაზი ისეთივე შემოქმედია ქართული სამწიგ-

ნობრო კულტურისა, როგორც აჭარელი თუ თუში, მესხი თუ ქართლელი; შესაბამისად, დიდი შეუსაბამობაა მეგრელთა, ლაზთა თუ სვანთა გამოცხადება **უმწერლობო ენის მქონე „ტომებად“**[254].

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1991 წ.), ენათმეცნიერებაში დაძლეულ იქნა სტალინისეული „ლინგვისტური“ სტერეოტიპები; პირველ რიგში, ეს შეეხო ტერმინებს: „ტომობრივი ენა“ და „ქართველური ენები“. ამ მიმართულებით გამორჩეული ნაბიჯები გადაიდგა აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში; კერძოდ: გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში აწსუ დიალექტოლოგის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ ქართველოლოგიურ საერთაშორისო კონფერენციებზე გამოტანილ მოხსენებებში თანდათან ჩამოყალიბდა ახლებური მიდგომა, კერძოდ, შემუშავდა თვალსაზრისი, **„ქართველური ენების“ ნაცვლად „ქართველური დიალექტების“ გამოყენების ლოგიკურობის შესახებ;** საგანგებო მოხსენებად წაკითხულ იქნა 2000 წელს ქალაქ ზუგდიდში[255].

---

[254] შდრ.: რუსული იდეოლოგემა: ერთმა ქართველურმა ტომმა – ქართველებმა – სხვა ქართველური ტომების (მეგრელების, სვანების, ლაზების...) ასიმილაცია მოახდინეს. ეს ე.წ. „ქართიზაციის“ თეორია ისტორიოგრაფიული თვალთახედვით პირველად გააკრიტიკა მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ (იხ. მაგ.: ა.ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. I-III, თბ., 1996; ა.ჯაფარიძე, ორი თეორია ქართველი ხალხის ჩამოყალიბების დროის შესახებ, თბ., 2003... ე.წ. სამი/ოთხი ქართველური ტომის/ენის რუსული იდეოლოგემის კრიტიკისათვის ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები), 2005. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ძველ წყაროებში არა სამი/ოთხი, არამედ 20-მდე ქართველური ტომი დასტურდება, რომელთა საფუძველზეც საუკუნეების წინ ჩამოიძერწა ქართველი ერი.

[255] ტ. ფუტკარაძე. საერთოეროვნული სალიტერატურო ენისა და „საშინაო“ სამეტყველო კოდების მიმართების საკითხი ქართული სალიტერატურო ენისა და ქართველური დიალექტების მიხედვით (სამეტყველო კოდების იერარქიისათვის). XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები. ზუგდიდი. 2000,

დღეს უფრო მეტი გამოცდილებაა, ქართველური ენობრივი სამყაროს კვალიფიკაცია მოხდეს ისტორიული რეალობისა და თანამედროვე ტერმინოლოგიური მიდგომების საფუძველზე[256]; ვფიქრობ, პირველ რიგში, გადასასინჯია ე.წ. დივერგენციული სქემების აგების კონცეფცია; კერძოდ, აუცილებელია, ენების/კილოების ფორმირების პროცესში გათვალისწინებული იყოს მრავალწახნაგოვანი კონვერგენციული (ინტეგრაციული) პროცესების როლი. ჯერ კიდევ 2005 წელს ვწერდით:

„მოცემულ მონათესავე ენობრივ ერთეულებს შორის ფონეტიკურ-გრამატიკული სხვაობის მალალი ხარისხი შეიძლება შეპირობებული იყოს არა მხოლოდ ამ ერთეულთა ადრეული დივერგენციით (პრაენიდან ადრეულ ეტაპზე გამოყოფით), არამედ სხვა მიზეზებითაც; კერძოდ, ცვლილებანი შეიძლება გამოეწვია ეთნოსთა ინტენსიურ შერევებს: კომპაქტური გადასახლებები თუ ჩამოსახლებები აპირობებს სუპერსტრატულ ან სუბსტრატულ მოვლენებს, შესაბამისად, ორივე შემთხვევაში, სტიმული ეძლევა სწრაფ და კანონზომიერ ფონეტიკურ პროცესებს... საკუთრივ ქართველურ სინამდვილეში: ქართველურ

20-21 ოქტომბერი; იხ., აგრეთვე: ტ. ფუტკარაძე, ქართველები, ზოგადქართული სამწიგნობრო ენა და ქართველთა დიალექტები (ისტორიული მიმოხილვა). ქართველური მემკვიდრეობა, VI. ქუთაისი, 2002, გვ. 187-200. წაკითხულია მოხსენებად 2001 წლის 4-5 მაისს სიმპოზიუმზე: „ქუთაისური საუბრები“, VIII. 2002; მ. ტაბიძე, ენები თუ დიალექტები, კრებული II, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო ცენტრი, 2002, გვ. 207-209. თ. გვანცელაძე, არის თუ არა გაგებინება ენის დიალექტისაგან გამიჯვნის კრიტერიუმი? ენათმეცნიერების საკითხები, №2, 2003; თ. გვანცელაძე, ენა და კილო ქართველოლოგიაში, თბილისი, 2006.

[256] თუმცა დღესაც არიან ძალები, რომელთაც სურთ ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური დანაწევრებითა და საქართველოს ეთნიკურ-პოლიტიკური ისტორიის დამახინჯებით /ანტიქართული ისტორიულ-გეოგრაფიული იდეოლოგემების ფაბრიკაციით/ შეძლონ საქართველოს მხარეების რეგიონალიზაცია და, საქართველოს უნიტარული სახელმწიფოს ნაცვლად, ე.წ. კონფედერაციული, მყიფე სახელმწიფოს შექმნა.

ენობრივ ველში ბუნებრივია ლაბიოველარიზაციის პროცესი (შდრ., სხვა ენებში აქტიურია პალატალიზაცია, ნაზალიზაცია...); ცნობილია, რომ საერთოქართველურ თანხმოვანთა განსხვავებული რეფლექსები ზანურ-სვანურ ფორმათა მხოლოდ ერთ ნაწილში დასტურდება; კერძოდ, ძ, ც, წ, ზ, ს, ჯ, ჩ, ჭ, ჳ, შ სიბილანტები მხოლოდ საერთოქართველურ ფუძეთა ერთ ნაწილში იძლევა ბგერათშესატყვისობებს (მეორე ნაწილში უცვლელი რჩება). ვფიქრობთ, ამ შემთხვევებში ზანურ-სვანური რეფლექსების წარმოქმნა უნდა აიხსნას საერთოქართველურშივე ლაბიოველარიზებული ბგერების არსებობით (ჩრდილოკავკასიური ენებისთვის დამახასიათებელი და საერთოქართველურისთვისაც ბუნებრივი ლაბიოველარიზებული ბგერების შესახებ არსებული მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვასა და მსჯელობას ცალკე წარმოვადგენთ). სწორედ ლაბიოველარიზებულ ბგერათა მეზობლობა ჩანს მიზეზი ზანურში საერთოქართველური ა-ს ზანურ ო-დ ქცევისა[257].

დღევანდელი სვანური კილოების მეტად განსხვავებულობა საერთოქართველური ენობრივი მოდელისგან შეპირობებულია არა მხოლოდ სვანურის სიძველით, არამედ კავკასიონის კალთებზე სხვა იბერიულ-კავკასიურ, თურქულ და ალანურ ტომთა ხშირი მიგრაციებით; ამ პროცესებმა ქართველური ენის სვანურ ქვესისტემებში სტიმული მისცა მრავალფეროვან ფონეტიკურ პროცესებს; კერძოდ, სვანთა მეტყველება ხანმეტი ქართულიდან (/ქართველურიდან) მომდინარე დიალექტური მეტყველებაა, რომელშიც დიდია სუპერსტრატულ მოვლენათა კვალი ფონემატურ სტრუქტურასა და მორფოლოგიურ ინვენ-

---

[257] ტ. ფუტკარაძე, ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები), 2005, გვ. 264-280. აღმოსავლურ ქართულზე სპარსული (ინდოევროპული) ენის გავლენის შესახებ, ასევე, მეგრულ-ლაზურში ლაბიოველარიზაციის შინაგანი, იმანენტური ქართველური ბუნებისა და სვანურში პალატალიზაციის ჩრდილოკავკასიაში არსებული მეზობელი ენების გავლენით გააქტიურების შესახებ ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა (სადოქტორო დისერტაცია), 1998.

ტარშიც კი; მაგ., საკუთრივ ქართველური წარმომავლობის არ ჩანს პალატალიზებული ხმოვნები; შდრ., აგრეთვე, სვანური ძირითადი ლექსიკური ფონდის ისეთი სიტყვები, როგორიცაა: მურყვამ „კოშკი“, ჩაჟ „ცხენი“, მუს „თოვლი“, უჩხა „წვიმა“, ლემესგ „ცეცხლი“, ღოლაქ „ცხვარი, ვერძი“, ფაყვ „ქუდი“ და სხვ.[258]... მიუხედავად გარე გავლენებისა, ქართველური ენობრივი სამყარო – ნორმირებული მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ენა და ათეულობით დიალექტი – ერთი მთლიანი და დიდი ზოგადქართული კულტურაა“[259].

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა **მ. ტაბიძის შემდეგი მსჯელობა:** „ქართული ენა თავისი ისტორიული გზის მანძილზე მუდმივად წარმოადგენდა ერთ მთლიანობას, მრავალფეროვანი, რთული სახესხვაობების (ქართველური ქვესისტემების – ტ.ფ.) სისტემურ ერთიანობას. აქ საქმე გვაქვს არა დივერგენციის ისეთ ფორმასთან, რომელსაც ევროპის ენების უმრავლესობა გვიჩვენებს, არამედ სრულიად სპეციფიკურ მოვლენასთან, **როდესაც ერთი ენობრივი ბირთვი მუდმივ პულსაციაშია და მისგან ტალღებად წამოსული ვარიაციები ზღვის მოქცევა-უკუქცევის მსგავსად სულ მუდამ უბრუნდებიან საკუთარ წიაღს**“[260].

ქართველური ენობრივი სამყაროს დივერგენციის ამსახველი ზემოთ წარმოდგენილი სქემების სერიოზული ნაკლი ისიცაა, რომ ქართველური ქვესისტემები სხვადასხვა ქრონოლოგიურ მონაცემებად ცხადდება; მაგ., გამყრელიძე-ივანოვის მიხედვით, საერთოქართველური ათასი წლით „უფროსია“ სვანურზე, სვანური კი ასევე, 1000 წლით „უფროსია“ ქართულზე[261].

---


[258] ტ. ფუტკარაძე, ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები), 2005, გვ. 273-275.

[259] სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისა და მსჯელობისათვის იხ.: ს. ჯანაშია, 1959, გვ.81-124; აგრეთვე, ტ. ფუტკარაძე, 1998; ტ. ფუტკარაძე, ქართველები, 2005, გვ. 322.

[260] მ. ტაბიძე, სოციოლინგვისტიკა, 2015, გვ. 95-96.

[261] თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები, 1984, გვ.908-909.

ჩვენი აზრით, ყველა ძირითადი ქართველური ქვესისტემა ერთი ასაკისაა; მათი ცვლილებები კი შეპირობებულია სხვადასხვა რანგის გავლენებით (შერევებით) და იზოლაციისა თუ სამწიგნობრო ენის გავლენის ხარისხით. ქართველთა ენობრივი სამყაროს ისტორია სქემატურად ასე შეიძლება გამოვსახოთ:



სქემაზე ძირითადი ხაზი – ხის ღერო – არის საერთოქართველურიდან მომდინარე სამწიგნობრო ქართული ენა; მის გარშემო აზიდულნი არიან სამწიგნობრო ენის მასაზრდოებელი ქართველური დიალექტები, ხოლო **სამწიგნობრო ენის მიზიდულობის ველი გამოვსახეთ ზამბარისებრი წრებრუნვით:** მრავალი საუკუნის მანძილზე სამწიგნობრო ქართულ ენასთან ახლო თუ დისტანციური კონტაქტით ვითარდებოდნენ ქართველური ზეპირი მეტყველებები, რომელთა **ცვლილების ხარისხს** განსაზღვრავდა სამწიგნობრო ენის ველის ზემოქმედების სიძლიერე.

ქრონოლოგია:

- სავარაუდოდ, მეფე აიეტის დროიდან ქუჯ-ფარნავაზის ეპოქამდე არსებობს საერთოქართველური ენა; ნიშანდობლივია, რომ II-I ათასწლეულებში გვაქვს კოლხური არქეოლოგიური კულტურაც.
- დიდი **ალბათობით, ფარნავაზისა და ქუჯის დროიდან საერთოქართველურ ენას ეფუძნება ქართველთა არქაული სამწიგნობრო ენა,** რომლის ნიმუშებიც (ხანმეტი/ჰაემეტი ტექსტები) დასტურდება ახ.წ. II-VIII საუკუნეებში.
- IX საუკუნიდან ხანმეტ/ჰაემეტ სალიტერატურო ქართულ ენას ცვლის **ისტორიული საეკლესიო ენა,** რომელსაც უშუალოდ აგრძელებს თანამედროვე ქართული სამწიგნობრო ენა.

რეცენზიები

პროფ. ნუგზარ ანთელავას რეცენზია პროფ. ტარიელ ფუტკარაძის წიგნზე: „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“

„ისტორიას ბოროტი მეხსიერება აქვს“.
ნ. კარამზინი

კაცობრიობის ისტორია, შეიძლება ითქვას, პრეცედენტების ისტორიაა. პრეცედენტთა შორის კი გარკვეული წილი გარეგანი ფაქტორებით განპირობებულ და შინაგანი ძალებით მხარდაჭერილ ბოროტების საწყისზე მოდის, რაც ისტორიის მეხსიერების ხასიათს განსაზღვრავს. ეს პროცესი განსაკუთრებით კარგად ჩანს მეტროპოლიისა და კოლონიის ურთიერთობაში, კოლონიისა, რომლის ისტორია მეტროპოლიის ისტორიის ნაწილს შეადგენს; უფრო მეტიც, კოლონია საკუთარი ისტორიის გარეშეა დარჩენილი, რადგანაც იგი ისტორიის შემოქმედი თავად არ არის, და ამიტომაც, შეიძლება ითქვას, თავისი არსებობის არაისტორიულ ფაზაში იმყოფება. აღნიშნული თვალსაზრისი შეიძლება შემდეგი თეზისის სახით წარმოვადგინოთ: **კოლონია – ესაა ისტორიის ობიექტი, ანუ მეტროპოლიის პოლიტიკის ობიექტი, ხოლო მეტროპოლია – ისტორიის სუბიექტი, ანუ ისტორიის შემქმნელი.** კოლონია არსებობის ისტორიულ ფაზაში მხოლოდ მეტროპოლიის წინააღმდეგ ამბოხების დროს საკუთარი მოთხოვნების დაყენების მომენტში ან მისგან (მეტროპოლიისგან) სრული განთავისუფლებისთანავე შედის. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ განთავისუფლების შემდეგ კოლონიური იდეოლოგია დიდხანს აგრძელებს არსებობას, ყოველთვის მოიძებნებიან მოწყვლადი ჯგუფები, რომლებიც, თავიანთი მონური მსოფლმხედველობითა თუ მერკანტული ინტერესებით, მეტროპოლიის სამსახურში დგებიან და, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ერისა და სახელმწიფოს ბუნებრივ-ისტორიულ განვითარებას ძირს უთხრიან. შორს რომ არ წავიდეთ, ამის ნათელი მაგალითია ჩვენი რეალობა – ქართული ეთნოსის ენობრივი დაშლის მცდელობა, რომლის საბოლოო მიზა-

ნი ქართული ეთნიკური და სახელმწიფოებრივი სხეულის დანაწევრებაა. ერთი ასეთი ჯგუფი კარგა ხანია საქართველოში მოქმედებს და პერიოდულად წამოყენებული მოთხოვნებით თავს გვახსენებს, როგორც ძირ-ძველი ქართული კუთხის – სამეგრელოს – მომავალსა და მეგრულ ენაზე „მზრუნველი“.

რამდენიმე თვეა გასული, რაც ქ. ზუგდიდის ცენტრში, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, ძეგლთან ზემოაღნიშნული ჯგუფის აქტივისტები შეიკრიბნენ და „უფლებააყრილი“ მეგრული ენის მდგომარეობისა და მისი სტატუსის ამაღლების თაობაზე ისაუბრეს. რუსული იმპერიული ზრახვებით, ე. წ. „ჩხოუშიელი ავტონომისტებისა“ და „მაფალუისტების“ იდეებითა და ალ. ჭაჭიას დირექტივებით ნაკვებმა ჯგუფმა, დამუხტულმა „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ მოთხოვნებით, სამეგრელო-ზემოსვანეთის მხარის აწ უკვე განთავისუფლებულ სახელმწიფო რწმუნებულს პეტიციაც კი წარუდგინა, რომლითაც სამეგრელოში საქმის წარმოებისა და საღვთისმეტყველო ენად მეგრული ენის შემოღება მოითხოვა.

აღნიშნული ჯგუფი არ არის პირველი, ვინც მსგავსი წინადადება დააყენა. ეს პრეცედენტული მოთხოვნა დღის წესრიგში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დადგა, როცა რუსეთის ხელისუფლების სამიზნე გახდა ქართული ეთნოსის ერთ-ერთი სტრუქტურული ნაწილის, მეგრელების (ასევე სვანების), სამეტყველო ენა, რომელიც, ისევე როგორც ლაზური, დანარჩენი ქართული სუბეთნოსებისათვის გაუგებარი იყო. ასე დაიწყო და გრძელდება დაუნდობელი შეტევა საქართველოს ენობრივი და სახელმწიფოებრივი სეგმენტაციისათვის, რადგან მეგრული მეტყველების საკითხი იმთავითვე იყო და, როგორც ჩანს, არის არაოდენ ლინგვისტური, არამედ პოლიტიკური პრობლემა.

აღნიშნული პრობლემის ლინგვისტურ, სოციოლინგვისტურ, კულტუროლოგიურ და პოლიტიკურ ასპექტებს ეხება ცნობილი მეცნიერის, ტარიელ ფუტკარაძის, ნაშრომი, რომელშიც გამოწვლილვით არის გამოკვლეული საკითხთან დაკავშირებული როგორც მიმოქცევაში დღემდე არსებული მასა-

ლები, ისე ახალი მონაცემები. ნაშრომი მრავალმხრივ არის საინტერესო, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე, ენობრივი და ეთნიკური იდენტობის პრიზმაში განხილული, ქართველური სტრუქტურული ერთეულების (მეგრულ-ლაზურისა და სვანურის) მიმართ დამოკიდებულების, ქართულ რეალობაში მათი ფუნქციის, ადგილისა და როლის განსაზღვრის შესახებ მსჯელობა.

ტ. ფუტკარაძის ნაშრომის გარკვეული ნაწილი დათმობილი აქვს საკითხის ისტორიის პანორამულ კვლევას. მისი გაცნობით მკითხველს ნათლად წარმოუდგება ის ისტორიული რეალობა, რომლის წიაღშიც ჩვენთვის საინტერესო პრობლემა იშვა, და ყველა იმ ფიგურანტის, ქართველისა თუ უცხოელის, ჭეშმარიტი სახე, რომლებიც საქართველოს სასიკეთოდ თუ სამტროდ იღვწოდნენ. საკითხის ისტორია კი, როგორც ითქვა, XIX საუკუნეში დაიწყო და XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში დასრულდა. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით გასული საუკუნის 20-30-იან წლებში განიხილებოდა, ანუ იმ პერიოდში, როდესაც საქართველოში გამოჩნდნენ სხვადასხვა ჯურის ავანტურისტულ-სეპარატისტული ჯგუფები, რომლებსაც სამეგრელოს ავტონომიის შექმნისა და მეგრული ენის სტატუსის ამაღლების იდეა აერთიანებდათ.

ნაშრომის ავტორს სკრუპულოზურად აქვს გამოკვლეული იმჟამინდელი საქართველოს უზენაესი მმართველის, ლავრენტი ბერიას, წვლილი ი. ჟვანიას მიერ წამოყენებული და ი. სტალინისაგან მხარდაჭერილი იდეის – სამეგრელოს ავტონომიური ოლქის შექმნისა და მეგრული სკოლების გახსნის – წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ბრძოლაში იგი ქართველი მეცნიერების, განსაკუთრებით კი არნოლდ ჩიქობავას შეხედულებებს ეყრდნობოდა, როგორც ამაზე მკვლევარი მიუთითებს. „ქართული ენა, – წერდა არნ. ჩიქობავა, – მეგრელი და სვანი ბავშვების ნორმალური განვითარებისათვის ისეთივე ბუნებრივი და პედაგოგიურად მიზანშეწონილი იარაღია, როგორც ხევსური და გურული ბავშვებისათვის“.

ტ. ფუტკარაძე აღნიშნავს, რომ, სხვა ფაქტორებთან ერთად, „... ლავრენტი ბერიას გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა არნოლდ ჩიქობავამ, რომელმაც ნ. მარის (და ი. სტალინის) საპირისპიროდ წამოაყენა დებულება, რომ მეგრული

არ არის ცალკე ენა; მეგრული არის უმწერლობო ზანური ენის დიალექტი“. მართალია, მეგრულიცა და ლაზურიც აწ უკვე გამქრალი ერთიანი ზანური ენის დიალექტები იყო, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ დიალექტი ცოცხალი ორგანიზმია და იგი ან დეგრადაციას განიცდის და ქრება, ან დამოუკიდებელ ენად ყალიბდება. თავის დროზე ქართველური ფუძე-ენის, საერთო ქართულის დიალექტები იყო საკუთრივ ქართული, ზანური და სვანური ენები. სხვა საკითხია ის გარემოება, რომ უმწერლობო ზანურიდან განვითარებული მწიგნობრული კულტურის არმქონე მეგრული, ლაზური და სვანური ენები თავიანთი სოციალური ფუნქციით ე. წ. პატუა ენათა ანუ საყოფაცხოვრებო (შინაურობაში გამოსაყენებელ) ენათა რიგს განეკუთვნებიან (სოციოლინგვისტური თვალსაზრისით, ოდენ დიალექტის ფუნქცია აქვთ) და სამუდამოდ ამ მდგომარეობაში დარჩებიან, ან გაქრებიან და საბოლოოდ მათ ადგილს ქართული ენა დაიჭერს.

ამდენად, ეჭვგარეშეა, რომ ენის სტატუსი მისი სოციალური ფუნქციით განისაზღვრება და არა წმინდა ლინგვისტური პარამეტრებით. აქედან გამომდინარე, მეგრულ-ლაზური და სვანური სამეტყველო ენები უნდა განისაზღვროს, როგორც დიალექტები. სავსებით მართებულად წერს ტ. ფუტკარაძე, რომ აღნიშნული სუბეთნიკური ჯგუფების, როგორც ქართული ეთნოსის ორგანული ნაწილების, სამწიგნობრო ენა, ანუ დედაენა სულ მცირე 16-საუკუნოვანი ქართული სალიტერატურო ენაა, რაზედაც **მეგრელებისა და სვანების ენობრივი თვითიდენტიფიკაციის შესახებ არსებული მონაცემებიც მოწმობს**.

აქვე უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ენა არ არის ამა თუ იმ ხალხის ეთნიკური იდენტობის განმსაზღვრელი კულტურული ფენომენი (მაგალითად, ირანულენოვან ოსებს არც გენეტიკური, არც ანთროპოლოგიური და არც კულტურული თვალსაზრისით, საერთო არაფერი აქვთ ირანული მოდგმის ალანებთან, ისევე როგორც ჩრდილოკავკასიელ თურქულენოვან ხალხებს – თურქებთან. ისინი ტიპური კავკასიელები არიან). საქართველოს ერთიანი სოციოკულტურული სივრცის წიაღში ჩამოყალიბებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მოსახლეობას, რომელიც, საერთო ნიშნებთან ერთად (ეს ნიშნები ვლინდება ეთნიკური კულტურის ყველა

სფეროში – პირველადი წარმოებისა და სიცოცხლის უზრუნველყოფის, სოციალურ და ნორმატიულ, ჰუმანიტარულ და ირაციონალურ სტრუქტურებში), ბუნებრივ-ეკოლოგიური მოცემულობით განპირობებული ყოფისა და კულტურის ელემენტების თავისებურებებით ხასიათდებოდა და, ნაწილობრივ, დღესაც ხასიათდება, აქვს ორმაგი თვითშეგნება – საერთოეთნიკური და კუთხური, ანუ სუბეთნიკური (ზოგადად, სუბეთნოსის საბაზისო თვისებაა – ორმაგი თვითშეგნება, ორმაგი იდენტობა) და გააჩნია თვითსახელწოდება. ქართული ეთნოსის შიგნით არსებული სუბეთნიკური ჯგუფები (სვანები, მეგრელები, აჭარლები, გურულები, იმერლები, რაჭველები, ლეჩხუმლები, კახელები, თუშები, ხევსურები, ფშავლები, მოხევეები, მესხები, ჯავახები და სხვ.) ერთდროულად თავს მიაკუთვნებენ ეთნოსსაც და სუბეთნოსსაც. ასე რომ, არ არსებობს ქართული (და არამარტო ქართული) ეთნოსის წარმომადგენელი, რომელიც იმავდროულად ერთ-ერთი სტრუქტურული სუბეთნოსის წევრი არ იყოს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სუბეთნოსის განცალკევება ხდება არა „ნაწილისა და მთელის“ პრინციპით, არამედ როგორც მთელის ნაწილისა იმავე მთელის სხვა ნაწილის საპირისპიროდ. ამავე პრინციპით ჩამოყალიბდა ქართული ეთნოსის სტრუქტურული ერთეულები, მათ შორის მეგრული და სვანური სუბეთნოსებიც. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს მავანთა მიერ მეგრელებისა და სვანების დამოუკიდებელ ეთნოსებად მიჩნევა, რადგან მათი უდიდესი უმრავლესობა თავს ქართულ ეთნოსს განაკუთვნებს და თვითშეგნებაც, შედარებით სუსტად გამოხატულ კუთხურთან ერთად, საერთოქართული აქვს.

ვერ დავეთანხმები წიგნის ავტორის თვალსაზრისს ზემოაღნიშნულ ბრძოლაში ლ. ბერიას მოტივაციის თაობაზე: „ლოგიკურია დავუშვათ, რომ ბოლშევიკური რეჟიმის დამკვიდრების პირველ ეტაპზე ლ. ბერია უფრთხოდა ქართველი ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლების გაღიზიანებას და ამიტომაც დაუჭირა მხარი ქართველთა ენობრივი ერთიანობის შენარჩუნებას და წინააღმდეგობა გაუწია სამეგრელოს ავტონომიის შექმნას“. ვეჭვობ, ლ. ბერია ქართველი ინტელიგენციის შიშით ი. სტალინის სანინააღმდეგო პოზიციაზე დამდგარიყო. როგორც ჩანს, მას ზედმიწევნით კარგად ჰქონდა გააზრებული სამეგრელოს ავტონომიური ოლქის შექმნისა და

სკოლებში მეგრული ენის დამკვიდრების სავალალო შედეგები, და მოიქცა ისე, როგორც ქვეყნის ჭეშმარიტი გულშემატკივარი მოიქცეოდა. მე, რა თქმა უნდა, ლ. ბერიას მეხოტბე არა ვარ და ვერც ვერასოდეს გავხდები, მაგრამ სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ. სწორედ მის თავგამოდებულ ქმედებებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ დღეს საქართველოში სამი სახელმწიფო ენა არ ფუნქციონირებს: რომ არა ლ. ბერია, ქართულთან და აფხაზურთან ერთად, სამეგრელოს ავტონომიური ოლქის (შესაძლოა, რესპუბლიკის) ფარგლებში, სახელმწიფო ენის სტატუსს მეგრულიც შეიძენდა.

მართალია, აღნიშნული პრობლემის თაობაზე კამათი XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში ქვეყნის სასიკეთოდ დასრულდა, მაგრამ დღეისათვის მის რეანიმაციასა და სამეგრელოში სეპარატისტული ჯგუფების გაჩენას ბიძგი მისცა ზემონახსენებმა „ევროპულმა ქარტიამ“, რომლის დებულებების შასახებ ტ. ფუტკარაძე მართებულად შენიშნავს: „90 წლის წინ მეგრულისა და სვანურის შესახებ ზუსტად ასეთი მოთხოვნა ჰქონდათ იოსებ სტალინის მიერ მართულ ბოლშევიკებს, რომელთაც ხელმძღვანელობდა ისაკ ჟვანია... ზუსტად ასეთივე მოთხოვნები აქვთ დღესაც კრემლის მიერ მართულ ჩვენი დროის ისაკ ჟვანიებს... გასული საუკუნის 30-იანი წლებისაგან განსხვავებით დღევანდელი პოლიტიკური სპექტრისა თუ სამეცნიერო წრეების წარმომადგენლების ერთი ნაწილი მხარს უჭერს მეგრულის, ლაზურისა და სვანურისათვის ე. წ. რეგიონული ან უმცირესობის ენის სტატუსის მინიჭებას; ანუ, რეალურად, დღეს არის მცდელობა, ქართველი ერის დამანაწევრებელი „ენობრივი პოლიტიკა“ უკვე ევროსაბჭოს კეთილშობილური დოკუმენტით შეიფუთოს“. ამ საკითხში ზოგიერთი მეცნიერის მოტივაციაა იმის შესაძლებლობა, რომ „მოიპოვოს **„საფრთხის ქვეშ მყოფი ენებისათვის“** გამოყოფილი მაღალბიუჯეტიანი ევროპული თუ ქართული გრანტი (რა თქმა უნდა, არ გამოირიცხება სხვა მოტივაციაც)“, – წერს ტ. ფუტკარაძე. ფრიად საყურადღებოა ნაშრომის ავტორის მსჯელობა მეგრულისა და სვანურის თაობაზე „ევროპული ქარტიის“ კონტექსტში, რაც ჩვენმა ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გაიზიაროს.

ორიოდ სიტყვა საღვთისმეტყველო ენის შესახებ. X საუკუნის შუა ხანებში გიორგი მერჩულის მიერ ნაბრძანები, **„ქარ-**

თლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“, იმას ნიშნავს, რომ ქართველურ ტომთა კონსოლიდაციის დიდი ხნით ადრე დაწყებული პროცესი საბოლოოდ ეკლესიურადაც დასრულებულია და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (ბუნებრივია, სამეგრელოშიც) საღვთისმეტყველოდ ქართული ენა უკვე დამკვიდრებულია. (ამ დრომდე ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მყოფ დასავლეთ საქართველოში წირვა-ლოცვის ენა, სავარაუდოდ, ბერძნული იყო; წარწერებიც ბერძნულ ენაზეა შესრულებული).

ამდენად, ათას წელზე მეტია, რაც სამეგრელოსა და სვანეთში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე წარმოებს და მისი მეგრულით და სვანურით ჩანაცვლების სურვილი ამ ბუნებრივი მდგომარეობის წინააღმდეგ ნასვლაა, რაც ერთიანი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში განხეთქილების შეტანას ემსახურება. XIX საუკუნეში ეს ჩინებულად ესმოდათ სამეგრელოს საეკლესიო და საერო მოღვაწეებს: გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს, მეუფე გრიგოლს (დადიანს), მღვდლებს – კაპიტონ გაწერელიას, კლიმენტი ჭანტურიას, ევგენი შენგელაიას, ნესტორ ალშიბაიას, ალექსი ქვარცხავას, დეკანოზ მიხეილ მეუნარგიას, ფრიად განსწავლულ თავადებს – ნიკო ტარიელის ძე დადიანს, დავით გიორგის ძე დადიანსა და სხვებს, რომლებმაც საკადრისი პასუხი გასცეს რუსების მზაკვრულ გეგმებს. სამწუხაროა, რომ ზემონახსენები ჯგუფის წევრები ამ მტრული გეგმების გამზიარებლები აღმოჩნდნენ. მათ არავისთვის უკითხავთ სამეგრელოში, სურთ თუ არა მეგრულ ენაზე სწავლა-განათლება, წირვა-ლოცვა ან საქმის წარმოება. ამიტომ ვთვლი, რომ ამ უუმცირესთა თავხედურ ქმედებას საფუძვლად უდევს მერკანტული ინტერესები.

სამეგრელოში არსებულ შედარებით მსხვილ მუნიციპალურ ცენტრებში ბავშვების უმრავლესობა უკვე მხოლოდ ქართულ ენაზე მეტყველებს და ძალიანაც რომ შეეცადო, მეგრულად არ გიპასუხებს (ეს მთელი რეგიონისათვის მრავალმხრივ საყურადღებო ტენდენცია ხდება). მეგრული მეტყველების მიმართ ჩამოყალიბებული ეს ტენდენცია საფრთხეს უქმნის მეგრულ ქვესისტემას – ენასა (წმინდა ლინგვისტური

გაგებით) თუ დიალექტს (სოციოლინგვისტური მიდგომით). მისი გაქრობა კი ყოვლად დაუშვებელია. მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ სკოლებში მეგრული ენის სწავლება შემოვიღოთ, მაგრამ ის მაინც უნდა შევძლოთ, მეგრული მეტყველების მიმართ გაუცხოების განცდა არამარტო მეგრელმა ბავშვებმა, არამედ მთელმა ქართულმა საზოგადოებამ დაძლიოს. ამიტომ **შეუძლებელია არ დავეთანხმოთ ტ. ფუტკარაძის თვალსაზრისს:** „... აუცილებელია, საქართველოს საჯარო სკოლებში ისწავლებოდეს ზოგადი ცნობები ქართველთა ენობრივი სამყაროსა და ცალკეული ქართველური დიალექტების გავრცელების არეალის შესახებ. ასეთ შემთხვევაში მოზარდს მეტი ინფორმაცია ექნება საკუთარი ენობრივი თუ ეროვნული იდენტობის შესახებ“.

დაბოლოს, **სამეგრელოს მოსახლეობამ არაერთი შეურაცხყოფა და ლანძღვა იგემა რუსული ინტერესების გამტარებელი გარკვეული ჯგუფების ქმედებების გამო**. ერთია, როცა უშუალოდ რუსი მოითხოვდა (დღეს კი შეფარვით მოითხოვს) სამეგრელოდან ქართული ენის განდევნას, ანუ ქვეყნის ენობრივ დაშლას, ხოლო მეორე და განსაკუთრებით საშიში ტენდენციაა, როცა ამას ქართველები ითხოვენ. არ უნდა დაგვავიწყდეს, ვისი მოდგმისანი ვართ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფარნავაზისა და ქუჯის წინაპრები, ანუ ქართლოსიანთა და ეგროსიანელთა ეთნარქები, ქართლოსი და ეგროსი, ღვიძლი ძმები იყვნენ და ერთ მშობლიურ ენაზე მეტყველებდნენ. არ უნდა დაგვავიწყდეს არც ჩვენი წარსული, არც აწმყო და არც მომავალი. სხვაგვარად მოფიქრალებს კი შევახსენებ ჯორჯ ორუელის შეგონებას:

„ვინც ფლობს აწმყოს, ის ფლობს წარსულს,
ვინც ფლობს წარსულს, ის ფლობს მომავალს“.

ნუგზარ ანთელავა
ისტორიის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი

პროფ. ეკა დადიანის რეცენზია პროფ. ტარიელ ფუტკარაძის წიგნზე: „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“

თანამედროვე სწრაფადცვალებად სამყაროში მეცნიერების, ზოგადად, ქვეყნის წინაშე ახალ-ახალი გამოწვევები ჩნდება. არსებობს საკითხები, რომლებიც წმინდა მეცნიერული ხასიათისაა და ლინგვისტთა შორის განიხილება; რიგი საკითხებისა კი ვიწრო სამეცნიერო სფეროს სცილდება და, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ფართო განხილვის საგანი ხდება. წარმოდგენილი ნაშრომი სწორედ ამგვარ პრობლემებს შეეხება. ამასთან, ავტორი მათ გადასაწყვეტად საკუთარ ხედვასაც გვთავაზობს.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან თანამედროვე გამოწვევას წარმოადგენს **ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის საკითხი,** რომელთან კავშირში ლინგვისტურ ქართველოლოგიაში აქტუალურია ქართველური ენა-კილოების კვალიფიკაციის თემა. ქართველოლოგთა მიდგომა ამ საკითხზე განსხვავებულია; მკვლევართა ნაწილი იზიარებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ქართველური ენობრივი სამყარო დაყოფილია სამ ან ოთხ ქართველურ ენად (ქართული, სვანური, მეგრული/ლაზური). მათგან ქართული მიიჩნევა სამწიგნობრო ენად, ხოლო დანარჩენი – უმწიგნობრო ენებად. წიგნის ავტორის (აგრეთვე მეცნიერთა მეორე ნაწილის) აზრით, ქართველებს ერთი ენა და მრავალი კუთხური ზეპირი მეტყველება(/დიალექტი) გვაქვს.

საყოველთაოდ ცნობილია: ენა და ეთნოსი ურთიერთგანმსაზღვრელი ცნებებია; როგორც წესი, ენობრივი ერთიანობა ეთნიკური ერთიანობის საფუძველია. ასევე ცნობილი ჭეშმარიტებაა: ენას ქმნის ხალხი და ენა აყალიბებს ხალხს ერად. ქართველური ენების თეორიის მხარდამჭერები ნებსით თუ უნებლიეთ ამ თეზას ეწინააღმდეგებიან.

მავანთა აზრით, ენისა და დიალექტის მიმართება წმინდა ლინგვისტური საკითხია; ენისა და კილოს გასამიჯნად დასახელებულია სხვადასხვა (როგორც ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური) კრიტერიუმი. ამ შემთხვევაში უთუოდ

გასათვალისწინებელია საერთაშორისო გამოცდილება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ბ-ნი ტარიელის მსჯელობა:
„მსოფლიოში არსებული უკლებლივ ყველა ცივილიზებული ხალხის ენის სტატუსი დადგენილია არა ე.წ. საკუთრივ ლინგვისტური, ანუ შიდასტრუქტურული (ბგერათშესატყვისობა, ენობრივი სტრუქტურების მსგავსება-განსხვავება), არამედ სწორედ სოციოლინგვისტური კრიტერიუმებით (დამწერლობის ქონა-არქონა, სტანდარტულობა, პრესტიჟულობა, სახელმწიფო ენის სტატუსი; რეესტრული კრიტერიუმი, თვითშეფასებითი კრიტერიუმი; ასევე, იდიომის კვალიფიკაცია ხდება ეთნოსის სამწიგნობრო კულტურის ისტორიის გათვალისწინებით). ზოგჯერ მეტყველების სტატუსი განსაზღვრულია ექსტრალინგვისტური მიდგომებითაც – რელიგიური ან პოლიტიკური ნიშნით)".
აქვე გავიხსენებ **პეტრე ჭარაიას** სიტყვებს, რომელიც დღესაც აქტუალურია: „გერმანიის თითოეულ კუთხეში, ოლქში და თითქმის სოფელში სხვადასხვაფერ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ სალიტერატურო ენა ყველგან არის ერთი: მწიგნობრულ ენად მიაჩნიათ ის ენა, რომელიც შეუმკიათ და განუმშვენიერებიათ ლიუტერსა, ლესსინგსა, გიოტესა და სხვ. თუ ასეთ მრავალრიცხოვან ერს, როგორიც გერმანელები არიან, რომლებიც ამასთანავე განათლების სათავეში, ერთი საყოველთაო სალიტერატურო ენა საჭიროდ უცვნიათ, ჩვენ რაღანი ვართ, რომ თითოეული კილო სალიტერატურო ენად გავიხადოთ..."
უდავოა:
მეგრული სამეგრელოს კუთხის ქართველთა კუთხური მეტყველებაა, სვანური – სვანეთის ქართველების კუთხური მეტყველება, ხოლო ლაზური (ჭანური) – ამ კუთხის ქართველთა მეტყველება. კუთხური მეტყველება კი სხვა არაფერია, თუ არა დიალექტი, კილო. შესაბამისად, აღნიშნული კუთხეების ქართველთა მეტყველება ისევე უნდა კვალიფიცირდეს, როგორც საქართველოს სხვა კუთხეების (იმერეთი, გურია, აჭარა, ქართლი, ხევსურეთი...) მკვიდრთა მეტყველება. ასევე, ფაქტია: სამეგრელო, სვანეთი, ლაზეთი საქართველოს ისეთივე ორგანული ნაწილებია, როგორიც ქართლი, კახეთი, რაჭა, აჭარა, იმერეთი...). შესაბამისად, მიდგომა აქაც

ერთიანი უნდა იყოს. **საქართველოს ცალკეულ კუთხეებში არსებული მეტყველებრივი განსხვავება არ არის სისტემური ხასიათის. მეგრული, სვანური და ლაზური (ჭანური) ერთიანი ქართული ენობრივი სისტემის შემადგენელი ქვესისტემებია/მიკროსისტემებია და არა დამოუკიდებელი სისტემები.**

ზოგადად, მონათესავე დიალექტები/ქვესისტემები დამოუკიდებელ ენად/სისტემად იმ შემთხვევაში გაიაზრება, თუკი მასზე მეტყველი საზოგადოება ჩამოყალიბდება ცალკე ხალხად, ერად იაზრებს საკუთარ თავს ან გარეშე ძალა ცდილობს, დააცალკეოს მოცემული ეთნიკური საზოგადოება; მაგ., ბოლო ასწლეულის განმავლობაში არაერთი მცდელობა იყო, მეგრელები, ლაზები და სვანები ცალკე ხალხებად, ხოლო მათი მეტყველებები ენებად გამოეცხადებინათ. სარეცენზიო წიგნში დიდძალი სათანადო მასალაა გაანალიზებული; მოხმობილია ახალი საარქივო დოკუმენტებიც, რომლებიც ნათელს ჰფენს ფართო საზოგადოებისთვის აქამდე უცნობ ან ნაკლებად ცნობილ ბევრ საყურადღებო ფაქტს.

ქართველთა ენობრივი დანაწევრება ისტორიული ფაქტის იგნორირებაა! ამასთან, მეგრულის, ლაზურისა და სვანურის „უმწერლობო ენებად“ კვალიფიცირება, მარტივად რომ ვთქვათ, რეალობის დამახინჯება უფროა, ვიდრე მეცნიერული ჭეშმარიტება. უხერხულიც (გარკვეულწილად შეურაცხმყოფელიც!) კი არის, უმწიგნობრო უწოდო იმ კუთხის ქართველებს, რომლებიც დანარჩენი კუთხეების ქართველებთან ერთად არიან ქართული სამწიგნობრობის ენის შემოქმედი (რასაც ყველა მეცნიერი აღნიშნავს!). თუკი მეგრელ-ლაზ-სვანებმა სხვა ქართველებთან ერთად თავის დროზე შექმნეს ქართული ანბანი და მწიგნობრობა, როგორღა შეიძლება ისინი უმწერლობო ენის მქონენი იყვნენ?! აქ კი აშკარაა ლოგიკური შეუსაბამობა!

უმწერლობო ენების მფლობელ საზოგადოებას აქვს პერსპექტივა შექმნას საკუთარი ანბანი და მწიგნობრობა. ამ ლოგიკით, მეგრულ-ლაზურ-სვანური „უმწერლობო ენებიც“ შეიძლება „იქცნენ“ სალიტერატურო ენებად (ჩვენი უახლესი

ისტორია ამგვარ ქმედებებსაც იცნობს!). პროგრესულად მოაზროვნე არც ერთ ქართველს აზრადაც არ მოუვა მსგავსი მკრეხელური აზრი! ამგვარი „მეცნიერული" მსჯელობა მხოლოდ შლის, ანგრევს ქართველთა ენობრივ (და ეთნიკურ) ერთიანობას და **საბედისწერო ჩიხში** შევყავართ, საიდანაც გამოსვლა რთულია. ობიექტური რეალობა კი ასეთია: ქართული ენა მეგრელისათვის, ისევე როგორც სხვა კუთხის ქართველებისთვის, არის წინაპრების მიერ შექმნილი დედაენა, ხოლო მეგრული – კუთხური მეტყველება (/დიალექტი).

ჩემთვის სრულიად მისაღებია ტ. ფუტკარაძის პოზიცია ამ საკითხზე. წიგნის ავტორმა ჩვენი მემატიანეების, ისტორიკოსების, საზოგადო მოღვაწეების, ადრეული პერიოდისა თუ თანამედროვე მეცნიერთა განსხვავებული მოსაზრებების შეჯერებისა და კრიტიკული ანალიზის შემდეგ წარმოადგინა საკუთარი პოზიცია ქართველთა ენობრივი ერთიანობის შესახებ და ნათლად აჩვენა ამგვარი მიდგომის მართებულობა.

ენობრივი ქვესისტემების კვალიფიკაციის საკითხი მჭიდროდ უკავშირდება სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკის სწორად განსაზღვრას. საერთაშორისო დოკუმენტებში ადეკვატურად უნდა აისახოს საქართველოს ენობრივი სიტუაცია, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს საქართველოში არსებული ენობრივი სიტუაციის სწორად აღწერას: ქვეყანაში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების (და მათი ენების) აღრიცხვას და მათ ზუსტ კვალიფიკაციას. მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს სხვადასხვა ეთნოსების ენები სახელმწიფო ენის სახესხვაობებისაგან. მავანნი წინასწარ გამიზნულად თუ გაუთვითცნობიერებლად მეგრულ-ლაზურსვანურ მეტყველებებს უმცირესობის ან რეგიონულ ენათა რიგში ასახელებენ და მათ აიგივებენ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების ენებთან, რაც სწორედ „ქართველური ენების თეორიის" გამოძახილია და აშკარა საფრთხეს უქადის ჩვენს ეროვნულ ერთიანობას.
ტ. ფუტკარაძემ საფუძვლიანად შეისწავლა „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ", მისი მიზნები, ქარტიით განსაზღვრული ენების უფლება-მოვალე-

ობები... სკრუპულოზური ანალიზის საფუძველზე წარმოჩენილია ის საფრთხეები, რომლებიც შეიძლება მოყვეს ტერმინებისა თუ დებულებების არასწორ ინტერპრეტაციას. შემოთავაზებული დასკვნები, რეკომენდაციები გასათვალისწინებელია სახელმწიფოს მიერ დოკუმენტის რატიფიცირების შემთხვევაში. დოკუმენტი ისე უნდა იქნეს რატიფიცირებული, რომ უპირველესად საფრთხე არ შეექმნას სახელმწიფო ენის ფუნქციონირებას, ამასთან, დაცული იყოს ქვეყანაში არსებული სხვა ეთნოსთა ენობრივი უფლებები.

რუსეთის მხრიდან არაერთი ენობრივი დივერსია განხორციელდა საქართველოს წინააღმდეგ. ამას მოწმობს გლობალურ ქსელში გავრცელებული სხვადასხვა ინფორმაციები. ცალკეული საერთაშორისო ცნობარების, ენციკლოპედიების, ეთნიკური რუკების მიხედვით, საქართველოში მცხოვრებ ეთნოსთა ჩამონათვალში რუსების, სომხების, ოსების, აზერბაიჯანელების... გვერდით დასახელებულია: ქართველები, ლაზები, მეგრელები, სვანები. ამგვარი კლასიფიკაციის საფუძველიც „ოთხი ქართველური ენის“ თეორიაა.
ტექნოლოგიურმა მიღწევებმა, ზოგადად გლობალიზაციის პროცესებმა კიდევ ერთი გამოწვევა გამოკვეთა; ეს არის ქართული ენის ტექნოლოგიზების პრობლემა. მსოფლიოს განვითარებულ ენათა შორის ქართული ენის ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად აუცილებელია საკითხის სათანადოდ შეფასება და გაცნობიერება სახელმწიფოებრივ დონეზე. ამის შესახებ პროფ. ტ. ფუტკარაძე ხაზგასმით მიუთითებს:
„თანამედროვე მსოფლიოში უაღრესად აქტუალურია აკადემიური ავტომატური თარგმანის უზრუნველმყოფი კომპიუტერული პროგრამების შექმნა. უახლოეს პერიოდში საქართველომაც უნდა შეძლოს, საქართველოს სახელმწიფო ენაზე განახორციელოს აკადემიური ორენოვანი ავტომატური თარგმანი; წინააღმდეგ შემთხვევაში ქართული ენა დაკარგავს კულტურული ენის ფუნქციას”.
ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ავტორის მიერ შემოთავაზებული ერთენოვანი კორპუსის შექმნის კონცეფცია. უპირველეს ამოცანად დასახულია სამწიგნობრო ენის

წერილობითი და ზეპირი ტექსტების ეროვნული კორპუსის შექმნა. ავტორის აზრით: „თუკი სახელმწიფოს მიერ მოხდება არსებული რესურსების მობილიზება ქართული ენის ტექნოლოგიზებისათვის და მომზადდება ქართული ენის ტექსტების ერთენოვანი ეროვნული კორპუსი (სადაც შევა ზანურ-სვანური მასალაც)... ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაშიც ქართული ენა შეინარჩუნებს როგორც ქართველთა მაკონსოლიდებელ, ასევე, კულტურისა და განათლების ენის ფუნქციას. სამი ან ოთხი ქართველური „ენის“ ტექსტების კორპუსზე ორიენტირება კი საბოლოოდ დაანაწევრებს ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ ერთობას და ახლო მომავალში ქართულ (ქართველურ) სამწიგნობრო ენას გაუუცხოებს ქართველთა მესამედს“.

ამ კონტექსტში რადიკალურად განსხვავებულია **„ხუთენოვანი ლექსიკონის“** (ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი) **კონცეფცია,** სადაც ქართულისა და ინგლისურის გვერდით, დამოუკიდებელ „ენებად“ წარმოდგენილია: მეგრული, ლაზური, სვანური.

„ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“ ავტორის მიერ წლების მანძილზე წარმოებული კვლევის შედეგია. აქვე აღსანიშნავია ტ. ფუტკარაძის წვლილი ქართველური ენობრივ-კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და გადარჩენის კუთხით. ამის დასტურია მისი მრავალმხრივი საქმიანობა: სამეცნიერო შრომები, ექსპედიციები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ (ტაო-კლარჯეთში, ფერეიდანში), ქართველოლოგთა საერთაშორისო კონფერენციების /სიმპოზიუმების ორგანიზება... საგანგებო აღნიშვნის ღირსია ბატონი ტარიელის ხელმძღვანელობით მოძიებული დიდძალი დიალექტოლოგიური მასალა; კერძოდ, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში 1992 წლიდან დაიწყო ქართველური დიალექტური ტექსტების ჩაწერა-დამუშავება ერთენოვანი ეროვნული კორპუსის შესაქმნელად. აღნიშნულ საქმეს დღეს წარმატებით აგრძელებს დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მემკვიდრე ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. ცენ-

ტრში ამჟამად დაცულია უნიკალური დიალექტური მასალა (900-ზე მეტი აუდიოკასეტა), რომელიც ჩაწერილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (იმერეთი, სამეგრელო, სვანეთი, ხევსურეთი, რაჭა, აჭარა, სამცხე, იმერხევი, ტაო...).
მეცნიერებისა და ხელისუფლების ერთიანი, კომპლექსური მიდგომით არის შესაძლებელი ქართველოლოგიის წინაშე მდგარ გამოწვევებთან გამკლავება და წარმატების მიღწევა ქვეყნის შიგნით თუ საერთაშორისო ასპარეზზე.

ეკა დადიანი
ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი

პროფ. რევაზ შეროზიას რეცენზია პროფ. ტარიელ ფუტკარაძის წიგნზე: „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“

ქართველი ერი თავისუფლებისა და მშვიდობის სურნელით არასოდეს ყოფილა განებივრებული, – განსაცდელი მუდამ ფეხდაფეხ დაგვდევდა. თანამედროვე საქართველო მეტი ხიფათის წინაშე დგას, ვიდრე ეს ერთი ან ხუთი საუკუნის წინ ელოდა. ილიას და აკაკის თანამოაზრეებმა და შემდეგ მათ იდეებზე გაზრდილმა თაობამ გადაარჩინა ქართველთა სასიცოცხლოდ უპირველესი საგანძური **ქართველთა დედაენა – ქართველური ენა** თავისი სამეტყველო ნაირსახეობებით. რუსული იმპერიის მარწუხებში მოქცეული საზოგადოებისათვის ეს დიდგორის ბრძოლაზე ნაკლები გმირობა არ იყო. მითუმეტეს, რომ მტერი ქართველ ქვეგამხედავთა ხელით გვებრძოდა. მოკლედ რომ წარმოვაჩინოთ საუკუნენახევრის განმავლობაში მიმდინარე ამ ენობრივი და ეროვნული დივერსიების ძირითადი ხაზი, უნდა გავიხსნოთ XIX საუკუნის ბოლო მეოთხედისა და შემდგომი ვითარება. მანამდე კი, აუცილებლად უნდა ითქვას:

საქართველოს ისტორიის არც ერთ მონაკვეთზე, მათ შორის პოლიტიკური დაქუცმაცებულობის დროსაც, **ქართველური ენობრივი სივრცე და მასზე დაშენებული ეროვნული კულტურა არასოდეს ყოფილა დაშლილ-დაყოფილი; ის ყოველთვის ერთიანი, საყოველთაო იყო.** ამის მოწმედ „ვეფხისტყაოსანი“, სულხან-საბას ლექსიკონი და „ივერიელთა ერთობის ტრაქტატი“ იკმარებდა.

მე-19 საუკუნეში რუსული დამპყრობლური იდეოლოგიის კონტექსტში დაიგეგმა ქართველთა ენობრივად დანაწევრება; რუსი მოხელეები აშორდიების გამოყენებით შეეცადნენ ქართველთა შორის ბზარის გაჩენას. ილიას თაობის ძალისხმევამ, შემდეგ რუსეთის რევოლუციამ და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამ დროებით შეაჩერა ქართველთა

ენობრივი დაშლის მცდელობა, მაგრამ ი. სტალინის „არშემდგარი ხალხების“ „თეორიის“ გავლენით სამეგრელოში მალევე აღმოცენდნენ აშორდიების მემკვიდრეები: წმიდა ილია მართლის (/საქართველოს) მკვლელების ხელშეწყობით ჟვანიებმა ნაწილობრივ მოახერხეს ლევიცკი-ვოსტორგოვების მიზნების განხორციელება. თუმცა, ქართველი ერის ერთიანობის დამცველმა საზოგადო მოღვაწეებმა აქაც არ დათმეს პოზიციები. მათთან ერთად განსაკუთრებული როლი შეასრულა ლ. ბერიამაც, რომელმაც შეძლო, დაერწმუნებინა სტალინი (აკად. არნ. ჩიქობავასთვის ჩვეული ზუსტი ეპითეტით **გარდანქეშანი**) და დაელაგებინა ვითარება (საყურადღებოა ბერიას საიდუმლო წერილი სტალინისადმი; იხ. წინამდებარე წიგნის დანართი №11).

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ისევ კრემლიდან ინიცირებულმა „მეგრელთა საქმემ“ მეორე უკიდურესობა შექმნა: „სეპარატიზმად“ იწოდებოდა მეგრული მეტყველების, როგორც ერთიანი ქართველური სისტემის შემადგენელი ნაწილის, კვლევაც კი. ცნობილია, 60-იან წლებში ენათმეცნიერების ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორი ვ. თოფურია საქართველოს ცკ-ში სასტიკად გაკიცხეს მხოლოდ იმიტომ, რომ ინსტიტუტის წლიურ გეგმაში მეგრულის კვლევა შეიტანა. ეს შესანიშნავი პიროვნება მხოლოდ პირადმა თვისებებმა და სამეცნიერო ავტორიტეტმა გადაარჩინა. 80-იან წლებში კი, როცა ამავე ინსტიტუტის თანამშრომელი გავხდი, უხუცესი წევრები მაფრთხილებდნენ, მეგრულ მეტყველებაზე მუშაობის დროს ხიფათს არ გადავყროდი. ამავე პერიოდში ეროვნული მოძრაობის გააქტიურების კვალდაკვალ სხვა ღონისძიებებთან ერთად მწვანე შუქი მიეცა ტაბუდადებულ მეგრულ საკითხს და კვლავ გამოჩნდნენ ახალი აშორდია-ჟვანიები.

დღეს აქტიური მცდელობაა, ქართველთა ენობრივი სივრცე სამ თუ ოთხ ენად დანაწევრდეს ბგერათშესატყვისობისა თუ სისტემური მსგავსება-განსხვავების მიხედვით. ბგერათშე-

სატყვისობის მიხედვით ენათა ნათესაობის დადგენა პროგრესული მიმართულებაა, მაგრამ ზოგმა ჩვენში **მექანიკურად გადმოიტანა ქართველურ ქვესისტემათა სტატუსის დასადგენად, რაც დიდი შეცდომაა:** ბგერათშესატყვისობა დასტურდება ერთი ენის კილო-კავებს შორისაც კი; გარდა ამისა, ბგერათშესატყვისობით არც ერთი ცივილიზებული ენის სტატუსი არ განსაზღვრულა; აქვე აღვნიშნავ, რომ ყველა ქართველური მეტყველება ერთი ენობრივი სისტემის სახესხვაობებია და არავის გამოუვა მათი სხვადასხვა სისტემად გამოცხადება.

კუთხური „პატრიოტიზმის“ სენით შეპყრობილები ალბათ ვერ აცნობიერებენ, რომ, ერთი მხრივ, შეურაცხყოფას აყენებენ ტერენტი გრანელს, როცა მეგრულად „თარგმნილ“ მის ლექსებს კრებულად ბეჭდავენ და ზედ აწერენ: „დაბრუნება მშობლიურ ენაზე“. მეორე მხრივ კი, ამ გზით არღვევენ ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკურ მთლიანობას, რაც რუსი დამპყრობლების მიზანიცაა და, ამავე დროს, საქართველოს დამღუპველიც.
ფილარმონიის დიდ დარბაზში ფოლკლორის საღამოზე მსმენელი აღტაცებული უსმენდა ახალგაზრდა ეთერ თათარაიძის მუსიკალურ ლექსებს, თუმცა სიტყვიერი მასალა და შინაარსი მიუჩვეველი ყურისათვის ძნელად გასაგები იყო. არანაკლებ ჰარმონიული და ლამაზია ლაშა გახარიას პოეზიაც; ორივე ქართული კულტურის ნაწილია; თუმცა, სულ სხვა ღირებულებისაა ბარათაშვილის, აკაკის, გალაკტიონის... პოეზია, რომელიც შექმნილია ზოგადქართულ სამწიგნობრო ენაზე.
შეუძლებელია, ყურადღების მიღმა დარჩეს ჩვენი დროის კიდევ ორი სრულიად მიუღებელი „მოვლენა“:
1. ბოლშევიკ-კომუნისტებმაც კი იცოდნენ, რომ მშობლიური ენის სისტემა-სტრუქტურის ძირითადი მახასიათებლების ათვისება უნდა უსწრებდეს უცხო ენის შესწავლას. ამიტომ

IV-V კლასამდე ბავშვები უცხო ენას არ სწავლობდნენ (მათ შორის რუსულსაც). დღეს არათუ სკოლის პირველი კლასიდან, არამედ უკვე ბაღში ვასწავლით ინგლისურს. მსგავსი რამ ვოსტორგოვებს თუ შეეძლოთ მოეფიქრებინათ!

2. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ სამეგრელოს არაერთ ოჯახში პატარა ბავშვებს მეგრულად მეტყველებას უშლიან მშობლები, – აქაოდა, „აქცენტი“ ექნებათო; განა ცუდია, რომ გურული გურულად უქცევს, კახელი –კახურად... ეს ხომ ჩვენი ბუნების ფარდი მრავალსახოვანი მეტყველების ფორმებია.

სარეცენზიო წიგნში ჩვენი ერისთვის საჭირბოროტო და მტკივნეულ ბევრ საკითხზეა საუბარი. ავტორის ადრინდელი ნაშრომების, ასევე, სხვა ავტორთა გამოკვლევებისა და ახალი საარქივო მასალების საფუძველზე განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული თანამედროვე ქართველოლოგიის ხუთ არსებით გამოწვევაზე; **ფასეულია, რომ ავტორი მხოლოდ პრობლემების წარმოჩენით არ კმაყოფილდება: აქვეა მონიშნული გადაჭრის გზებიც.**

ზოგს ჰგონია:

როცა წინა თაობის მეცნიერთა ზოგ თვალსაზრისს კრიტიკულად ვუდგებით, ამით უპატივცემულობას ვიჩენთ მათ მიმართ. ვინც ასე ფიქრობს, ცდება, – ქართველური ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და კულტურის საკითხთა კვლევა არავისი კერძო „მამული“ არაა; რაც მთავარია, მეცნიერება ვითარდება და აუცილებელია სიახლეები; მთავარია, როგორც აკად. არნ. ჩიქობავა მიუთითებდა, დასაბუთებული და „მართალი“ გზით სიარული. განა ასე არ იყო, როცა თავად არნ. ჩიქობავა ნ. მარის მცდარ კვალიფიკაციებზე მსჯელობდა, ან ვ. თოფურია ა. შანიძის „წოდებით ბრუნვას“ იწუნებდა?! წინა თაობის ზოგი მეცნიერის კვალად მეგრულ-ლაზურ-სვანური მტყველებები ენებადაც რომ მივიჩნიოთ, განა შეიძლება ქართველური სამწიგნობრო კულტურის მიღმა

დავტოვოთ ქართველთა ნახევარი და მათი საშინაო მეტყველებები „უმწერლებო ენებად“ გამოვაცხადოთ?! განა არ უნდა თქმულიყო, ასევე, ყოვლად მავნე და გაუმართლებელდაუსაბუთებული „ქართიზაციის“ „თეორიის“ შესახებ?!

ქართველი ერის არსებობას ერთიანი ენობრივი სისტემა განაპირობებს. მისი ნაწილებად დაშლა ერის დაშლას გულისხმობს. ერის შიდა მთლიანობა-სიძლიერის შემთხვევაში გარე ფაქტორებით გამოწვეული საშიშროებები დაუძლეველი არაა. საქართველოს ისტორიაში მსგავსი გაკვეთილები მრავლადაა. ჩვენ შეგვიძლია ხელოვნურად შექმნილი ყველა პრობლემის დაძლევა; პირველ რიგში კი აუცილებელია ზანურ-სვანური და სხვა ქართველური დიალექტური ლექსიკით გამდიდრდეს ქართველთა სამწიგნობრი ენა, რომ წარმატებით გაგრძელდეს წინაპართა მრავალსაუკუნოვანი გზა.

რევაზ შეროზია
ფილოლოგიის დოქტორი,
ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საძიებელი

ა) პირთა სახელები

ა

აბაშიძე მ. , 294
აგნიაშვილი, 220
ადამია ს., 157, 164
ათათურქი, 147
აიეტი, 15, 150, 298
აკაკი, 89, 167, 225, 314, 316
ალბაირაქი ნ., 164
ალექსანდრე II, 57, 186, 193
ალშიბაია ნ., 305
ამონი უ., 169, 170, 171
ანთელავა ნ., 2, 4, 7, 10, 299, 306
ანჯაფარიძე, 84
არქანია ჯ., 58
არცბერგერი ს., 170
აფაქიძე ჯ., 35
აფრასიძე, ბ., 53, 54
აფრასიძე - დადეშქელიანი, ბ., 53, 54
აფსირტე, 15, 16, 147
აშორდია თ., 43, 66, 39, 69, 187, 208, 315
ახალაია გრ., 55, 58, 59, 61, 96, 186, 187, 190, 195
ახვლედიანი გ., 2, 73, 84, 85, 90, 91, 92, 95, 126, 281

ბ

ბაბუნაშვილი ხ., 157
ბაგრატ III, 167
ბარათაშვილი, 38, 276, 316
ბართაია ნ., 50, 107
ბარტჰოლდი ვ., 248
ბედია ე., 84, 85
ბეიკერი, 146
ბელქანია თ., 275
ბერგსლანდი კ., 282, 283
ბერია ბ., 55
ბერია ლ., 2, 5, 6, 7, 18, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 61, 63, 64, 66, 68, 71, 72, 73, 74, 78, 79, 90, 121, 126, 193, 230, 291, 301, 303, 315
ბერიძე ვ., 2, 73, 83, 84, 85, 90, 91, 92, 95, 126, 251
ბერიძე კ., 84
ბერიძე მაკა 118
ბერიძე მარინე158
ბერიძე მერაბ 118,
ბერიძე ს., 19
ბერუგი რ., 32
ბესელია ს., 57, 55, 185, 187, 188, 190, 191
ბოედერი ვ., 106, 107, 108
ბოლქვაძე დ., 19
ბოლქვაძე ვ., 69
ბოლქვაძე თ., 109
ბრაუნი, 171
ბუკია ვ., 193, 194
ბუკონია ც., 55, 57, 59, 185, 186, 187, 188, 189, 191
ბურნოვი, 223
ბუში, 146

გ

გაბედავა მ., 219
გაბუნია გ., 66
გაბუნია ი., 223
გაბუნია კ., 95, 99, 100, 133, 160
გაგუას სტ., 43, 46, 96
გალაკტიონი, 316
გალდავა, 55
გამსახურდია ზ., 18, 125, 146, 300
გამსახურდია კ., 2, 56, 66, 90, 107, 125, 147, 166, 167, 168
გამყრელიძე თ., 37, 277, 279, 283, 284, 296, 297
გაწერელია კ., 305
გახარია ლ., 316
გეგეშიძე მ., 103
გეგეჭკორი ალ., 6, 18, 53, 54, 56, 60, 61, 62, 63, 64, 65, 90, 91, 126, 185
გელდიაშვილი ნ., 118
გერსამია რ., 99

გეჯუა კ., 164, 320
გვანცელაძე თ., 21, 33, 41, 50, 95, 118, 142, 283, 294
გვარამია ვ., 46, 53, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 66, 67, 68, 69, 71, 72, 73, 82, 83, 96
გვასალია ო., 223
გვიჩია, 84
გიგინეიშვილი ი., 227, 290
გიორგაძე, 60
გიორგი ბრწყინვალე, 36
გიპერტი ი., 28, 29, 108, 133, 158
გოგებაშვილი ი., 2, 41, 89, 214, 215, 225
გოგოლაშვილი გ., 102, 109
გოგუაძე გ., 84
გორბაჩოვი, 146
გორგილაძე ზ., 19
გორდეზიანი ლ., 285
გორდეზიანი რ., 37, 286
გრანელი ტ., 316
გრენი ალ., 39
გრიგოლია ვ., 195
გუბაზი, 16
გურამიშვილი, 66
გურანდუხტი, 167
გურული ვ., 63, 116
გურჩიანი ქ., 164
გუჯეჯიანი რ., 31, 50, 164

დ

დადიანი დ., 305
დადიანი ე., 2, 7, 40, 42, 50, 68, 79, 90, 91, 104, 110, 115, 124, 128, 129, 130, 133, 135, 138, 140, 163, 165, 166, 278, 307, 313
დადიანი ლ., 167
დადიანი მ., 55, 58, 59, 61, 63,194, 195, 196
დადიანი ნ., 2, 3, 41, 215, 305
დადიანი შ., 2, 90, 107, 125
დანელია, 84
დბარი დ., 116
დეეტერსი, 228
დიასამიძე ბ., 19
დობორჯგინიძე ნ., 106, 108, 109, 111, 112, 113, 114, 115, 135, 158
დუგინი ალ., 136

ე

ებელინგი, 228
ეგოროვი, 60
ეზუგბაია ლ.,133
ელიავა შ., 51, 52, 60
ერეკლე, 51, 116, 26
ეპისკოპოსი არსენი, 209, 237
ეპისკოპოსი ბესარიონი (დადიანი) 96, 215
ეპისკოპოსი გრიგოლი (დადიანი), 2, 41, 45, 305
ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე), 44, 166,
ეპისკოპოსი დიმიტრი (აბაშიძე), 44, 45

ჟ

ვაჟა-ფშაველა, 89, 166, 167, 225, 228
ვარდოსანიძე ს., 45, 117
ვარშანიძე მ., 19
ვაშაკიძე ი., 50, 51, 110, 121, 236
ვეკუა, 195
ვენცელი კ., 171
ვიხერკევიჩი ტ., 29, 128, 135
ვოსტორგოვი ი., 6, 43, 44, 62, 65, 70, 113, 185, 187, 190, 191, 209, 214, 268

ზ

ზალემანი კ., 251, 256
ზარქუა ტ., 223
ზაქარეიშვილი პ., 130
ზოსიძე ნ., 19

თ

თავაქარაშვილი მ., 167
თავდგირიძე ნ., 238, 239, 240, 241
თათარაიძე ე., 316
თალაკვაძე ნ., 69, 70

თამარ მეფე, 36
თანდაშვილი მ., 104, 133, 158
თანდილავა ზ., 107
თანდილავა ი., 164, 168
თანდილავა ლ., 106
თანსული ს., 148
თედორაძე დ., 19
თედორაძე მ., 74, 85, 164, 172
თოდრია ს., 69
თოდუა ა., 65
თოდუა თ., 202
თოდუა მ., 107, 117
თოდუა ტ., 206
თორდია, 53, 195
თორიას ზ., 167
თოფურია ვ., 54, 73, 84, 90, 92, 126, 227, 315, 317
თოფურიძე დ., 64, 65
თოფჩიშვილი რ., 31

ჭ

იანოვსკი კ., 6, 40, 42, 43, 47, 62, 85, 113, 185, 187, 189, 190, 191, 208, 212, 214
ივანოვ-კავკაზსკი, 60
ივანოვი ვ., 37, 283, 284, 297
ილია მეორე (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი), 34
იოანე აფხაზი / მეგრელი/ (იოანე პეტრინი), 107, 111, 167
იოანე ლაზი,107, 110, 136, 167, 168
იოანე მინჩხი, 107, 111, 136, 167
იოანე საბანისძე, 19

ხ

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II (შიოლაშვილი), 116
კაკაბაძე ს., 45
კალანდია, 45
კალინინი მ., 57, 59, 81, 185, 214
კანცი უ., 170
კარამზინი ნ., 299
კახიანი მ., 60, 66, 67
კვარაცხელია ალ., 58
კვარაცხელია ზ., 125, 115
კვარაცხელია მ., 64
კვაჭანტირაძე თ., 232
კვირტაია, 221
კილასონია კ., 195
კოიპერსი, 228
კონრადი ჯ., 107
კორიაკოვი ი., 27, 30
კოსტავა მ., 18
კორინთელი ევ., 285
კრინიცკი, 223
კუტალაძე გ., 46

ჯ

ლაბაძე მ., 48, 96, 163, 168
ლადარია ნ., 114, 115
ლაფონი რ., 228
ლევიცკი, 39, 40, 43, 46, 65, 66, 208, 209, 315
ლენინი, 147, 291
ლეონტი მროველი, 286
ლომაია შ., 164
ლომთათიძე ქ., 291
ლომსაძე შ., 47

ჰ

მათიკაშვილი, 60
მაკარაძე ვ., 19
მალაყმაძე რ., 118
მამულაძე შ., 19
მამულია ს., 217
მარგიანი ივ., 2, 41, 107
მარი ნ., 7, 47, 48, 49, 50, 51, 52, 73, 85, 86, 87, 88, 90, 91, 113, 120, 121, 209, 232, 236, 291, 301, 317
მარრი ნ., 51, 237, 238, 239, 240, 241, 242, 243, 244, 246, 247, 248, 249, 250, 251, 252, 253, 254, 255, 256, 257, 258, 259, 260, 261, 262, 263, 264, 265, 267, 268, 269, 271, 272, 273, 274
მატაიერი, 171
მაჭავარიანი გ., 277, 279
მაჭავარიანი ნ., 83, 118
მახარაძე თ., 19
მახარაძე ფ., 52, 53, 67, 68, 69

მეგრელი დუტუ (დიმიტრი ხოშტარია)., 2, 107
მეკელაინი, 228
მელიქიშვილი დ., 45
მერჩულე გ., 167, 304
მერჭულე, 167
მესხი ს., 2, 41
მესხია შ., 318
მეუნარგია მ., 305
მილორავა თ., 164
მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), 293
მიქაუტაძე მ., 50
მიქელაძე ნ., 98
მიცკევიჩი ა., 29, 128
მოდებაძე ა., 157
მოლაშხია ზ., 107
მოლოტოვი, 59, 81, 214
მულიანი ს., 164
მუსხელიშვილის დ., 284

ნ
ნაი ჯ., 23
ნაკანი ნ., 90
ნანეიშვილი ბ., 195
ნაჭყებია ი., 223
ნაჭყებია მ., 41, 118
ნებიერიძე გ., 281
ნიკოლეიშვილი, 55
ნიკოლეიშვილი ა., 19
ნიკოლოზ მეორე, 44
ნიჟარაძე ბ., 2, 41
ნიჟარაძე ლ., 106

ო
ოზდერი ა., 148
ოთინაშვილი ლ., 157
ოკუჯავა, 60
ონიანი ა., 95, 98
ორუელი ჯ., 306
ორჯონიკიძე ს., 60, 96, 290
ოფსირტე, 15, 16
ოქროპირიძე ალ., 166
ოცხელი ი., 91
ოძელი მ., 160

პ
პანინი ნ., 40
პატარაია ბ., 65
პატკანიანი ქ. (პატკანოვი ქ.), 47, 48, 113
პერტაია, 84
პეტროვი ი., 39, 43, 208
პეჩი გ., 228
პუტინი, 136, 138

ყ
ჟვანია ი., 5, 7, 51, 55, 59, 60, 61, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 71, 72,73, 75, 78, 84, 96, 111, 125, 138, 196, 207, 220, 290, 301, 304
ჟორდანია ა., 50 , 99
ჟორდანია გ., 65, 125
ჟორდანია თ., 42, 45, 62, 65, 190, 215

ჰ
რამიშვილი გ., 86
რატიანი პ., 47
როგავა პ., 195, 219
რომანოვი, 212

ს
სალია მ., 164
სანდოძე დ., 46
სახოკია თ., 2, 7, 42, 44, 46, 56, 65, 71, 125, 208, 209
საჯაია გ., 195
საჯაია გ/ტ., 221
საჯაია ს., 165
სელიხანოვიჩი ალ., 242
სერგიევი, 240
სვანიძე მ., 148
სკრიპნინი, 223
სოსიაშვილი გ., 117
სტალინი ი., 2, 7, 46, 47, 52, 54, 59, 60, 63, 64, 68,71, 72, 73, 79, 81, 86, 90, 91, 92, 96, 113, 120, 121, 122, 124, 125, 214, 216, 217, 218, 221, 222, 230, 290, 291, 301, 303, 304, 314, 315

სუვორინი, 268
სულხან-საბა, 165, 314
სულხანიშვილი მ., 164
სუნი რ., 23, 25
სუხიშვილი, 60

ტ
ტაბიძე მ., 41, 50, 294, 296
ტალიავინი ჰ., 5, 23, 24, 25, 31
ტიხონი, 116
ტოლსტოვა ლ., 103
ტორმასოვი, 40
ტუშბა მ., 116
ტყეშელაშვილი ს., 163

უ
უითლი ჯ., 129, 135

ფ
ფანცხავა ბ., 42, 45
ფაჟავა ნ., 223
ფაჟავა შ., 84, 202, 206
ფარნავაზი, 34, 36, 118, 286, 298, 306
ფაღავა ა., 65, 125
ფაღავა მ., 118
ფილაშვილი ე., 118
ფიფია კ., 117
ფოგტი ჰ., 282, 283
ფუტკარაძე გ., 19
ფუტკარაძე თ., 118
ფუტკარაძე შ., 19

ქ
ქავთარაძე ივ., 227
ქაცარავა, 84
ქვარცხავა ალ., 305
ქირია ჭ., 133
ქობალია, 195, 219
ქობალია ზ., 168
ქურდაძე რ., 104, 106, 114, 115
ქურდიანი მ., 276, 277, 279, 283, 284, 289, 292
ქუჯი, 34,36, 286, 287, 298, 306

ღ
ღვინჯილია ლ., 137

ყ
ყავრელიშვილი რ., 148
ყიფშიძე ალ., 239, 240

შ
შავაძე ნ., 19
შანიძე აკ., 90, 91, 92, 251, 317
შარაშენიძე ნ., 102
შახოვსკი, 40
შევარდნაძე ე., 146
შენგელაია ევ., 305
შენგელია ტ., 7, 59, 81, 111, 214, 223
შეროზია რ., 2, 7, 24, 38, 40, 41, 50, 68, 79, 115, 118, 124, 128, 129, 130, 133, 135, 138, 140, 163, 314, 318
შმიდტი კ., 228
შოგირაძე ბ., 53, 64
შოთა რუსთაველი, 65, 66, 114, 123, 158, 179, 294

შონია, 55, 169
შონია დ., 106
შუხართი ჰ., 228

ჩ
ჩაჩუა მ., 107
ჩახრუხაძე, 66
ჩელები ფ., 164
ჩემინავა ვ., 223
ჩიქობავა არნ., 2, 7, 17, 72, 73, 78, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 118, 121, 126, 158, 169, 176, 180, 202, 206, 221, 224, 227, 276, 277, 278, 281, 282, 283, 289, 290, 291, 292, 301, 315, 317
ჩუხუა მ., 2, 5, 18, 37

ც

ცაგარელი ალ., 20
ცეცხლაძე შ., 19
ციმინტია, 55
ციციშვილი გ., 46, 52, 56, 60, 63, 65, 66, 96
ცოცანიძე გ., 101, 102, 104
ცხაკაია მ., 69

ძ

ძაძამია მ., 109, 114
ძაძამია ც., 109

წ

წათე, 15, 16
წერეთლი აკ., 91, 117, 157, 163, 228, 276, 293, 312, 313
წერეთელი გრ., 92
წმიდა ამბროსი აღმსარებელი (ხელაია) 2, 41, 44
წმიდა ანდრია პირველწოდებული, 19, 35,101,117, 156, 159, 161, 163, 166, 278, 320
წმიდა ანტონ ჭყონდიდელი (ღირსი ანტონი), 62,190
წმიდა ახალმონამე მღვდელი სიმონ მჭედლიძე, 45
წმიდა დავით აღმაშენებლი, 36
წმიდა გიორგი, 115,167
წმიდა დიდი მეფე ვახტანგ გორგასალი, 30, 36, 288
წმიდა ტბელი აბუსერიძე, 19

ჭ

ჭავჭავაძე ი. (წმიდა ილია მართალი), 2, 34, 39, 41, 58, 89, 104, 114, 116, 117, 135, 143, 165, 167, 214, 225, 228, 314, 315, 320
ჭანია ი., 115
ჭანტურია კლ., 305
ჭანტურია რ., 41
ჭარაია პ., 2, 41, 86, 308
ჭაჭია ალ., 67, 114, 115, 125, 223, 300
ჭკუასელი ე., 164
ჭრელაშვილი ი., 320
ჭუმბურიძე ნ., 102
ჭყონდიდელი, 62, 110, 136, 167
ჭყონია ი. 251

ხ

ხაბაძე ზ., 19
ხალვაში ფრ., 19
ხანიაშვილი ნ., 117
ხაჭაპურიძე ლ., 50, 110, 118
ხაჭაპურიძე რ., 90
ხვინგია მ., 157
ხიდაშელი თ., 142
ხორავა ბ., 31
ხოშტარია დ., 2
ხუბუტია მ., 58
ხუნდაძე ს., 86, 90, 91, 93
ხურცილავა პ., 195
ხუფენია ბ., 58
ხუფენია თ., 118

ჯ

ჯავახიშვილი ივ., 7, 24, 26, 27, 31, 47, 48, 49, 50, 51, 92, 95, 121, 232, 235, 236, 281, 306
ჯავახიშვილი ნ., 63
ჯალაღანია მ., 223
ჯალაღონია ნ, 168
ჯანგავაძე ხ., 164
ჯანელიძე ო., 46
ჯანჯალია ი., 58
ჯაფარიძე ა., 293
ჯაფარიძე ნ., 19
ჯგერენაია ს., 195
ჯიქია, 195
ჯორბენაძე ბ., 100, 281
ჯორბენაძე ნ., 83

ჰ

ჰაოსი, 286
ჰიუიტი ჯ., 108

А
Абашидзе, К., 239

Б
Броневский, 248
М
Муравьева А.Н. 248

П
Патканов, К.П. 47
Петр Великий, 248

Т
Тавдгиридзе Н., 238

Ч
Чикобава Арн., 87

A
Akhvlediani, G., 4
Apakidze J., 35
Arzberger S., 170

B
Beria L., 4, 8, 9
Beridze V., 4

C
Charaia P., 4
Chavchavadze I., 4
Chikobava Arn. 4, 9, 183
Chukhua M., 4

D
Dadiani E.,4, 10, 40, 129, 133, 140
Dadiani G., 4
Dadiani N., 4

G
Gamsakhurdia K., 4
Gegechkori A., 9
Gogebashvili I., 4

J
Javakhishvili I., 10

K
Kanz, U, 171
Khelaia A., 4

M
Margiani I .,4
Meskhi S., 4

N
Nijaradze B., 4
Nye J., 23

S
Serozia R., 4, 8, 10, 40, 129, 133, 140
Shengelia T., 9
Stalin, I.,9
Suny R. G. 23, 24

ბ) ენები, დიალექტები, კილოკავები

ა

აბაზური, 173
ადიღეური, 88, 278,
ავარიული, 135
აზერბაიჯანული, 128, 140, 151
ალჟირული, 92
ანდიური, 94, 292
ანნუხური, 13
არაბული, 92, 99, 102, 131
არქაული ქართული ენა, 281
არქაული სამწიგნობრო ენა, 16, 90, 118, 280, 298
ასირიული, 128, 135, 285
აფსუური, 173
აფხაზური, 72, 102, 151, 160, 161, 173, 174, 304
აღულური, 94, 292
აცტეკური, 98
ახალი ქართული ენა, 166
ახალი ქართული სალიტერატურო ენა, 281, 228

ბ

ბავარიული, 14
ბალსქვემოური, 53
ბელორუსული, 13, 92, 292
ბერძნული, 36, 72, 105, 106,128, 135, 251, 285, 305
ბოსნიური, 130
ბუხარული, 92

გ

გერმანული, 6, 13, 14, 99,102, 131, 169, 170, 247, 292
გურული, 80, 87, 205, 317

დ

დარგუული, 292
დაღესტნური, 98, 173
დიდოური, 94, 98, 292

ე

ებრაული, 128, 135
ესპანური, 15, 104

ზ

ზანური, 13, 14, 15, 16, 73, 86, 87, 88, 93, 94, 96, 101, 102, 103, 128, 158, 159, 173, 174, 278, 283, 284, 288, 289, 290, 291, 292, 295, 301, 302, 312, 318
ზემოსვანური, 34
ზოგადქართული, 17

თ

თაკვერული, 288
თურქული, 105, 106
თუშური, 80, 93, 145, 174, 175, 179, 205, 280

ი

იაფეტური, 49, 232, 233, 251, 256, 258
იბერიული, 14, 16, 37, , 79, 88, 276, 277, 278, 279, 282, 283, 285, 295
იბერიულ-კავკასიური, 282
იმერული, 30, 166, 167
იმერხეული, 101, 161, 164
ინდოევროპული, 37, 105, 250, 283, 285, 295, 297
ინგილოური, 93, 101, 161
ინგლისური, 6,104, 105, 106, 107, 115, 174, 240, 292, 312, 317
ინგუშური, 173
ირეკოზული, 98
იტალიური, 15, 102

კ

კავკასიური, 40, 78, 283
კახური, 37,166, 281, 282, 288, 317
კლარჯული, 101
კოლხური, 16, 285

ზ

ლაზური, 12, 16, 17, 27, 33, 93, 97, 98, 100, 101, 104, 105, 106, 107, 108, 113, 115, 125, 126, 129, 134, 138, 140, 158, 161, 164, 174, 175, 179, 284, 288, 291, 300, 302, 304, 308, 309, 312
ლათინური, 15
ლატვიური, 292
ლეზგიური, 292
ლიტვიური, 292
ლეჩხუმური, 101

ჯ

მაია-ენა, 98
მეგრული (მეტყველება/ ენა/ დიალექტი /ქვესისტემა/, 2, 6, 7, 12, 16, 17, 18, 27, 30, 33, 39, 40, 41, 42, 45, 46, 49, 50, 51, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 76, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 100, 101, 104, 105, 106, 108, 109, 110, 111, 113, 114, 115, 124, 125, 126, 128, 129, 133, 134, 135, 136, 138, 140, 145, 157, 158, 161, 163, 164, 165, 166, 167, 168, 169, 173, 174, 175, 179, 187, 189, 191, 192, 198, 202, 203, 204, 205, 206, 208, 209, 212, 214, 215, 216, 220, 221, 222, 223, 278, 280, 283, 288, 290, 291, 292, 295, 300, 301, 302, 303, 304, 305, 307, 308, 309, 310, 312, 315, 316, 317
მეგრული კილოკავი, 70
მესხური, 101, 161, 280
მთიულური, 101
მოხეური, 101, 161

ო

ოდიშური, 166
ოსმალური, 251

უ

პოლონური, 107

ჰ

რაჭული, 101, 157, 161
რუთულური, 94, 98
რუსული, 11, 13, 21, 23, 26, 27, 28, 29, 31, 33, 37, 39, 41, 43, 46, 47, 48, 49, 51, 59, 67, 68, 70, 92, 102, 105, 106, 111, 112, 113, 115, 116, 120, 128, 135, 136, 138, 140, 142, 151, 157, 167, 177, 187, 188, 202, 208, 209, 212, 214, 237, 242, 244, 249, 250, 252, 269, 271, 272, 274, 278, 291, 292, 293, 300, 306, 314

ს

საერთო ქართული, 85, 302
საერთოინდოევროპული,103
საერთოქართველური, 7, 12, 14, 15, 16, 36, 37, 102, 118, 276, 279, 280, 281, 282, 283, 284, 288, 289, 290, 292, 295, 296, 297, 298
საერთოქართველური ფუძე-ენა, 12
საერთოქართველური სამწერლო ენა, 15
სალიტერატურო ქართული, 16, 166
სამწერლო ლათინური, 15
სამწიგნობრო ენა, 15, 17, 25, 37, 38, 42, 56, 59, 86, 94, 103, 110, 113, 123, 132, 139, 157, 159, 164, 169, 173, 174, 280, 294, 296, 302, 307, 312, 316
სერბიული, 130
სლავური, 214
სლოვაკური, 13
სომხური, 47, 48, 115, 128, 140, 151, 161, 247, 251, 254, 274, 286, 292
სპარსული, 161, 174, 251, 285, 288, 295

სვანური, 2, 12, 14, 16, 27, 32, 33, 39, 40, 49, 50, 53, 54, 61, 86, 87, 88, 90, 93, 94, 97, 98, 100, 101, 103, 104, 105, 106, 108, 109, 110, 113, 115, 124, 125, 126, 128, 129, 134, 135, 136, 138, 140, 145, 157, 158, 161, 164, 165, 165, 166, 174, 175, 179, 278, 280, 283, 288, 289, 290, 291, 292, 295, 297, 301, 302, 303, 304, 305, 307, 308, 309, 312

Ტ

ტაოური, 164
ტოხური, 13

Უ

უკრაინული, 92, 128, 135, 292
ურარტული, 285

Ფ

ფერეიდნული, 101, 161
ფრანგული, 15, 102, 104, 292
ფუძეენა, 276, 279
ფშაური, 167

ქ

ქართველური, 5, 6, 7, 11, 12, 13, 14, 15, 17, 20, 21, 24, 25, 26, 27, 29, 30, 31, 34, 37, 38, 41, 48, 50, 58, 63, 74, 83, 86, 87, 88, 90, 91, 95, 96, 97, 99, 100, 102, 104, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 112, 113, 114, 115, 117, 118, 120, 122, 123, 129, 130, 133, 134, 135, 136, 137, 138, 141, 155, 157, 158, 159, 161, 162, 163, 164, 165, 166, 168, 169, 172, 173, 174, 175, 177, 178, 179, 180, 276, 277, 278, 279, 280, 281, 282, 283, 285, 286, 287, 288, 289, 291, 293, 294, 295, 296, 297, 301, 302, 304, 306, 307, 310, 311, 312, 314, 315, 316, 317, 318
ქართველური ენა, 17, 29, 31, 86, 95, 97, 99, 104, 105, 106, 107, 109, 114, 134, 135, 293, 307, 310
ქართველური ქვესისტემა, 7, 11, 25, 88, 97, 112, 117, 129, 165, 276, 279, 282, 296
ქართლური, 167, 227, 281
ქართული, 1, 6, 11, 12, 13, 14, 15, 17, 18, 19, 20, 21, 23, 24, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 49, 50, 51, 53, 54, 55, 56, 61, 62, 63, 65, 66, 68, 69, 70, 71, 73, 76, 77, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 113, 114, 115, 117, 118, 119, 120, 121, 122, 129, 133, 134, 135, 136, 142, 143, 144, 151, 152, 155, 156, 157, 158, 159, 160, 161, 162, 163, 164, 165, 166, 167, 168, 169, 172, 173, 174, 175, 177, 179, 180, 186, 189, 191, 202, 203, 204, 205, 206, 208, 209, 212, 214, 215, 217, 220, 221, 224, 225, 226, 227, 228, 232, 233, 238, 240, 241, 242, 243, 244, 246, 247, 249, 250, 251, 252, 253, 254, 255, 256, 257, 258, 259, 262, 263, 264, 267, 269, 271, 272, 273, 274, 278, 279, 280, 281, 282, 283, 284, 285, 287, 288, 289, 290, 292, 293, 295, 296, 297, 298, 299, 300, 301, 302, 303, 304, 305, 306, 307, 309, 310, 311, 312, 316, 320
ქართული სალიტერატურო ენა, 17, 18, 37, 62, 80, 88, 95, 172, 225, 226, 281, 293, 302
ქართული სამწიგნობრო ენა, 37, 38, 39, 56, 93, 94, 135, 136, 162,

167, 173, 278, 279, 280, 281, 282, 298
ქართულ-სემიანთა ენები, 256
ქისტური, 135, 173
ქურთული, 128, 135

ყ

შვაბური, 14

ჰ

ჩაღმათუშური, 101, 161, 228
ჩერნოგორიული, 130
ჩეჩნური, 128, 135, 173
ჩინური, 13, 102, 292

ძ

ძველი ლათინური, 15
ძველი ქართული, 14, 88, 278, 300
ძველი ქართული სამწერლო ენა, 88
ძველი სალიტერატურო ქართული ენა, 281
ძველქართული სამწერლობო ენა, 14

წ

წახურული, 94, 98, 292
წინარექართველური, 14, 37, 108
წინარექართველური ფუძეენა, 108
წოვათუშური, 101, 161

ჭ

ჭადაქოლოური, 13
ჭანური, 49, 50, 86, 87, 94, 98, 109, 278, 283, 308

ხ

ხევსურული, 80, 86, 87, 93, 101, 161, 166, 174, 175, 179, 205, 251
ხორვატიული, 130
ხუნძური, 12, 13, 14, 128, 135, 292

ჳ

ჰერული, 288

გ) ერები, ტომები, ეთნიკური ჯგუფები, თემები

Ⴑ

აზერბაიჯანელი, 28, 177, 311
აისორი, 28, 177
ალანი, 302
ალანური ტომი, 295
ალჟირელი, 92
ამერიკელი, 23, 138, 271
არაბი, 92
არმენი, 287
ასირიელი, 28, 177
აფსუა, 143
აფხაზი, 28, 47, 88, 142, 143, 144, 145, 177, 217, 290
აჭარელი, 18, 26, 47, 79, 88, 89, 103, 217, 225, 228, 290, 291, 292, 303

Ⴒ

ბაცბი, 28, 177
ბერძენი, 28, 177, 285
ბოშა, 103
ბუხარელი, 92

Ⴓ

გერმანელი, 14, 39, 107, 228, 246, 247, 271, 308
გურული, 62, , 73, 80, 87, 101, 103, 116, 161, 167, 189, 227, 281, 292, 301, 317, 303

Ⴔ

დაიანელი, 286

Ⴕ

ევროპელი, 23, 33, 138, 247, 271
ესტონელი, 261

Ⴖ

ზუგდიდელი, 63, 209

Ⴗ

თურქი, 103, 148, 154, 288, 302
თუში, 88, 89, 103, 225, 293

Ⴘ

იბერი, 49. 286
ივერიელი, 119, 167, 314
იმერელი, 62, 88, 103, 142, 145, 189, 292, 303
იმერხეველი, 103, 287
ინგილო, 88, 103
ინდიელი, 98, 292
ირონი, 103

Ⴙ

კავკასიელი, 144, 177, 302
კახელი, 18, 88, 89, 104, 142, 225, 287, 303, 317
კოლაელი, 286
კოლხი, 15
კორაქსი, 286

Ⴚ

ლაზი, 17, 24, 25, 28, 57, 61, 79, 86, 88, 99, 103, 107, 108, 114, 119, 121, 122, 125, 136, 163, 168, 177, 178, 194, 196, 287, 292, 293, 309, 311
ლატვიელი, 261
ლეკი, 47, 217, 290
ლეჩხუმელი, 104, 303
ლივანელი, 104, 163

Ⴛ

მაკრონი, 286
მაჭახლელი, 104
მეგრელი, 2, 6, 13,17, 18, 23, 25, 26, 28, 40, 41, 43, 46, 47,50, 57, 58,

61, 62, 63, 65, 66, 67, 69, 70, 73, 76, 79, 80, 82, 83, 85, 86, 88, 89, 92, 93, 98, 99, 103, 107, 108, 113, 114, 115, 119, 120, 121, 122, 125, 138, 136, 177, 178, 186, 188,189, 190, 192, 193, 194, 197, 204, 209, 215, 216, 217, 218, 219, 220, 221, 222, 225, 228, 281, 283, 287, 290, 291, 292, 293, 300, 301, 302, 303, 305, 309, 310, 311, 315
მეგრელი ერი, 188
მეგრელი ტომი, 57, 186
მეგრელი ხალხი, 57, 58, 188, 215
მესხი, 287, 303
მთიული, 103
მოხევე, 104, 303
მუშქი, 286

ნ
ნორვეგიელი, 228

ო
ოსი, 28, 142, 145, 177, 311

პ
პეტერბურგელი, 47, 39, 235
პოლონელი, 43, 50, 107, 252, 261

რ
რაჭველი, 104, 303
რუსი, 20, 27, 28, 39, 40, 42, 44, 50, 51, 85, 112, 120, 127, 136, 143, 144, 177, 208, 215, 243, 246, 247, 252, 263, 264, 267, 269, 305, 306, 311, 314, 316

ს
სამცხელი, 104
სანი, 286
სანიგი, 286
სვანი, 17, 18, 24, 25, 26, 28, 32, 34, 40, 47, 49, 50, 61, 73, 79, 80, 86, 88, 89, 99, 103, 104, 107, 108, 114, 119, 121, 122, 125, 136, 138, 142, 145, 177, 178, 225, 228, 287, 290, 291, 292, 293, 295, 300, 301, 302, 303, 309, 311
სკვითი, 285
სომეხი, 23, 28, 144, 145, 154, 177, 261, 311

ტ
ტაოელი, 99, 104
ტაჯიკი, 103
ტიბარენი, 286

უ
უზბეკი, 103
უკრაინელი, 261
ურარტუელი, 287
ურუმი, 28, 177

ფ
ფასიანი, 286
ფერეიდნელი, 104
ფრანგი, 228, 246, 247
ფშაველი, 62, 88, 89, 104, 166, 189, 225, 228, 303
ფხოველი, 287

ქ
ქართი, 49
ქართველი, 2, 5, 6, 11, 12, 13, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 45, 46, 48, 50, 54, 56, 57, 58, 59, 61, 62, 63, 64, 66, 67, 71, 76, 79, 85, 86, 88, 89, 90, 93, 94, 95, 97, 98, 101, 102, 103, 104, 107, 108, 110, 111, 112, 113, 115, 116, 117, 118, 119, 120, 121, 122, 123, 125, 126, 128,

133, 134, 135, 136, 137, 138, 139, 142, 143, 144, 145, 148, 149, 150, 151, 152, 153, 158,160, 162, 163, 164, 165, 166, 167, 168, 169, 173, 174, 175, 176, 177, 178, 179, 180, 186, 188, 192, 193, 209, 212, 213, 214, 216, 217, 220, 222, 224, 225, 226, 228, 229, 233, 234, 236, 237, 238, 240, 241, 244, 246, 249, 252, 255, 257, 259, 261, 263, 264, 265, 266, 267, 268, 271, 272, 273, 274, 276, 280, 281, 284, 285, 286, 287, 288, 290, 291, 292, 293, 294, 295, 296, 297, 298, 301, 303, 304, 306, 307, 308, 309, 310, 311, 312, 314, 315, 316, 318
ქართველი ებრაელები, 28, 177
ქართველი ერი, 2, 5, 11, 20, 21, 23, 24, 33, 40, 46, 56, 59, 62, 66, 71, 103, 108, 120, 121, 122, 123, 126, 134, 138, 142, 145, 176, 177, 178, 188, 213, 236, 257, 280, 292, 294, 304, 307, 315, 316, 318
ქართველური თემები, 106, 165
ქართველური ტომები, 105, 106, 285, 293
ქართლელი, 18, 88, 89, 104, 225, 228, 293
ქართული ეთნოსი, 101, 299, 300, 302, 303
ქართული ტომი, 166
ქისტი, 103, 128
ქურთი, 28, 103, 177, 286

ყ
ყივჩაყი, 103

შ
შავშელი, 104

ჩ
ჩაღმათუში, 103
ჩეხი, 50
ჩრდილოკავკასიელი, 73, 288

ჩ
ნოვათუში, 103, 119, 122

ძ
ძანი, 88, 89, 225

ხ
ხალდი, 286
ხევსური, 17, 73, 80, 88, 89, 104, 225, 227, 228, 301, 303

ჯ
ჯავახი, 104, 303

ჰ
ჰალიძონი, 286
ჰენიოხი, 286
ჰერი, 103, 287
ჰოლანდიელი, 228

Аджарцы (аджарели), 27
Грузины (картвели), 27
Ингилойцы (ингилой), 27
Лазы, 27
Мегрелы (маргали, мингрелы),, 27
Сваны, 27

დ) ტერმინები, სხვა მნიშვნელოვანი სიტყვა-ფორმები

ა

აბაშა, 71
აგენტი, 66, 212
ადგილობრივი, 44
ავტომატური თარგმანი, 155, 158, 311
ავტონომია, 18, 62, 148, 194, 196, 219
ავტონომისტი, 5, 55, 57, 193, 197
ავტოქთონი, 6, 124, 152
აზროვნების მექანიზმი, 185, 192
აკადემია, 27, 120, 233, 237, 238, 240, 241, 249
აკადემიკოსი, 48, 252, 262
აკადემიური თარგმანი, 11, 21
აკვატორია, 140
აკრედიტაცია, 114, 123, 179
ალოფონი, 279
ამერიკული, 28
ანბანი, 6, 23, 39, 80, 136, 162, 172, 208, 282, 309
ანექსია, 144, 149
არაავტოქთონი, 124
არადედაენა, 43
არალინგვისტური, 278
არასამწერლობო ენა, 97
არქაული ქართული, 281
არქეოლოგიური კულტურა, 298, 34, 36, 118
არქივი, 55, 60, 71, 78, 81, 198, 202, 214
ასიმილაცია, 39, 217, 222, 293
აფრიკატი, 279
აფსირტ-/ოფსიტ-, 15
აფხაზეთი, 38, 116, 142, 144, 160, 214, 217, 218, 219, 220
აღორძინებადი ენა, 97
აშორდიები, 118, 314, 315
აღწერა, 11, 21, 24, 26, 27, 69, 180
აჭარა, 38, 308, 313

ბ

ბათუმი, 26, 119, 145, 149, 296
ბგერათშესატყვისობა, 12, 13, 14, 87, 94, 100, 132, 276, 277, 278, 308, 315, 316
ბგერები, 109, 279
ბნელეთის ძალნი, 43, 46
ბოიკოტი, 209, 212
ბოლშევიკები, 68, 120, 125, 218, 219, 304
ბოლშევიკი, 59
ბრიგადა, 78
ბოლშევიკური რეჟიმი, 60, 71, 86, 309
ბროშურა, 67, 83, 221

გ

გაგებინება, 95, 129, 132, 278, 294
გამოცდილება, 6, 169, 308
განათლება, 15, 41, 49, 67, 72, 78, 79, 82, 83, 84, 85, 93, 114, 123, 134, 157, 158, 160, 170, 171, 172, 178, 179, 180, 202, 208, 221, 223, 233, 270, 273, 291, 305, 308, 312
განათლების ენა, 41, 49, 157, 158, 180, 312
განვითარებადი ენა, 97
განუვითარებელი ენა, 121, 122
გარდანქეშანი, 315
გახმოვანება, 32, 155
გენოციდი, 29, 143
გეოპოლიტიკური სიტუაცია, 37
გვარტომობა, 79, 205
გლეხური ლიტერატურა, 68
გლოტოქრონოლოგიური მეთოდი, 283
გორი, 117, 54, 166
გრანტი, 136, 158, 304
გურია, 38, 41, 44, 62, 305, 308

დ

დაგვიანებული ერები, 47
დადგენილება, 41, 60, 67, 69, 70, 77, 78, 216

დამწერლობა, 101, 308
დანოსი, 59, 214
დაჟინებული მცდელობა, 111, 113, 186, 222, 274
დასმენის წერილი, 44
დაძველება, 109, 111, 114
დაწყებითი კლასი, 40, 124, 125, 171, 216
დაწყებითი განათლება, 18, 54, 55, 121
დებულება, 50, 122, 123, 127, 129, 135, 139
დედაენა, 6, 7, 11, 12, 20, 21, 24, 32, 34, 38, 39, 40, 45, 46, 52, 61, 63, 86, 91, 92, 93, 95, 107, 110, 111, 112, 113, 114, 120, 122, 131, 132, 133, 134, 151, 152, 162, 168, 175, 179, 224, 225, 227, 229, 246, 247, 286, 290, 302, 310, 314
დედაქალაქი, 7, 148, 212, 224, 225, 264
დეკლარაცია, 52
დეკლარაცია ენის შესახებ, 52
დემოკრატიული, 193, 272
დიალექტი, კილო, 131, 172, 308
დიალექტოლოგია, 252
დიასპორა, 6, 142, 152, 153
დიდი მეცნიერი, 92
დიდი ნიჭი, 255
დივერგენცია, 288, 292, 296
დივერსიები, 5, 142, 145, 311
დისკუსია, 74, 86, 121, 122, 164, 172

ე

ევროპული კვალიფიკაცია, 28
ევროპული ქარტია, 40, 61, 68, 79, 115, 124, 127, 128, 129, 130, 132, 135, 138, 140, 310
ეთნიკოსი, 103
ეთნიკური დანაწევრება, 2, 20, 39, 46, 50, 73, 97, 111, 134, 178
ეთნიკური ჯგუფი, 25, 103, 151
ეთნოგრაფიული ჯგუფი, 103
ეთნოკონფლიქტი, 143, 144
ეთნოსი, 103, 114, 307
ეკლესია, 19, 20, 23, 44, 48, 66, 70, 115, 116, 293, 305
ენათმეცნიერი, 54,72, 73, 84, 108, 228, 258
ენის პრესტიჟი, 6, 11, 21, 160
ენის ტექნოლოგიზება, 6, 11, 21, 155, 157, 159, 180
ენობრივი სახესხვაობა, 26, 177
ენობრივი ვარიანტი, 37, 104, 166, 278
ენობრივ-სტრუქტურული კრიტერიუმი, 12, 277
ენობრივი დანაწევრება, 26, 40, 107, 115, 122, 309
ენობრივი ერთეული, 11
ენობრივი იდენტობა, 12, 22, 162 176, 178, 180
ენობრივი პოლიტიკა, 11, 21, 25, 29, 41, 54, 71, 90, 91, 111, 112, 115, 120, 126, 128, 132, 138, 141, 142, 165, 180, 310, 304
ენობრივი სამყარო, 5, 12, 34, 50, 63, 74, 86, 102, 108, 118, 134, 157, 158, 162, 165, 172, 174, 175, 179, 278, 280, 285, 294, 296, 297, 306, 307
ენობრივი ქვესისტემა, 37
ეპისკოპოსი, 41, 44, 215
ერთიანობა, 2, 5, 11, 21, 23, 38, 41, 71, 79, 97, 105, 106, 116, 117, 118, 119, 121, 123, 132, 137, 178, 225, 303, 307, 310, 315
ერი, 25, 61, 94, 131, 188, 212, 217, 293, 314
ეროვნება, 48, 62, 120, 145
ეროვნული იდეა, 272
ეროვნული, 6, 16, 18, 20, 23, 25, 39, 46, 51, 65, 67, 71, 86, 89, 90, 93, 94, 95, 97, 103, 108, 114, 123, 138, 143, 150, 154, 155, 157, 158, 159, 168, 172, 173, 175, 179, 180, 212, 217, 218, 222, 225, 228, 234, 235, 236, 244, 246, 260, 265, 270, 274, 291, 292, 306,311, 312, 314, 315

ეროვნული ენა, 18, 25, 39, 86, 89, 93, 94, 95, 97, 103, 172, 225, 228, 291, 292
ეროვნული ერთიანობა, 20
ეროვნული ცენტრი, 114, 123, 179, 236
ექსპერტი, 26, 114, 129, 130
ექსტრალინგვისტური, 101, 131, 132, 307, 308
ერცქემ-, 284

Ჩ

ვანდეა, 120

ჯ

ზიარჭურჭელი,154
ზნე-ჩვეულება, 23
ზუგდიდი, 37, 44, 47, 54, 59, 64, 70, 71, 72, 76, 77, 83, 84, 96, 295
ზლაპარი, 43, 144, 269
ზღვა, 25, 193

თ

თავდაცვა, 11, 21, 117, 123
თავისუფლება, 139, 141, 180, 209, 244, 264
თავმოყვარეობა, 255
თანამზრახველი, 68
თარგმანი, 82, 111, 155, 247, 311
თემი, 103, 187
თეორეტიკოსი, 194, 254
თვალსაზრისი, 5, 37, 86, 91, 92, 93, 106, 112, 118, 166, 173, 279, 293, 299
თვითაღქმა, 95
თვითიდენტიფიკაცია, 132
თვითშეგნება, 13, 37, 103, 303
თვითშეფასებითი კრიტერიუმი, 101, 308

ი

იაფეტური, 233, 251, 258
იდენტიფიცირება, 126
იდენტობა, 23, 25, 26, 101, 132, 303
იდეოლოგემა, 5, 20, 21, 31, 34, 97, 109, 111, 112, 123, 178, 291, 293
იდეოლოგია, 31, 113, 135, 178
იდეოლოგიზებული,33, 144
იდიომი, 13, 96, 101, 104, 122, 123, 134, 137, 166, 278
ილორი, 143, 115, 125, 138, 167
იმერეთი, 38, 62, 189, 308, 313
იმერხევი, 313
ინტელიგენცია, 62, 64, 71, 190, 214, 303
ინტერნაციონალიზმი, 222
ინტერნაციონალისტი, 270
ინფილტრაცია, 34
ინფორმაცია, 45, 112, 137, 138, 168, 174, 175, 179, 306
ისტორია, 2, 5, 11, 12, 15, 30, 33, 34, 45, 46, 62, 64, 74, 81, 87, 94, 95, 101, 106, 109, 112, 131, 134, 135, 136, 138, 141, 148, 149, 168, 172, 176, 177, 178, 188, 190, 202, 214, 224, 226, 228, 247, 251, 254, 257, 267, 276, 280, 293, 294, 297, 299, 301, 306, 308, 310, 314
ისტორიკოსი, 249, 284
ისტორიოგრაფია, 47, 109, 135
ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, 302
ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, 276, 277
ისტორიული ლოგიკა, 47

კ

კავკასია, 25, 26, 39, 40, 43, 50, 82,105, 129, 146, 153, 177, 214, 217, 221, 247, 251, 254, 260, 261, 263, 267, 271, 282
კავკასიოლოგი, 289
კათედრა, 41, 78, 172
კანონმდებლობა, 139
კვაზიმეცნიერული, 20, 31, 34, 50
კილოკავი, 50
კოას, 283
კოინე, 101, 286
კოლაბორაციონისტი, 5, 96, 143

კოლეგია, 232, 234
კოლექტიური, 6, 74, 78, 83, 198, 204, 206, 214
კოლონიური იდეოლოგია, 299
კოლხა, 285
კოლხიდა, 57, 194, 285
კოლხურ-ყობანური, 285
კოლხური კულტურა, 34, 35
კომისია, 18, 41, 73, 74, 77, 78, 79, 83, 122, 137, 205, 206, 223, 291
კომუნისტური რეჟიმი, 108, 134
კონსოლიდაცია, 20, 24, 25, 152, 159, 305
კონსულტანტი, 29, 128
კონტინუუმი, 285
კონცეფცია, 22, 47, 96,104, 294, 311, 312, 114, 157
კორპუსი, 6, 99, 155, 156, 157, 158, 312
კრიმინალი, 142, 145
კრიტერიუმი, 11, 94, 95, 129, 277, 294, 307
კრიტიკა, 66, 73
კუთხე, 144
კუთხურ-ტომობრივი ენა, 100
კულტურა, 15, 18, 19, 33, 34, 35, 46, 47, 50, 62, 76, 84, 97, 110, 120, 131, 134, 168, 173, 180, 190, 191, 217, 271, 275, 285, 302, 314, 316, 317
კუთხური მეტყველება, 20, 26, 80, 98, 121, 131, 175, 180, 205, 308, 310
კულტურის სავანე, 33, 34
კულტურული ისტორია, 41
კულტურულ-ტერიტორიული ერთეული, 60
კულხა, 285

ლ

ლაბიალური, 288
ლაბიოველარიზაცია, 295
ლაბიოველარიზებული, 288, 295
ლექსიკონი, 32, 37, 87, 104, 106, 115, 246, 312, 314
ლექსიკური, 105, 276, 277
ლივანა, 38
ლოგიკური, 49, 136, 137, 167, 278, 309
ლოკალურ-ტერიტორიული ჯგუფები, 103

ჯ

მაკონსოლიდებელი, 280
მალტის მოლაპარაკება, 146
მამულიშვილობა, 256
მანიფესტი, 212
მარგალისტანი, 57, 194
მარქსიზმი, 46, 92, 217, 221, 290, 291
მარტვილი, 83, 124
მარცელოვანი, 279
მაღალბიუჯეტიანი, 136, 304
მეგრული საკითხი, 46, 56, 57, 60, 68, 72, 73, 82, 96
მეთოდოლოგია, 106, 131
მესაიდუმლე მრჩეველი, 51, 264
მეტყველება, 2, 14, 15, 17, 18, 37, 40, 53, 54, 55, 56, 59, 63, 74, 86, 87, 88, 93, 94, 98, 101, 102, 103, 109, 110, 115, 130, 131, 133, 134, 155, 162, 163, 164, 165, 171, 175, 176, 180, 278, 250, 277, 281, 295, 300, 305, 307, 308, 315, 316, 317
მეცნიერული, 83, 109, 187, 190, 254, 255
მთავრობა, 147, 148, 216
მიზიდულობის ველი, 297
მკვდარი ენა, 49
მკვიდრი, 44, 45, 98
მორფოლოგიური, 157, 277, 278, 280, 296
მოტივაცია, 71, 136, 140, 142, 150
მოციქული, 212
მსჯავრი, 234, 236, 237
მსჯელობა, 6, 12, 16, 17, 49, 96, 99, 141, 170, 177, 212, 240, 286, 296, 301, 304, 308, 310
მტკვარ-არაქსის კულტურა, 288
მუქარა, 148
მუშაჯირობა, 143

მღვდელმთავარი, 44
მშვიდობისმყოფელი, 144
მცირე ხალხი, 40
მწერალი, 2, 44, 66, 107, 125, 142, 145, 212
მწიგნობარი, 38
მხარე, 29, 142, 144, 249

ნ
ნაზალიზაცია, 295
ნანაში ნინა, 125
ნაპრალოვნები, 280
ნაღმი, 165
ნაციონალიზმი, 214
ნაციონალური საკითხი, 46, 47, 92, 217, 221, 290
ნიჭიერი მეცნიერი, 48
ნოთე, 58, 143

ო
ოდაბადე, 173, 174
ოკუპაცია, 20, 320
ოლქი, 40, 43, 55, 56, 60, 66, 71, 72, 75, 76, 148, 149, 208, 217, 218, 219, 220, 222, 223, 301, 303
ოპონენტი, 50, 112
ორიენტირი, 11, 21, 180
ორსახოვნობა, 63

პ
პალატალიზაცია, 288, 295
პალატალიზებული, 288, 196
პარლამენტი, 138, 168
პერსპექტივა, 117, 136, 157
პირველი ხალხი, 58
პირუთვნელი, 236, 255
პოეტი, 145, 162
პოლემიკა, 91, 95
პოლიტიზება, 50, 58, 108, 113, 185, 198, 306
პოლიტიზებული ჯგუფი, 172
პოლიტიზებული მეცნიერი, 48
პოლიტიკური სპექტრი, 126, 153, 304
პრეზენტაცია, 32, 105
პრესა, 124, 133
პრესის ენა, 18, 54, 55
პრესტიჟულობა, 101, 308
პრიმიტიული კულტურა, 47
პროპაგანდა, 23, 47, 64, 67, 138
პუტჩი, 120, 146

ჟ
ჟინიანობა, 251

ჩ
რაგადი, 165, 176, 180
რატიფიცირება, 5, 11, 21, 124, 126, 137, 140, 180, 311
რაჭა, 308, 313
რბილი ძალა, 23, 138
რეგიონალიზაცია, 140, 154, 172, 294
რეგიონალური, 66
რეგიონი, 144, 153
რეგიონული, 5, 11, 21, 40, 58, 61, 68, 79, 106, 108, 112, 115, 122, 123, 124, 126, 128, 129, 130, 132, 134, 135, 137, 138, 139, 140, 141, 142, 153, 154, 180, 300, 304, 310
რეგიონული ან უმცირესობის ენა, 40, 61, 126, 128, 134, 304
რეგიონული ენა, 106, 108, 112, 115, 124, 138, 140
რეესტრული კრიტერიუმი, 101, 308
რეზოლუცია, 7, 64, 212
რელიგია, 15, 114
რეპრესიული რეჟიმი, 91
რეფლექსი, 295
რეციდივი, 80
რიტორიკული კითხვა, 99
რუკა, 27, 28, 29, 30, 35, 36, 109, 112, 165
რუსთაველის ფონდი, 114, 123, 158, 179
რუსი მოხელე, 39, 40, 85, 120, 314
რუსული გეგმა, 46
რუსული გულმოდგინება, 48

ს

საერთოქართველური ენა, 36, 37, 118, 136, 169, 279, 281, 282, 289, 290, 292, 298
საერო განათლება, 39
საზოგადო მოღვაწე, 2, 59, 65, 90, 112, 113, 125, 310, 315
საიდუმლო წერილი, 79, 315
საინფორმაციო ომი, 2, 11, 21, 23, 31, 117, 123, 139. 142, 145, 154, 166, 178, 341
საკუთრივ ლინგვისტური, 95, 100, 308
სალაპარაკო ენა, 52
სალიტერატურო ენა, 17, 18, 32, 34, 37, 48, 62, 80, 88, 95, 97, 99, 109, 129, 135, 157, 170, 171, 172, 174, 175, 179, 225, 226, 227, 228, 281, 290, 293, 302, 308
სამაზრო კომიტეტი, 53, 60, 64
სამეტყველო ენა, 300
სამეტყველო კოდი, 37, 93, 95, 131, 137, 163, 177, 280, 281, 293
სამეცნიერო საბჭო, 67, 114
სამინისტრო, 43
სამოქალაქო გმირობა, 91, 291
სამრევლო სკოლა, 44, 45, 208
სამუსლიმანო საქართველო, 147
სამშობლო, 18, 43, 52, 57, 62, 70, 89, 187, 227
სამშობლო ენა, 18, 43, 57, 62, 70, 187
სამცხე, 313
სამწერლო ენა, 14, 18, 37, 88, 89, 225
სამწერლობო ენა, 14, 18, 28, 55, 136, 177
სამწერლობო ტრადიცია, 284
სამწიგნობრო ენა, 11, 15, 16, 17, 21, 25, 33, 37, 38, 41, 42, 56, 59, 81, 86, 90, 93, 94, 95, 102, 103, 110, 113, 118, 121, 123, 131, 132, 135, 136, 139, 155, 157, 158, 159, 162, 164, 165, 167, 168, 169, 173, 174, 175, 179, 278, 279, 280, 281, 282, 294, 296, 297, 298, 302, 307, 311, 312, 316
სამწიგნობრო ისტორია, 17, 39, 113
სამწიგნობრო კულტურა, 34, 38, 40, 54, 59, 67, 93, 98, 101, 108, 110, 121, 122, 131, 138, 168, 177, 178, 293, 308, 317
სამხარეო კომიტეტი, 69
საოკუპაციო რეჟიმი, 144, 145
სამხედრო ძალა, 48, 254
სასამართლოს ენა, 89, 228
სასკოლო სახელმძღვანელო, 34
საფრთხე, 11, 22, 114, 123, 161, 179, 305, 310, 311
საქართველოს ეკლესია, 116
საქმისწარმოება, 18, 53, 54, 55, 59, 60, 68, 110, 124, 134, 214, 216, 223, 300
საშინაო მეტყველება, 93, 103, 287, 318
სახალხო ენა, 14, 101
სახარების თარგმნა, 22
სახელდება, 110, 143, 144, 147
სახელმწიფო, 6, 7, 11, 12, 18, 19, 21, 25, 31, 36, 39, 43, 51, 52, 53, 67, 77, 78, 79, 83, 86, 89, 91, 95, 101, 114, 117, 118, 122, 125, 127, 132, 135, 137, 150, 151, 152, 155, 157, 160, 161, 162, 163, 166, 175, 180, 185, 187, 193, 205, 228, 236, 237, 255, 263, 264, 269, 272, 274, 275, 276, 285, 287, 293, 294, 300, 304, 306, 308, 310, 311, 312, 313, 318
სახელმწიფო ენა, 6, 11, 12, 21, 43, 53, 79, 86, 89, 101, 122, 123, 125, 127, 132, 137, 151, 152, 155, 160, 162, 175, 180, 205, 228, 304, 308, 310, 311
სახელმწიფო ენის სტატუსი, 101, 132, 151, 308
სახელმწიფო კანცელარია, 39
სახესხვაობა, 63, 92, 110, 139, 161,174, 296

სახიფათო ჯაჭვი, 113
საცხოვრისი, 34, 35, 36, 38, 110, 177, 281, 284, 286, 288, 293, 295, 296
სეგმენტაცია, 5, 12, 50, 74, 86, 118, 172
სემანტიკა, 39
სემინარია, 39, 43, 208
სენაკი, 75, 83, 188, 238
სეპარატისტი, 5, 142, 143
სვანეთი, 17, 29, 33, 34, 38, 308, 313
სიბილანტი, 279, 295
სიგელ-გუჯარი, 190
სინთეზატორი, 155
სისინა, 13
სიტუაცია, 5, 100, 124, 133, 310
სკოლა, 43, 46, 67, 72, 203, 216, 219, 222, 246, 269
სომხური ენციკლოპედია, 47
სონანტი, 279, 280
სონორი, 279, 280
სოციოლინგვისტიკა, 114, 296
სოციოლინგვისტური, 12, 13, 92, 95, 100, 131, 132, 133, 278, 302, 305, 308
სოხუმი, 116
სპირანტი, 279
სტანდარტულობა, 101, 132, 308
სტატუსი, 13, 62, 69, 92, 97, 100, 102, 115, 128, 132, 146, 277, 278, 288, 302, 308, 316
სუბეთნიკური ერთეული, 23
სუბეთნოსი, 103, 303
სულისკვეთება, 78, 138, 235, 255, 273

ტ

ტაო, 6, 16, 90, 149, 152, 161, 285, 312
ტელემედია, 124
ტერმინი, 153, 285
ტერმინოლოგიური დივერსია, 11, 21, 59, 145
ტერმინოლოგიური შესიტყვება, 142, 143, 145
ტომი, 24, 74, 97, 103,106, 278, 292, 293
ტომობრივი ენა, 94, 98, 110, 284, 291, 292, 293
ტრაქტატი, 119, 314
ტყავი, 283, 284
ტყებ-, 284
ტყები, 284

უ

უკანაენისმიერი, 13
უკიდურესი შოვინისტი, 48, 270
უმარცვლო, 279
უმცირესობა, 5, 11, 21, 25, 68, 79, 115, 122, 123, 124, 126, 127, 128, 129, 130, 132, 135, 137, 138, 140, 141, 180, 222, 300, 310
უმცირესობის ენა, 115, 124
უმწერლობო, 5, 17, 25, 29, 31, 40, 41, 47, 61, 86, 92, 93, 95, 97, 98, 99, 100, 101, 105, 106, 107, 109, 110, 111, 113, 114, 115, 121, 122, 123, 128, 130, 131, 134, 135, 136, 137, 138, 161, 173, 174, 178, 179, 284, 290, 291, 293, 301, 302, 309
უმწიგნობრო, 17, 104, 110, 113, 131, 290
უფლება, 42, 49, 51, 75, 113, 116, 190, 212, 222, 234, 263, 264, 265, 271, 311
უფსკრული, 194, 255
უხეირო ცდა, 249

ფ

ფილოლოგიური, 255, 177
ფედერაციული მოწყობა, 140, 153, 294
ფოთი, 71
ფონდი, 61, 71, 164, 236
ფონემატური სტრუქტურა, 279, 280
ფსევდოლიბერალი, 111, 141
ფსევდომეცნიერული, 20, 22. 177
ფსიქოლოგია, 80, 85, 92

ფუძეენა, 12, 108, 276, 277, 279, 302
ფშავი, 62, 166, 189

თ
ქართველთა ეკლესია, 42
ქართველთმცოდნენი, 50
ქართველი ხალხი, 17, 45, 89, 97, 108, 224, 225, 273, 293
ქართველოლოგია, 141, 228
ქართლი, 30, 150, 287, 308
ქართული ეთნოსი, 101, 299, 300, 302, 303
ქარტია, 5, 11, 21, 122, 123, 124, 126, 127, 129, 130, 133, 135, 137, 138, 139, 140, 141, 180, 300, 304
ქვესისტემა, 14, 309
ქრონოლოგია, 254, 298
ქუთაისი, 32, 42, 69, 87, 91, 96, 134, 167, 174 ,278

ი
ღვარძლი, 264
ღვთისმსახურება, 16, 20, 40, 41, 90, 115, 116, 118, 120, 133
"ღირსეული" მემკვიდრე, 6, 62, 185

ყ
შაბლონი, 74
შავრაზმელი, 214, 215
შელორსა, 17
შელოცვა, 16, 17, 90
შელოცვების ენა, 16, 90
შერევა, 278, 289
შეურაცხმყოფელი, 233
შეურაცხყოფა, 306
შიდასტრუქტურული კრიტერიუმი, 278
შიშინა, 13, 279, 287
შტო, 189

ჩ
ჩამორჩენილი ერი, 52, 121
ჩეკისტი, 71
ჩინოვნიკი, 82, 221
ჩიქორთული, 17
ჩიჩიე-ქორთული, 17
ჩიხი, 310
ჩხორონწყუ, 72, 78, 84

ც
ცილისწამება, 7
ცინიზმი, 149
ცოცხალი კილოკავები, 49

ძ
ძველი ქართული, 14, 88, 278, 300
ძირძველი ქართველები, 34, 143

წ
წალენჯიხა, 46, 72, 77, 78, 79,
წერილი, 6, 7, 45, 51, 55, 58, 59, 79, 115, 198, 214, 230, 232, 233, 237, 242, 243, 244, 270

ჭ
ჭეშმარიტება, 309

ხ
ხალხების ენა, 292
ხარისხი, 265, 294
ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 114, 123, 179
ხმოვნები, 279, 280
ხობი, 72, 84, 85
ხსნის კომიტეტი, 115
ხშულები, 280

ჯ
ჯაჭვი, 116
ჯგუფები, 103
ჯერღვი 284

ჰ
ჰიბრიდული ომი, 140
ჰიპოთეზა, 25

Мегрельская нация, 125
kokida, 285

გარეკანის კომპოზიცია ასახავს საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე 150 წლიან საინფორმაციო ომს.

წინაყდაზე: **დუტუ მეგრელი –საინფორმაციო ომში თავდაცვისას შექმნილი უკვდავი სტრიქონების** („ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო... ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო“) **ავტორი** (ვრცლად იხ. გვ. 120).

წიგნის გარეკანზე გამოტანილი რუკების სრული ვარიანტების მისამართები (დამოწმება: 19.01.2019):
https://euobserver.com/opinion/142547
http://csem.ge/wp-content/uploads/2016/07/languages_of_georgia.jpg

გარეკანის დიზაინი:
ირაკლი უშვერიძე
ილია ჭრელაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ნანა დუმბაძე**

წიგნი გამოსაცემად მომზადდა
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის **ქართველოლოგიის ცენტრში.**

საძიებელი შეადგინეს:
სოფიო კეკუამ, კესო გეჯუამ და ცოტნე ფუტკარაძემ.

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაროვსაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com



ტარიელ ფუტკარაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის **ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი.** ქართული უნივერსიტეტისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი. ათეულობით საერთაშორისო სიმპოზიუმისა და ექსპედიციის ორგანიზატორი. „საქართველოს სახელმწიფო ენის საბჭოს" დამფუძნებელი (1996, ქუთაისი). „ქართველთა დედაენის საერთაშორისო ფონდის" სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე (2016 წლიდან). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1991 წლიდან). **საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერი** (09,04,1991).

პროფ. ტ. ფუტკარაძის ხელმძღვანელობით მომზადებულია 21 სადოქტორო დისერტაცია. 7 სახელმძღვანელოს, 15 მონოგრაფიის, 350-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი. მთავარი რედაქტორი რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალებისა: „ქართველური მემკვიდრეობა" (22 ტომი), „ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული" (10 ტომი), „ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები" (7 ტომი).

Prof. Dr. Tariel Putkaradze

has a doctorate in Philology and is currently the head of the Kartvelology Center at the Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia. He has also taught at Akaki Tsereteli State University. He has organized and led numerous international symposiums and conferences. He was also one of the signers of the Declaration of Independence of the Republic of Georgia (09,04,1991).

Prof. Dr. T. Putkaradze has lead and overseen the successful defense of 21 PhD dissertations. He has published 7 books, 15 monographs, and more than 350 scientific articles. He is the head editor of the scientific journals: Kartvelian Heritage (22 volumes), Ilia Chavchavadze's Scientific Library Annual (10 volumes), and the "Actual Problems in Kartvelology." (7 volumes).